



ეროვნული სასწავლო
გეგმვის ცენტრი
NATIONAL CURRICULUM
CENTER



საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

მუსიკა

I-VI კლასები

გზამკვლევი მასწავლებლებისთვის

2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით



თბილისი, 2011

**გზამკვლევაზე
მუშაობდნენ:**

რუსუდან თაყაიშვილი - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი,
მუსიკის ექსპერტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

ხათუნა კალმახელიძე - რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი,
თეორიული საგნების პედაგოგი

მაია სიგუა - თბილისის დემირელის სახელობის სკოლა-ლიცეუმი
„სხივი“, მუსიკის მასწავლებელი-სტაჟიორი, თბილისის
ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის დოქტორანტი

კონსულტანტი:

მაია გედევანიშვილი - ფსიქოლოგი, ბავშვთა უფლებების
დამცველი

პროექტის

კოორდინატორი:

თამარ ჯაყელი - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის
ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა
დეპარტამენტის უფროსი

DVD-ის მომზადება:

ლიანა ნაცვლიშვილი - თბილისის ვ. სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია, ფონოტექნიკის გამგე

დიზაინერ-დამკაბადონებელი:

გიორგი ინაშვილი

ტექნიკური რედაქტორი:

მაკა ბერაია

სანოტო ტექსტის

აკრეფა კომპიუტერზე:

მანანა ჟღენტა - თბილისის ვ. სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია, მუსიკალური
ინფორმატიკის პედაგოგი

UDC (უაკ) 78 (072)+37.016:78(072)

თ - 381

ISBN 978-9941-0-3841-9

© ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი

მოცემული პუბლიკაციის ტექსტის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებისთვის, წყაროს მითითებით.

სარჩევი

შესავალი	4
თავი I. სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები დაწყებით საფეხურზე	5
თავი II. შეფასება	25
თავი III. დაწყებითი საფეხურის მუსიკის სტანდარტი	30
თავი IV. საგნის სწავლება	183
თავი IV. განმსაზღვრელი შეფასება	234
დანართი	237
გამოყენებული ლიტერატურა	364

შესავალი

გზამკვლევის მიზანია, დაეხმაროს მასწავლებელს მუსიკის საგნობრივი პროგრამის დანერგვასა და განხორციელებაში. გზამკვლევაში მოცემული აქტივობები ეყრდნობა საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებსა და ინდიკატორებს, თითოეული მათგანი წარმოდგენილია აქტივობების სახით, მოცემულია სცენარები თითოეული კლასისათვის. მასწავლებელს ეძლევა პრაქტიკული რჩევები, რეკომენდაციები, ასევე შემაჯამებელი შეფასების ნიმუშები. გზამკვლევს ახლავს გამოყენებული სანოტო მასალის დანართი და DVD, წიგნში დასახელებული აუდიო, ვიდეო და ფოტომასალის ჩანაწერებით.

თავი I

სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები დაწყებით სწავლაში

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთათვის ქმედითი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას.

შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მოითხოვს სწავლა/სწავლების შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვას:

- ცოდნის კონსტრუირება;
- გაღრმავებული სწავლება;
- პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა;
- მოტივაციის ამაღლება;
- მოსწავლის ჩართულობა;
- ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება;
- ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება.

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

ცოდნის კონსტრუირების ხელშეწყობა

სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად უნდა იყოს ჩართული. გამზადებული ცოდნის გადაცემა არ უწყობს ხელს გააზრებულ და ხარისხიან სწავლებას. მართალია, მასწავლებელმა უნდა მართოს სწავლა-სწავლების პროცესი, მაგრამ მოსწავლესაც უნდა დაუტოვოს დამოუკიდებლად დაფიქრების საშუალება, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით აღმოაჩინოს და დაამუშავოს ახალი საკითხები. ამგვარი აქტიურობით ის უკეთესად გაიზრდეს და შეითვისებს ახლადშეძენილ ცოდნას. ცხადია, მოსწავლე შეცდომებსაც დაუშვებს და დაბრკოლებებსაც წააწყდება, მაგრამ მასწავლებლის დახმარებით, მსჯელობითა და კონსტრუქციული თანამშრომლობით, ის პრობლემებსაც გაუმკლავდება, ხარვეზებსაც შეავსებს და შეცდომებსაც გამოასწორებს. ცნობილია სწავლა აღმოჩენით, როცა ბავშვები დიდწილად თვითონ მუშაობენ და სწავლა მართვადი აღმოჩენით, სადაც პროცესს მასწავლებელი მართავს. ამ დროს მასწავლებელი არ საუბრობს პრობლემის გადაჭრის გზებსა და ხერხებზე, იგი მოსწავლეებს მხოლოდ აუცილებელ მასალას აწვდის, მათ დაკვირვებისკენ უბიძგებს და აძლევს საშუალებას, მოსაზრებები, ჰიპოთეზები გამოთქვან. ამისათვის მოსწავლეებს სჭირდებათ ინტუიციური და ანალიტიკური აზროვნების ამოქმედება. მასწავლებელს შეუძლია, დასვას მიმანიშნებელი კითხვები, წაახალისოს მოსწავლეების არასრული მონაცემები, ხოლო შემდეგ დაეხმაროს მათ მოსაზრებათა დამტკიცებას ან უკუგდებაში. ამგვარი სამუშაოს ეტაპებია: შესავალი, ექსპერიმენტი, მსჯელობა (გააზრება), გამოყენება და შემომნება.

მუშაობის ამგვარი მეთოდის დადებით მხარედ შემეცნებითი პროცესის განვითარება შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები გამოიყენება. ესე-

ნია: დისკუსია, ლიტერატურასთან მუშაობა, ემპირიული ინფორმაციის შეგროვება და სხვ. ძლიერდება მოტივირება და მუშაობით მიღებული კმაყოფილება. ბავშვები ხედავენ საკუთარი შრომის ნაყოფს. ცოდნა არ არის ფორმალური. მყარდება კავშირი ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ჯგუფური მუშაობის დროს კი ვითარდება თანამშრომლობის უნარი. განსაკუთრებით ეფექტურია ამ ტიპის მუშაობის დაწყება მეხუთე-მეექვსე კლასებში.

ბალრავიულის სწავლება

შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისთვის მინოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. ამგვარი ცოდნის მიღება კი შესაძლებელია მხოლოდ გაღრმავებული სწავლებით, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად დამუშავებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, ათვისებული ცოდნის განმტკიცებას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენასა და საერთო ასპექტების დამუშავებას.

პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა

სწავლა უნდა მიმდინარეობდეს მშვიდ და მონესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას; სადაც მოსწავლე დაფასებული, აღიარებული და პასუხისმგებელია საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

მოტივაციის ამაღლება

მოტივაცია განმსაზღვრელ როლს თამაშობს სწავლა-სწავლების პროცესში. მოტივაციის ამაღლება ბადებს სასწავლო აქტივობაში ჩაბმის სურვილს, ზრდის მასში მონაწილეობის ხარისხს, რაც, თავის მხრივ, უფრო ქმედითუნარიანს ხდის მოსწავლეს. მოტივირებული მოსწავლე მიზანდასახულია და მზად არის, დასძლიოს პრობლემები და გადალახოს სიძნელეები. ამდენად, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პედაგოგისთვის.

შესაძლებელია მართვა მოტივაციური პროცესებისა, რასაც მოტივირებას უწოდებენ. სასწავლო გეგმის შედგენისას, მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს მოტივებზე და გაიაზროს, რისი გაკეთებაა საჭირო, რომ მოსწავლეებს სწავლის სურვილი გაუღვიძოს; როგორ განუვითაროს და აუმაღლოს მოტივაცია სასწავლო გეგმის ფარგლებში.

პირველ რიგში, ბავშვებს უნდა გაუჩნდეთ წინსვლის შეგრძნება. ამისათვის თითოეულ მოსწავლეს, მიუხედავად მათი აკადემიური მიღწევებისა, უნდა მივცეთ ეტაპობრივი პროგრესირების საშუალება საკუთარ შესაძლებლობებსა და ცოდნაზე დაყრდნობით. ამდენად, აუცილებელია, თითოეული მოსწავლისათვის სწორად შეირჩეს დავალებათა სირთულის დონე. თუ მოსწავლეს მივცემთ ზედმეტად რთულ, მისთვის დაუძლეველ დავალებებს, ის

წინსვლის იმედს დაკარგავს. წარმატებული პედაგოგი უნდა ითვალისწინებდეს, რომ მოსწავლის მთავარი „ასაკობრივი“ მოტივი მიღწევის მოტივია. რა აქვთ საერთო ალპინისტს, რომელიც მწვერვალს იპყრობს, ბავშვს, რომელიც გატაცებით თამაშობს კომპიუტერულ თამაშებს და მოსწავლეს, რომელიც ყოველთვის ცდილობს, უკეთესად ისწავლოს. თითოეულ მათგანს გააქტიურებული აქვს წარმატების მიღწევის მოტივი, საკუთარი შესაძლებლობების დონის ამაღლებისკენ სწრაფვა, რაც დაკავშირებულია პიროვნების სურვილთან, მიაღწიოს წარმატებას და თავი აარიდოს მარცხს. ასე რომ, აუცილებელია, შევქმნათ ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც ნებისმიერ მოსწავლეს ექნება წინსვლის განცდა.

თანამედროვე სკოლაში სწავლის მოტივაციის განვითარების ტექნოლოგია მოსწავლეთა მიღწევის მოთხოვნილებების განვითარებაზე იგება. ეს ტექნოლოგია გულისხმობს ისეთი პროგრამების შემუშავებას, სადაც ბევრი სხვადასხვა სირთულის დავალების გრადაციაა.

- მნიშვნელოვანია მოსწავლის ინტერესების გათვალისწინება. მოსწავლის დასაინტერესებლად აუცილებელია ყველა სასწავლო მასალის გამოყენება. სასურველია, გაკვეთილის გეგმა მოსწავლეების ინტერესებთან შეთანხმებით დაიგეგმოს. სასწავლო მასალა უნდა ჩაერთო „სამყაროს სურათში“, დავუკავშიროთ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ბავშვის ინტერესების გამოსავლენად მარტივი ხერხი პირდაპირი შეკითხვაა - როგორ ატარებენ თავისუფალ დროს. მოსწავლეების ინტერესების დადგენის შემდეგ, საჭიროა მათი გამოყენება სასწავლო პროცესში. მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია, სასწავლო პროგრამების შესავსებად მოსწავლეთა ინტერესები იცოდეს. გაკვეთილის მსვლელობისას შეიძლება გამოვიყენოთ ყველაფერი, რაც გაზრდის ცნობისმოყვარეობას - ახალი და უჩვეულო ფაქტები, შეხედულებები მოვლენებზე, თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოები, თვითნაკეთი ნივთები და სხვ. აგრეთვე, სასურველია, მასწავლებელმა შექმნას პრობლემური სიტუაციები, რითაც მოსწავლეებს ობიექტის შესწავლისკენ უბიძგებს.
- მოსწავლეს უნდა დავანახოთ სასკოლო აქტივობათა ღირებულება. მან უნდა გაიაზროს, რატომ უნდა გაისარჯოს დავალებული ამოცანის შესრულებისას, რისთვისაა ეს საჭირო და რაში გამოადგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მოტივაცია მკვეთრად დაიკლებს და იგი აქტივობისთვის მინიმალურად ან, სულაც, არ დაიხარჯება. ამდენად, მასწავლებელი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, ნათლად დაანახოს მოსწავლეს ამა თუ იმ აქტივობის ღირებულება, ხელი შეუწყოს შესასრულებელი დავალების გააზრებაში და გააგებინოს, რა აზრი აქვს მის შესრულებას, რა სარგებელს მოუტანს პიროვნული თუ სოციალური თვალსაზრისით და რას შესძენს ისეთს, რაც მას სკოლის გარეთაც გამოადგება.

მოსწავლის ჩართულობა

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს. აქ იგულისხმება არა მხოლოდ მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა განათლების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში მონაწილეობაც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების

დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებაში და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, გაკვეთილებზე მოსწავლეების დასწრების ხელშეწყობა სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია.

ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება

ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით, აზროვნების მოდალობითა და სწავლის სტილით (აღქმის მოდალობებით). განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სკოლამ ყველა მოსწავლეს უნდა შესთავაზოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი, რაც გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზების, აქტივობათა ტიპებისა თუ შეფასების ხერხების გამოყენებას.

მესამე და მეოთხე თავებში შემოგთავაზებთ აქტივობათა და შეფასების ხერხების მრავალფეროვან სპექტრს. ყურადღებას შევაჩერებთ სწავლის სტილზე ანუ აღქმის მოდალობებზე.

თანამედროვე მკვლევარები მოსწავლეს ადარებენ ტელევიზორს, რომლის მსგავსად, მოსწავლესაც შეუძლია, სხვადასხვა არხით მიიღოს ინფორმაცია. როგორც წესი, ცალკეულ ინდივიდში რომელიღაც ერთი არხი სხვებზე მეტადაა განვითარებული და, შესაბამისად, ისინი ინფორმაციის დამუშავებას ერთ-ერთი არხით არჩევენ. სწორედ ეს არჩევანი განსაზღვრავს სასწავლო პროფილს. დადგენილია სამი ძირითადი სასწავლო პროფილი:

- ხედვითი;
- სმენითი;
- კინესთეტიური.

ზოგიერთი ადამიანი ინფორმაციის აღქმას ხედვით არჩევს და მათზე ამბობენ, "ფოტოაპარატი" სწავლობსო. მათზე, ვინც სმენით აღიქვამს ინფორმაციას, ამბობენ, "მაგნიტოფონით" სწავლობსო. კინესთეტიკები კი "უთავოდ" სწავლობენო – ისინი არჩევენ მანიპულაციას, ხელით კეთებას, ფესტიკულაციას, მიმიკას, რიტმს, მოძრაობას.

მაშასადამე, ადამიანს გარედან მიღებული ინფორმაციის აღქმისა და დამახსოვრების ინდივიდუალური უნარები აქვს. ზოგი მხედველობით მიღებულ ინფორმაციას იმახსოვრებს უკეთ, ზოგი - სმენით აღქმულს, ზოგს კი მოქმედების შესრულება, სიტუაციის შეგრძნება სჭირდება, რათა მიღებული ინფორმაცია შეინახოს. ეს უნარები, როგორც აღვნიშნეთ, ბავშვობიდანვე იჩენს თავს და, თუ ინფორმაციის მინოდების ფორმა არ შეესაბამება ბავშვის ინდივიდუალურ სისტემას, მას უჭირს ინფორმაციის აღქმა და გაგება. გაკვეთილი, რომლის 60-70% მასწავლებლის მონაყოლისგან შედგება, „სმენითებისთვის“ (იგივე აუდიალებისთვის) ძნელად აღსაქმელია. მასწავლებელი დროდადრო წერს დაფაზე და ამით ჩართავს ვიზუალს ანუ ხედვითი პროფილის მქონეს და ამგვარად უწყობს ხელს, გაიგოს ინფორმაცია. ამ დროს კინესთეტიკები გაკვეთილიდან გამოთიშულნი არიან. თუ მათი პროფილის შესაბამის აქტივობას არ ჩავრთავთ, ისინი მხოლოდ სპორტისა და ხელსაქმის გაკვეთილებზე შეძლებენ თავის წარმოჩენას. ამიტომ აუცილებელია, ასეთ მოსწავლეებს

მათი ინდივიდუალური სტილის შესაბამისი აქტივობები შევთავაზოთ. მაგალითად, როლური თამაში, სიმულაციური აქტივობა, ნაკეთობის შექმნა, დაფასთან გამოსვლა და მასწავლებლისგან მიღებული ინფორმაციის რუკაზე/ცხრილზე ჩვენება, სქემის შედგენა, სცენის დახატვა, მაკეტის შექმნა და სხვ.

ზოგჯერ მასწავლებლები ცდილობენ, ეს ბავშვები ჩამოაცილონ მათთვის საინტერესო გაკვეთილებს, რათა სწავლებაში ხელი არ შეეშალოთ. თუმცა, ეს არ მოიტანს სასურველ შედეგს. სწავლებისა და განვითარების პროცესის უკეთ წარმართვისათვის, აუცილებელია, ყურადღება მივაქციოთ ბავშვის ინფორმაციის „მიმღებ“ სისტემას. ვიზუალებს და კინესთეტიკებს თავიდანვე ვასწავლოთ ინფორმაციის „გადათარგმნა“ საკუთარ მიმღებ სისტემაში. განსაკუთრებით ეს სჭირდებათ კინესთეტიკებს, რადგან სასკოლო სწავლების გარემო უპირატესად აუდიო-ვიზუალურია. მართალია, დაწყებითი კლასების ბოლო ეტაპზე, სწრაფი კითხვის უნარის ჩამოყალიბებასთან ერთად, ვიზუალების და კინესთეტიკების პრობლემის სიმწვავეც ნელდება, თუმცა, სიტყვიერად მიწოდებული ახსნა-განმარტებების გაგება მაინც რთულია.

ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება

ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება სწავლის როლი და ადგილი მის ცხოვრებასა და განვითარებაში. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სწავლა ბავშვის მიერ სხვადასხვა შინაარსისა და სირთულის ცოდნის დაუფლებაა, აგრეთვე ამ ცოდნის გამოყენების უნარის ჩამოყალიბება. მართალია, სასწავლო პროცესს სკოლაში მასწავლებლები უწევენ ორგანიზებას, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია ბავშვის შემეცნებითი უნარების მზაობა კონკრეტულ ასაკში. განვიხილოთ თითოეული მათგანი და მათი განვითარების დონე 10-11 წლის ასაკის ბავშვებში.

აღქმა არის ადამიანის მიერ საგნის ან მოვლენის სრულად ასახვა გრძნობის ორგანოებზე ამ საგნის/მოვლენის უშუალო ზემოქმედების შედეგად. როდესაც აღვიქვამთ წითელ, მრგვალ, არომატულ ვაშლს, ადამიანი შეგრძნებებში წარმოსახავს მის ფერს, სურნელს, სიმძიმეს, სიმკვრივეს და გლუვ ზედაპირს, მაგრამ აღქმა მეტია, ვიდრე შეგრძნებათა ჯამი. აღქმულ საგანს ბავშვი აღნიშნავს სიტყვით “ვაშლი”, რომლითაც აღინიშნება არა რომელიმე ერთი ნიშანი, არამედ მთელი საგანი. საგანთა და მოვლენათა აღქმის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს მათი ნიშან-თვისებები და კავშირები. ბავშვი მათ თავიდან შეიმეცნებს ყოველდღიურ ცხოვრებაზე დაკვირვებით, მოძრაობით და სხვა პრაქტიკული მოქმედებით. ცოდნა სივრცესა და დროში, მათი გამოცალკევება, გააზრება განაპირობებს ბავშვის მიერ რეალობის ამ მხარეების გამოყოფას და მათ გაგებას. ამგვარად ყალიბდება ბავშვის შემეცნებითი უნარები და აღწევს სრულყოფას. როდესაც იგი „ისწავლის“, გააზრებულად აღიქვას გარემო, თეორიული ცოდნის საკუთარ პრაქტიკასთან (არასასწავლოსთან, სპორტულთან და სხვ.) დაკავშირებასაც შეძლებს. ბავშვს უვითარდება უნარი, ცხოვრებაში ნაწახი ფაქტები თანმიმდევრულად დაუკავშიროს ნიგნებიდან ან/და მასწავლებლისგან მიღებულ ცნობებს. აღქმის კულტურა არის სვლა ბავშვის შემეცნებითი მოქმედების სრულყოფილებისკენ. აღქმის განვითარებასთან ერთად იცვლება მისი სტრუქტურაც. თუ პატარას თვალი მოძრაობას მისდევს, უფრო მოზრდილებთან თვალი თავისუფლდება ამ ფუნქციისგან და უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიტყვა, რომელიც ხდება აღქმული შინაარსის

ანალიზისა და განზოგადების საშუალება.

ყურადღება პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობაა, რომელიც გამოიხატება რაიმე მიმართულებით კონცენტრაციაში. ყურადღება ასახავს ადამიანის დამოკიდებულებებს გარკვეული ობიექტებისადმი. არსებობს ყურადღების სახეები: უნებლიე ყურადღება, გამონეული ძლიერი გამღიზიანებლით (რომელიც უნებლიედ იპყრობს ადამიანის ყურადღებას) და ნებისმიერი ყურადღება, რომელიც განსაზღვრულია ადამიანის ნებისყოფით ანუ როდესაც ადამიანს გააზრებული აქვს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ყურადღებით. ძირითადად, ასეთ ყურადღებას მოითხოვს არასაინტერესო, მაგრამ საჭირო ან სავალდებულო საქმე, რაც ძაბავს ნებისყოფას, გაშორებს ყველა საინტერესო საქმეს, ხელს გიშლის შინაარსზე კონცენტრირებაში. სკოლის პერიოდში აუცილებელია ზრუნვა ამ ტიპის ყურადღების განვითარებაზე, რადგან ამას სასწავლო საქმიანობა მოითხოვს.

მართალია, ყურადღების მდგრადობაში ჩანს ბავშვების ინდივიდუალური განსხვავებები, ტემპერამენტისა და აღზრდის თავისებურებები, მაგრამ არამდგრადობის გასაწინააღმდეგებლად შეიძლება სასწავლო პროცესის შესაბამისი ორგანიზება, კერძოდ: 1) გაკვეთილის სწორი ტემპი და გააზრებული ორგანიზება; 2) გაკვეთილზე მასწავლებლის მკაფიო განმარტებები, ინსტრუქციები; 3) მაქსიმალური აქცენტი აქტიურ სააზროვნო მუშაობაზე; 4) მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები, რომლებიც შეესაბამება გაკვეთილის ძირითად ამოცანასა და ტემპს; 5) თითოეული მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში არა მხოლოდ წერიითი სამუშაოს, არამედ ზეპირი სავარჯიშოების დროსაც. ბავშვების ინციტიატივების ნახალისება, მრავალფეროვანი მაგალითების მოძიება, ამოცანების გადაჭრის ხერხების შერჩევა, ფაქტების აღწერა/ახსნა იმგვარად, რომ მასწავლებელს მთელი კლასი ყურადღების ველში ჰყავდეს მოქცეული.

ადამიანის განვითარებული ყურადღება ვლინდება უნარში, ხანგრძლივად მიაპყროს ყურადღება მოქმედების ობიექტს, მართოს საკუთარი ყურადღება, რაც ნებისმიერი საქმიანობისას ადამიანის მზაობის არსებითი ნიშანია. მეხუთე-მეექვსე კლასებში, სასწავლო მასალისა და გაკვეთილების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მეტ მნიშვნელობას იძენს ზრუნვა ნებისმიერ ყურადღებაზე.

მეხსიერება და ფანტაზია. მეხსიერების ფუნქცია აღქმის გზით მიღებული ინფორმაციის შენახვა და მისი შემდგომი აღდგენაა. თუმცა, ადამიანი თავის საქმიანობაში მხოლოდ ადრე აღქმულ ინფორმაციასა და გამოცდილებას როდი იყენებს. ყველაფერი, რაც მას უნახავს და გაუგია, შეიძლება აღდგეს ახალი კავშირებით უჩვეულო კომბინაციებში. როდესაც ადამიანი ასახავს რეალობას კომბინირებული შთაბეჭდილებებით და ახალი რაც წარმოქმნება, ესაა ფანტაზია. რაც უფრო ორიგინალურია ეს კომბინაციები, მით მეტი მნიშვნელობა აქვს მას ადამიანის შემდგომი საქმიანობისთვის და მით უფრო მაღალია ამ ადამიანის შემოქმედებითი ფანტაზიის უნარი.

სასწავლო საქმიანობა ბავშვისგან მოითხოვს საკუთარი მეხსიერების მართვას, დამახსოვრებასა და გახსენებას, რაც შეიძლება ბავშვისთვის სრულიად უინტერესო, რთულ და მოცულობით მასალას ეხებოდეს. ბავშვს უხდება ბევრი განზოგადებული სახელწოდების დამახსოვრება: მცენარე, კლიმატი, ტოლობა, ასო, ბგერა, არსებითი სახელი, ფორმაცია და ა.შ. შინაარსის სპეციფიკასა და ახალ მოთხოვნებს არსებითი ცვლილებები შეაქვს მეხსიერებაში: იზრდება მეხსიერების მოცულობა და „სიმძლავრე“. მეხუთე კლასში 2-3-ჯერ მეტ სიტყვას იმახსოვრებენ, ვიდრე პირველ-მესამე კლასებში. ცნობილია, რომ მოსწავლეების მეხსიერების პროდუქტიულობა დამოკიდებულია: ა) დამახსოვრებული მასალის შინაარ-

სზე; ბ) მოქმედების მიზანდასახულ თუ უნებლიე ხასიათზე; გ) მასალის გახსენების რაციონალური ხერხების, აგრეთვე დამახსოვრებისა და მასალის აღდგენის ხერხების ფლობაზე. მოსწავლეები აზრიან დამახსოვრებაზე ზოგადი განათლების პროცესში გადადიან, რასაც ხელს უწყობს სასწავლო საქმიანობის ისეთი სახეობები, როგორიცაა თხრობა, ნახატის მიხედვით თხზულების შედგენა, ტექსტზე მუშაობა.

რაც უფრო იზრდება ბავშვი და მეტ მნიშვნელობას იძენს აზრობრივი კავშირები, მით უფრო ამძლავრებს მეხსიერება აზროვნებასა და ფანტაზიას. ასეთ პირობებში დამახსოვრება უფრო ნაყოფიერია, მაგრამ როგორც ვიცით, ბავშვის მეხსიერება პლასტიურია, მას შეუძლია სწრაფად და პასიურად დამახსოვროს და მარტივად დაივიწყოს. ბავშვის განვითარებასთან ერთად მეხსიერება იძენს შერჩევით ხასიათს, იგი უფრო ხანგრძლივად იმახსოვრებს იმას, რაც მას აინტერესებს, შემდეგ კი საჭიროებისამებრ იყენებს. მეხსიერების განვითარება იმაშიც ვლინდება, რომ: ა) იზრდება დამახსოვრებულის მოცულობა; ბ) აღდგენილი მასალის სიზუსტე; გ) ფარული (ლატენტური) პერიოდის ხანგრძლივობა; დ) დამახსოვრება უფრო ხშირად ეყრდნობა აზრობრივ კავშირებს, რაც მეტი მოცულობის ინფორმაციის დამახსოვრებას გულისხმობს; ე) მეხსიერებას აქვს ნებისმიერი ხასიათი - მიზანდასახულად იმახსოვრებენ საჭირო ინფორმაციას; ვ) მეხსიერება თავისუფლდება აღქმის "ტყვეობიდან". მეხსიერება ზედმეტი ძალისხმევის გარეშე აღადგენს შენახულ ინფორმაციას.

ამ ასაკში მნიშვნელოვნად იცვლება ფანტაზიაც. განსაკუთრებულ როლს თამაშობს მრავალფეროვანი ამოცანების, ახალი სტრუქტურების შექმნა სიტყვებით, წინადადებებით, ფიგურებით. ეს ყოველივე კი ითხოვს ახალი სახეების შექმნასა და მათ ახლებურ კომბინირებას. როგორც ვხედავთ, მეხსიერების განვითარება ფანტაზიის განვითარებაზეც მოქმედებს. შესასრულებელი მოქმედებების წინასწარი წარმოდგენა არის ფანტაზიის განვითარების ერთ-ერთი ეტაპი.

აზროვნება. დაწყებითი კლასების ბოლო ეტაპზე (მეხუთე-მეექვსე კლასებში) შესრულებული ნებისმიერი საქმიანობიდან კარგად ჩანს, რომ შედარება საგანთა და მოვლენათა დაჯგუფებისა და სისტემატიზაციის საფუძველია. შედარებისას ადამიანი უფრო მეტს იგებს ახალი საგნისა და ჯგუფის თავისებურებების შესახებ. შედარების საფუძველზე, ბავშვები ადგენენ „ტოლობას“, „უტოლობას“, ცხრილებს (გამრავლებისთვის, ბრუნვათა დაბოლოებებისთვის და ა.შ.). ვერბალური აზროვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ტენდენცია ტრაფარეტული გადაწყვეტილებებია, რაც ახალ ამოცანებში - სადაც არ არის ამის საჭიროება - უკვე ნაცნობი ხერხების გამოყენებას ნიშნავს. მაგალითად, როდესაც მოსწავლეები გაიგებენ „რომ“ კავშირის წინ მძიმის დასმის საჭიროებას, შეიძლება, აღნიშნული სასვენი ნიშანი ყველა შემთხვევაში დასვან. „მე რომ კინოში დავაპირე წასვლა, განვიმდა.“ ამ ტიპის წინადადებებში თითქმის ყოველთვის „რომ“ კავშირის წინ სვამენ მძიმეს, რაც არასწორია. ტრაფარეტულობის მინიმუმამდე დასაყვანად საჭიროა არა დეკლარირებული ცოდნის გადაცემა, არამედ ლოგიკური კავშირების აღმოჩენა, რასაც ამ ასაკში უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

ლოგიკური აზროვნების განვითარების თავისებურებები კარგად ჩანს ისეთი პროცესების შესწავლისას, როგორიცაა: დასკვნა, კლასიფიკაცია, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, ცნებები. რა ვითარებაა დაწყებითი კლასების ბოლო საფეხურზე ანალიზისა და სინთეზის ოპერაციების განვითარების მხრივ? გამოიყოფა სამი დონე: პირველი დონისთვის დამახასიათებელია ანალიზის არათანმიმდევრულობა, ხანმოკლე და ლოკალური კავშირ-

ბის დამყარება; მეორე დონეზე დავალება უფრო თანმიმდევრულად ანალიზდება, თუმცა, შინაარსის ზოგიერთი ნაწილი ვარდება, ამიტომ ბავშვი მაინც უშვებს შეცდომებს; მესამე დონისთვის დამახასიათებელია ანალიზ-სინთეზის იმგვარი ოპერაცია, რომელიც გვეხმარება დასმული საკითხის გადაწყვეტის გზის წინასწარ დანახვაში ანუ აზრიანად დაგეგმვაში.

აზროვნების განსავითარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ცნებებს. დაწყებით კლასებში ბავშვებს უჭირთ განზოგადებული ცოდნის (ცნებების) დაუფლება. ცნებები თავისთავად რთულია მათი წინააღმდეგობრივი ბუნების გამო. რას ნიშნავს ეს? თავდაპირველად, ცნება უნდა გაიზაროს რაიმე კონკრეტულ მაგალითზე, რათა გამოიკვეთოს არსებითი ნიშნები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოიხატოს ნაცნობი სიტყვით. სავსებით შესაძლებელია, რომ ცნების აღმნიშვნელი სიტყვა უკვე ნაცნობი იყოს ბავშვისთვის და იყენებდეს მეტყველებისას, მაგრამ ცნება სხვა რამეა - იგი განზოგადებაა, რომელიც იზრდება და ღრმავდება ადამიანთან ერთად. ცნების ჩამოყალიბების თავისებურებები გავლენას ახდენს მოსწავლეთა ათვისების პროცესზე. როდესაც მასწავლებელი ვარიანტულ დავალებებს განმარტავს, სადაც გადაწყვეტის გზები, ხერხები და საშუალებებია, ცნებები კი იგივე, ბავშვებს უყალიბდებათ გონებრივი ქმედებების განზოგადების უნარი, რაც მეხუთე-მეექვსე კლასებში უნდა გახდეს გონებრივი მუშაობის ზოგადი მეთოდი.

ნებისყოფა. დასახული მიზნის მისაღწევად ადამიანი მოქმედებს გაცნობიერებულად ანუ გონებით, რაც ნებისყოფას მოითხოვს. ბავშვის ნებისყოფა შემდეგნაირად ვითარდება: ა) ასაკის მატებასთან ერთად (განსაკუთრებით, 10-11 წლიდან), იზრდება ის მიზანიც, რომელსაც ისახავს ბავშვი და უღვიძებს მას მიზნის მიღწევის სურვილს; ბ) მას შეუძლია მეტნაკლებად დასძლიოს გარეგანი თუ შინაგანი სირთულეები, ე.ი. თანდათან უყალიბდება ნებისყოფა; გ) ბავშვს უკვე შეუძლია ნებისყოფის უფრო ხანგრძლივი დროით დაძაბვა; დ) მატულობს შესაძლებლობა, ნებისმიერ შემთხვევაში თქვას უარი სურვილებზე და შეიკავოს თავი; ე) ბავშვს უმუშავდება უფრო შორეული მიზნების დასახვის უნარი და შეუძლია, მთელი ძალისხმევა დაახარჯოს მათ მიღწევას; ვ) თანდათან რთულდება ნებისყოფის შენარჩუნება.

შეიძლება ითქვას, რომ ნებისყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. ამ პროცესს ვერ განვიხილავთ ბავშვის ინტერესების, გარემომყოფებთან ურთიერთობის, უფროსებთან, ტოლებთან და საკუთარ თავთან დამოკიდებულებისგან განცალკევებით. ნებისყოფის განვითარება წარმოუდგენელია ფანტაზიის, მეხსიერების, მორალური გრძნობების ცვლილების გარეშე. შესამჩნევი ცვლილებები კი მოზარდებში სანყის ეტაპზევე ვლინდება.

საკუთრივ მუსიკალურ უნარებს შორის გამოვყოფთ ძირითად ბირთვის - რიტმის გრძნობა, მუსიკალური სმენა და მუსიკალური მეხსიერება. მათ შორის განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება რიტმის გრძნობას, რომელსაც ბავშვი უკვე დაბადებამდე, მუცლად ყოფნისას ამჟღავნებს.

ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება

დაწყებითი კლასის მოსწავლის ფსიქიკის განვითარება ძირითადად მიმდინარეობს მისთვის წამყვანი საქმიანობის - სწავლის საფუძველზე. სასწავლო პროცესში ჩართვას-

თან ერთად, ბავშვი თანდათან ემორჩილება მის მოთხოვნებს, ხოლო ამ მოთხოვნების შესრულება, თავის მხრივ, გულისხმობს ფსიქიკის ახალი თავისებურებების წარმოქმნას, რომელიც სკოლამდელებს არ გააჩნიათ. სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის, აუცილებელია ბავშვის კოგნიტური (შემეცნებითი) უნარების მზაობის გათვალისწინება ყოველ კონკრეტულ ასაკობრივ საფეხურზე. ამჯერად, მიმოვიხილავთ დაწყებითი კლასის მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების ასაკობრივ თავისებურებებს.

აღქმა. ცალკეული ფსიქიკური პროცესების განვითარება მთელი დაწყებითი კლასების განმავლობაში მიმდინარეობს. მართალია, ბავშვები სკოლაში საკმაოდ განვითარებული აღქმით მიდიან - ამისათვის მათ აქვთ კარგი მხედველობა, მახვილი სმენა, ერკვევიან ფორმებსა და ფერებში, მაგრამ სასწავლო პროცესში მათი აღქმა დადის მხოლოდ ფერის და ფორმის ცნობასა და დასახელებაზე. პირველკლასელებს არ შეუძლიათ აღქმული საგნების თვისებების სისტემური ანალიზი. ეს კარგად ჩანს შემდეგ შემთხვევაში: პირველკლასელებს დასახატად აძლევენ ფერად ქოთანს. ბავშვები ათვალისწინებენ მას, მაშინვე დასახელებენ საგანს და იწყებენ ხატვას, მაგრამ ნიმუშისკენ აღარც იყურებიან. მათ ნახატებში ქოთნები სხვადასხვა ფორმისა და ფერისაა. ბავშვები ვერ აანალიზებენ ვერც ფორმას და ვერც ფერს - არ აინტერესებთ მათი კონკრეტული თვისებები (ელფერი, ფორმის ნიუანსები). ეს აღქმის დიფერენციაციის ნაკლია.

შესაძლებლობა გააანალიზოს და გამოადიფერენციროს აღქმული საგნის ნიშან-თვისებები, დაკავშირებულია მოქმედების უფრო რთულ სახეობასთან, ვიდრე შეგრძნება და საგნის რომელიმე თვისების აღქმაა. მოქმედების ამ სახეობას დაკვირვება ჰქვია, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიურად სასკოლო სწავლების პერიოდში ვითარდება. გაკვეთილზე მოსწავლის ყურადღებას მასწავლებელი წარმართავს, ხოლო შემდეგ იგი თვითონ აყალიბებს ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის შესახებ აღქმით მიღებულ ინფორმაციას. ამის წყალობით აღქმა ხდება მიზანმიმართული. მასწავლებელი რეგულარულად უჩვენებს ბავშვებს საგნების დათვალისწინების და მოსმენის შედეგად მიღებულ მონაცემებს (მათი თვისებების გამოვლინებების რიგს, მოძრაობის მარშრუტებს და სხვ.). ამის შემდეგ ბავშვი შეძლებს დამოუკიდებლად დაგეგმოს აღქმის მიმართულება, მიზანდასახულად განახორციელოს იგი და მიზნის შესაბამისად გამოყოს მთავარი და მეორეხარისხოვანი ნიშნები, დაადგინოს აღქმული ნიშნების იერარქია, გამოყოს ზოგადი და ა.შ.

ასეთი აღქმა სინთეზირდება სხვა შემეცნებით პროცესებთან (ყურადღებასთან, აზროვნებასთან), იღებს მიზანდასახული და ნებისმიერი დაკვირვების ფორმას. კარგად განვითარებული დაკვირვებულობა ბავშვის პიროვნულ თვისებად გადაიქცევა. კვლევებით დადგენილია, რომ დაწყებით კლასებში სწავლებას შეუძლია განავითაროს ეს მნიშვნელოვანი ფსიქიკური ფუნქცია.

მეტყველება. თითოეული ადამიანი მშობლიურ ენას იყენებს საკუთარი აზრების გამოსახატად და სხვისი მიერ გამოთქმულის გასაგებად. შეიძლება ითქვას, რომ ბავშვს დაბადებიდანვე „მზად ხვდება“ ენა. მაგრამ ის არა მხოლოდ ითვისებს მშობლიური ენის სიტყვებს და გრამატიკულ ფორმებს, არამედ ძალიან ადრეულ ასაკში იღებს ამ სიტყვების მნიშვნელობებს. თუმცა, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სიტყვის შინაარსი განსხვავებულად აღიქმება.

სიტყვა ყოველთვის აღნიშნავს რაღაცას - რაიმე ფაქტს, მოვლენას, საგანს, ნიშან-თვისებას ან დამოკიდებულებებს. მათი დასახვის სიღრმე, მოცულობა და სისწორე იცვლება ბავშვის განვითარების პროცესში. ამიტომ მაგალითად, როცა 2 წლის ბავშვი ამბობს „დე-

დას“, მხოლოდ მის დედას ეხება, უფროსი სკოლამდელი ამ სიტყვაში იგულისხმებს ვთქვათ, ლეკვის ან კნუტის დედასაც. მხოლოდ უფრო მოგვიანებით, სკოლის პერიოდში, მონაწილეს შეუძლია გაიგოს „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი“.

შეიძლება ითქვას, რომ ენა ზოგადაა, მეტყველება კი ინდივიდუალური. ამიტომ ერთი შეხედვით, მეტყველება ენაზე ღარიბია, თუმცა, იმავდროულად, მასზე მდიდარიც. რას ნიშნავს ეს პარადოქსი? ადამიანი სხვებთან ურთიერთობაში იყენებს მისი მშობლიური ენის ლექსიკონისა და მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურების მცირე ნაწილს. თუმცა, მეტყველება მდიდარია იმით, რომ ადამიანი საუბრისას გამოხატავს იმ ობიექტებისადმი, იმ მოვლენებისადმი დამოკიდებულებას, რაზეც ლაპარაკობს და ვისაც ელაპარაკება. მეტყველება იძენს ინტონაციურ გამოხატველობას, იცვლება ტემპი. რიტმი, ხასიათი. ამიტომ ადამიანს სხვებთან ურთიერთობისას შეუძლია თქვას იმაზე მეტი, ვიდრე ის სიტყვები ნიშნავს, რომლითაც იგი საუბრობს (ეს არის ქვეტექსტი). მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანმა ზუსტად გააგებინოს აზრი სხვას, იმოქმედოს სხვაზე ანუ გაუგონ სწორად, მან კარგად უნდა იცოდეს მშობლიური ენა.

ბავშვის მიერ მეტყველების დაუფლება არის მშობლიური ენის დაუფლების პროცესი, დაუფლება უნარის- გამოიყენოს ენა, როგორც საკუთარი თავის და გარემოს შესაცნობი, სხვებთან ურთიერთობის და მათი გაგების უპირველესი საშუალება.

ბავშვის მეტყველების განვითარების ერთერთი და განსაკუთრებით ინტენსიური ეტაპი სკოლაში სწავლის პერიოდია. მასწავლებლის მიმართვა კლასისადმი, განმარტებები, მითითებები, შენიშვნები, კითხვები, შესწორებები-ყოველივე ეს გამოხატულია მეტყველების ფორმით. იმისათვის, რომ დახაზოს რვეულში პირველი ხაზი, დაიჭიროს ფანქარი, რომელი დავალება შეასრულოს, საიდან დაიწყოს წერა-ამის გასაგებად ბავშვმა უნდა უსმინოს მასწავლებელს. მაშასადამე, განვითარების მომდევნო სტადიაში გადადის მოსმენის უნარიც.

პირველ კლასში ბავშვები უსმენენ, უყურებენ და მოქმედებენ (ფანქრით, სანერ კალმით და სხვა). მოსწავლეები ეჩვევიან მასწავლებლის განმარტებების მოსმენას, თვალყურს ადევნებენ მის მითითებებს. მოსმენა პირველ და მეორე კლასებში იქცევა მოსწავლის შემეცნებითი მოქმედების ერთერთ ძირითად სახედ. ამ დროს დავალებები სიტყვების დაყოფაზე ნაწილებად-მარცვლებად, ბგერებად და მათგან სიტყვების შედგენა ავითარებს ბავშვების სმენით კონცენტრაციას.

მე-3, მე-4 კლასებში ბავშვების ლექსიკონი მკვეთრად იზრდება. ლექსების და პროზის სისტემატური მოსმენა კი ზრდის ზეპირ თუ წერით მეტყველებაში მხატვრული გამოთქმების გამოყენების შესაძლებლობას.

დანყებითი კლასების პირველ ეტაპზე ყველაზე აქტუალურია წერა-კითხვის დაუფლება, რაც არ არის მარტივი პროცესი. რა არის აუცილებელი ამისთვის: 1) მოსმენილი ბგერების ერთმანეთისგან მკაფიო განსხვავება, 2) ბგერის შესაბამისობის დადგენა წიგნში გარკვეულ ნიშანთან და ამ ნიშნის დამოუკიდებლად გამოსახვა ქალაქზე. 3) ნაკითხული სიტყვის ყველა ასოს ერთდროული წარმოთქმა, როგორც ერთიანი ბგერათა კომპლექსის, 4) ბგერების კომბინაციის გაგება, როგორც ნაცნობი საგნის, ნიშან-თვისების ან მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის.

შემდგომ ეტაპზე, როცა ბავშვი კითხულობს წინადადებებს, იგი სწავლობს გაიგოს კავშირი სიტყვებს შორის, რაშიც მას ეხმარება მკაფიო სიტყვათა მნიშვნელობები, სიტყვების დაბოლოებები, რომლებზე დაყრდნობითაც განისაზღვრება წინადადების შინაარსი.

დანყებითი კლასების მოსწავლის მეტყველების განვითარება დაკავშირებულია კითხვის ჩვევის გამომუშავებასთან, რაც ნიშნავს ასოების და მათი შეთანხმებების სწრაფ და სწორ ცნობას. გააზრებული კითხვისას ადგილი აქვს სწორ ინტონაციას. ბავშვები ყურადღებას აქცევენ ნიშნებს, რომლებიც დასმულია წინადადების ბოლოს: წერტილს, კითხვის და ძახილის ნიშნებს. თანდათან გააზრებული კითხვა თავს იჩენს მისი გამომხატვის უფრო დახვეწილ ინტონაციაში.

საინტერესოა გრამატიკის და ორთოგრაფიის დაუფლების თავისებურებები დანყებით კლასებში. როდესაც ბავშვები სწავლობენ სიტყვის ანალიზს, ვთქვათ, ეძებენ ერთნაირფუნქციან სიტყვებს, მონათესავე სიტყვებს, ცვლიან მათ აზრს სხვადასხვა წინდებულებით და სუფიქსებით, ბავშვები ეუფლებიან მშობლიური ენის ლექსიკას-ახერხებენ შეარჩიონ სიტყვები საკუთარი აზრების თუ კონკრეტული საგნების ნიშან-თვისებების ზუსტად გამოსახატავად. წინადადების აგებისას, თხრობისას, თხზულების დაწერისას, მაშინაც როცა ადგენენ მოთხრობის გეგმას, მოსწავლეები ეუფლებიან ორთოგრაფიის წესებსა და სინტაქსს. ასეთი მუშაობა, რომელიც იწყება დანყებითი კლასებიდანვე ბავშვების წინაშე ხსნის საგნებსა და მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის მრავალფეროვან სამყაროს, იმ დამოკიდებულებებს, რომელსაც ადამიანი ამყარებს ზოგჯერ საკუთარი სურვილით, ზოგჯერ აუცილებლობით. მაგალითად, „მე წავალ“, „მე უნდა წავიდე“ და ა.შ.

ენობრივ მასალაზე სხვადასხვა ტიპის მუშაობა ავითარებს მოსწავლის გაბმული მეტყველების უნარს, აგრეთვე ლოგიკურ აზროვნებას. სასწავლო საგნების დაუფლების პროცესში ბავშვებს უყალიბდებათ მეცნიერული ცნებები. ეს მოითხოვს რთულ სააზროვნო მოქმედებას, უპირველესად ანალიზს, აბსტრაქციას და განზოგადებას. რაც თავის მხრივ, ავითარებს აზროვნებისა და მეტყველების მოქნილობას.

დანყებითი სწავლება წერა-კითხვის და მოსმენის უნარის დაუფლებით რომ ამოინერებოდეს, ბავშვებს ამ შემთხვევაშიც ექნებოდა დიდი შესაძლებლობა გაბმული მეტყველების დაუფლებისათვის და ზოგადი გონებრივი განვითარებისათვის. ამას გარდა ისინი ეუფლებიან მათემატიკას, ბუნებათმცოდნეობას, ხატვას, სპორტს, მუსიკას. თითოეულ სასწავლო საგანს აქვს თავისი შინაარსი და ტერმინოლოგია, რომელთა დაუფლება ამდიდრებს მოსწავლის ლექსიკას და ენობრივ შესაძლებლობებს.

დანყებით კლასებში დიდი შესაძლებლობებია ლოგიკურად აგებული თუ ხატოვანი მეტყველების განვითარებისათვის. თუ მასწავლებელი სპეციალურად მიაქცევს ყურადღებას მოსწავლეთა განვითარების ამ მხარეს, იგი მოამზადებს მათ მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის აღქმისა და გაგებისათვის.

რაც შეეხება უცხოურ ენას, მისი სასკოლო სწავლების თავისებურებები განსხვავდება ენის დაუფლებისაგან ბუნებრივ სიტუაციაში. თუმცა ამ კანონზომიერებების ცოდნის გარეშე შედეგი არ იქნება ადეკვატური. მაშასადამე, უცხოური ენის სწავლების სისტემის აგებისათვის, უპირველესად გასარკვევია როგორ ეუფლება ადამიანი ენას ბუნებრივ პირობებში. უცხოური ენის სწავლების სწორად წარმართვისათვის ამოსავალ წერტილად სწორედ ამ პროცესის კანონზომიერება უნდა გამოვიყენოთ.

რა არის განმაპირობებელი იმისა, რომ ბავშვი ასე ადვილად ეუფლება იმ ურთულეს სისტემას, რომელსაც ენა წარმოადგენს? ეს არის თანდაყოლილი თვისება, რომელსაც ენობრივ უნარს უწოდებენ. ეს უნარი სპეციფიკური ადამიანური უნარია და ის მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, თუ ბავშვი დაბადებისთანავე ადამიანთა საზოგადოებაში აღმოჩნდება.

ენობრივი უნარის თვისება მისი უნივერსალური ხასიათია- ის რომელიმე ერთი ენის

შესწავლის უნარი კი არაა, არამედ საერთოდ ენის შესწავლის უნარია. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საჭიროა ორი(ან თუნდაც სამი) ენის შესწავლა და ამისათვის დაცულია გარკვეული პირობები, ბავშვი ასევე წარმატებით და უმტკივნეულოდ დაეუფლება მათ.

უცხოური ენის შესწავლის თვალსაზრისით, ენობრივი უნარი ყველაზე ეფექტურად ადამიანის სიცოცხლის პირველ წლებში მოქმედებს, შემდეგ მისი ეფექტურობა თანდათან იკლებს. უცხოური ენის შესწავლისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი 10-12წლამდე ასაკია(ა.ალბაზიშვილი). ამ პერიოდს კრიტიკულ პერიოდს უწოდებენ, რადგან,თუ უცხო ენის შესწავლის დრო კრიტიკულ პერიოდს გადაცილდა, მისი დაუფლების შანსი მცირდება.

კრიტიკული პერიოდის ფარგლებშიც ენობრივი უნარი უფრო ეფექტურია დასაწყისში, ვიდრე ბოლოში. კრიტიკული პერიოდის პირველ ნახევარში(დაახლოებით 6 წლამდე) ბავშვისათვის სასწავლო ქცევა ჯერ კიდევ უცხოა. ბავშვი ამ ასაკში ცოდნასა და ჩვევებს იძენს ე.წ. არასასწავლო ქცევაში, ვთქვათ, თამაშის დროს, სხვადასხვა საგნის მოხმარების დროს და მისთ.ბავშვი ვერ აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ მშობლიურ ენას სწავლობს და ამიტომ სწორედ ამ ასაკში აქვს მას შესაძლებლობა ასევე იოლად და წარმატებით დაეუფლოს მეორე ენას.

რა ხდება კრიტიკული პერიოდის მეორე ნახევარში, როცა ბავშვი სასკოლო ასაკს მიაღწევს? ახლა ბავშვი თავს მოსწავლედ აღიქვამს და სწავლა მისთვის თანდათანობით ძირითად ქცევად იქცევა. ამიტომ ძნელდება ისეთი არასასწავლო სიტუაციების შექმნა,რომლებიც ხელსაყრელი იქნებოდა ენობრივი უნარის სრულყოფილად რეალიზაციისათვის(თამაში და სხვა).

ამიტომ ამ პერიოდში უცხო ენაზე ასამეცყველებლად საჭირო ხდება ენობრივი სისტემის ელემენტების წინასწარი გავარჯიშება, კერძოდ, მოსწავლემ ჯერ უნდა ივარჯიშოს ამა თუ იმ გრამატიკულ, ფონეტიკურ, გრაფიკულ, ლექსიკურ მასალაზე, შემდეგ ეტაპზე უნდა ივარჯიშოს მათ შერწყმულად გამოყენებაზე მთლიან ფრაზებში. პირველ ორ ეტაპზე სწავლება ხორციელდება სავარჯიშოებზე დაყრდნობით(ე.ი. ბავშვი სწავლობს და განიცდის ამას, როგორც სასწავლო პროცესს).ბოლოს კი, მოსწავლემ ეს მასალა ბუნებრივად უნდა გამოიყენოს სამეცყველო სიტუაციაში. მესამე ეტაპზე მასწავლებელი ქმნის ე.წ.“ ბუნებრივ საურთიერთო სიტუაციებს“, მოსწავლე კი განახორციელებს ამ სიტუაციების შესატყვის სამეცყველო აქტებს უცხოურ ენაზე(ე.ი. ადამიანი აქაც სწავლობს, მაგრამ განიცდის ამას არა როგორც სწავლას,არამედ როგორც რეალურ ურთიერთობაში მონაწილეობას).ბუნებრივი საურთიერთო სიტუაცია,რომელიც სასწავლო ვითარებაში იქმნება თითქოს არაფრით განსხვავდება ნებისმიერი სხვა საურთიერთო სიტუაციისგან, რომელიც წარმოიშობა სასწავლო ვითარების მიღმა, მაგრამ სასწავლო ვითარებაში შექმნილ საურთიერთო სიტუაციას თავისი სპეციფიკა აქვს.

უცხოური ენის სწავლების პროცესში სასწავლო ამოცანის შესრულების დროს მოსწავლე გარდა იმისა,რომ ეუფლება შესასწავლი ენის გრამატიკულ, ფონეტიკურ და ლექსიკურ სტრუქტურას, ამ ენაზე გარკვეულ ტექსტებსაც ქმნის. სანამ მოსწავლე სასწავლო ამოცანას ასრულებს, ვერ ვიტყვით, რომ ის მეორე ენაზე საუბრობს.

რეალური საურთიერთო პროცესი სავარჯიშოს სახით ვერ განხორციელდება.გარკვეული ტექსტის შექმნა მაშინ შეიძლება გამოდგეს რეალურ ურთიერთობაში, როდესაც ის ჩაერთვება ურთიერთობის მონაწილეების ქცევაში, რათა დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილებები. ამიტომ საჭიროა მასწავლებელმა გარდა წმინდა სასწავლო სიტუაციებისა(რომელიც მეორე ეტაპზე ხდება), ბუნებრივი საურთიერთო სიტუაციებიც შექმნას(განხორცი-

ელდება მესამე ეტაპზე) ანუ შექმნას ისეთი სიტუაციები, რომლებშიც მოსწავლე უცხოურ ენაზე იმიტომ იტყვის სათქმელს, რომ ამის გარეშე მისი მოთხოვნილება ვერ დაკმაყოფილდება (ვთქვათ, საჭირო ინფორმაციის მიღება საინტერესო საკითხზე) და არა იმიტომ, რომ მასწავლებელმა დაავალა ამის თქმა.

მხოლოდ გაგვარჯიშების შედეგად (თუნდაც მთლიან ფრაზებზე) უცხოური ენის შემსწავლელი ლაპარაკს ვერ ისწავლის. მან უნდა გააცნობიეროს, რომ იგი სხვა, არამშობლიურ ენაზე მოსაუბრე ადამიანია. ეს კი მხოლოდ იმ სიტუაციაში შეიძლება მოხდეს, რომელშიც ის კი არ ეუფლება ლაპარაკს, არამედ რეალურად საუბრობს.

სასწავლო აქტში მოსწავლე დროით ნაკლებადაა შეზღუდული-მას შეუძლია გარკვეული დროის მანძილზე დაფიქრდეს - სწორად იყენებს გრამატიკულ ან ლექსიკურ ფორმებს თუ არა, ლექსიკონი გამოიყენოს თუ არა და ა.შ. ბუნებრივ საურთიერთო სიტუაციაში ეს შესაძლებლობა მას არ აქვს- სათქმელი სწორედ მაშინ უნდა ითქვას, როდესაც ამის საჭიროება ჩნდება, რადგან შემდგომ უკვე გვიან იქნება (რადგან ურთიერთობა შეიძლება არ შედგეს, საჭირო ინფორმაცია არ იქნას გადაცემული ან გაგებული). ბუნებრივ სამეტყველო სიტუაციებში, რომელსაც მასწავლებელი მესამე ეტაპზე ქმნის, მოსწავლე სწორედ ამას ეჩვევა (სათქმელი ითქვას საჭირო დროს).

მეორე ენაზე მეტყველების სწავლების ერთერთი მნიშვნელოვანი მომენტი აგრეთვე იმ ენობრივი მასალის სწორად შერჩევა, რომელსაც ეს პროცესი უნდა ეყრდნობოდეს. კერძოდ:

- შერჩევას მოითხოვს მხოლოდ ლექსიკური და გრამატიკული სისტემების ერთეულები. რაც შეეხება ფონეტიკურ სისტემას იმის გამო, რომ ამა თუ იმ სიტყვაში შეიძლება გარკვეულმა ბგერამ ან ბგერათშეთანხმებამ შეიძლება „ამოყოს თავი“, ძნელია რომელიმეს რაიმე უპირატესობა მიანიჭო, თუმცა ზოგ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს გარკვეული ბგერების სწორად წარმოთქმისათვის საარტიკულაციო აპარატის მომზადება და ამისათვის რამდენიმე სავარჯიშოს შერჩევა. მნიშვნელოვანია, რომ თვითონ მასწავლებელს ჰქონდეს კარგი დიქცია. ბავშვი, როგორც წესი, უბრალოდ სმენითაც ახერხებს აითვისოს სწორი (ასევე არასწორი) წარმოთქმა.
- ბევრი მასწავლებლის აზრით, ბავშვი იმ შემთხვევაში დაეუფლება წარმატებით უცხოურ ენას, თუ ის ენობრივი მასალა, რომელსაც მას მიანოდებ, რაც შეიძლება მეტ საზოგადოებრივ, საყოფაცხოვრებო და ბუნებრივ მოვლენას მოიცავს (მაგ. კინო, ცირკი, საგნები შინ და გარეთ, ხეები, ყვავილები და მრავალი სხვა). თუმცა ეს საკამათო საკითხია, რადგან ჩვენ ბუნებრივ პირობებში არ ვსწავლობთ ერთი თემის ყველა სიტყვას. ამ სიტყვებს ადამიანი მშობლიურ ენაზეც თანდათან სწავლობს (საჭიროებისა და მიხედვით). გარდა ამისა, თემატურად შერჩეული სიტყვების უმრავლესობა არსებითი სახელებია. ბავშვების მეტყველებასთან დაკავშირებული გამოკვლევები კი ცხადყოფს, რომ თამაშის დროს ბავშვი ყველაზე ხშირად ზმნებს იყენებს, ხოლო არსებითი სახელებს ზმნებზე სამჯერ ნაკლებად.

ადამიანის მეტყველება ყოველთვის გარკვეულ შინაარსზეა აგებული. მეტყველებას ის მაშინ იწყებს, როდესაც სჭირდება გადასცეს ან მიიღოს ინფორმაცია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ინფორმაციის გადაცემის და მიღების აუცილებლობას ადამიანში მოქმედი მოთხოვნილება განსაზღვრავს (ახლის გაგების და გაგებინების, რომლის მიხედვითად იგი გარკვეულ ქცევებს განახორციელებს), გასაგები გახდება, რომ ამ ინფორმაციის შინაარ-

სიც იმაზეა დამოკიდებული, რა მოთხოვნილება აქვს ამ მომენტში. აქედან გამომდინარე, შემუშავდა პრინციპი „შინაარსიდან სიტყვებისკენ“ (და არა „სიტყვებიდან შინაარსებისკენ“). ასეთი მიდგომა არ უარყოფს თემატურ პრინციპს, არამედ რაციონალურ საფუძველს უქმნის მას. მაგალითად, თუ რომელიმე თამაში ან საურთიერთო სიტუაცია შეეხო, ვთქვათ, თემას „ოჯახი“ ან „ადამიანის გარეგნობა“ და მისთ., ამ მიდგომის მიხედვით მხოლოდ ის სიტყვები ჩაირთვება, რომლებიც ამ კონკრეტული თამაშის ან საურთიერთო სიტუაციის რეალიზაციას დასჭირდება. ამა თუ იმ სიტყვის შერჩევის კრიტერიუმი იქნება მხოლოდ ის თუ რამდენად ეფექტურად მოემსახურება(გამოხატავს) ეს სიტყვა სასწავლო პროცესში შექმნილ საურთიერთო სიტუაციებს.

არსებითად ამავე პრინციპით უნდა ხორციელდებოდეს გრამატიკული მასალის შერჩევაც: „შინაარსიდან - გრამატიკული ელემენტებისაკენ.“ ამ პრინციპის რეალიზაცია გრამატიკული მასალის შერჩევის დროს, არ გამოორიცხავს მის მკაცრ რეგულირებას(გრამატიკული მასალის ზუსტად შერჩევას, სწორი ფორმების ფიქსაციას, შეცდომების მინიმუმამდე დაყვანას და გამოორიცხვას).

ბავშვებისათვის უცხოური ენის სწავლების მთელი პროცესი აგებულია გარკვეულ თავისებურებაზე- მათ, ზრდასრული შემსწავლელებისგან განსხვავებით, ინფორმაციის ფიქსაცია მხოლოდ დახსომებით შეუძლიათ. ლექსიკური მარაგის გამდიდრებას ხელს უწყობს თვალსაჩინო მასალა, მაგრამ გრამატიკის სწავლებისას ეს მეთოდი ყოველთვის არ გამოდგება.

ამ პრინციპის მიხედვით, გრამატიკული სტრუქტურების შემოტანა შეიძლება 2 ხერხით: ეს არის გათვალსაჩინოება(დემონსტრირება, საჭირო მოქმედების შესრულება, შესტის და მიმიკის გამოყენება) და ისეთი სიტუაციების შექმნა, რომელშიც ესა თუ ის გრამატიკული სტრუქტურა გამოიყენება.

რაც შეეხება გრამატიკული სტრუქტურების გამოყენების განმტკიცებასა და გავარჯიშებას, აქაც შეიძლება გამოვიყენოთ გათვალსაჩინოების და საურთიერთო სიტუაციების შექმნის მეთოდები. მაგალითად, თამაში „პანტომიმა“ იმ მოქმედებების დასახელებისათვის, რომლებიც შეიძლება ვაჩვენოთ, როდესაც გვინდა გავაცნოთ დღის რეჟიმის მნიშვნელოვანი მომენტების აღმნიშვნელი რამდენიმე ზმნა და გამოვხატოთ შესტებით:ვიღვიძებ/გავიღვიძებ(თვალებს ვახელ, ვიზმორები), ვდგები, ვიცვამ, ხელ-პირს ვიბან და ა.შ. სასურველია შესტი გამოვიყენოთ ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია. ეს მნიშვნელოვნად გაუადვილებს ბავშვებს დახსომებას და გაზრდის გავარჯიშების ეფექტს. შესაძლებელია ამ თამაშის რამდენიმე ვარიანტის შექნა(მარტივიდან რთულისკენ):

- ა) მასწავლებელი ასახელებს მოქმედებას და ბავშვები ასრულებენ მას(მოსმენა და გაგება);
- ბ) მასწავლებელი უჩვენებს რაიმეს შესტებით და ბავშვებმა უნდა დაასახელონ რას აკეთებს(რეაგირება სტერეოტიპული ფრაზებით)
- გ) წამყვანის როლშია ბავშვი-ის უჩვენებს რაიმე მოძრაობას და სხვა ბავშვები ასახელებენ;
- დ) ბავშვი თვითონ წარმოთქვამს ამა თუ იმ სიტყვას ან ფრაზას და სხვა ბავშვები ასრულებენ მოქმედებას.

იმ გრამატიკული სტრუქტურების გასავარჯიშებლად, რომელთა ჩვენებაც შესტით შეუძლებელია, გამოიყენება სიტუაციების შექმნის მეთოდი. მაგალითად, გრამატიკული სტრუქტურა „ეს არის...“. როგორ შეიძლება მასწავლებელმა შემოიტანოს მეცადინეობაზე.

ის სთავაზობს ბავშვებს წარმოიდგინონ, რომ მათთან სტუმრად მივიდნენ მეგობრები და სურთ დაათვალიერონ საოჯახო ალბომი. ბავშვები რიგრიგობით უხსნიან: „ეს არის...“. კითხვითი ფორმის „ეს ვინ არის?/ეს რა არის“ გავარჯიშებისათვის შეიძლება „სტუმრებმაც“ გვაჩვენონ თავისი ალბომი და ბავშვებმა დასვან კითხვები. სასურველია ერთ მეცადინეობაზე ორ ვარიანტზე მეტი არ შევთავაზოთ ბავშვებს.

ამ თამაშის შინაარსი და ფორმა შეიცვლება სიტუაციის, სასწავლო მასალის, ბავშვების ან მასწავლებლის ინტერესების გათვალისწინებით. მთავარია, კარგად გვესმოდეს თამაშების შერჩევის პრინციპი და არ დაგვავინყდეს, რომ შეძლებისდაგვარად თავი ავარიდოთ პირდაპირ თარგმანს და შევცვალოთ ის სხვა ვერბალური და არავერბალური ხერხებით. მაშასადამე:

- თემატური ჩამონათვალი და თითოეული თემის მოცულობა განისაზღვრება ბავშვის ყოველდღიური ქცევით. ესენია: კვება, ტანსაცმლისა და სხვადასხვა ნივთების გამოყენება, სათამაშოები, გარემოში არსებული საგნები და მოვლენები. მაგალითად, მხოლოდ იმ საგნების სახელები, რომელცაა ის იყენებს ხატვისათვის, მხოლოდ ის ნივთები, რომლებიც ახლა ოთახშია და სხვა.

თემების შერჩევა ხდება იმის გათვალისწინებით, თუ რა მოსწონთ ბავშვებს, რა ინვესტადეებით ემოციებს, როგორია მათი ინტერესების სფერო.

ამ პრინციპების მთავარი დანიშნულებაა ბავშვი არა მხოლოდ მსმენელი იყოს, არამედ მოქმედიც.

ყურადღება. 6 წლიდან ბავშვის ძირითადი საქმიანობა სკოლაში სწავლაა, რასაც არსებითი ცვლილებები შეაქვს ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობაში. რა თქმა უნდა, იცვლება ბავშვების ყურადღებაც, რომელსაც სასწავლო პროცესი შეცვლილ მოთხოვნებს უყენებს. შემთხვევითი არ არის, რომ სკოლისათვის მოუმზადებლობა უპირველესად გამოიხატება უუნარობაში ყურადღების კონცენტრირება მოახდინონ საჭირო შინაარსებზე, მასწავლებლის მოთხოვნებზე და საკუთარ ქმედებებზე. ვინაიდან ყურადღების თვისებები, რომლებიც აუცილებელია კლასში მუშაობისთვის, მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება განვითარდეს საბავშვო ბაღში ან ოჯახში. ისინი ყალიბდება თვითონ სასწავლო პროცესის დროს. პირველ კლასელს ჯერ კიდევ აქვს შემორჩენილი სკოლამდელის დამახასიათებელი ნიშნები - ყურადღების მოცულობა ვიწროა, არ შეუძლიათ ერთდროულად უსმინონ მასწავლებელს და ათვალიერონ ნახატები. როდესაც ასრულებენ გარკვეულ დავალებას, შეიძლება სწრაფად გაუმკლავდნენ მას, თუმცა ასევე მალე დაივიწყონ მოქმედებები და ხერხები. რადგან მათთვის მთავარია მიიღონ სწორი პასუხი. ავიწყდებათ იმიტომ, რომ ყოველთვის კონცენტრირებული არიან მხოლოდ მათ წინაშე დასმულ საკითხზე. დაწყებით კლასების პირველ ეტაპზე ბავშვები არ მიმართავენ ყურადღებას იმაზე, რაც არის მთავარი მოთხრობაში, ნახატსა თუ წინადადებაში. მაგალითად, ამოცანაში საუბარია წითელი და ყვითელი ვარდების რაოდენობაზე, პეპლების რაოდენობაზე, რომლებიც ამ ვარდებზე ჯდება. მოსწავლეები სწრაფად „ჩამოცურდებიან“ რიცხვებზე ოპერირებიდან პეპლების ფერებზე, იხსენებენ სად ნახეს ასეთი პეპლები და ვარდები. ასე ხდება მოთხრობის შემთხვევაშიც. ისინი ყურადღებას ამახვილებენ არა მთავარზე, არამედ დეტალებზე, რომლებიც მათში ასოციაციებს აღძრავს. ამის მიზეზია ამ ასაკის ბავშვებისთვის დამახასიათებელი მოვლენების სიტუაციური აღქმა. იგი ვერ ხედავს არსებით კავშირებს, ამიტომ ვერ ხედავს მთავარს. ზოგჯერ მასწავლებელიც უნებურად აღიიერებს ამ მხარეს - იგი ცდილობს ხაზი გაუსვას და გამოყოს გარკვეული ელემენტები. როდესაც აღქმულ კომპლექსში ხდება რომელიმე

კომპონენტის აქცენტირება, ასეთი ელემენტები მიიჯაჭვავს ყურადღებას. ესენია ცალკეული პერსონაჟები, რომლებიც არ არის მთავარი მოთხრობასა თუ ზღაპარში, მათი ცალკეული ქმედებები: დარბოდა, დაარტყა, იცინოდა, აგრეთვე გარეგნული ნიშნები: მაგალითად, „ჯაჭვი, რომელზეც ხმალი ეკიდა“, „კაბა, რომელიც ძალიან თეთრი იყო“. იმავე მიზეზით უკეთ და უფრო ხშირად იმასხოვრებენ კონკრეტულ მაგალითებს, რომლებიც მასწავლებელმა გაკვეთილზე მოიყვანა, ვიდრე წესს, რომლის გასაგებადაც მოიყვანა.

ყურადღების ვინრო მოცულობას, მისი სხვადასხვა საქმეს შორის განაწილების შეუძლებლობას, მაგალითად, როცა არ შეუძლია უყუროს დაფას, უსმინოს მასწავლებლის განმარტებებს, ზოგიერთი მასწავლებელი მიანერს ბავშვის დაფანტულობას, რაც სკოლაში დაუშვებლადაა მიჩნეული. მართალია, სასწავლო პროცესი მოითხოვს კონცენტრაციის უნარს, მაგრამ ბავშვს, რომელიც ახლა შევიდა სკოლაში, როგორც ვხედავთ, ეს უნარი ძალიან სუსტი აქვს. ყურადღება „დაცურავს“ ერთი საგნიდან მეორეზე, დიდხანს ვერ ჩერდება, რადგან არ ჰყოფნის კონცენტრაციის ძალა. ყურადღების არამდგრადობის გასაჩივრებლად შეიძლება სასწავლო პროცესის ორგანიზება, კერძოდ: 1) გაკვეთილის სწორი ტემპი და გააზრებული ორგანიზება, „ცარიელი“ ადგილების მინიმუმამდე დაყვანა, 2) საგნები განმარტებები და ინსტრუქციები, 3) მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები, რომელიც შეესაბამება გაკვეთილის ძირითად შინაარსს და ტემპს.

განვითარებული ყურადღება თავს იჩენს უნარში ხანგრძლივად მიმართოს ყურადღება ობიექტზე, მართოს საკუთარი ყურადღება, რაც არის არსებითი ნიშანი ადამიანის ზოგადი მზაობისა ნებისმიერი საქმიანობისადმი.

მეხსიერება და ფანტაზია. მეხსიერების ფუნქცია მიღებული ინფორმაციის შენახვა-აღდგენაა. თუმცა, ადამიანი თავის საქმიანობაში არ იყენებს მხოლოდ ადრე აღქმულ ინფორმაციას და გამოცდილებას. ყოველივე რაც უნახავს და გაუგია შეიძლება აღდგეს ახალი კავშირებით და ახალ უჩვეულო კომბინაციებში. როდესაც ადამიანი ასახავს რეალობას კომბინირებული შთაბეჭდილებებით, ადგილი აქვს ახალ წარმონაქმნს. ეს არის ფანტაზია. რაც უფრო ორიგინალურია ეს კომბინაციები, მით მეტი მნიშვნელობა აქვს მას ადამიანის შემდგომი საქმიანობისთვის და მით მაღალია ადამიანის შემოქმედებითი ფანტაზიაც.

სასწავლო მოქმედება ბავშვისგან მოითხოვს საკუთარი მეხსიერების მართვას - საჭირო მასალის დახსომებას და ასევე მის აღდგენას საჭირო დროს. და ეს შეიძლება ეხებოდეს მისთვის არც თუ ისე საინტერესო, რთულ და საკმაოდ დიდ მასალას. შესასწავლი შინაარსების სპეციფიკა და მეხსიერებისადმი ახალ მოთხოვნები, რა თქმა უნდა, არსებით ცვლილებებს შეიტანს მის ფუნქციონირებაში. რა ცვლილებებია ეს: 1) იზრდება მეხსიერების მოცულობა და ანუ „სიმძლავრე“ მე-4 კლასელი 2-3-ჯერ მეტს იმასხოვრებს, ვიდრე 1-2 კლასის მოსწავლე. დადგინდა, რომ დამახსოვრების სიმტკიცე და სისწრაფე განსაკუთრებით მატულობს მე-2-4 კლასებში, ხოლო მე-5-6 კლასებიდან ანელებს ზრდის პროცესს. თუმცა ამ პერიოდში მატულობს დახსომების სპეციფიკური ხერხების გამოყენება. ამ ხერხების დაუფლება ავითარებს ნებისმიერ მეხსიერებას (როცა ბავშვი მიზანდასახულად ცდილობს მასალის დამახსოვრებას). ამ პერიოდში შესაძლებელია რაციონალური ხერხების სწავლება. ბავშვებმა ხშირად არც იციან რა უნდა ისწავლონ, რა დაიმახსოვრონ მიწოდებული მასალიდან. ამიტომ დიდ დროს ხარჯავენ მასალის ბევრჯერ გამეორებაზე, თუმცა შედეგი მაინც არ არის ადეკვატური. ამ ასაკში თვისობრივ ცვლილებებს განიცდის ის, თუ რა და როგორ ინახება მეხსიერებაში. სკოლამდელი პირველ რიგში, მასალას იმასხოვრებენ კონკრეტულად, ხატოვნად, რეალური საგნების ფორმით ან მათი გამოსახულებით.

ასევე ხდება პირველ კლასში. მაგრამ სასწავლო მასალაში სიტყვიერი შინაარსების გაგება, მოითხოვს იმ მასალის დამახსოვრების უნარს, რომელიც ზოგჯერ არაკონკრეტულია. ხატოვანი მასალის დამახსოვრების უპირატესობა მე-4 კლასამდე შემონახული. მხოლოდ მეოთხე კლასიდან და შემოთ შესამჩნევად იზრდება განყენებული მნიშვნელობის სიტყვების დამახსოვრების პროდუქტულობა. ეს არის შედეგი აბსტრაქტული აზროვნების განვითარების დასაწყისას, როცა ბავშვი აღარ არის მიჯაჭვული კონკრეტულ შინაარსებზე. იგი ყალიბდება დაწყებით კლასებში თეორიული ცოდნის დაუფლების პროცესში, განსაკუთრებით, გრამატიკის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო ცნებების. არსებობს რაციონალური დასწავლის ხერხების კომპლექსი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს დროის მოკლე მონაკვეთში მიიღოს სასურველი შედეგი, მაგალითად: 1) ნაიკითხე დავალება, 2) ჩანერე მოკლედ, 3) უპასუხე კითხვებს, დაასახელე მთავარი კითხვა, 4) წარმოიდგინე და გაიაზრე რაზეა ტექსტში ლაპარაკი, 5) შეადგინე გეგმა, 6) ჩამოაყალიბე შინაარსი, 7) თვითონ დასვი შეკითხვები და უპასუხე. არსებობს უფრო ზოგადი ხერხებიც-ტექსტის მიზნის დადგენა, განვილილ მასალასთან კავშირის დადგენა, მთავარი აზრის გამოყოფა, მონაცემების დაჯგუფება, სათაურის შერჩევა, ტექსტის ნაწილებს შორის კავშირის მონახვა. თუმცა თუ ბავშვებს აქვთ მატერიალური საყრდენი, პროდუქტულობა მატულობს. ამიტომ დამახსოვრების ხელშეწყობისთვის მისაღებია თვალსაჩინოების რაციონალური გამოყენება-ნახატები, სქემები, ნახაზები, რომლებიც შექმნილია სიტყვიერ საფუძველზე.

ერთერთი ზოგადი ხერხია გამეორების ორგანიზება, კერძოდ ა) გამეორების განაწილება დროში (მაგალითად, პირველ დღეს 5-ჯერ, მეორე დღეს-3-ჯერ და ა.შ.), ბ) გამეორების ხერხების ცვლილება (ინდივიდუალური, ერთხმად, ჯაჭვისებურად, მასწავლებლის მოსმენით), გ) თვითკონტროლის არსებობა-იმ ნაწილებზე კონტროლი, რომელიც კარგად არ იციან, დასწავლილი მასალის მიხედვით სავარჯიშოების შესრულება.

პედაგოგიური პრაქტიკა უჩვენებს, რომ რაციონალური დასწავლის ხერხების გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლის მეხსიერების გაუმჯობესება. ხოლო ვინაიდან მეხსიერება გონებრივი განვითარების ერთერთი მხარეა, ხდება ზოგადი ინტელექტუალური განვითარების სრულყოფა.

მეხსიერების განვითარება გავლენას ახდენს ფანტაზიის განვითარებაზეც. საკუთარი ქმედებების წინასწარი წარმოდგენა ფანტაზიის განვითარების დასაწყისია. იგი ყალიბდება მიბაძვის და ბავშვის აქტივობის საფუძველზე. დიფუზურიდან ხდება უფრო შემოქმედებითი და მდიდარი. ახალი სტრუქტურების შექმნა სიტყვებით, წინადადებებით, ფიგურებით მოითხოვს ახალი სახეების შექმნას. ხოლო წიგნზე მუშაობას მოსწავლე მიყავს განზოგადებულ სახეებამდე (რაც ავტორების შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია). მათი გაგება მკითხველის ფანტაზიის მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია.

მეხსიერების და ფანტაზიის მოქმედება იცვლება იმ მოტივების ცვლილების მიხედვით, რომლებიც მოითხოვენ ბავშვისგან მიზანდასახულ დამახსოვრებასა და აღქმული მასალის გახსენებას, ახალი ნახატის თუ თხზულების შექმნას. თამაშის მოტივები იქცევა სასწავლო მოტივებად, მიბაძვითი და უნებლიე მოქმედება კი შემოქმედებითად, რომლის მართვასაც ბავშვი თანდათან სწავლობს.

ნებისყოფა. სასწავლო საქმიანობას, რომელიც 5-6 წლიდან მთლიანად განსაზღვრავს ბავშვის ცხოვრების სტილს, რა თქმა უნდა, არსებითი ცვლილებები შეაქვს მისი ნებისყოფის განვითარებაშიც. რადგანაც სწავლა ძირითადი, აუცილებელი საქმიანობა ხდება, ბავშვისადმი ნაყენებულია როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული მოთხოვნები. სწორედ ამ

მოთხოვნებისადმი დამორჩილების აუცილებლობა იქცევა ბავშვის ნებისყოფის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ფაქტორად. მაგალითად, აუცილებელია დილით დროულად ადგომა, სკოლაში მისვლა ზარის დარეკვამდე, დაჯდომა მხოლოდ იმ ერთ ადგილზე, რომელიც მასწავლებელმა მიუჩინა. საჭიროა ბევრი წესის შესრულება გაკვეთილზეც: უნდა ადგეს, როცა რაიმეს შეკითხვა ან პასუხის გაცემა უნდა, ხელი უნდა აიწიოს და არ წამოიყვიროს. პირველ კლასელს კი ძალიან უნდა, რომ მასწავლებელმა სწორედ მას ჰკითხოს, როცა პასუხი იცის (ან ჰგონია, რომ იცის) და ა.შ. ყოველი ასეთი წესი, ყოველი „უნდა“ ბავშვისგან მოითხოვს საკუთარი ქცევის, აზრების და სურვილების დამორჩილებას.

მასწავლებლის შეფასებები კიდევ უფრო ააქტიურებს ამ წესების მნიშვნელობას. ასე იწვრთნება პატარა მოსწავლეების ნებისყოფა, განსაკუთრებით თავშეკავების უნარი.

მკვეთრად იცვლება მოტივებიც, რომლებიც უზიძგებენ ბავშვს ნებისყოფის დაძაბვისკენ. უკვე მეორე კლასში შესამჩნევად იზრდება საზოგადოებრივი აზრისა და დამოკიდებულებების როლი. თუ პირველკლასელს უფრო აღელვებს მასწავლებლის შეფასება, მეორე კლასიდან, უფრო კი მესამე და მეოთხე კლასებში - თანაკლასელებში საკუთარი ადგილი და მათი დამოკიდებულება.

ნებისყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ეს პროცესი ვერ იქნება განცალკევებული ბავშვის ინტერსებისგან, გარშემომყოფებთან ურთიერთობისგან - უფროსებთან, ტოლებთან და საკუთარ თავთან დამოკიდებულებებისგან. ნებისყოფის განვითარება წარმოუდგენელია ფანტაზიის, მეხსიერების, მორალური ცვლილებების გარეშე. მათი შესამჩნევი ცვლილებები სწორედ მოზარდობის საწყის ეტაპზე იწყება.

აზროვნება. დაწყებითი კლასების მოსწავლეების აზროვნების განვითარებაში 2 ძირითადი სტადია გამოიყოფა. პირველ სტადიაზე (დაახლოებით 1-2 კლასებში) მათი სააზროვნო მოქმედება ჯერ კიდევ ჰგავს სკოლამდელის აზროვნებას. სასწავლო მასალის ანალიზი უფრო მეტად მიმდინარეობს თვალსაჩინო და მოქმედების პლანში - ბავშვები ეყრდნობიან რეალურ საგნებს ან მათ უშუალო შემცვლელებს, გამოსახულებებს.

ისინი საგნის და სიტუაციის შესახებ მსჯელობენ ცალმხრივად, ყურადღებას აქცევენ ერთეულ, გარეგან ნიშანს. დასკვნები ეყრდნობა თვალსაჩინო წინაპირობებს, რომელიც აღქმაში ეძლევათ, ხოლო დასკვნის დასაბუთება ხდება არა ლოგიკური არგუმენტებით, არამედ აღქმით მიღებული ცნობებით.

განზოგადებები, რომელსაც ამ სტადიაზე აღწევენ ბავშვები, მიმდინარებს საგანთა თვალშისაცემი ნიშნების „ზენოლით“. ასეთი ნიშნებია უტილიტარული (გამოყენებითი) და ფუნქციური (რა ფუნქცია აქვს). მათი განზოგადებები აფიქსირებს მხოლოდ ზედაპირულ ნიშნებს.

ხშირია შემთხვევები, როცა სასწავლო საგნების ელემენტები, რომლებსაც ბავშვები ეუფლებიან სკოლაში ისე ეძლევათ, რომ განზოგადებები თითქმის სრულად ეყრდნობა რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაზე დაკვირვებას, მათი ფორმულირება ხდება დეტალური აღწერით. ასეთი მასალის შედარების საფუძველზე ბავშვები გამოყოფენ მსგავს გარეგნულ ნიშნებს და აღნიშნავენ მათ შესაბამისი სიტყვებით. ხოლო თუ ცოდნის შეფასების მთავარი კრიტერიუმი არის ბავშვის უნარი მოიყვანოს შესატყვისი კონკრეტული მაგალითი ან ილუსტრაცია, ბავშვის აზროვნების ეს თავისებურება იქცევა სწავლებაში თვალსაჩინოების პრინციპის ძირითად პირობად.

სისტემური სწავლების საფუძველზე მე-3 კლასისთვის ბავშვების აზროვნების ხასი-

ათი იცვლება. ამ ცვლილებასთან არის დაკავშირებული განვითარების მეორე სტადია. უკვე პირველ და მეორე კლასებში მასწავლებლების განსაკუთრებული ამოცანაა უჩვენოს ბავშვებს ის კავშირები, რომლებიც არსებობს ცალკეულ ელემენტებს შორის. ყოველწლიურად იზრდება დავალებების მოცულობა, რომლებიც მოითხოვენ ასეთ კავშირებზე და დამოკიდებულებებზე მითითებას. მესამე კლასში მოსწავლეები უკვე ეუფლებიან ცნებებს შორის სახეობა-გვარეობით(კერძო-ზოგადის) დამოკიდებულებებს, ე.ი. ახერხებენ კლასიფიკაციას.

საგანთა და მოვლენათა კლასიფიკაციის უნარის ჩამოყალიბებით ხდება აღქმაზე მიჯაჭვულობის შესუსტება(იმის გააზრება, რომ ნებისმიერი საგანი თუ მოვლენა რომელიმე კლასის,ჯგუფის წარმომადგენელია და თვითოეულ წევრთან აქვს საერთო თვისებები და ა.შ.), ე.ი. სასწავლო მასალაზე გრძელდება საკუთრივ გონებრივი მუშაობა-ხდება ახალი საზოგადოებრივი ხერხების და საშუალებების შექმნა.

მე-2 სტადიის ბოლოსათვის მოსწავლეები ახერხებენ განზოგადებას(არ ოპერირებენ მხოლოდ ერთეული საგნებიდან გამომდინარე დასკვნით). იზრდება მსჯელობათა რაოდენობა,სადაც თვალსაჩინო მომენტები მინიმუმამდე დადის და ობიექტები ხასიათდება მეტნაკლებად არსებითი კავშირებით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 7-8წლის ბავშვებს მასწავლებლები და მშობლები ამჩნევენ,რომ პატარები აღარ კმაყოფილდებიან საგანთა უბრალო თვალჩინებით - მათ სურთ იცოდნენ, რატომ არიან ისინი ასე მოწყობილი, რატომ შეიქმნა საერთოდ? და ა.შ. კითხვა „რატომ“ ძალიან აქტუალურია სკოლამდელებშიც, მაგრამ ისინი ნებისმიერი პასუხით კმაყოფილდებიან. სხვა მდგომარეობაა მოსწავლეებთან - უფროსებისგან, მასმედიიდან წამოსული ინფორმაციის კვალდაკვალ ბავშვები აღარ ღებულობენ შემთხვევით, ზედაპირულ პასუხებს და ითხოვენ ისეთ განმარტებებს, რომლებიც შეესაბამება გარემოს შესახებ ფაქტების და წარმოდგენების სისტემას. რა თქმა უნდა, სკოლამ გვერდი არ უნდა აუაროს ამ გარემოებებს. მან უნდა აიტაცოს და განავითაროს ბავშვის თეორიული მსჯელობის ჩანასახები, მისცეს მას საჭირო განმარტებები მიზეზებზე, შედეგებზე, საარსებო პირობებზე.

ამგვარი გზით კონკრეტულ და ხატოვან აზროვნებასთან ერთად თანდათან მოხდება პატარებისთვის განყენებული აზროვნების მარტივი ხერხების სწავლება, რომლებიც ეძებენ მიზეზებს, საგანთა და მოვლენათა საფუძველს და ითხოვენ განმარტებას.

ფსიქო-სოციალური განვითარება. სასწავლო საქმიანობის დასაწყისშივე ბავშვების ინტერესებში ხდება ცვლილებები, ჩნდება ახალი მიმართულებები. ცნობილია,რომ სკოლამდელი პერიოდის ბოლო ეტაპზე, ძირითადად საბავშვო ბაღებში ჩატარებული მუშაობის შედეგად უჩნდებათ სწავლის მოთხოვნილება-ინტერესი სკოლისადმი, სწავლისადმი, საერთოდ სასკოლო ცხოვრებისადმი.

ბავშვს უჩნდება მისწრაფება დაიკავოს მისთვის საინტერესო, მოსწავლის ადგილი: იაროს სკოლაში, როგორც დიდი ბავშვები დადიან, ატაროს ჩანთა, იჯდეს მერხთან, ჰქონდეს წიგნები და ა.შ. თუმცა, ეს სწრაფვა მოსწავლეობის გარეგანი მდგომარეობისადმი, როგორც ყველა მოთხოვნილება, დაკმაყოფილების შემთხვევაში ქრება. თუ პირველ ხანებში მოსწავლეები ძალიან კმაყოფილი არიან ახალი მდგომარეობით, გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს განცდები ნელნელა უფერულდება. მოტივი „მინდა ვიყო მოსწავლე“ აქტუალური აღარ არის. თუმცა სკოლისადმი სწრაფვა პირველ კლასელებთან თვითონ სწავლისადმი ინტერესშიც არის გამოხატული და ეს მოტივი, თუ მოხდება სასწავლო საქმიანობის რაციონალური ორგანიზება, არ ჩაქრება, პირიქით, შესაძლებელია გაძლიერდეს კიდევც.

დანებებით კლასების პირველ ეტაპზე მოსწავლეების ინტერესები ძირითადად შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

მიმბაძველობა, რომელიც ძირითადად შემთხვევით წარმოიქმნება, არამდგრადობა-ხანმოკლეობა, სწრაფი და უმიზეზო ცვლილებები ყოველგვარ საქმიანობაში ინტერესთა გაფანტულობა-სხვადასხვა დაუკავშირებელი სფეროებისადმი ინტერესი. სვამენ უამრავ კითხვას, რომელიც სრულებით არ ეხება სასწავლო მასალას.

ზედაპირულობა - აინტერესებთ მხოლოდ ზედაპირული ფაქტები, განსაკუთრებით მკვეთრი და უჩვეულო. სიღრმეში გარკვევა არ აინტერესებთ.

განსაკუთრებული ინტერესი უახლოესი შედეგისადმი, რომელიც ემყარება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ან მოვლენის დროში სიახლოვეს. ძირითადი შეკითხვები, რომლებიც მათ ინტერესს გამოხატავს, მაგალითად, ასეთია: “გააკეთე დღეს დავალება? რამდენი შეცდომა გქონდა დღეს? რა გითხრა მასწავლებელმა?”

4-6 კლასებში ეს ინტერესები იცვლება, რაც გარკვეულ პირობებთან არის კავშირში. რა პირობებია ეს, რომლებსაც ამ ასაკში შეუძლია სწავლისადმი სტაბილური დამოკიდებულების ჩამოყალიბება?

- 1) ახალი ინფორმაციის და უკვე ცნობილის სწორი შეთანხმება არის მთავარი პირობა ბავშვებში შემეცნებითი ინტერესების გასაჩენად. ის, რაც სრულიად უცნობია ბავშვისთვის (ანუ არავითარი წინა ცოდნა არ აქვს ამის შესახებ) არ ინვესტირებს მათში ინტერესს, მაგალითად, ბუნების მოვლენებზე, სიტყვის შემადგენლობაზე, რიცხვებზე (განსაკუთრებით პირველ ეტაპზე). ასევე ის, რაც კარგადაა ნაცნობი არ არის მათთვის საინტერესო. მასწავლებელმა უნდა მოახერხოს ძველსა და ნაცნობში უჩვენოს ახალი შინაარსი: ნიშან-თვისებები, დამოკიდებულებები სხვა მოვლენებთან თუ ობიექტებთან და ა.შ.
- 2) მიეცეს შესაძლებლობა, გამოიყენოს საკუთარი ინიციატივა, საკუთარი აქტივობა საგნის შემოქმედებითად გარდაქმნისათვის (მაგ. წინადადების, მაგალითის, გეგმის რეკონსტრუირება), რაც ზრდის მოსწავლის ინტერესს.
- 3) ინტერესი ჩნდება წარმატების მიღწევისას. როდესაც მოსწავლე მოახერხებს წარმატებით გაართვას თავი დავალებას, თანაც სხვადასხვა ხერხით, ინტერესი მატულობს.
- 4) ინტერესის შემდგომ განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა აქვს შესასწავლი მასალის პრაქტიკულ გამოყენებას. რაც თავის მხრივ აჩენს ახალ კითხვებს და ხელს უწყობს შემეცნებითი პროცესების განვითარებას.

ამგვარად, ბავშვის განვითარების პროცესი ვერ აიხსნება და ვერ დახასიათდება ერთი რომელიმე სფეროს ცვლილებით. ეს არის რთული და მრავალმხრივი პროცესი. აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგიური მრავალმხრივობის განმავითარებელი პედაგოგიური პირობებიც განსხვავებული იქნება.

ტაჰი II. შეფასება

მოსწავლის შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.

მოსწავლის აკადემიური მიღწევა ხშირად და მრავალმხრივად უნდა შეფასდეს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.

განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას ამოწმებს არა მათი მიღწევის დონის განსასჯელად და ქულების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. მასწავლებელი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს სწავლის პროცესში, სწავლობს მათ საჭიროებებს, რათა თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში. ასეთ კონსტრუქციულ სასწავლო გარემოში მოსწავლეებს არ აფერხებთ მარცხის/წარუმატებლობის შიში და ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებლის რჩევისა და მხარდაჭერის იმედი აქვთ. ცოდნის დონის მიუხედავად, მოსწავლეები იძენენ ახალ ცოდნას, ამდიდრებენ გამოცდილებას და იუმჯობესებენ უნარებს.

განმავითარებელი შეფასების პროცესში უნდა ჩაერთოს მასწავლებელიც და მოსწავლეებიც. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავადაც უნდა ცდილობდნენ, დაადგინონ საკუთარი მოთხოვნილებები, გამოავლინონ ძლიერი და სუსტი მხარეები, შემაფერხებელი ფაქტორები. ამგვარ პროცესებში მოსწავლეების ჩართვა თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარებს აყალიბებს და ზრდის მათ ქმედითუნარიანობასა და პასუხისმგებლობას.

მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში, მოსწავლე ფასდება საკუთარ თავთან, საკუთარ მიღწევებთან მიმართებით, რაც მას საშუალებას აძლევს, იგრძნოს წინსვლა და ირწმუნოს, რომ შეუძლია სიძნელეთა ეტაპობრივად გადალახვა.

განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა, ცოდნის ათვისების ან უნარის განვითარების ეტაპების აღმნიშვნელი დონეები (მაგალითად, ათვისებულია/ფლობს, ათვისების/დაუფლების პროცესშია, ასათვისებელია/დასაუფლებელია). ათვისების თუ ფლობის დონეებით შედგენილი შეფასების ან თვითშეფასების სქემები მასწავლებელსაც და მოსწავლესაც საშუალებას აძლევს, დინამიკაში დაინახოს კონკრეტული ცოდნის თუ უნარის ათვისების პროცესი.

**განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების
სქემატური აღწერილობა**

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა.	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა.
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმართების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

საგნის სემესტრული ქულის შემაჯავებელი ნაწილები (კომპონენტები)

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით: ა) საშინაო დავალება; ბ) საკლასო დავალება; გ) შემაჯავებელი დავალება. სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. შემაჯავებელი დავალების კომპონენტში მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება.

შემაჯამებელი კომპონენტი აფასებს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეულ შედეგებს სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით - კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა.

ასე რომ, შემაჯამებელი დავალებები უნდა აფასებდეს საგნის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს და აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადაინიღდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია შემაჯამებელი დავალების მრავალგვარი ფორმის გამოყენება.

როგორც მოგეხსენებათ, ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას. საგანში, როგორც მეხუთე, ისე მეექვსე კლასში, შემაჯამებელ დავალებათა სავალდებულო მინიმალური რაოდენობა პირველსა და მეორე სემესტრებში ორ-ორია.

თითოეული შემაჯამებელი დავალება ფასდება კონკრეტული ნიშნით. მოსწავლე ვალდებულია, შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე გაცდენის გამო ვერ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი აღდგენითი სამუშაო უნდა დაინიშნოს სემესტრის მსვლელობისას. შემაჯამებელ დავალებათა აღდგენის წესი განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

სემესტრის მსვლელობისას ჩატარებული შემაჯამებელი შეფასებების შემდეგ რეკომენდებულია კომენტარების დაწერა მათთვის, ვინც დადებითი სემესტრული შეფასების მისაღებად აუცილებლად უნდა გამოასწოროს საკუთარი. ასევე, შეიძლება დაინეროს კომენტარი, თუ მოსწავლემ წინა შეფასებასთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მოსწრება. ამის აღნიშვნა მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს მოსწავლეს სემესტრის ბოლომდე სწავლის ხარისხის შესანარჩუნებლად.

შუასაბის კომპონენტები

საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტები

ფასდება შემდეგი ცოდნა და უნარები:

- მუსიკალური ხელოვნების ნასწავლი ნიმუშების ცოდნა;
- მუსიკის ისტორიისა და თეორიის ზოგადი საკითხების ცოდნა;
- მუსიკალური დამწერლობის ცოდნა;
- მუსიკალური ტერმინოლოგიის ცოდნა;

- მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- შემოქმედებითობა;
- იმპროვიზაციულობა;
- მუსიკის მოსმენის ჩვევა;
- მუსიკალური სმენა;
- მუსიკალური მეხსიერება;
- რიტმის გრძნობა;
- წარდგენის (პრეზენტაციის) უნარი;
- სოციალური უნარები;
- საკუთარი აზრის დასაბუთების უნარი;
- ტოლერანტობა.

ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი აქტივობებით:

საშინაო დავალებები

- მასალის მოძიება;
- რეფერატის მომზადება;
- რეცენზიის დანერა;
- ტექსტის (ლიტერატურული და სანოტო) დასწავლა;
- დავალების შესრულება მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით და ა. შ.

საკლასო დავალებები

- შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა: სიმღერა, იმპროვიზაცია, მუსიკალურ-დრამატულ კომპოზიციები, მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების შექმნა;
- კონცერტის, წარმოდგენის რეპეტიციებში მონაწილეობა;
- პროექტის მომზადება;
- მუსიკის მოსმენა და ამასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება;
- საკუთარი და სხვისი შესრულების / შემოქმედების განხილვაში მონაწილეობა;
- მუსიკალური ნაწარმოების კონტექსტის განხილვა;
- სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და მომზადება;
- საკუთარი ნაშრომის, შემოქმედებითი საქმიანობის წარდგენა;
- სხვადასხვა დავალების შესრულებისას მუსიკალური დამწერლობის გამოყენება და ა. შ.

შემაჯავებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯავებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შემონახოს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღებული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს მუსიკის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯავებელი დავალებები უნდა

ამონმებდეს მუსიკის სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებს.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. მუსიკის შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- კონცერტი/ წარმოდგენა;
- ვიქტორინა;
- მოხსენება-რეფერატი;
- ლექცია-კონცერტი;
- პრეზენტაცია;
- ტესტირება;
- გამოცდა;
- პროექტი.

მოსწავლის მიერ შესრულებული პროექტის სავარაუდო თემები:

თემატური წარმოდგენის/კონცერტის გამართვა; ტელეგადაცემის, რადიოგადაცემის, სპექტაკლის მომზადება; გაზეთის, ჟურნალის, სანოტო ალბომის მომზადება; კლიპის გადაღება სიმღერის, მუსიკალური ნაწარმოების ან სხვა თემაზე; სკოლაში ცნობილი კომპოზიტორის, მომღერლის, რეჟისორის მიწვევა, შეხვედრის ორგანიზება და წარმართვა და ა. შ.


მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.


თავი III. დაწყებითი საფეხურის მუსიკის სტანდარტი I კლასი

ვიმართულაბა: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

შუღაბი / ინდიკატორი	ტიკური აქტივობები	რესურსები	შენიშვნა
მუს. I.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში	<p>ა) მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს სხვადასხვა ხმას: კაკუნს, ტელეფონის ზარს, წყლის ჩხრიალს, ზღვის ხმაურს, ზანზალაკის წკრიალს, სხვადასხვა ტემპის მუსიკალური ინსტრუმენტების ხმას, ადამიანის სხვადასხვა ტემპის და რეგისტრის ხმას და მათთან ერთად არკვევს, რომელია მუსიკალური და არამუსიკალური, რომელია</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ზანზალაკის, ტელეფონის, ზარის, წყლის ჩხრიალის, ზღვის ხმაურის, სხვადასხვა ტემპის მუსიკალური ინსტრუმენტის, ადამიანის სხვადასხვა ტემპისა და</p>	<p>მოცემული აქტივობის შესრულებამდე მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რომ ტრადიციულად, მუსიკალურად ითვლება ის ბგერები, რომელსაც გამოსცემს მუსიკალური ინსტრუმენტი ან ადამიანი</p>
1. ამოცნობს გარემოში მუსიკალურ და არამუსიკალურ ბგერებს;			

	<p>კეთილბმოვანი და არაკეთილბმოვანი?</p>  <p>ბ) მასწავლებელი დაფაზე ხატავს ნოტს და სთხოვს მოსწავლეებს, გადახატონ, გააფერადონ და გამოჭრან. ამის შემდეგ მიყოლებით ასმენინებს მუსიკალურ და არამუსიკალურ ზგერებს და სთხოვს, მუსიკალური ზგერების გაცონებისას ასწიონ მათ მიერ დახატული ნოტი.</p>	<p>რეგისტრის ხმის ჩანანერი; ფანქარი, A4 ფორმატის თითრი ფურცლები, ფერადი ფანქრები, მაკრატელი.</p>	<p>სიმღერისას. ასევე, გბასუხოთ მათ შკითხვებსაც - გამოსცემენ თუ არა სხვა სულიერი არსებები, მაგალითად, ზულიბული, მუსიკალურ ზგერებს.</p>
<p>2. განასვავებს ხმამალალ და ხმადაბალ ხმოვანებს;</p>	<p>ა) მასწავლებელი ფორტპიანოზე უკრავს/ასმენინებს ერთსა და იბვე ნაცნობ (შესწავლილ ან შესასწავლ) სიმღერას, მაგალითად, "ჭრელი პეპელას" ხმადაბლა, ხმამალლა და ეკითხება მოსწავლეებს: - რა განსხვავებაა მათ შორის?</p> <p>ბ) მასწავლებელი ასსენებს მოსწავლეებს უკვე შესწავლილ "იავნანას" და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს, და ეკითხება, მათი აზრით, რომელი მათგანი უნდა ფლერდეს ხმამალლა? რუბად? პასუხების მოსმენის შემდეგ ყველანი ერთად უსმენენ ამ ნანარმოებებს.</p>	<p>ფორტპიანო, სანოტო მასალა: სიმღერა - "ჭრელი პეპელა", მოსასმენი აბარატურა, აუდიო ჩანანერი?: "იავნანა", საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.</p>	
<p>3. ერთ ტონზე სიმღერით იმეორებს მარტივ რიტმულ</p>	<p>მასწავლებლის თხოვნიტ, მოსწავლეები გულზე მიიღებენ ხელს და უსმენენ თავიანტ გულისცემას. მასწავლებელი ეკითხება: - როგორ გგონიატ,</p>	<p>ფორტპიანო, მეტრონომი.</p>	

1 I-VI კლასის აქტივობებისთვის განკუთვნილი სანოტო მასალა იხილეთ დანართში.
 2 I-VI კლასის აქტივობებისთვის განკუთვნილი აუდიო ჩანანერები იხილეთ თანდართულ DVD-ზე.

<p>ნახაზს, ცვლის ბგერათსიმალღეს;</p>	<p>გულისცემა თანაბარია? ჩქარა ძგერს თუ ნელა? ეს თანაბარი ძგერა არის რიტმი. რიტმი ყველაფერს აქვს, მათ შორის მუსიკასაც. რიტმი აუცილებელია იმისთვის, რომ მუსიკამ იცოცხლოს, მისი დარღვევით კი მუსიკა “ავად გახდება”. მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს მარშს და სთხოვს, ტაშით ან კაკუნით აჰყენენ მის “გულისცემას”.</p>		
<p>4. ტაშით, კაკუნით იმეორებს მარტივ რიტმულ ნახაზს;</p>	<p>ა) მასწავლებელი აჩვენებს და ასმენინებს მეტრონომის კაკუნს სხვადასხვა ტემპში. მოსწავლეები ტაშით აჰყევიან მას. თან დამარცვლით აყოლებენ ქართულის გაკვეთილზე ნასწავლ რომელიმე ლექსს.</p> <p>ბ) მასწავლებელი ერთ ბგერაზე უკრავს რიტმულ ნახაზს.</p>  <p>მოსწავლეები დასახელების გარეშე იმეორებენ ტაშით და სიმღერით რე ბგერაზე. შემდეგ, ერთი ტონით მაღლა და ისევ დაბლა. იქნება მუსიკალურ-რიტმული “ფრაზა”.</p>	<p>მეტრონომი</p> <p>ფორტეპიანო,</p>	
<p>5. განასხვავებს რიტმულ და არა-რიტმულ კაკუნს;</p>	<p>მასწავლებელი ყოფს კლასს. პირველ ჯგუფს სთხოვს, მასთან ერთად თანაბრად დააკაკუნონ კალმისტრები მერბებზე და დათვალონ:</p>	<p>საკლასო ნივთები: მერბები, კალმისტრები.</p>	<p>ეს აქტივობა შეესაბამება მუს.1.1. შედეგის 7. ინდიკატორსაც.</p>

<p>6. აუღერებს ხმას, ინსტრუმენტს ხმამაღლა და ხმადაბლა, ხანგრძლივად და წყვეტილად, მოკლედ;</p>	<p>ერთი-ორი, ერთი-ორი, ან ერთი-ორი-სამი, ერთი-ორი-სამი. მათ ყოველი „ერთიანი“ ფეხის დარტყმით უნდა გამოყონ. მეორე ჯგუფს კი შეუძლია სურვილისამებრ აკაკუნოს (პირველი ჯგუფის მიერ დავალების შესრულების შემდეგ), მასწავლებელი ამ ყველაფერს „დირიჟორობს“. აქტივობის დამთავრების მერე მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რა განსხვავება იყო პირველი და მეორე ჯგუფის შესრულებას შორის?</p>	<p>ფორტეპიანო, ფოტოსურათები: კურდღელი, კენგურუ, კატა და დათვი.</p>	<p>შეიძლება გამოვიყენოთ ასევე ზღაპრის გმირები: დევი, რწყილი და ჭიანჭველა, პრინცესა და ა. შ.</p>
<p>6. აუღერებს ხმას, ინსტრუმენტს ხმამაღლა და ხმადაბლა, ხანგრძლივად და წყვეტილად, მოკლედ;</p>	<p>მასწავლებელს გაკვეთილზე მოაქვს კურდღლის, კენგურუს, კატისა და დათვის ფოტოები და ეკითხება მოსწავლეებს: „როგორ დადის კურდღელი? კენგურუ?“ „დახტის“ – პასუხობენ მოსწავლეები. მასწავლებელი ინსტრუმენტზე იღებს ბეჭებს წყვეტილად და ჩუმად. „ეს კურდღელია თუ კენგურუ?“ „კურდღელი“ – პასუხობენ მოსწავლეები. შემდეგ იღებს ხმამაღლა და წყვეტილად. „ეს კი კენგურუ“ – პასუხობენ მოსწავლეები. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მსჯელობს, რომ „კენგურუ ხმამაღლა იმიტომ დაუკარი, რომ ბევრად დიდია და მძიმე, კიდრე კურდღელი, რომელიც მსუბუქი და პატარაა“. მოსწავლეები უკრავენ ინსტრუმენტზე „კურდღელივით“ და „კენგურუსავით“. იგივე შეიძლება გავიმეოროთ კატისა და დათვის</p>	<p>ფორტეპიანო, ფოტოსურათები: კურდღელი, კენგურუ, კატა და დათვი.</p>	<p>შეიძლება გამოვიყენოთ ასევე ზღაპრის გმირები: დევი, რწყილი და ჭიანჭველა, პრინცესა და ა. შ.</p>

3 I-VI კლასის აქტივობებისთვის განკუთვნილი ფოტომასალა იხილეთ თანდართულ DVD-ზე.


	<p>შემთხვევაში: კატა „დადის“ ჩუმად და გადაბმით, დათვი – ხმამაღლა და გადაბმით. მოსწავლეები ინსტრუმენტზე დაკვირვებით „ბაძივენ“ დათვის და კატას. მოსწავლეები მსჯელობენ, თუ კიდევ ვინ ან რა „დადის“ კატასავით? დათვივით? კენგუ-რუსავით? კურდღელვით?</p>		
<p>7. ტაშით, ფეხის დარტყმით გამოყოფს ტაქტის ძლიერ დროს.</p>	<p>მასწავლებელი უკრავს/ასმენინებს პ. ჩაიკოვსკის „ხის ჯარისკაცების მარშს“ და სთხოვს მოსწავლეებს, რიტმულად დაითვალონ ორზე და ყოველი „ერთი“ ტაშით აღნიშნონ. ამის შემდეგ იგი სთავაზობს მოსწავლეებს, ითამაშონ „ჯარისკაცობაზე“. მუსიკის ფონზე მოსწავლეები დააბიჯებენ და მასწავლებლის თხოვნით იმ ნაბიჯს, რომელიც ემთხვევა ტაქტის ძლიერ დროს, ფეხის ენერგიული გადადგმით აღნიშნავენ, ამ დროს მათ მასწავლებელიც ეშველება ტაშით. იგივე აქტივობა შეიძლება შევასრულოთ ვალსზეც.</p>	<p>ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, სანოტო მასალა ან აუდიო ჩანან-ერი: პ. ჩაიკოვსკი - „ხის ჯარისკაცების მარში“, „ფალსი“ ციკლიდან „საბავშვო ალბომი“.</p>	<p>ეს აქტივობა შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე მუს.1.3. შედეგის 2. ინდიკატორისათვის.</p>

<p>მუს.1.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად</p>			
<p>1. სიმღერით იმეორებს ბგერებს,</p>	<p>ა) მასწავლებელი უკრავს საშუალო რეგისტრის სხვადასხვა სიმალის ბგერას, მოსწავლეები</p>	<p>ფორტეპიანო</p>	<p>იხ. რეკომენდაცია.</p>

	<p>ვარჯიშოს იმეორებენ სხვადასხვა სიმაღლიდან, აღმავალი მიმართულებით.</p> <p>ე) მოსწავლეები მღერიან ნასწავლ სავარჯიშოებს მარცვლებზე. ყოველი ფრაზის წინ სუნთქვის აღებას მასწავლებელი ხელის მოძრაობით მიაწინებებს. მოსწავლეები ყურადღებით უყურებენ მას, მისი მინიშნებისას - შეწყდეს გუნდის ხმოვნება, ყველა მოსწავლე ჩერდება.</p>		
<p>2. სიმღერის დროს სწორად რეაგირებს მასწავლებლის მინიშნებებზე (ხმამაღლა, ჩუმად, ნელა, ჩქარა);</p>	<p>ა) აქტივობა: ხმამაღლა თუ ხმადაბლა? მოსწავლეები მღერიან სავარჯიშოებს მარცვლებზე, ხმოვნებზე ხმამაღლა და ჩუმად, აკვირდებიან მასწავლებლის მინიშნებებს, ხელის მოძრაობას, სახის გამომეტყველებას და შესაბამისად ცვლიან ხმოვანების დინამიკას.</p> <p>ბ) აქტივობა: ნელა თუ ჩქარა? მოსწავლეები მღერიან სავარჯიშოებს მარცვლებზე, ხმოვნებზე ნელა, ჩქარა, აკვირდებიან მასწავლებლის მინიშნებებს, ხელის მოძრაობის სიჩქარეს და შესაბამისად ცვლიან ტემპს.</p>	<p>ფორტუბიანო</p>	<p>იხ. რეკომენდაცია.</p>
<p>3. მღერის მართვ ერთხმად სიმღერებს აკომპანემენტით, მასწავლებელთან,</p>	<p>ა) აქტივობა: „ეს საწყალი კურდღელი“. მოსწავლეები სწავლობენ მ. დავითაშვილის სიმღერას „ეს საწყალი კურდღელი“. სიმღერის მელოდია და ტექსტი ერთდროულად შეისწავლება. მოსწავლეები სიმღერას შეისწავლიან ფრაზების</p>	<p>ფორტუბიანო, სანოტო მასალა: მ. დავითაშვილი - სიმღერა „ეს საწყალი კურდღელი“.</p>	

<p>თანაკლასელთან ერთად;</p>	<p>მიხედვით. მაგალითად, პირველი ფრაზა - „ეს საწყალი კურდღელი“, მეორე ფრაზა - „ძლიერ ავად გაგვიხდა“ და ა. შ.</p> <p>ბ) მოსწავლეები საუბრობენ ტექსტის შინაარსზე, ახსაათებენ სიმღერის მელოდიას - მხიარულია თუ სევდიანი. სიმღერა სრულდება ნელა, მღერი-ან გადაბმით, ლეგატოზე. შესწავლილ სიმღერას მოსწავლეები მღერიან მარტო და თანაკლასე-ლებთან ერთად, აკომპანემენტის თანხლებით, ან მასწავლებელთან ერთად. სწორად რეაგირებენ მასწავლებლის მინიშნებებზე: სუნთქვის აღება, სიმღერის დასაწყისი, ხმამაღლა, ხმადაბლა, სიმღერის დასასრული.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ლ. იაშვილი - სიმღერა „კრიჭი-კრიჭი“.</p>	
<p>4. ტაშით, სიმღერით აჰყვება მუსიკას, მასწავლებლის სიმღერას, აკომპანემენტს.</p>	<p>აქტივობა: „კრიჭი-კრიჭი“.</p> <p>მოსწავლეები შეისწავლიან ლ. იაშვილის სიმღერას „კრიჭი-კრიჭი“ შემდეგი სახით: მასწავლებლის სიმღერას და აკომპანემენტს ტაშს აყოლებენ, იმახსოვრებენ სიმღერის რიტმულ სურათს და მხოლოდ ამის შემდეგ სწავლობენ მელოდიას.</p>	<p>რეკომენდაცია: სიმღერისას ბგერებს გამოვთქვამთ თავისუფლად, პირი არის ზომიერად ღია, ბგერების მდგომარეობა ნორმალური. სასიმღერო სუნთქვა განსხვავდება ჩვეულებრივი სუნთქვისაგან. სიმღერისას ჩავისუნთქავთ უფრო მეტ ჰაერს, მისი მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს მუსიკალური ფრაზის მოცულობას. სუნთქვის აღებას მასწავლებელი-დირიჟორი ხელის მოკლე მოძრაობით მიანიშნებს:</p>	<p>↑ ↓</p>

გუნდის უღერადობის შეწყვეტა გამოიხატება ხელის ასეთი მოძრაობით:



სიმღერის შესრულებისას ყურადღება უნდა მიექცეოდ ნიუანსებს. ხმამაღალი სიმღერის დროს სიტყვები მკაფიო სიზუსტით, მკვეთრად გამოითქმება. ჩქარ ტემპში სიტყვებს რაც შეიძლება მოკლედ და მკაფიოდ წარმოვთქვამთ. ჩუმი, დაბალ ხმაზე სიმღერის დროს და, განსაკუთრებით, ნელ ტემპში სიტყვები შერბილებულად უნდა წარმოვთქვათ. უღერადი ბგერების დროს სიტყვების დაბოლოება უნდა შესრულდეს მსუბუქად.

<p>მუს. I.3. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამოხატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული განწყობილების გადმოსაცემად.</p>	<p>ა) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დახატონ, გააფერადონ, გამოჭრან და პატარა ჯოხზე დაამაგრონ გალიმბული და მონყენილი სახეები, ე. წ. „სმილები“. მოსწავლეები უსმენენ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა ხასიათის პიესასა და სიმღერას. მასწავლებლის თხოვნით, ისინი, ვისაც მოეწონა, ასწევენ გა-</p>		
<p>1. ხმის, მოძრაობის, მიმიკის, აქსტის, ტაშის, ხმაურის საშუალებით გამოხატავს ამა თუ იმ განწყობილებას;</p>		<p>ფორტეპიანო, მოსასმენი აპარატურა, სანოტო მასალა ან აუდიო ჩანანები; პროგრამით გათვალისწინებული განსხვავებული ხასიათის რამდენიმე პიესა და სიმღერა (მასწავ-</p>	

	<p>ღიმებულ სახეს და ვისაც არ მოეწონა, პირიქით, აწვეებენ მონყენილ სახეს.</p> <p>ბ) მოსწავლეები თვალებს ხუჭავენ, უსმენენ მუსიკას და გამოთქვამენ აზრს, თუ "რომელი ფერები დაინახეს" ამ მუსიკაში? ნათელი თუ მუქი? ცივი თუ თბილი? ხატავენ წარმოდგენილი ფერებით.</p> <p>გ) მოსწავლეები უსმენენ მუსიკას და მოსმენის პროცესში, ან წანწარმოების დამთავრებისთანავე მათ უნდა გადაწყვიტონ, შესაძლებელია თუ არა, ტაშით აჰყვენ ამ მუსიკას?</p>	<p>ღლებლის შერჩევით); ფურ-ცლები, ფანქრები, პატარა ჯოხები, მაკრატელი.</p>	<p>ბ) წინაპირობა: სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში უკვე ისწავლეს ცივი და თბილი ფერები.</p>
<p>2. მოსმენილ მუსიკალურ ნაწარმოებს მიუსადაგებს სხვადასხვა თამაშობას (დახუჭობანა, დამალობანა, ომობანა და ა. შ.) და ქმნის შესაბამის ტექსტს</p>	<p>წინა გაკვეთილზე მასწავლებელი სთხოვს გოგონებს, მოიტანონ გაკვეთილისთვის საჭირო ნივთები. გაკვეთილზე მოსწავლეები უსმენენ ჯ. კახიძის „ნანას“ ფილმიდან „იავნანა“. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: - რომელი თამაშისთვის გამოგადგებოდათ ეს სიმღერა? „სახლობანასთვის“ – პასუხობენ გოგონები. – მოდი, ვითამაშოთ სახლობანა – ამბობს მასწავლებელი. გოგონები იღებენ თოჯინებს, არწვენ და „უმღერიან“ ნანას, აძინებენ. ბიჭები ეხმარებიან, აბნელებენ ოთახს, აწუმებენ თანაკლასელებს. მეორე შემთხვევაში (რ. შუმანი - "მხიარული გლეხი") შეიძლება გაითამაშონ ასეთი სცენა - მიწდორში მიუშაობის შემდეგ დაღლილი და</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ჯ. კახიძე - „იავნანა“, რ. შუმანი - „მხიარული გლეხი“; თოჯინები, ნამღლები, თოხები, ჭურჭელი.</p>	

თავი III. ღაწყაპითი სოფხუარის მუსიკის სტანდარტი

<p>მ.სხეულის მოძრაობით გადმოსცემს მუსიკით გამონაკვეთულ ემოციას.</p>	<p>კმაცყოფილი ბიჭები შინ ბრუნდებიან ღიღინით. გოგონები უვლიან, წყალს ასმევენ, უმასპინძლდებიან.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: სახელმწიფო ჰიმნი, „ჭრელო პეპელა“, „ეს აკვანი ხარატული“; სიფრიფანა ფერადი შარფი, სათამაშო აკვანი და თოჯინა.</p>	<p>ა) მოსწავლეებმა უკვე კარგად იციან, რომ ჰიმნი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის მთავარი სიმღერაა.</p>
<p>მოსწავლეები უსმენენ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს (ზ. ფალიაშვილი, ი. კეჭყყაძე), დგებიან და მარჯვენა ხელს გულზე იდებენ;</p> <p>ბ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეარჩიონ, თუ რომელი ნივთი და როგორი მოძრაობა შეეფერება სიმღერას „ჭრელო პეპელა“? „ეს აკვანი ხარატული“? სიფრიფანა ფერადი შარფი, სათამაშო აკვანი თუ თოჯინა. მოსწავლეები ასრულებენ შესაბამის მოძრაობას და თან, განმეორებისას, აჰყვებიან სიმღერას.</p> <p>გ) მოსწავლეები ასრულებენ სიმღერას „ეს საწყალი კურდღელი“ და შინაარსის თითოეულ დეტალს (სიტყვას, ფრაზას) შესაბამისი, მათ მიერვე წინასწარ გამოგონილ და მასწავლებელთან შეთანხმებულ შესტიკულაციას აყოლებენ.</p>	<p>ა) მოსწავლეები უსმენენ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს (ზ. ფალიაშვილი, ი. კეჭყყაძე), დგებიან და მარჯვენა ხელს გულზე იდებენ;</p> <p>ბ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეარჩიონ, თუ რომელი ნივთი და როგორი მოძრაობა შეეფერება სიმღერას „ჭრელო პეპელა“? „ეს აკვანი ხარატული“? სიფრიფანა ფერადი შარფი, სათამაშო აკვანი თუ თოჯინა. მოსწავლეები ასრულებენ შესაბამის მოძრაობას და თან, განმეორებისას, აჰყვებიან სიმღერას.</p> <p>გ) მოსწავლეები ასრულებენ სიმღერას „ეს საწყალი კურდღელი“ და შინაარსის თითოეულ დეტალს (სიტყვას, ფრაზას) შესაბამისი, მათ მიერვე წინასწარ გამოგონილ და მასწავლებელთან შეთანხმებულ შესტიკულაციას აყოლებენ.</p>	<p>მოსწავლეებმა უკვე კარგად იციან, რომ ჰიმნი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის მთავარი სიმღერაა.</p>	<p>გ) მოსწავლეებმა იოლად იმახსოვრებს, რადგან შესტიკულაცია მისივე გამოგონილია. ასეთი აქტივობისას იგი იოლად აღიქვამს და ამახსოვრდება სიმღერის შინაარსიც და ასევე იოლად გამოხატავს ემოციურ დამოკიდებულებასაც.</p>

მიმართულება: კომუნიკაცია, ინტერაკტიუმი

შედეგი / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რესურსები	შენიშვნა
მუს.1.4. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი და-მოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ	მოცემულ შემთხვევაში ვიყენებთ მუს.1.3. შედეგის 1. ინდიკატორის ა) აქტივობას მხიარული და მოწყვნილი სახეები. მოსწავლე ცდილობს დაასაბუთოს, რატომ მოეწონა ან არ მოეწონა.	იხ. მუს.1.3. შედეგის 1. ა) აქტივობის რესურსები.	შესაძლოა, პირველად სკოლისთვის ძნელი აღმოჩნდეს იმის დასაბუთება, თუ რატომ მოეწონა ან არა. ამ შემთხვევაში დასაბუთებად შეიძლება მივიღოთ ის, რომ „მოეწონა, რადგან მხიარულია“ და ა.შ.
2. განარჩევს ერთ-მანეთისგან ნაცნობ და უცნობ მელოდიას;	ა) მოსწავლეებს გაკეთებულ მოაქვს მწვანე და ყვითელი პატარა-პატარა ფერადი ფურცლები. თანმიმდევრულად ასმენინებს მოსწავლეებს ნაცნობ და უცნობ მუსიკალურ ფრაგმენტებს და სთხოვს მოსწავლეებს, ნაცნობ მელოდიას მწვანე ბარათი ასწიონ, უცნობზე – ყვითელი.	მოსამგენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: პროგრამით გათვალისწინებული მუსიკალური ნაწარმოებები (მოსწავლეების შერჩევით), ფერადი ბარათები.	ბ) შესაძლოა, უცნობი მასალის მოსმენისას რომელიმე მოსწავლემ თქვას, რომ „იცის ეს მუსიკა“. მაშინ მოსწავლეები სთხოვს, გაიხსენებინონ აპყვეს, გაიხსენებინონ.

<p>ნოს ტექსტი, შინაარსი (თუ სიმღერაა), ან გაიხსენოს, სად მოუსმენია.</p> <p>აქტივობა ბ) შეიცავს, ასევე, მუს. I.4. შედეგის 3. ინდიკატორის აქტივობებსაც.</p> <p>გ) ამ ასაკში სიმღერის ამოცნობა გულისხმობს მელოდიის აყოლას, ტექსტის, შინაარსის რომელიმე დეტალის, ან იმ კონტექსტის გახსენებას, სადაც ეს მუსიკა მოისმინა.</p>		<p>ბ) მასწავლებელი რიგ-რიგობით რთავს ნასწავლ ნაცნობ სიმღერებსა და საბავშვო პიესებს და მოსწავლეები სიმღერით ან ტაშით აჰყევიან მათ. შიგადაშიგ ურევს უცნობ მასალას (შესაძლოა, ეს იყოს ზედა კლასებში ასათვისებელი მასალა).</p> <p>გ) მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, ითამაშონ "გამოიცანი მელოდია".</p>	
	<p>იხ. მუს. I.3. შედეგის 1. გ) და 3. ბ) აქტივობების რესურსები.</p>	<p>იხ. მუს. I.3. შედეგის 1. ინდიკატორის გ) და 3. ინდიკატორის ბ) აქტივობები.</p>	<p>3. მოსმენისას ტაშით, სიმღერით, მოძრაობით აჰყევიან მუსიკას;</p> <p>4. მუსიკით გამონეგულ განწყობილებას, ემოციას გადმოსცემს ნახატში.</p>
<p>ნლის ბოლოს, შესაძლებელია, მასწავლებელმა სამი პიესიდან გააკეთებინოს არჩევანი.</p>	<p>მოსამშენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: კ. სენსანი - პიესები: „სპილო“, „ვირი“ (ციკლიდან „ცხოველთა კარნავალი“, პ. ჩაიკოვსკი - „პატარა გიდეების ცეკვა“, რიმსკი-</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე წერს ორ სათაურს: 1. „სპილო“ და „პატარა გიდეების ცეკვა“; ან 2. „ვირი“ და „კელას გაფრენა“. ურიგებს მოსწავლეებს უსათაურო ფოტომასალას (1. სპილო, გიდეები; 2. ვირი, ნებისმიერი მწერი და სთხოვს, შეურიონ ნახატებს შესაფერისი მუსიკა. შესაძლოა, ფოტომასალის დარიგების ნაცვლად/შემ-</p>	

	<p>დებ, მუსიკის მოსმენის შემდეგ მოსწავლეებმა დახატონ შესაბამისი ნახატები.</p>	<p>კორსაკოვი - „კელას გაფრენა“; ფოტოსურათები: სპილო, გედები, ვირი, კელა (მწერი); ფურცლები და ფერადი ფანქრები.</p>	
<p>მუს.1.5. მოსწავლის შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება.</p> <p>1. საჭიროების შემთხვევაში ელემენტარულად განმარტავს ტერმინებს;</p>	<p>ა) მოსწავლეები მოსმენენ პ. ჩაიკოვსკის პიესას „ძიძას ზღაპარი“ („საბავშვო ალბომიდან“).</p> <p>მასწავლებელი ეკითხება: - რომელ საკრავზე სრულდება ნაწარმოები? დოლზე, სალამურზე თუ ფორტეპიანოზე? - რა შეიძლება გუწოდოთ ამ პატარა საფორტეპიანო ნაწარმოებს? ნახატი, მოთხრობა თუ მუსიკალური პიესა? სავარაუდოდ, მოსწავლეები პასუხობენ სწორად და მართივად ახსნიან დასახელებულ ტერმინებს.</p> <p>ბ) მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს დიდი ზომის ფოტოსურათს - საკონცერტო დარბაზის სცენაზე ორკესტრი უკრავს, დარბაზში კი მსმე-</p>	<p>ა) ფორტეპიანო, სანოტო მასალა: პ. ჩაიკოვსკი - „ძიძას ზღაპარი“ ციკლიდან „საბავშვო ალბომი“.</p> <p>ბ) ფოტოსურათი: საკონცერტო დარბაზი; დაფა, მარკერი.</p>	

<p>2.სწორად ნარ-მოთქვამს ნასწავლ ტერმინებს საუბრის დროს;</p>	<p>ნელი ზის. მოსწავლეები აღწერენ სურათს - რას აკეთებენ მუსიკოსები, დარბაზში მყოფი ხალხი? მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს: პოეტი, მსმენელი, მოცეკვავე, შემსრულებელი. მათ უნდა გადახაზონ ორი არასწორი პასუხი.</p>	<p>სათამაშო მუსიკალური საკრავები: ტურის გარმონი, ქსილოფონი, გიტარა, სალამური, საყვირი და ა.შ.</p>	<p>ტერმინების დამახსოვრებისას მთავარია მასწავლებელმა ისინი მოსწავლისათვის გასაგებად, გამართივებულად და ასოციაციების მოშველიებით ახსნას.</p>
<p>4. უცნობი ტერმინის, სიტყვის გაგებისას სვამს კითხვებს მათი მნიშვნელობის დაზუსტების მიზნით.</p>	<p>მასწავლებელი კლასს დაყოფს ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფის მოსწავლეებისგან გუნდს შექმნის, მეორე ჯგუფის მოსწავლეები ნასწავლ საკრავებზე დაკვრის იმიტირებას ახდენენ. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: - რა ჰქვია მომღერლებისგან შექმნილ კოლექტივს? მოსწავლეები იხსენებენ ტერმინს „გუნდი“. რას ვუწოდებთ სხვადასხვა საკრავზე შემსრულებელ მუსიკოსთა კოლექტივს? მოსწავლეები იხსენებენ ტერმინს „ორკესტრი“.</p>	<p>ა) მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ერთ-ერთი სიმფონიური კონცერტის ამსახველ ფოტომასალას, შესაძლებლობის შემთხვევაში, ვიდეო კადრებს. მოსწავლეები საუბრობენ ნანახის შესახებ, იხსენებენ ტერმინებს: ორკესტრი, შემსრულებელი, მუსიკოსი; ამოცნობენ ნასწავლ საკრავებს და ასახელებენ მათ. სავარაუდოდ, სვამენ კითხვებს დირიჟორის ვინაობისა და ფუნქციის შესახებ.</p>	<p>ა) ორკესტრის ამსახველი ვიდეოკადრები⁴, ფოტომასალა.</p>

4 I-VI კლასის აქტივობებისთვის განკუთვნილი ვიდეომასალა იხილეთ თანდართულ DVD-ზე.

	<p>ბ) მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს რ. ლალიძის საორკესტრო პიესას „საჭიდაო“. სურვილის მიხედვით, მოსწავლეები უდირიფორე-ბენ ამ ნანარმოებს, ხელის მოძრაობით აჰყვებიან მუსიკის ხასიათს.</p>	<p>ბ) მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანანერი: რ. ლალიძე - საორკესტრო პიესა „საჭიდაო“.</p>	
<p>მუს. I.6. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში</p> <p>1. მონაწილეობს თამაშებში, კლასის ზეიმში, თემატურ ღონისძიებებში;</p>	<p>აქტივობა: „ინტერვიუ“ მასწავლებელი გაკვეთილის თემად ასახელებს ინტერვიუს. გაკვეთილი იწყება თამაშით - „ინტერვიუ“. ერთ-ერთი მოსწავლე აიღებს ინტერვიუს თანაკლასელებისაგან. ინტერვიუს თემა, ცხადია, მუსიკაა. ამისათვის მან წინასწარ უნდა მოიფიქროს საკითხი, რის შესახებაც ესაუბრება მეგობრებს. კითხვები ზოგადი სახის უნდა იყოს და შეეხებოდეს მუსიკას. მაგალითად, გიყვართ თუ არა მუსიკა? ხშირად უსმენთ მუსიკას? როგორი სიმღერები მოგწონთ? დაასახელეთ თქვენი საყვარელი სიმღერა, მიმდერალი და ა. შ.</p>	<p>სათამაშო მიკროფონი</p>	<p>თვალსაწინობისთვის კარგი იქნება, თუ მასწავლებელი წინასწარ ჩამოართმევს ინტერვიუს ერთ-ერთ მოსწავლეს. თემატური თამაშები განსაკუთრებით სასარგებლო და საჭიროა პირველი-მეორე კლასის მოსწავლეებისათვის. ეს აქტივობა შეიძლება გამოვიყენოთ მუს. 1.3. შედეგის 2. ინდიკატორის მიმართ.</p>

<p>2. ესწრება კონცერტებს, წარმოდგენებს.</p>	<p>ა) მოსწავლე ესწრება სკოლის საანგარიშო კონცერტს, ყურადღებით უსმენს და მომდევნო გაკვეთილზე საუბრობს - რა მოეწონა, რა არ მოეწონა.</p> <p>ბ) აქტივობა: „სტუმრის მოპატიჟება“.</p> <p>მოსწავლეები და მასწავლებელი მოიპატიჟებიან ბენ ქართველ მუსიკოსს (კომპოზიტორს, შემსრულებელს), ანსამბლს; წინასწარ გაეცნობიან მათ მოღვაწეობას, შემოქმედებას, ცხოვრებას, მოსწავლეობას.</p>		<p>ა) სასურველია მოსწავლეთა დასწრება სკოლის საანგარიშო კონცერტზე და სხვადასხვა სახის ღონისძიებაზე, რადგან ზოგი მათგანისთვის ეს კონცერტი შეიძლება იყოს პირველი შეხება მუსიკის საჯარო შესრულებასთან.</p>
---	--	--	--

<p>მუს. I.7. მოსწავლეს აქვს უნარი, პატივისცემით მოეკიდოს სხვის შემოქმედებას, აზრს.</p>	<p>მასწავლებელი მღერის ნასწავლ სიმღერას (მაგალითად, „ჭრელი პუკლას“) ინტონაციურად უსუფთაოდ, რიტმის დარღვევით და სთხოვს მოსწავლეებს, რეაგირება მოახდინონ მის ნამღერზე, მისცენ შენიშვნა, რწევა და ა.შ.</p> <p>მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ აზრს. მასწავლებელი არეგულირებს მათ გამოხატულებას კორექტულობის თვალსაზრისით.</p>	<p>ფორტიპიანო, სანოტო</p> <p>მასალა: „ჭრელი პუკლა“.</p>	<p>მოსწავლე ყურადღებით უნდა უსმენდეს მასწავლებელს და არ ერეოდეს საუბარში, ასევე თანაკლასელის საუბრის, სიმღერის დროს უნდა იცავდეს ქცევის ნორმებს, შენიშვნის შემთხვევაში იყოს კეთილგანწყობილი, კორექტული.</p>
<p>1. იცავს ქცევის ნორმებს სხვისი სიმღერის, საუბრის დროს;</p>			

<p>2. მხარს უჭერს და ამხნევებს თანაკულასელს შემოქმედებით პროცესში (სიმღერა, ეტიუდი, ცეკვა, დაკვრა, საკონცერტო გამოსვლა).</p>	<p>აქტივობა: „პრეზენტაცია“. მოსწავლეებმა უნდა წარადგინონ საკუთარი ნამუშევრები თემაზე „სამშობლო“. ზოგი წარადგენს სიმღერას, ნახატს, ზოგი - ლექსს. მოსწავლეები პატივისცემით კიდებენ თანაკლასელის შემოქმედებას, მხარს უჭერენ და ამხნევებენ ერთმანეთს.</p>	<p>ნახატები, ლექსები, სიმღერები სამშობლოზე (მოსწავლეთა შერჩევით).</p>	
--	---	---	--

გიმარტულაბა: მუსიკალური ნანარმოების აღკბა კონტაქტში

<p>უბღაბი / ინდიკატორი</p>	<p>ტიპური აქტივობები</p>	<p>რესურსები</p>	<p>შენიშვნა</p>
<p>მუს.ი.მ. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნანარმოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება.</p>			
<p>1. ამოიცნობს ნასწავლ სამოსწავლეო სიმღერებს;</p>	<p>მოცემულ შემხვეკვაში მასწავლებელი იყენებს მუს. 1.4. შედეგის 2. ინდიკატორის ბ) აქტივობას, უცნობი მასალის ჩართვის გარეშე. უკრავს ნასწავლი სიმღერების ინსტრუმენტულ ვერსიებს.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ნასწავლი სამოსწავლეო სიმღერები (მასწავლებლის შერჩევით); მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანანერი: პროგრამით გათვალისწინებული</p>	

	<p>მუსიკალური ნაწარმოებები (მასწავლებლის შერჩევით).</p>		
<p>2. იხსენებს სად, რა გარემოში მოუსმენია ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები;</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ჯ. პიერ-პონტერი - "Jingle Bells".</p>	<p>ა) მოსწავლეები უსმენენ ჯ. პიერპონტერის სიმღერას – "Jingle Bells" და მსჯელობენ, როდის და სად მოუსმენიათ ეს სიმღერა? წელიწადის რომელ დროს, რა მოვლენასთან დაკავშირებით უღერს ყველაზე ხშირად იგი?</p> <p>ბ) იგივე აქტივობა შეიძლება განვახორციელოთ ქართული ხალხური სიმღერების (მაგალითად, საშობაო, სააღდგომო) გამოყენებითაც.</p>	<p>ბ) მოსწავლეთა ეროვნებისა და აღმსარებლობის გათვალისწინებით, საშობაო და სააღდგომო სიმღერების გარდა, შესაძლებელია უნივერსალური დატვირთვის – საახალწლო, საგაზაფხულო სიმღერების სწავლებაც.</p>
<p>3. იხსენებს თავის საყვარელ მუსიკალურ ნაწარმოებებს;</p>	<p>ფერადი ბარათები, ფერადი ფანქრები.</p>	<p>მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს პატარა ფერად ბარათებს და სთხოვს, დაწერონ მათი საყვარელი სიმღერის/პიესის სახელი ან დახატონ მისი სათაური და გააფორმონ ბარათები სიმღერის შესაფერისი ნახატებით.</p>	
<p>4. მუსიკალური ნაწარმოების შინაარსთან დაკავშირებით სვამს</p>	<p>ფორტიპიანო, სანოტო მასალა: ხალხური სიმღერა „ახ, ლაზარე, ლაზარე“.</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ ხალხურ სიმღერას „ახ, ლაზარე, ლაზარე“. მასწავლებელი ეკითხება: იცით, ვინ არის ლაზარე? პატარა ბიჭი გგონიათ? მოსწავლეებს ებაძებათ შეკითხვები ლაზარეს</p>	

კითხვებს, იხსენებს მსგავს სიუჟეტს, პერსონაჟს;	შესახებ. მასწავლებელი უყვება მათ ლაზარობის რიტუალის შესახებ.		
5. აკვშირებს მუსიკალურ ნაწარმოებთან შესაბამის ვიზუალურ მასალას და იხსენებს საკუთარ შთაბეჭდილებებს (ფოტო, ვიდეო ჩანაწერი...).	ამ შემთხვევაში გამოიყენება მუს.1.4. შედეგის 4. ინდიკატორის აქტივობა. ასევე, მასწავლებელს გაკვეთილზე მოაქვს სხვა ფოტოებიც: გელის, ქათმისფეხებიანი ქოხისა და კუდიანი დედაბრის, პრინციცისა და პრინცი და ა.შ. მოსწავლეები მიუსადაგებენ მათ შესაბამის პიესებს: კ. სენ-სანსის „გელი“, პ. ჩაიკოვსკის „კუდიანი დედაბერი“ ციკლიდან „საბავშვო ალბომი“, „ვალსი“ ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი“ და ა. შ. მოსწავლეები იხსენებენ, რომ გელი, სპილო და კენგურუ უნახავთ ზოოპარკში, კუდიანი დედაბერი, მძინარე მზეთუნახავისა და პრინციცის ცეკვა – მულტფილში და ა. შ.	მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: კ. სენ-სანსი - „გელი“, პ. ჩაიკოვსკი - „კუდიანი დედაბერი“ ციკლიდან „საბავშვო ალბომი“, „ვალსი“ ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი“; ფოტოსურათები: გელი, ქათმისფეხებიანი ქოხი და კუდიანი დედაბერი, პრინციცა და პრინცი.	ეს აქტივობა ასევე შეიცავს მუს.1.8. შედეგის 2-3 ინდიკატორების აქტივობებსაც.

მუს.1.9. მოსწავლე იცნობს ნასწავლ მუსიკალურ საკრავებს			
1. ჩამოთვლის ნაცნობ მუსიკალურ საკრავებს;	მოსწავლეები გაიხსენებენ, რომელ საკრავებს იცნობენ, როგორ უკრავენ ამ საკრავებზე. მასწავლებელი სთხოვს სალამურზე, დოლზე, დოლზე,	მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: დასაკრავი სალამურზე, დოლზე;	შეიძლება მასწავლებელმა წინასწარ მოამზადოს მასალა იმ ზღაპრებიდან,



<p>რომლის პერსონაჟებიც სხვადასხვა საკრავზე უკრავენ (მაგალითად, „ნიქარა“ – სალამური). ასეთი ასოციაციები უფრო აადვილებს დამახსოვრების პროცესს. ასევე სასურველია ვიზუალური მასალის – მხატვრის ილუსტრაციების გამოყენება.</p>	<p>სათამაშო მუსიკალური საკრავები.</p>	<p>ფორტეპიანოსა და ფლეიტაზე დაკვრის იმიტირება მოახდინონ. მასწავლებელი მოასმენინებს სალამურისა და დოლის ხმოვანებას. მოსწავლეები ამოიცნობენ საკრავებს ჟღერადობის მიხედვით და ამ საკრავებზე დაკვრის იმიტირებას ახდენენ.</p>	<p>სათამაშო მუსიკალური საკრავები.</p>
<p>2. ამოიცნობს საკრავებს ფორმის მიხედვით;</p>	<p>დიდი ზომის ფორტოსუ-რათები: სალამური, დოლი, ფორტეპიანო, ვიოლინო, ფლეიტა; ფანქრები, სახატავი რვეულები.</p>	<p>მასწავლებელი მოიტანს დიდი ზომის ფორტოსურათებს, სადაც სხვადასხვა ჯგუფის ხალხური და პროფესიული საკრავებია ასახული. მოსწავლეები ათვალიერებენ და ამოიცნობენ ნასწავლ საკრავებს ფორმის მიხედვით. ესენია: სალამური, დოლი, ფორტეპიანო, ვიოლინო, ფლეიტა. მოსწავლეები ცდილობენ გადახატონ ეს საკრავები სამუშაო რვეულებში.</p>	<p>იმისათვის, რომ მოსწავლემ ბევრი უცნობი საკრავიდან ამოიცნოს ნასწავლი საკრავები, ის კარგად უნდა იცნობდეს მათ ფორმას.</p>
<p>3. ამოიცნობს საკრავებს ჟღერადობის მიხედვით.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ქ. ვ. გლუკი - მელოდია ფლეიტისათვის ოპერიდან „ორფოსი“, ვ. ა. მოცარტი - „მენუეტი“ ფა მაჟორი, „ხორუმი“ დოლზე.</p>	<p>მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს სამ ფრაგმენტს: ქ. ვ. გლუკის მელოდიას ფლეიტისათვის ოპერიდან „ორფოსი“, ვ. ა. მოცარტის „მენუეტს“ ფა მაჟორი და „ხორუმს“ დოლზე. მოსწავლეები ჟღერადობის მიხედვით ამოიცნობენ საკრავებს და ასაბუთებენ საკუთარ პასუხებს.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ქ. ვ. გლუკი - მელოდია ფლეიტისათვის ოპერიდან „ორფოსი“, ვ. ა. მოცარტი - „მენუეტი“ ფა მაჟორი, „ხორუმი“ დოლზე.</p>


<p>მუს. I.10. მოსწავ- ლეს შეუძლია განასხვავოს გარე- მოში მოსმენილი ხმები.</p>	<p>1. არკვევს ხმის წარმოქმნის წყაროს (ტელეფონის ზარი, მანქანის მუხრუჭი, ფოთლების შრიალი) და ბაძავს მას;</p>	<p>2. განსაზღვრავს ხმის წყურადლობის ხანგრძლივობას (ხანგრძლივი, ხანმოკლე) და იმეორებს მას;</p>	<p>ა) მოსწავლეები მოსმენენ აუდიო ჩანაწერს - ჩიტების ჭიკჭიკს, ტელეფონის ზარის ხმას, ფორტეპიანოს ჟღერადობას, იმასსოფრებენ მოსმენილი ფრაგმენტების თანმიმდევრობას და განსაზღვრავენ ხმის წარმოქმნის წყაროს.</p> <p>ბ) მასწავლებელი მაგიდაზე დადებს სამ ფოტოსურათს: პირველზე ბუნებაა გამოსახული, მეორეზე - კაბინეტის ტიპის სამუშაო ოთახი, მესამე სურათზე - საფორტეპიანო მუსიკის კონცერტის ამსახველი კადრი. მოსწავლეები განსაზღვრავენ, რომელი სურათები შეესაბამება წინა აქტივობაში მოსმენილ ფრაგმენტებს და შესაბამისი თანმიმდევრობით აწყობენ ფოტოსურათებს.</p>	<p>ა) მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ჩიტების ჭიკჭიკი, ტელეფონის ზარის ხმა, ფორტეპიანოს ჟღერადობა.</p> <p>ბ) ფოტოსურათები: პეიზაჟი, კაბინეტის ტიპის სამუშაო ოთახი, საფორტეპიანო მუსიკის კონცერტის ამსახველი კადრი.</p>	<p>კლასში არსებული სხვადასხვა საგანი, სასწავლო ნივთები: რეკულის ფურცლები, სახაზავი, კალმის-ტრები და ა.შ.</p>	<p>ხმების თანმიმდევრობის დამახსოვრების მიზნით, მასწავლებელმა შეიძლება დაავალოს მოსწავლეებს, გააკეთონ მოსმენილი ხმების შესაბამისი ჩანახატები, რისთვისაც ფრაგმენტებს შორის გააკეთებ 2-3 წუთიან პაუზას.</p> <p>აქტივობა ა) შეიძლება გამოვიყენოთ მუს. 1.1. შედეგის 1. ინდიკატორის მიმართ.</p>	<p>ეს აქტივობა შეიძლება გამოვიყენოთ მუს. 1.1. შედეგის 3. ინდიკატორის მიმართ.</p>
--	---	---	---	--	--	---	--


<p>მ. გამობხატავს დამოკიდებულებას ხმის მიმართ (მოსონს, არ მოსონს).</p>	<p>მოსცემს. მოსწავლეები იმეორებენ, ამოიცნობენ, შემდეგ თვითონ ცდილობენ თანაკლასელს გამოაცნობინონ ხანგრძლივი და ხანმოკლე ბგერები.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ჩიტების ჭიკჭიკი, ბუზის ბზუილი, სალამურის, დოლის ხმა.</p>	
<p>მ. გამობხატავს დამოკიდებულებას ხმის მიმართ (მოსონს, არ მოსონს).</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს გარემოში არსებულ და მუსიკალურ ბგერებს. მაგალითად, ჩიტების ჭიკჭიკს, ბუზის ბზუილს, სალამურის, დოლის ხმას. მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ - რომელია მუსიკალური და არამუსიკალური ბგერა, შემდეგ გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება ხმის მიმართ: რომელი უფრო მეტად მოსწონთ - სალამური თუ დოლი? რომელი უფრო სასიამოვნო მოსასმენია - ჩიტების ჭიკჭიკი თუ ბუზის ბზუილი?</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ჩიტების ჭიკჭიკი, ბუზის ბზუილი, სალამურის, დოლის ხმა.</p>	

II კლასი

მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

შედეგი / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რესურსები	შანიშვნა
<p>მუს. II.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნაწივლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში.</p>	<p>ა) მასწავლებელი დაფაზე დაწერს რიტმულ ნახაზს.</p>  <p>ბ) მასწავლებელი ერთ ტონზე იმეორებენ ამ რიტმს, შემდეგ, ამავე რიტმულ სურათზე ცვლიან ბგერათსიმბალეს - მონაცვლეობით მღერიან ორ მეზობელ ბგერას.</p>	<p>ფორტეპიანო, ფოტოსურათი: მუსიკალური კიბე; დაფა, მარკერი.</p>	<p>იხ. რეკომენდაცია.</p>
<p>1. ერთ ტონზე სიმღერით იმეორებს მარტივ რიტმულ ნახაზს, ცვლის ბგერათსიმბალეს, ტემპს;</p>	<p>ა) მასწავლებელი დაფაზე დაწერს რიტმულ ნახაზს.</p>  <p>ბ) მასწავლებელი უკრავს ერთ ტონზე მარტივ</p>	<p>ფორტეპიანო, ფოტოსურათი: მუსიკალური კიბე; დაფა, მარკერი.</p>	<p>იხ. რეკომენდაცია.</p>

		<p>რიტმულ ნახაზს, შემდეგ ამგვე რიტმულ ნახაზზე შეცვლის ბგერათსიმბლეს - კვარტის ფარგლებში უკრავს აღმავალ და დაღმავალ მელოდias.</p> 	<p>მოსწავლეები მუსიკალური კიბის დახმარებით გამოიცნობენ მელოდის მიმართულებას.</p>						
<p>2. განასხვავებს ნელ და ჩქარ ტემპს;</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ლ. ბეთჰოვენი - „ზაზუნა“, რ. ლადიძე - „საჭიდაო“.</p>	<p>მასწავლებელი მოასმენინებს ნელი და ჩქარი ტემპის მქონე ნაწარმოებს: ლ. ბეთჰოვენის „ზაზუნას“ და რ. ლადიძის საორკესტრო პიესას „საჭიდაო“. მოსწავლეები ადგილზე მოძრაობით გამოხატავენ ტემპს - დადიან ნელა, ასრულებენ საჭიდაო ილეთებს ჩქარ ტემპში. მასწავლებლის კითხვაზე - როგორია ტემპი პირველ ფრაგმენტში, მეორე ფრაგმენტში, მოსწავლეები პასუხობენ.</p>	<p>ეს აქტივობა ახლოს დგას მუს. III. 3. შედეგის 1. ინდიკატორის აქტივობებთან, თუმცა, იქ ტემპის ამონიობას ვუკავშირებთ განწყობილებას.</p>						
<p>3. ახასიათებს კონკრეტულ ფრაგმენტს მელოდის, ტემპის, ხმოვანების სიძლიერის მიხედვით;</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: პ. ჩაიკოვსკი - „ტრეპაკი“; დაფა, მარკერი.</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე ხაზავს სამგაყოფილებიან ცხრილს. მოსწავლეებმა უნდა ჩანერონ ნაწარმოების სახელწოდება, ტემპი და ხმოვანების სიძლიერე. ამ მიზნით მოსმენენ პ. ჩაიკოვსკის ცეკვას „ტრეპაკი“.</p> <table border="1" data-bbox="1138 975 1241 1497"> <thead> <tr> <th>ნაწარმოები</th> <th>ტემპი</th> <th>ხმოვანების სიძლიერე</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table>	ნაწარმოები	ტემპი	ხმოვანების სიძლიერე				<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: პ. ჩაიკოვსკი - „ტრეპაკი“; დაფა, მარკერი.</p>
ნაწარმოები	ტემპი	ხმოვანების სიძლიერე							

<p>4. ტაშით, კაკუნით იმეორებს მარტივ რიტმულ ნახაზს;</p>	<p>ა) მასწავლებელი ტაშით ან კაკუნით გამოხატავს ორ რიტმულ ნახაზს. მოსწავლეები პირველს არქმევენ მარშის რიტმს, მეორეს კი, თანაბარი მოძრაობით, საათის წიკნიკს ადარებენ.</p> <p>1. </p> <p>2. </p> <p>მოსწავლეები ყურადღებით უსმენენ, იმახსოვრებენ ორივე ნახაზს და იმეორებენ.</p> <p>ბ) მასწავლებელი ტაშით ან კაკუნით გამოხატავს წინა აქტივობის ერთ-ერთ რიტმულ სურათს, მოსწავლეები ამოიცნობენ. - მარშია თუ საათის წიკნიკი? - ეკითხება მასწავლებელი.</p>	<p>ამ აქტივობის ათვისების შემდეგ, შეიძლება მისი გართულება და უკვე სამი რიტმული ნახაზიდან ერთ-ერთის ამოცნობა.</p>	
<p>5. თანაკლასელებთან ერთად უკრავს სათამაშო ინსტრუმენტებისგან და სხვადასხვა საგნისაგან შემდგარ „ანსამბლში“, ორკესტრში;</p>	<p>ა) მოსწავლეებმა უნდა შექმნან დასარტყამ საკრავთა ანსამბლი. ამ მიზნით იყენებენ სხვადასხვა საგანს: მაგიდას, სკამს, ხის კოვზებს, საჩხაკუნოებს...</p> <p>მასწავლებელი ხალხური სიმღერის „ცანგალა და გოგონა“ მუსიკალურ ფრაზებს დაუნაწილებს პატარ-პატარა ჯგუფებს. სიმღერის პირველ ფრაზას შეასრულებს დასარტყამ საკრავთა ჯგუფი - დოლის იმიტირებით, მეორე ფრაზას „საჩხაკუნო“ საკრავთა ჯგუფი და ა.შ.</p>	<p>ა) ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური სიმღერა „ცანგალა და გოგონა“; მაგიდა, სკამი, ხის კოვზები, საჩხაკუნოები.</p>	

	<p>ბ) მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან კლასის ორკესტრიც. ამ მიზნით უნდა მოიძიონ და მოიტანონ სათამაშო მუსიკალური საკრავები. აუდიო ჩანაწერის ფონზე მოსწავლეები მოახდენენ ამ საკრავებზე დაკვრის იმიტირებას.</p>	<p>ბ) მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: პროგრამით გათვალისწინებული მუსიკალური ნაწარმოები (მასწავლებლის შერჩევით); სათამაშო საკრავები: გიტარა, ტურის გარმონი, საყვირი, ქსილოფონი, ფორტეპიანო, სათამაშო კლავიატურა.</p>	
<p>რეკომენდაცია: თავდაპირველად მოსწავლეები უნდა მიეჩვიონ ერთ ტონზე სიმღერას, შემდეგ მეზობელი ბგერების, ტერცის, კვარტის ფარგლებში აღმავალი და დაღმავალი მელოდიის აღქმას, სიმღერას, გამოცნობას. აღმავალი და დაღმავალი მოძრაობის საილუსტრაციოდ, კარგი იქნება მუსიკალური კიბის ფოტომასალის გამოყენება.</p>			
<p>მუს. II.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად</p>			
<p>1. ხმას აყოლებს თანაკლასელების, მასწავლებლის სიმღერას, მუსიკალურ თანხლებას;</p>	<p>მოსწავლეები შეისწავლიან მ. დავითაშვილის „მანანას სიმღერას“. მელოდია და ტექსტი შეისწავლება ერთად, ფრაზებად. მოსწავლეები მღერიან ერთდ, ხმას აყოლებენ მასწავლებლის ნამღერს, ხოლო მისამღერს კი - დამოუკიდებლად, მასწავლებლის დახმარების გარეშე, მუსიკალურ თანხლებასთან ერთად.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა ან ფორტეპიანო, აუდიო ან სანოტო მასალა: მ. დავითაშვილი - "მანანას სიმღერა".</p>	

	ფორტეპიანო	
<p>2. სიმღერით იმეორებს მუსიკალურ ფრაზებს;</p>	<p>მოსწავლეები მღერაიან გამისებურ აღმავალ და დაღმავალ მელოდიას კვინტის ფარგლებში, სიტყვებზე „აფირბინე ზევით, ისეე ჩამოვირბინე“.</p>  <p>ამ ფრაზას იმეორებენ სხვადასხვა სიმაღლიდან, საშუალო რეგისტრის ფარგლებში.</p>	<p>ა) მასწავლებელი ასეთ აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს: ხალხური სიმღერის – „ლაზარე“ – ფრაზების მიხედვით კარგად შესწავლის შემდეგ, დაინანილონ ფრაზები და იმღერონ შემდეგი სახით: პირველი ფრაზა გიორგიმ, მეორე - მარიამმა და ა.შ.</p> <p>ბ) მასწავლებელი, გ. ცაბაძის სიმღერის – „ანა-ბანა“ – კარგად შესწავლის შემდეგ, სთავაზობს მოსწავლეებს სიმღერის შესრულების ასეთ ხერხს: პირველ ფრაზას იმღერებს ყველა ერთად, ხმამაღლა; მეორე ფრაზას-ყველა გულში, ჩუმად, შემდეგ ისეე ხმამაღლა და ა. შ. შესაძლებელია სხვა ვარიანტიც: 1- ხმამაღლა, 2 - მოკუმული პირით, 3 - ისეე ხმამაღლა, 4 - გულში, ჩუმად.</p>
<p>3. ენაცვლება თანაკლასელებს სიმღერის ცალკეულ ფრაზებად შესრულებისას;</p>	<p>ა) ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური სიმღერა „ლაზარე“.</p> <p>ბ) ფორტეპიანო, სანოტო მასალა: გ. ცაბაძე - სიმღერა „ანა-ბანა“.</p>	<p>ბ) რადგან გულში სიმღერა რთულია, სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეები ჯერ მოკუმული პირით ამღეროს, ხოლო შემდეგ გულში, უხმოდ.</p>
<p>4. მღერის თანაკლასელებთან ერ-</p>	<p>ფურცლები, კალმისტრები.</p>	<p>იხ. რეკომენდაცია.</p>

<p>თად პოპულარულ მელოდიებს და ერთხმიან სიმღერებს;</p>	<p>ღერის ან მელოდიის შესრულება უნდათ. ისინი წერენ. მომდევნო გაკვეთილზე, მასწავლებელი ატყობინებს მოსწავლეებს წერიით გამოკითხვის შედეგებს - რომელმა სიმღერამ ან მელოდიამ მიიღო ყველაზე მეტი ხმა. შემდეგ მოსწავლეები სწავლობენ ამ სიმღერას.</p>	<p>ფორტუპიანო, სანოტო მასალა: ლ. იაშვილი - სიმღერა „კომში, კომში, კომარა“.</p>	<p>ამ აქტივობის ჩატარებაში, მოსწავლეები ზედმიწევნით კარგად უნდა ერკვეოდნენ მასწავლებლის მინიშვნებებში, ხელის მოძრაობაში. მასწავლებლის მინიშვნებებში უკეთ გარკვევის მიზნით, სასურველია, მოსწავლეებმა თავადაც სცადონ დირიჟორობა, რაც სახალისოა და თამაშის ელემენტებსაც შეიცავს. ასეთი აქტივობა ავითარებს წარმოსახვას, ხევის გამოხატვით მოძრაობებს, სიმბოლურ აზროვნებას.</p>
<p>5. რეაგირებს მუსიკის მასწავლებლის მინიშვნებებზე (ჩუმად, ხმამაღლა, ნელა, ჩქარა, ერთად, თავიდაც).</p>	<p>მოსწავლეები მღერიან ერთ-ერთ ნასწავლ სიმღერას. მაგალითად, ლ. იაშვილის „კომში, კომში, კომარა“. მასწავლებლის მიზანია, შეამოწმოს მოსწავლეთა რეაგირება მის მინიშვნებებზე. მოსწავლეები ყურადღებით უყურებენ მისი ხელის მოძრაობას, სახის გამომეტყველებას და ცდილობენ, ყოველ მინიშვნაზე სწორი რეაგირება მოახდინონ. მაგალითად, მინიშვნების მიხედვით, პირველი ორი ფრაზა იმღერიონ ხმამაღლა, შემდეგი ორი - ჩუმად, მეორე კუპლეტის პირველი ორი ფრაზა იმღეროს სოლისტმა, შემდეგი ფრაზები კი - ერთად, მთელმა გუნდმა.</p>	<p>ფორტუპიანო, სანოტო მასალა: ლ. იაშვილი - სიმღერა „კომში, კომში, კომარა“.</p>	<p>ამ აქტივობის ჩატარებაში, მოსწავლეები ზედმიწევნით კარგად უნდა ერკვეოდნენ მასწავლებლის მინიშვნებებში, ხელის მოძრაობაში. მასწავლებლის მინიშვნებებში უკეთ გარკვევის მიზნით, სასურველია, მოსწავლეებმა თავადაც სცადონ დირიჟორობა, რაც სახალისოა და თამაშის ელემენტებსაც შეიცავს. ასეთი აქტივობა ავითარებს წარმოსახვას, ხევის გამოხატვით მოძრაობებს, სიმბოლურ აზროვნებას.</p>
<p>რეკომენდაცია:</p>	<p>სიმღერის შესწავლისას ვეყრდნობით შემდეგ გეგმას: 1. ვკითხულობთ სიმღერის ტექსტს და ვარჩევთ შინაარსობრივად რთულ ადგილებს; 2. ვისმენთ სიმღერის აუდიო ჩანაწერს ან მასწავლებლის ნამღერს; 3. სიმღერას ვყოფთ ფრაზებად; 4. ფრაზების მიხედვით ვსწავლობთ სიმღერის პირველ, შემდეგ მეორე ხმას ტექსტთან ერთად (სამხმარიანობის შემთხვევაში ბანსაც); 5. ვანაწილებთ და</p>		

ვაერთებთ ხმებს მასწავლებლის დახმარებით. 6. წინასწარ გაანალიზებული დინამიკური ნიუანსების დაცვით ვასრულებთ სიმღერას. მასწავლებელმა ძალიან არ უნდა შეზღუდოს მოსწავლეები სიმღერის სწავლის ვადებში. უბრალოდ, ყურადღება მიაქციოს, მოტივირებულნი არიან თუ არა მოსწავლეები სიმღერის სწავლის დროს და მისცეს დრო, აითვისონ სიმღერა.

<p>მუს. II.3. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამობატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული განწყობილების გადმოსაცემად.</p>			
<p>1. ხმის, მოძრაობის, მიმოკის, ჟესტის, ტაშის, ხმაურის საშუალებით გამოხატავს ამა თუ იმ განწყობილებას;</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა ხასიათის პიესებს: ი. ბრამსის “უნგრულ ცეკვას” და გურულ ხალხურ “ბატონებს” (ან ორ სხვა პიესას მასწავლებლის შერჩევით). მასწავლებელი მოსმენამდე სთხოვს, მოიფიქრონ, რომელი აქტივობა შეეფერება ამა თუ იმ პიესას. ეს აქტივობებია: ტაშით აყოლა, ფეხების ბაკუნი, ნარნარი, რწევითი მოძრაობა.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ი. ბრამსი - „უნგრული ცეკვა“, ხალხური სიმღერა „ბატონებო“.</p>	<p>აუცილებელი პირობაა ის, რომ შერჩეული პიესები თავიანთი ხასიათით ერთმანათისაგან რადიკალურად განსხვავდებოდნენ.</p>
<p>2. გამოხატავს ამავე განწყობილებას ინსტრუმენტთან შეხების, ხმაურის, ტაშის, ნახატის საშუალებით;</p>	<p>მოსწავლეები განწყობილების მიხედვით ახასიათებენ ნასწავლ სიმღერებს, მაგალითად, „ლაზარეს“, „კომში, კომში, კომარას“, ხოლო შემდეგ რიგრიგობით მიდიან ინსტრუმენტთან და მასწავლებლის დახმარებით ცდილობენ, შეახამისი ბგერები ან მცირე, მარტივი მოტივები აიღონ.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური „ლაზარე“, ლ. იაშვილი - სიმღერა „კომში, კომში, კომარა“.</p>	<p>წინაპირობა: მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მოსწავლეს მუსიკალური ბგერების სხვადასხვა ხერხით (იგულისხმება შტრიხები) აღება.</p>

3. მუსიკალური ნაწარმოებებიდან მიღებული განწყობილების გადმოსაცემად სხვებთან ერთად გაითამაშებს მართვ ეტიუდებს შემსაბამისი იმპროვიზაციული ტექსტის დამატებით;	მოსწავლეები უსმენენ/სწავლობენ მ. ოთიაშვილის სიმღერას „ნოე ბაბუ“ . მასწავლებელი უამბობს მათ ბიბლიურ ამბავს ნოესა და მის კიდობანზე. ამის შემდეგ კლასი აირჩევს ნოეს როლის შემსრულებელ მოსწავლეს, დანარჩენები – განსახიერებენ ხალხს, და მუსიკის ფონზე, მოყოლილი ამბის მიხედვით, სიმღერითა და თავიანთი სიტყვებით გაითამაშებენ ნოეს ამბავს.	ფორტიპიანო, სანოტო მასალა: მ. ოთიაშვილი - სიმღერა „ნოე ბაბუს კიდობანი“ .	შესაძლებელია, სიმღერის სიუჟეტს გავცდეთ და ბიბლიური სიუჟეტიდან გამომდინარე შეფეყვანოთ ცხოველების წყვილები. სიუჟეტურად გამოსადეგ სიმღერას/სიმღერებს თუ მოვნახავთ, მაშინ ამ სავარჯიშოს გამრავალფეროვნებაც შეიძლება.
4. სხულის მოძრაობით გადმოსცემს მუსიკით გამონევეულ ემოციას;	მოსწავლეები უსმენენ რ. შუმანის პიესას ”მამაცი მხედარი“ ; მასწავლებელი სთხოვს მათ, თავად გახდნენ პატარა მამაცი მხედრები და აჰყვნენ მუსიკას.	მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: რ. შუმანი - „მამაცი მხედარი“ .	მოცემულ აქტივობას ნაწილობრივ. ასევე შეესაბამება მუს. II.3. შედეგის 1. ინდიკატორის აქტივობაც.

ვიმართულა: კომუნიკაცია, ინტერაკტივობა

შედეგი / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რესურსები	შენიშვნა
მუს. II.4. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი და მოკიდებულების გამოხატვა მოსმე-			

<p>ნილი მუსიკალური ნანარმოების მიმართ.</p>	<p>1. გამობატავს დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას მოსმენილი ნანარმოების მიმართ;</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ პროგრამით გათვალისწინებულ რომელიმე ნანარმოებს. მაგალითად, ს. პროკოფიევის “გაგოტს” და ს. ცინცაძის საკვარტეტო მინიატურას “სოფლური ცეკვა”. მოსმენის შემდეგ, მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, მოეწონათ თუ არა ნანარმოები. თითოეულ პასუხზე სვამს კითხვას: რატომ? აქვე აძლევს შესაძლო პასუხების 2-3 ვარიანტს: 1. ნელია; 2. მხიარულია; 3. სწრაფია; 4. მოწყენილია და ა.შ.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ს. პროკოფიევი - “გაგოტი”, ს. ცინცაძე - საკვარტეტო მინიატურა „სოფლური ცეკვა“.</p>	
<p>2. იმეორებს მუსიკალურ საქცევს, მარტივ რიტმულ ნახაზს;</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე წერს მარტივ რიტმულ ნახაზს</p>  <p>და შეუსაბამებს მას მარტივ მუსიკალურ საქცევს, მაგალითად, მი ბგერის შემომღერებას. მოსწავლეები იმეორებენ მას ჯერ ერთი ბგერიდან, შემდეგ მასწავლებლის დახმარებით, სხვადასხვა სიმბალიდან.</p>	<p>ფორტეპიანო, დაფა, მარკერი.</p>	<p>მოცემული აქტივობა ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს მუს. II.2. შედგვის 2. ინდიკატორისათვის.</p>	
<p>3. განარჩევს ერთ-მანეთისგან ნაცნობ და უცნობ მელო-</p>	<p>მასწავლებელი ფორტეპიანოზე ასრულებს შესწავლილი და შეუსწავლელი ნანარმოების საფორტეპიანო ვერსიებს, მაგალითად, “სისა</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური სიმღერა „სისა ტურა“, ფ. შუბერტი -</p>		

დას, ნაცნობ და უცნობ თემას;	ტურას”, ფ. შუბერტის “ კალმასხს” და ვ. ა. მოცარტის “ ღამის პატარა სერენადას” (შესაძლოა, მხოლოდ მელოდიებს, თემებს). მოსწავლეები ხელს სწევენ ნაცნობი მუსიკის გაგონებისას და ასახელებენ მის სათაურსა და ავტორს.	„კალმასხი”, ვ. ა. მოცარტი - „ღამის პატარა სერენადა”.	
4. განმეორებითი მოსმენისას ტაშით, სიმღერით, ცეკვით აჰყვება მუსიკას, “ დირიჟორობს” მოსმენისას;	<p>ა) მოსწავლეები უსმენენ ვ. ა. მოცარტის “ ღამის პატარა სერენადას”, ნანაღს; მეორედ მოსმენისას ისინი ტაშით გამოყოფენ ძლიერ დროს, ხოლო ერთ-ერთი მოსწავლე, სურვილისამებრ, “ დირიჟორობს” მუსიკას.</p> <p>ბ) მოსწავლეები უსმენენ ზ. ფალიაშვილის “ ცანგალა და გოგონას” ოპერიდან “ დაისი”, მსჯელობენ, აგონებთ თუ არა რომელიმე სხვა სიმღერას. კლასი დგება ნრეში და სიმღერითა და ტაშით უწევს თანხლებას ბიჭუნას – ცანგალას და გოგონას ცეკვას. შესაძლოა სიმღერის განმავლობაში ერთმანეთს რამდენიმე წყვილი შეენაცვლოს.</p>	<p>ა) მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ვ. ა. მოცარტი - „ღამის პატარა სერენადა”.</p> <p>ბ) მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ზ. ფალიაშვილი - “ ცანგალა და გოგონა” ოპერიდან “ დაისი”.</p>	<p>აქტივობის წინაპირობაა ხალხური სიმღერის “ცანგალა და გოგონას” ცოდნა.</p>
5. მუსიკით გამოწვეულ განწყობილებას, ემოციას გადმოსცემს ნახატში და შეძლებისდაგვარად აცოცხლებს ამ ნახატს.	<p>მოსწავლეები უსმენენ ფ. შუბერტის სიმღერას “ კალმასხი”; მასწავლებელი აჩვენებს მათ კალმასხის ფოტოსურათს და უხსნის მათ, თუ რაზეა სიმღერა. ბავშვები მსჯელობენ, თუ რა განწყობილება გამოიწვია მათში ამ სიმღერამ, ხატვენ თავიანთ შთაბეჭდილებებს და გაითამაშებენ კალმასხისა და მეთევზის ამბავს.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ფ. შუბერტი - “ კალმასხი”; კალმასხის ფოტოსურათი; ფურცლები, ფერადი ფანქრები.</p>	<p>მოცემული შედეგისთვის იხ. ასევე მუს. II. 1. შედეგის 3. ინდიკატორის აქტივობა.</p>

<p>მუს. II.5. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება</p>	<p>1. სწორად წარმოთქვამს ნასწავლ ტერმინებს საუბრის დროს;</p>	<p>ა) მასწავლებელს მოაქვს ორკესტრისა და დირიჟორის, სოლისტისა და კონცერტმასისტრის, არფის, ლიტავრების, ჩელოსა და პროგრამით გათვალისწინებული სხვა საკრავების ფოტოები და საათითაოდ აჩვენებს მოსწავლეებს, ისინი კი ასახელებენ მათ.</p> <p>ბ) მოსწავლეს ეძლევა ინსტრუქცია: შეადგინე წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: კომპოზიტორი, პიესა, კონცერტი // ან რეპერტუარი, ორკესტრი, დირიჟორი // ან სოლისტი, აკომპანემენტი, Allegro, Adagio, Forte, Piano.</p> <p>გ) მასწავლებელი უკრავს ნაცნობ სიმღერას, ხმამაღლა და ჩუმად, სწრაფად და ნელა, შემდეგ – ცალ-ცალკე მელოდიასა და აკომპანემენტს და სთხოვს მოსწავლეებს, თითოეული მისი შესრულება აღწერონ შესაბამისი ტერმინოლოგიით.</p>	<p>ა) ფოტოსურათები: ორკესტრი და დირიჟორი, სოლისტი და კონცერტმასისტერი, არფა, ლიტავრები, ჩელო.</p> <p>ბ) დაფა, მარკერი.</p>	
<p>2. საჭიროების შემთხვევაში განმარტავს მათ;</p>	<p>ა) ფოტოსურათები: ორკესტრი, რეჟისორები, კალმისტრები.</p>	<p>გ) ფორტეპიანო, სანოტო მასალა: გ. ცაბაძე - სიმღერა „ანა-ბანა“.</p>	<p>მოცემული აქტივობა შეიძლება გამოვიყენოთ</p>	

	<p>1. ჩქარი და ნელი ტემპობა ... (Allegro, Adagio); 2. სალამური და საყვირი საკრავებია (ჩასაბერი). 3. გიტარა და არფა ... საკრავებია (სიმებიანი) და ა. შ.</p>		<p>ცოდნის შემჯამებელი შეფასებისთვის.</p>
<p>3. სვამს კითხვებს მისთვის უცნობი მუსიკალური საკრავის, ცნების სახელწოდების დაზუსტების მიზნით.</p>	<p>სიმღერის შესწავლისას მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ რას ნიშნავს პაუზა, როგორ უნდა მოვიქცეთ პაუზის შემთხვევაში. მასწავლებელი დაფაზე წერს პაუზის ნაირსახეობებს. მოსწავლეები მღერის და მასწავლებლის მინიშნებაზე - დაიცავთ პაუზა, მოსწავლეები შეწყვეტენ სიმღერას.</p>	<p>ფორტიპიანო, სანოტო მასალა: მ. დავითაშვილი - „მანანას სიმღერა“; დაფა, მარკერი.</p>	
<p>მუს. II.6. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში</p>			
<p>1. მონაწილეობს კლასის ზეიმში, თემატურ ღონისძიებებში - ახალი წელი, გაზაფხული, შემოდგომა;</p>	<p>მოსწავლეები მონაწილეობენ მუსიკის მასწავლებლისა და კლასის დამრიგებლის მიერ ერთობლივად მომზადებულ ღონისძიებაში, ინაწილებენ როლებს, მღერიან ერთად, ახსამბლში და გუნდში, ცეკვვენ.</p>	<p>ღონისძიებისთვის საჭირო რეკვიზიტი.</p>	

<p>2. ესწრება სკოლის საანგარიშო კონცერტს.</p>	<p>მოსწავლე ინტერესით ადევნებს თვალს სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებს, ესწრება სასკოლო კონცერტებს, იცავს კონცერტზე ქცევის წესებს, მომდევნო გაკვეთილზე კი თანაკლასეულებთან ერთად გამოხატავს თავის შთაბეჭდილებებს. მასწავლებელი ასწავლის აზრის კორექტიულად გამოთქმას.</p>		
<p>მუს. II.7. მოსწავლეს აქვს უნარი პატივისცემით მოეკიდოს სხვის შემოქმედებას და აზრს.</p>	<p>აქტივობა „მრგვალი მაგიდა“ მასწავლებლის თხოვნით, მოსწავლეები მერხებს დააწყობენ ისე, რომ წრე შეიკრას და დასხდებიან. გაიმართება დისკუსია თემაზე - „სიმღერა და ჩვენ“. ისინი რიგ-რიგობით გამოთქვამენ საკუთარ აზრს და ითვალისწინებენ მასწავლებლის თხოვნას - მოუსმინონ ერთმანეთს, არ ილაპარაკონ სხვისი საუბრის დროს, პატივისცემით მოეკიდონ ერთმანეთს. ვინც დაარღვევს ქცევის ნორმებს, ის აღარ მიიღებს მონაწილეობას დისკუსიაში. მასწავლებელი ქმნის ერთ ჯგუფს იმ მოსწავ-</p>		<p>სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად შეიმუშაოს დისკუსიაში მონაწილეობისას მიღებული ქცევის წესები. მათი დარღვევის შემთხვევაში კი პოზიტიური მინიშნება გააკეთოს, „ჩვენი წესი დაირღვა. საჭიროა მისი შეხსენება“. მასწავლებელმა დრო არ უნდა დაინანოს იმისთვის,</p>
<p>1. იცავს ქცევის ნორმებს სხვისი სიმღერის, საუბრის დროს;</p>			

თავი III. ღაწყაბითი სავსეურის მუსიკის სტანდარტი

	<p>ლეებისგან, ვინც არ უსმენს დანარჩენებს და სთხოვს, გაიხსენონ დისკუსიაში მონაწილეობისას მიღებული ქცევის წესები და ჩამოთვალონ. მხოლოდ ამის შემდეგ ბრუნდება მოსწავლე საერთო ჯგუფში.</p>		<p>რომ მოსწავლეს ქცევის წესის დაცვის ჩვევა ჩამოუყალიბდეს. ეს ჩვევა მუსიკის მოსმენაშიც დაეხმარება.</p>
<p>2. უფრო ხილდება სხვის ნამუშევარს;</p>	<p>მოსწავლეები მოისმენენ ს. ცინცაძის საკვარტეტო მინიატურას „სოფლური ცეკვა“ და ხატავენ მიღებული შთბეჭდილების მიხედვით. ხატვის დასრულების შემდეგ, ისინი ცვლიან ერთმანეთის ნამუშევრებს, ათვლიერებენ, „შეისწავლიან“ და ფურცლის უკანა მხარეს ფანქრით მიაწერენ საკუთარ აზრს - რა მოეწონათ, რას თვლიან, რომ უნდა შეიცვალოს. მოსწავლეები უფრო თხილდებათ ერთმანეთის ნამუშევარს, არ აფუჭებენ, ისმენენ და იღებენ მეგობრის განსხვავებულ აზრს.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ს. ცინცაძე - საკვარტეტო მინიატურა „სოფლური ცეკვა“; სახატავი რგვეულიები, ფერადი ფანქრები.</p>	<p>მოსწავლეებს აუცილებლად უნდა გასწავლოთ, რომ იყვნენ კეთილგანწყობილნი, კორექტულები სხვისი შეფასების დროს.</p>
<p>3. ითვალისწინებს განსხვავებულ აზრს.</p>	<p>იხ. მუს.7. შედეგის 2. ინდიკატორის აქტივობა.</p>		
<p>მუს.11.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა გრძობების და განწყობილების გამოსატვის საშუალებაა.</p>			

<p>1. საუბრობს მუსიკის მოსმენით აღძრულ შთაბეჭდილებებზე;</p>	<p>აქტივობა „ნელინადის რა დროა?“ მასწავლებელი მოასმენინებს პ. ჩაიკოვსკის პიესას „ოქტომბერი“ ციკლიდან „ნელინადის დრონი“. ის დაფაზე წერს სიტყვებს - ზაფხული და შემოდგომა. შემდეგ ნაუკითხავს მოსწავლეებს რამდენიმე წინადადებას მ. ბოლქვაძის მოთხრობიდან „დიდი ბაღი“: „ცა გაიქრიცა, მზემ ფერი დაჰკარგა, ავად ხომ არ არის?... ბალახი გახმა, ხიდან ფოთლები ჩამოცვივდნენ: წითლები, ყვითლები, ნაცრისფერები, გზებს დაეფინენ, აუზში ჩაცვივდნენ.“ მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ ნელინადის რომელ დროს ეკუთვნის ბუნების ეს აღწერა, ზაფხულს თუ შემოდგომას?</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: პ. ჩაიკოვსკი - „ოქტომბერი“ ციკლიდან „ნელინადის დრონი“; მ. ბოლქვაძე - მოთხრობა „დიდი ბაღი“.</p>	<p>მასწავლებელს შეუძლია დაკავშირების დროს მიწინებებიც გააკეთოს.</p>
<p>2. მუსიკალური ფრაგმენტის მელოდიას, დინამიკას, ტემპს, რიტმს უკავშირებს კონკრეტულ განწყობილებას;</p>	<p>მოსწავლეებმა რვეულებში უნდა ჩაწერონ მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი კითხვების შესატყვისი პასუხები. კითხვები ეხება პ. ჩაიკოვსკის უკვე მოსმენილ ნაწარმოებს: 1. როგორია ამ ნაწარმოების მელოდია? ● მხიარული, საცეკვაო; ● მღერადი, ნაღვლიანი. 2. როგორია ხმოვანების სიძლიერე? ● ხმამაღალი; ● ხმადაბალი. 3. როგორია ტემპი? ● ნელი; ● რქარი.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: პ. ჩაიკოვსკი - „ოქტომბერი“ ციკლიდან „ნელინადის დრონი“; დაფა, მარკერი, რვეულები, კალმისტრები.</p>	<p>ეს აქტივობა შეიძლება გამოვიყენოთ მუს. II.5. შედეგები, 2. და 3. ინდიკატორების მიმართ, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში ვასახელებთ ტემპების და დინამიკური ნიუანსების ლათინურ სახელწოდებებს.</p>

<p>3. ამოიცნობს თანაკლასელების მიერ სიმღერით, ლილინით გადმოცემულ განწყობილებას, გრძნობას.</p>	<p>მასწავლებელი კლასს ყოფს ოთხ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს არქმევს სიმღერის სახელს. ასეთი ჯგუფებია: „ზაზუნა“, „იაგნანა“, „ანა-ბანა“, „მანანას სიმღერა“. მასწავლებელი ფორტეპიანოზე უკრავს ან ტექსტის დაუსახელებლად მღერის ერთ-ერთი სიმღერის მელოდიას. შესაბამისი სახელწოდების ჯგუფმა უნდა ამოიცნოს სიმღერა და მისი განწყობილება.</p>	<p>ფორტიპიანო, სანოტო მასალა: ხალხური „იანანა“, გ. ცაბაძე - „ანა-ბანა“, მ. დავითაშვილი - „მანანას სიმღერა“, ლ. ბეთოპოვენი - „ზაზუნა“.</p>	<p>ამ აქტივობის ჩატარებისას მნიშვნელოვანია სიმღერათა ტემპის დაცვა. არასწორი ტემპის შემთხვევაში გაძნელება განწყობილების ამოცნობა.</p>
---	---	---	--

მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტაქტში

შუღები / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რესურსები	შენიშვნა
<p>მუს. II.9. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს შემოქმედებითი პროფესიები და დაუკავშიროს ისინი ხელოვნების კონკრეტულ ნიმუშებს.</p>			
<p>1. ასხვავებს კომპოზიტორის, მხატვრის, მოქანდაკის, პოეტის, მწერლის</p>	<p>მოცემული აქტივობისთვის მასწავლებელი ადგენს და მოსწავლეებს ურიგებს ტესტებს:</p> <p>ა) მოქანდაკე ქმნის:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მუსიკას; 	<p>ტიპურიებისთვის განკუთვნილი ფურცლები.</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს ტერმინებზე: შექმნა და გაკეთება. განუ-</p>

<p>პროფესიებს და ასახელებს მათთან დაკავშირებულ ერთ ან მეტ ნაწარმებს;</p>	<p>2. ლექსი; 3. ნახატს; 4. ქანდაკებას.</p> <p>ამგვარი ტესტი დგება სხვა პროფესიებისთვისაც (მხატვრი, პოეტი, კომპოზიტორი).</p> <p>ბ) მუსიკას ქმნის:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კომპოზიტორი; 2. მოქანდაკე; 3. მწერალი; 4. მხატვარი. 		<p>მარტავს განსხვავებას მათ შორის, უხსნის, რომ იქმნება ხელოვნების ნაწარმოები: მუსიკალური პიესა, ქანდაკება, ნახატი, ლექსი, მოთხრობა და ა.შ.</p> <p>კითდება მაგიდა, ჩარჩო, მერხი და ა.შ.</p>
<p>2. ამოიცნობს ხელოვნების ნაწარმოებებს თავის გარემოცვაში;</p>	<p>მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, ჩაინერონ და შემდეგ გაკვეთილზე ჩამოთვალონ ხელოვნების ის ნიმუშები, რომლებსაც ყოველდღიურად ხედავენ. (მაგალითად, ქანდაკება – შინისკენ მიმავალ გზაზე; სურათი - კედელზე; სიმღერა, სპექტაკლი - ტელევიზორში და ა.შ.). მოსწავლეებმა უნდა დანერონ, თუ რა დარგს მიეკუთვნება ხელოვნების ესა თუ ის ნიმუში, რა ენოდება, სად ნახა და, სასურველია, გინ არის ავტორი.</p>	<p>რეკულები, კალმისტრები.</p>	<p>მოსწავლეებს შეუძლიათ დავალების შესრულებაში დაიხმარონ მშობლები.</p>
<p>3. ხელოვნების ნიმუშის ნახვის, მოსმენის შემდეგ ასახელებს ავტორის პროფესიას.</p>	<p>მასწავლებელს გაკვეთილზე მოაქვს და აჩვენებს მოსწავლეებს ხელოვნების შემდეგ ნიმუშებს: ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ამავე სახელწოდების ქანდაკების ფოტოსურათს, ელენე ახვლედიანის „ზამთრის“ რეპროდუქციას, მოასმენინებს ა. ვიგალდის „ზამთრის“ აუდიო ჩანაწერს, წაუკითხავს მაც-</p>	<p>მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ა. ვიგალდი -, „ზამთარი“; ნ. დუმბაძის ნიგნი - „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, მ. მრევლიშვილის ლექსი- „დილა მშვიდობისა“; ფოტოსუ-</p>	<p>ამ აქტივობის აუცილებელი პირობაა, თითოეულ ილუსტრაციას ქვეშ ჰქონდეს მიწერილი ავტორის სახელი, გვარი და ნახატის თუ ქანდაკების სახელწოდება. შესაძლებელია ამ ეტაპზე</p>

	<p>ვალა მრეღლიშვილის ლექსს „დილა მშვიდობისა“ შემდეგ ურიგებს ფურცლებს, სადაც მათ მიერ ნახანი (მოსმენილი) ხელოვნების თითოეული ნიმუშის ავტორის გვარი წერია. მოსწავლეებმა ყოველი კონკრეტული გვარის გასწვრივ უნდა მიუთითონ ავტორის პროფესია.</p>	<p>რათები: ე. ახვლედიანი - „ზამთარი“, მ. ბერძენიშვილი - „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (ქანდაკება).</p>	<p>არ განგასხვავოთ მწერლისა და პოეტის პროფესიები. ასევე, შეიძლება მასწავლებელმა მოიტანოს და უჩვენოს მოსწავლეებს ლექსებისა და მოთხრობების კრებული, ესაუბროს მწერლისა და პოეტის პროფესიების შესახებ.</p>
<p>მუს. II.10. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიური ანალიზის დაკავშირება.</p>	<p>მოსწავლეები ასახელებენ თავიანთ საყვარელ მუსიკალურ ნაწარმოებს. მასწავლებელი დაფაზე წერს შესაძლო პასუხებს, თუ სად მოუსმენიათ, ან ისწავლეს ეს ნაწარმოები: სკოლაში, კონცერტზე, სახლში, ტაძარში, მუსიკალურ სკოლაში, დაბადების დღეზე და ა.შ. შემდეგ ფურცლებზე წერენ თავიანთი საყვარელი მუსიკალური ნაწარმოების სახელოდებს (სასურველია ავტორსაც), აფორმებენ ფურცლებს ნახატებით. და ირჩევენ/ასახელებენ დაფაზე დაწერილი ვარიანტებიდან ერთ-ერთს.</p>	<p>დაფა, მარკერი, ფურცლები, ფერადი ფანქრები.</p>	
<p>1. იხსენებს სად, რა გარემოში მოუსმენია თავისი საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები;</p>			

<p>2. ყველა მუსიკალურ ნაწარმოებთან დაკავშირებულ თქმულებას, ისტორიას, შინაარსს და პასუხობს კითხვებს ამის გარშემო;</p>	<p>მოსწავლეები მღერის ნინა წელს ნასწავლ ხალხურ სიმღერას „ლაზარე“. მასწავლებელი ეკითხება: „გახსოვთ ლაზარეს ამბავი?“ ვის შეუძლია გვიამბოს? ასევე, შესაძლებელია, მასწავლებელმა დასვას შეკითხვები ამ ამბის გარშემო.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური სიმღერა „ლაზარე“.</p>	
<p>3. სვამს კითხვებს მუსიკალური ნაწარმოების ავტორთან, სოუჟეტთან, ეპოქასთან, შემსრულებელთან დაკავშირებით;</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ ლ. ბეთჰოვენის პიესას „ელიზესადმი“. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თქვენი აზრით რას ნიშნავს სათაური „ელიზესადმი“? მოსწავლეები სვამენ შეკითხვებს, ვინ იყო ელიზე? როდის დაწერა ეს პიესა ბეთჰოვენმა? რატომ მიუძღვნა კომპოზიტორმა ეს პიესა პატარა გოგონას? და ა.შ... თავის მხრივ მასწავლებელიც სვამს შეკითხვებს: რომელი საკრავი ასრულებს პიესას? თქვენი აზრით, როგორი გოგონაა ელიზე? (ნაზი, დაფიქრებული. ჰაეროვანი, ხანდახან კი ცელქი)...</p>	<p>მოსასმენი აპარატურა ან ფორტეპიანო, აუდიო ჩანაწერი ან სანოტო მასალა: ლ. ბეთჰოვენი - საფორტეპიანო პიესა „ელიზესადმი“.</p>	
<p>4. იხსენებს, რომელი გმირის ასოციაციას იწვევს მუსიკალური ნაწარმოები;</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ კ. სენ-სანსის „აკვარიუმი“ ციკლიდან „ცხოველთა კარნავალი“ და პიესის სათაურის გაგების შემდეგ აკვშირებენ ნაწარმოებს რომელიმე ზღაპრის ამ მულტიფილმის გმირთან (მაგალითად, აკვარიუმის ბინადრები მულტიფილმიდან „იპოვე ნემო“).</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: კ. სენ-სანსი - „აკვარიუმი“ ციკლიდან „ცხოველთა კარნავალი“.</p>	

<p>5. აკავშირებს მუსიკალურ ნაწარმოებთან ვიზუალურ მასალას (ფოტო, ვიდეო) და იხსენებს საკუთარ შთაბეჭდილებებს.</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ/მღერიან გ. ცაბაძის სიმღერას "ანა-ბანა" კინოფილმიდან "ვერის უბნის მელოდიები" და იხსენებენ, რომელ გმირებთან არის დაკავშირებული ეს სიმღერა.</p>	<p>მოსასმენი აპარტურა ან ფორტეპიანო, აუდიო ჩანაწერი ან სანოტო მასალა: გ. ცაბაძე - სიმღერა "ანა-ბანა" კინოფილმიდან "ვერის უბნის მელოდიები".</p>	
--	---	--	--

<p>მუს. II. 11. მოსწავლე იცნობს ნასწავლ მუსიკალურ საკრავებს.</p> <p>1. ამოიცნობს საკრავს ფორმის მიხედვით;</p>	<p>მასწავლებელი წერს დაფაზე პირველ-მეორე კლასებში ნასწავლ საკრავებს: ცილინო, სალამური, ფლეიტა, დოლი, ჩელო, ჩონგური, ფანდური, გიტარა. მოსწავლეები რეეულებში ან დაფაზე წერენ მსგავსი ფორმის ორ-ორ საკრავს (მაგალითად, ცილინო და ჩელო, ფანდური და ჩონგური, სალამური და ფლეიტა).</p> <p>ბ) მასწავლებელს შეუძლია, მიმართოს ასეთ შედარებასაც - მოიტანოს და აჩვენოს ნებისმიერი პოეტისა და მწერლის ნაწარმოები (ლექსი და მოთხრობა) და მიანიშნოს, რომ ისინი ფორმითაც და ზომითაც განსხვავდებიან.</p>	<p>დაფა, მარკერი, რეეულები, კალმისტრები</p>	<p>მოსწავლეებს უნდა გავახსნოთ მათემატიკის გაკვეთილზე გავლილი მასალა, განსხვავება საგნის ფორმასა და ზომის შორის, რას ნიშნავს ფორმით მსგავსი, ზომით კი - განსხვავებული.</p>
--	---	---	---

<p>2. ამოიცნობს სოლო ფლერადობის მიხედვით;</p>	<p>ამ აქტივობისათვის, სასურველია გამოვიყენოთ აუდიო ჩანაწერი, რომელშიც სხვადასხვა საკრავის სოლო ფლერადობა იქნება მოცემული (ფორტეპიანოს ხმა, ვიოლინოს ხმა, ჩელოს ხმა, სალამურის ხმა და ა.შ.)</p>	<p>მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ფორტეპიანოს, ვიოლინოს, ჩელოს, სალამურის ტემბრები.</p>	<p>სოლო ნაწარმოების შემდეგ, სასურველია მასწავლებელმა მოასმენინოს მოსწავლეებს ამ საკრავის სოლო პარტია საორკესტრო ფლერადობისას.</p>
<p>3. მოძრაობით ახდენს მათზე დაკვრის იმიტაცია.</p>	<p>ა) მასწავლებელი ჩამოთვლის და წერს პირველ-მეორე კლასებში გაცნობილ მუსიკალურ საკრავებს: ფორტეპიანო, ვიოლინო, სალამური, ფლეიტა, ჩელო, გიტარა, არფა, ჩონგური, ფანდური, დოლი. ამ საკრავებიდან ამოარჩევს სამს და ეკითხება ბავშვებს-როგორ ვუკრავთ ვიოლინოზე? ფორტეპიანოზე? სალამურზე? მოსწავლეები პასუხობენ, აჩვენებენ. ბ) მასწავლებლის მიერ წინასწარ დასახელებული სამი საკრავიდან, მოსწავლეებმა უნდა გამოიყვანონ, თუ რომელ საკრავზე უკრავს (დაკვრის იმიტირებას ახდენს) მათი თანაკლასეული. ამ მიზნით ერთი მოსწავლე ერთ-ერთ საკრავზე დაკვრის იმიტირებას ახდენს.</p>	<p>დაფა, მარკერი.</p>	<p>მასწავლებელს შეუძლია მიმართოს ამ აქტივობას ხანგრძლივად, გამოიყენოს სამი საკრავის სხვადასხვა კომბინაცია.</p>
<p>მუს. II.12. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს გარემოში მოსმენილი ხმები</p>			

<p>1. ასხვავებს ბუნებრივ და ხელოვნურ ხმებს;</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ორ გრაფას. მოსწავლეებმა პირველ გრაფაში უნდა ჩანს ორი ბუნებაში არსებული ხმები, ანუ ბუნებრივი ბგერები, ხოლო მეორე გრაფაში - ხელოვნურად წარმოქმნილი ბგერები. ამისათვის, მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები ჩამოთვლიან სახლში, ქუჩაში და ბუნებაში არსებულ ხმებს: ჩიტების ჭიკჭიკი, ბუზის ბზუილი, ქარის ზუზუნს, ფოთლების შრიალს, წვიმის ხმას, მანქანის მუხრუჭის, სიგნალის ხმას, კაკუნის, ზარის ხმას... და ყოველ მათგანს ჩაწერენ შესაბამის გრაფაში.</p>	<p>დაფა, მარკერი.</p>	
<p>2. სწორად განსაზღვრავს თითოეულ ხმას (ჭიკჭიკი, სტვენა, ღრჭიალი...).</p>	<p>იხ. მუს. 1.10. შედეგის 1. ინდიკატორის აქტივობა. ამ აქტივობის შემდეგ მასწავლებელი სხვადასხვა თანმიმდევრობით მოასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტებს და სთხოვს მოსწავლეებს, იმავე თანმიმდევრობით დააღვონ ფოტოსურათები, რა თანმიმდევრობითაც მოისმენენ.</p>	<p>იხ. მუს. 1.10. შედეგის 1. ინდიკატორის აქტივობის რესურსები.</p>	

III კლასი



მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

შედეგი / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რესურსები	შანიშვნა
<p>მუს. III.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე დაწერს პატარა მოტივს 2/4 ზომაში ნახევარი გრძლიობის ნოტებით.</p>  <p>მოსწავლეები ითვლიან და მღერიან მოტივს ნოტების დასახელებით. შემდეგ მასწავლებელი ამავე მოტივს მერვედი გრძლიობის ნოტებით ჩაწერს.</p> 	<p>ფორტეპიანო, დაფა, მარკერი.</p>	
<p>1. განასხვავებს მუსიკალური ბგერის ხანგრძლივობას გამღერების, ინსტრუმენტზე დაკვრის დროს;</p>			


		<p>მოსწავლეები ითვლიან და მღერინან ნოტების დასახელებით, განასხვავებენ მუსიკალური ბგერების ხანგრძლივობას.</p>										
<p>2. განასხვავებს ნელ და ჩქარ შესრულებას, ხმამაღალ და ხმადაბალ ხმოვანებას მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენისას;</p>	<p>მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: რ. ლალიძე - „საჭიდაო“; დაფა, მარკერი, რვეულები, კალმის-ტრები.</p>	<p>მოსწავლეები მოსმენენ რ. ლალიძის „საჭიდაოს“ და დამოუკიდებლად შეაჯებენ ცხრილს (ერვეციან ნაწარმოების სახელწოდების მიღებული ფორმით ჩაწერას).</p> <table border="1" data-bbox="504 879 713 1497"> <thead> <tr> <th>ნაწარმოები</th> <th>ტემპი</th> <th>ხმოვანების სიძლიერე</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>რ. ლალიძე - საორკესტრო პიესა „საჭიდაო“</td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table>	ნაწარმოები	ტემპი	ხმოვანების სიძლიერე	რ. ლალიძე - საორკესტრო პიესა „საჭიდაო“			<p>ეს აქტივობა შეიძლება გამოვიყენოთ მუს. III. 8. შედეგზეც. მსგავსი ცხრილი შეიძლება გამოვიყენოთ მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების/ ფრაგმენტის სხვადასხვა ნიშნით დახასიათებისას.</p>			
ნაწარმოები	ტემპი	ხმოვანების სიძლიერე										
რ. ლალიძე - საორკესტრო პიესა „საჭიდაო“												
<p>3. განასხვავებს რეგისტრებს სხვადასხვა სიმბოლეზე გაუღერიბული მუსიკალური ფრაზის მოსმენისას (მაღალი-დაბალი);</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: გ. ცაბაძე - „ანაბანა“, ხალხური „ლაზარე“; დაფა, მარკერი, რვეულები, კალმისტრები.</p>	<p>ა) მასწავლებელი უკრავს სანყის მუსიკალურ ფრაზებს სიმღერებიდან „ანაბანა“ და „ლაზარე“ სხვადასხვა რეგისტრში. მოსწავლეები გადაწერენ და შეაჯებენ მოცემულ ცხრილს (ერვეციან ნაწარმოების სახელწოდების მიღებული ფორმით ჩაწერას).</p> <table border="1" data-bbox="740 879 1008 1497"> <thead> <tr> <th>სიმღერა</th> <th>დაბალი რეგისტრი</th> <th>მაღალი რეგისტრი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>გ. ცაბაძე - სიმღერა „ანა-ბანა“</td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>ხალხური სიმღერა „ლაზარე“</td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table>	სიმღერა	დაბალი რეგისტრი	მაღალი რეგისტრი	გ. ცაბაძე - სიმღერა „ანა-ბანა“			ხალხური სიმღერა „ლაზარე“			<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: გ. ცაბაძე - „ანაბანა“, ხალხური „ლაზარე“; დაფა, მარკერი, რვეულები, კალმისტრები.</p>
სიმღერა	დაბალი რეგისტრი	მაღალი რეგისტრი										
გ. ცაბაძე - სიმღერა „ანა-ბანა“												
ხალხური სიმღერა „ლაზარე“												

	<p>ბ) მასწავლებელს შეუძლია გართულოს დავალება და თითოეული სიმღერა ორ-ორჯერ, სხვადასხვა რეგისტრში დაუკრას. მოსწავლეები იმახსოვრებენ სიმღერების თანმიმდევრობას და მონიშნავენ ცხრილში შესაბამის რეგისტრს.</p> <table border="1" data-bbox="336 898 528 1491"> <thead> <tr> <th>დაბალი რეგისტრი</th> <th>მაღალი რეგისტრი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td></td> </tr> <tr> <td>2</td> <td></td> </tr> <tr> <td>3</td> <td></td> </tr> <tr> <td>4</td> <td></td> </tr> </tbody> </table>	დაბალი რეგისტრი	მაღალი რეგისტრი	1		2		3		4			
დაბალი რეგისტრი	მაღალი რეგისტრი												
1													
2													
3													
4													
<p>4. განასხვავებს ორ და სამწილად მეტრს ცეკვის, მოძრაობის სამუ-ალებით (ვალსი, პოლკა);</p>	<p>მოსწავლეები ცოცხალი შესრულებით მოისმენენ „ვალსს“ და „პოლკას“ პ. ჩაიკოვსკის „საბავშვო ალბომიდან“. წინასწარ იციან ამ ცეკვების მოძრაობები, სანყისი პოზიცია. ნაწარმოების მოსმენის შემდეგ შესაბამის პოზიციაში დადგომით გამოხატავენ, რომელი ცეკვა მოისმინეს. სურვილის მიხედვით, შეუძლიათ განმეორებით მოისმინონ და აჰყვენ მუსიკას.</p>	<p>მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: პ. ჩაიკოვსკი - „ვალსი“, „პოლკა“, საბავშვო ალბომიდან“.</p>											
<p>5. მუსიკის მოსმენისას, სიმღერისას გამოყოფს მახვილებით ტაქტის ძლიერ დროს;</p>	<p>მოსწავლეები მოისმენენ პ. ჩაიკოვსკის „ვალსს“ („საბავშვო ალბომიდან“). ცეკვის საშუალებით გამოხატავენ რიტმს და ძლიერ დროს ფეხის დარტყმით გადმოსცემენ.</p>	<p>მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: პ. ჩაიკოვსკი - „ვალსი“.</p>											
<p>6. თანაკლასელებთან ერთად</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე წერს 4/4 ზომის რამდენიმე მარტივ რიტმულ ნახაზს.</p>	<p>დაფა, მარკერი.</p>	<p>ამისთვის მასწავლებელმა რამდენჯერმე უნდა</p>										

თავი III. ღაწყავითი სავუნურის მუსიკის სტანდარტი


<p>აჭყევა მუსიკას, უკრავს სხვა-დასხვა რიტმულ ნახაზს სათამაშო ინსტრუმენტებისა და ყოველდღიური მოხმარების საგნებისგან შემდგარ „ანამბლში“, „ორკესტრში“.</p>	<p>1. </p> <p>2. </p> <p>3. </p> <p>4. </p> <p>4-5-კაციან ჯგუფებად დაყოფილი მოსწავლეები დამოუკიდებლად შეისწავლიან მათთვის განკუთვნილ რიტმულ ნახაზს და ტაშით გამოხატავენ მას. საბოლოოდ ჯგუფებმა თანმიმდევრულად, პაუზის გარეშე უნდა შეასრულონ მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი გაერთიანებული რიტმული ნახაზი.</p>		<p>გაავარჯიშოს მოსწავლეები გადაბმით შესრულებაში, გაერთიანებულ ჩანაწერში, სასურველია, ერთმანეთს თვალსაჩინოდ გამოეყოს ჯგუფების პარტიები.</p>
---	---	--	--

<p>მუს. III.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.</p>			
<p>1. სიმღერით იმეორებს მუსიკალურ</p>	<p>მოსწავლეები ასრულებენ გამღერების ტიპის მუსიკალურ ფრაზებს ხმოვნებზე, მარცხლებზე,</p>	<p>ფორტეპიანო</p>	

<p>ფრაზებს, მელო- დიებს;</p>	<p>სვადასხვა ტონიდან.</p> 		
<p>2. თანაკლასე- ლებთან ერთად ასრულებს პოპუ- ლარულ მელო- დიებს, ერთხმიან და მარტივ ორხმიან სიმღერებს მასწავ- ლებლის დახმარე- ბით;</p>	<p>მოსწავლეები სწავლობენ ორხმიან სიმღერას „მზე შინა და მზე გარეთა“. შეისწავლება ჯერ პირველი ხმა, შემდეგ მეორე. ხმების კარგად შესწავლის შემდეგ, მღერიან ორ ხმაში. მასწავ- ლებლი ეხმარება ხმით და ინსტრუმენტით.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური „მზე შინა“.</p>	
<p>3. ასრულებს მრავ- ალხმიანი სიმღერის ერთ ხმას გაბმული ბანის ფონზე;</p>	<p>მოსწავლეები შეისწავლიან სამხმიანი სიმღ- ერის „ვისია, ვისია ქალი ლამაზი“ პირველ ხმასა და ბანს. სიმღერის კარგად შესწავლის შემდეგ, პირველ ხმას გაბმული ბანის ფონზე იმღერებენ მასწავლებლის დახმარებით. შემდეგ ეტაპზე შეი- ძლება მასწავლებელმა შეასრულოს მეორე ხმა.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური სიმ- ღერა „ვისია, ვისია, ქალი ლამაზი“.</p>	
<p>4. მღერის მარტივ სიმღერებს იმ უცხო ენაზე, რომელსაც სწავლობს;</p>	<p>მოსწავლეები სწავლობენ ვ. შაინსკის სიმღერას „ОТ УЛЬБИКИ“. არჩევენ ტექსტს, იხსენებენ, სად მოუხედავიათ. მასწავლებელი კითხვებს უსვამს და უამბობს ანიმაციური ფილმის შინაარსს.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ვ. შაინსკი - „ОТ УЛЬБИКИ“.</p>	

<p>5. სწორად რეაგირებს სადირიჟორო ფუნქციებზე (ჩუმად, ხმამაღლა, ნელა, ჩქარა, ერთად, თავიდან).</p>	<p>მოსწავლეები სწავლობენ გ. ცაბაძის სიმღერას „საათი“, ცვლიან ტემპს და ხმოვანების სიძლიერეს მასწავლებლის სადირიჟორო ფუნქციების მიხედვით.</p>	<p>ფორტიპიანო, სანოტო მასალა: გ. ცაბაძე - სიმღერა „საათი“.</p>	
<p>მუს. III.3. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამობატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული განწყობილების გადმოსაცემად.</p>			
<p>1. ხმის, მოძრაობის, ცეკვის, მიმიკის, ფესტის, თამაშის საშუალებით გამოხატავს ამა თუ იმ განწყობილებას;</p>	<p>მოსწავლეები ხალხური სიმღერის „თებრონე მიდის წყალზედა“ ინსცენირებას ახდენენ (სურვილის მიხედვით მონაწილეობენ).</p>	<p>ფორტიპიანო, სანოტო მასალა: ხალხური სიმღერა „თებრონე მიდის წყალზედა“; ინსცენირებისთვის საჭირო რეკვიზიტი.</p>	
<p>2. გაითამაშებს სხვებთან ერთად რაიმე ამბავს მუსიკალური ნაწარმოე-</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ/მღერიან ვ. გოკიელის – „წითელქუდას სიმღერას“. მთელი კლასის სიმღერის ფონზე საჭირო ატრიბუტიკის გამოყენებით ერთ-ერთი მოსწავლე განასახიერებს მხიარულ</p>	<p>მოსამენი აპარატურა ან ფორტიპიანო, აუდიო ჩანაწერი ან სანოტო მასალა: ვ. გოკიელი –</p>	

<p>ბიდან მიდებუელი განწობილების გადმოსაცემად;</p>	<p>პატარა გოგონას – წითელქუდას.</p>	<p>„წითელქუდას სიმღერა“; წითელი ქუდი, კალათა.</p>	
<p>3. გაათამაშებს მარტივ ეტიუდებს შესაბამისი იმ-პროვიზაციული ტექსტის დამატებით;</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ/მღერიან ი. ბობოხიძის სიმღერას – “გოგო ანა”. შეირჩევა ორი მოსწავლე – გოგო ანა და ბებო ანა. მათ ეძლევათ გარკვეული მითითებები: ბებო ანამ უნდა დაჩივლოს და წაიყვანოს გოგო ანა წყაროზე, ის კი უნდა შეეცადოს, ხელიდან დაუსხლტეს. მთელი ამ მოქმედების ტექსტი თავად მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ. მთელი კლასის სიმღერის ფონზე “გოგო ანა” და “ბებო ანა” გაითამაშებენ სიმღერაში აღწერილ სიუჟეტს. ერთ გარკვეულზე, შესაძლოა, რამდენიმე წყვილმა გაითამაშოს.</p>	<p>მოსამენი აპარატურა ან ფორტეპიანო, აუდიო ჩანაწერი ან სანოტო მასალა: ი. ბობოხიძე - სიმღერა “გოგო ანა”.</p>	
<p>4.სხეულის მოძრაობით გადმოსცემს მუსიკით გამონკვეულ ემოციას.</p>	<p>იხ. მუს. III.3. შედეგის 1. ინდიკატორის აქტივობა.</p>	<p>იხ. მუს. III.3. შედეგის 1. ინდიკატორის აქტივობის რესურსები.</p>	
<p>მუს. III.4. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური დამწერლობის ნასწავლი ნიშნების ამოცნობა.</p>			

<p>1. ამოიცნობს და ხატავს ვიოლინოს გასაღებს;</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე ხაზავს სანოტო სისტემას და წერს ვიოლინოს გასაღებს. მოსწავლეებს ურიგდებათ სანოტო ფორცლები, რომლებზედაც წყვეტილი ხაზებითაა მოცემული ვიოლინოს გასაღების რამდენიმე გამოსახულება და სხვა ფერითაა გამოყოფილი სანყისი ნერტილი. ყოველ მომდევნო გამოსახულებაში ვიოლინოს გასაღების უფრო დიდი ნაწილია მოხაზული. ამ სახით მოსწავლეები ვარჯიშობენ და სწავლობენ ვიოლინოს გასაღების დანერას.</p>	<p>დაფა, მარკერი, სანოტო რვეულები, ფანქრები, საშლელელები.</p>	
<p>2. განარჩევს და ასახელებს სანოტო სისტემის ხაზებს;</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე დახაზავს სანოტო ხაზებს და ზევიდან ქვევით დანომრავს. მოსწავლეებმა უნდა შეასწორონ შეცდომები.</p>	<p>დაფა, მარკერი.</p>	
<p>3. ამოიცნობს, ასახელებს და წერს ნოტებს ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე.</p>	<p>ა) მოსწავლეები წერენ ნოტებს ხაზებზე და ხაზებს შორის, ასახელებენ მათ; დაფაზე არათანმიმდევრულად დანერილ ნოტებს მოსწავლეებმა უნდა მიუწერონ სახელწოდებები.</p> <p>ბ) მასწავლებელი დაფაზე ხაზავს სანოტო სისტემას, ვიოლინოს გასაღებს, ზომის მარცხენაგელს - 3/4 და დანერს მარტივ მოტივს.</p>  <p>მოსწავლეებმა მოცემული მბგალითი უნდა გადანერონ სანოტო რვეულებში, იმსჯელონ, რას გვიჩვენებს ზომა, რა გრძლიობის ნოტებია ჩანანერში, როგორ ვითვლით მათ და ა.შ.</p>	<p>დაფა, მარკერი, სანოტო რვეულები, ფანქრები, საშლელელები.</p>	

<p>მუს. III.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება.</p>	<p>1. მოიტანს გაკვეთილისთვის საჭირო ნივთებს;</p> <p>2. აქტიურადაა ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში;</p> <p>3. მონაწილეობს გამომკითხვაში;</p> <p>4. სვამს კითხვებს;</p> <p>5. ჩაინერს დავალებას.</p>	<p>მასწავლებელი წყვილებად ჰყოფს მოსწავლეებს და ავალებს, ერთმანეთისთვის შეადგინონ დავალება სანოტო დამწერლობის საკითხებზე (თითოეულს სჭირდება სანოტო რვეული, ფანქარი, საშლელი). მოსწავლეები ამოწმებენ შესრულებულ დავალებას.</p> <p>იხ. მუს. III.3. შედეგის 1. ინდიკატორის აქტივობა.</p> <p>მოსწავლე პასუხობს კითხვებს გავლილ მასალასთან დაკავშირებით.</p> <p>ახალი ნაწარმოების მოსმენის შემდეგ მოსწავლეები სვამენ კითხვებს: ვინ არის მისი ავტორი? როდის ცხოვრობდა ის? კიდევ რა ნაწარმოებები აქვს დაწერილი, და ა. შ.</p> <p>ა) მოსწავლე ატარებს დღიურს, მუსიკის წიგნსა და რვეულს საკლასო და საშინაო დავალებებზე-სათვის. ინიშნავს და ასრულებს დავალებებს;</p>	<p>სანოტო რვეულები, ფანქრები, საშლელი.</p> <p>იხ. მუს. III.3. შედეგის 1. ინდიკატორის აქტივობის რესურსები.</p> <p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებები (მასწავლებლის შერჩევით).</p>	<p>დავლება ინერება თანაკლასელების რვეულში.</p>
--	---	--	--	--

	<p>ბ) მოსწავლე ჩანერს მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებას - დახატოს ილუსტრაციები კ. სენ-სანსის ”ცხოველთა კარნავალისთვის”, რომელიც ამ და წინა კლასებში მოისმინეს.</p>		
<p>მუს. III.6. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფში მუშაობა.</p>	<p>1. მუშაობს სხვებთან ერთად;</p> <p>მოსწავლეები ამზადებენ პროექტს თემაზე „მუსიკალური საკრავები“, იყოფიან ჯგუფებად და ეხმარებიან ერთმანეთს საჭირო მასალის მოძიებაში, გაფორმებასა და წარდგენაში.</p>	<p>აქტივობის ჩასატარებლად საჭირო რეკვიზიტი (მასწავლებლის შერჩევით).</p>	<p>ეს აქტივობა უნდა წარიმართოს მასწავლებლის დახმარებით.</p>
<p>2. ეხმარება თანაკლასელებს;</p>	<p>მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, რომლებიც დადიან სამუსიკო სკოლაში, დაეხმარონ თანაკლასელებს სანოტო დამწერლობის შესწავლაში. მაგალითად, ნინო გააცნობს გიორგის კლავიატურას, ნოტებს ხაზებზე, ხაზებს შორის.</p>	<p>ფორტეპიანო, დაფა, მარკერი.</p>	
<p>3. ყურს უგდებს განსხვავებულ აზრს;</p>	<p>მოსწავლეები საუბრობენ მათი ასაკის მუსიკოსებზე, გამოთქვამენ აზრს, რატომ უყვართ/არ უყვართ ფორტეპიანოზე, ვიოლინოსა ან სხვა საკრავზე დაკვრა/მეცადინეობა.</p>		<p>მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ყოველი განსხვავებული აზრი პატივსაცემია, მიანიშნებს, რომ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებიდან თითოეული დარწმუნებულია</p>

			თავისი აზრის სისწორეში. ამის გათვალისწინებით, დისკუსიის, კამათის დროს ყურადღებით უნდა მოკუსმინოთ სხვას და მშვიდად გამოეთქვათ რვენი აზრი.
4. ეზბადება ჯგუფური წარმოდგენისათვის.	იხ. მუს.III.6. შუდევის 1. ინდიკატორის აქტივობა.	იხ. მუს.III.6. შუდევის 1. ინდიკატორის აქტივობის რესურსები.	

ვიმართულება: კომუნეკაცია და ინტერაკტაცია

შუდევი / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რესურსები	შინჯვანა
მუს.III.7. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დაკოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ			
1. ამოცნობს და ასახელებს ნაცნობ მელოდიას/მუსი-	მოსწავლეები წინა გაკვეთილებზე მოსმენილი ნაწარმოებებიდან (საგალობელი „დმერთი უფალი“ და ნ. სულხანიშვილის „მესტვირული“)	მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: საგალობელი „დმერთი უფალი“ ,	

კალურ თემას;	ამოცნობენ/განარჩევენ საგალობლისა და ნ. სულხანიშვილის გუნდის თემებს.	6. სულხანიშვილი - „მესტ-ვირული“.	
2. მოსმენისას ტაშით, სიმღერით, მოძრაობით, ცეკვით აჰყვება მუსიკას;	იხ.მუს.III.7. შედეგის 5. ინდიკატორის აქტივობა იმ განსხვავებით, რომ დირიჟორობის ნაცვლად, მოსწავლე სხეულის მოძრაობით გადმოსცემს მუსიკის ხასიათს, შინაარსს.	იხ.მუს.III.7. შედეგის 5. ინდიკატორის აქტივობის რესურსი.	
3. ახასიათებს კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს მელოდის, ტემპის, ხმოვანების სიძლიერის, მეტრის მიხედვით;	მოსწავლეები უსმენენ ა. ვივალდის „გაზაფხულს“, I ნაწილს, კონცერტების ციკლიდან „ნეელინადის დრონი“; მასწავლებელი სთხოვს, ყურადღებით მოსმინონ ნაწარმოები და განმეორებითი მოსმენისას აღნიშნონ ცვლილებები დინამიკაში, დაახასიათონ ტემპი, ბგერნერიითი მომენტები მელოდიაში (ჩიტების ჭიკჭიკის იმიტაცია ვიოლინოების ტრელებში).	მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ა. ვივალდი „გაზაფხული“, I ნაწილი, კონცერტების ციკლიდან „ნეელინადის დრონი“;	უმჯობესია, მასწავლებლის დახმარების გარეშე მოხდეს დინამიკის, ტემპისა და ბგერნერიითი მომენტების დაფიქსირება/აღნიშვნა. თუმცა, თავად ტერმინი „ბგერნერიითი“, სასურველია, არ იყოს ნახსენები.
4. ასხვავებს ვოკალურ და ინსტრუმენტულ ნაწარმოებებს;	მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ვოკალურია მუსიკა, თუ მასში მონაწილეობს ხმა, ხოლო ინსტრუმენტულია, თუ მასში მხოლოდ ინსტრუმენტები მონაწილეობენ. მოსწავლეები უსმენენ ზ. ფალიაშვილის კიაზოს სცენას და მოწოდებას ხალხისადმი „თავისუფლება“ ოპერიდან „დაისი“, ცეკვას „ქართული“ ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“ და სხვა ვოკალურ და ინსტრუმენტულ ნაწარმოებებს და განასხვავებენ, ვოკალურია თუ ინსტრუმენტული.	მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ზ. ფალიაშვილი - კიაზოს სცენა და მოწოდება ხალხისადმი „თავისუფლება“ ოპერიდან „დაისი“, ცეკვა „ქართული“ ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“.	

<p>5. იმეორებს მუსიკალურ საქცევს, მელოდიას, დამახასიათებელ რიტმულ ნახაზს, “დირიჟორობს” მოსმენისას;</p>	<p>მასწავლებელი ასმენინებს ნ. სულხანიშვილის საგუნდო ნაწარმოებს „მესტიური“ - ერთ-ერთი მოსწავლე სიმღერით იმეორებს მუსიკალურ საქცევს (აჟყეება მუსიკას) და დირიჟორობს.</p>	<p>მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ნ. სულხანიშვილი - „მესტიური“.</p>	<p>მასწავლებელი კიდევ ერთხელ უხსნის მოსწავლეებს, როგორ აჩვენებს დირიჟორი სუნთქვის აღებას, სიმღერის დაწყებას, დასასრულს, ხმის მომატებას, დაკლებას და ა. შ.</p>
<p>6. მუსიკით გამოწვეულ განწყობილებას, ემოციას გადმოსცემს ნახატში.</p>	<p>მოსწავლეებს შეუძლიათ დახატონ სურათი მათ მიერ ნასწავლი რომელიმე ხალხური სიმღერის (მაგალითად, „მორბის არაგვის“) მიხედვით.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური, „მორბის არაგვი“; სახატავი რვეულები, ფერადი ფანქრები.</p>	

<p>მუს. III.8. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება.</p>			
<p>1. იყენებს ნასწავლ ტერმინებს საუბრის დროს და საჭიროების შემთხვევაში განმარტავს მათ;</p>	<p>ა) მასწავლებელი კარნახობს ასეთ ტექსტს: 1. მუსიკალური ნაწარმოები სრულდება ჩქარ ტემპში, ხმამაღლა; 2. ნაწარმოების ბოლოსთან დათან სუსტდება ხმოვანება და ნაწარმოები მთავრდება ჩუმად, ხმადაბლა. მოსწავლეები ჩაინერენ ტექსტს და დაფაზე</p>	<p>ა) დაფა, მარკერი, რვეულები, კალმისტრები.</p>	<p>გამარტივების მიზნით, შესაძლებელია, ჯერ ტექსტის ერთი ნაწილი მივანოდოთ მოსწავლეებს, შემდეგ კი მეორე.</p>

<p>2. სვამს კითხვებს ახალი ტერმინის, სიტყვის მნიშვნელობის და ფუსტების მიზნით.</p>	<p>დაწერილ ტერმინებს: Allegro, Forte, Piano, Diminuendo.</p> <p>ბავშვები ტექსტში მითითებულ სიტყვებს: ჩქარ ტემპში, ხმამაღლა, ხმოვანების შესუსტება, ჩუმად, შეცვლიან ლათინური ტერმინებით და ხელახლა დანერგენ ტექსტს.</p> <p>ბ) მოსწავლეებმა უნდა დაუკავშირონ სიტყვები შესაბამის წინადადებებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) სპექტაკლი შედგება რამდენიმე ... 2) მოქმედებებს შორის შესვენებას ეწოდება ... 3) საოპერო სპექტაკლში მღერიან ... <ul style="list-style-type: none"> ● ანტრაქტი; ● არიებს, ანსამბლებს, დუეტებს; ● მოქმედებისაგან. <p>გ) მოსწავლეები და მასწავლებელი საუბრობენ თემაზე „სტუმრად ოპერის თეატრში“. იყენებენ ნასწავლ ტერმინებს: რეპეტიცია, ორკესტრი, დირიჟორი, სოლისტი, აკომპანემენტი, ბალეტი, ოპერა, თეატრალური/საოპერო/საბალეტო დასი, მოქმედება/აქტი, ანტრაქტი, არია, ანსამბლი, დუეტი.</p>	<p>ბ) დაფა, მარკერი.</p>	
	<p>მასწავლებელი ამღერებს ორ-სამ მოსწავლეს რიგრიგობით ერთსა და იმავე სიმღერას (მაგალითად, გ. ცაბაძის „საათს“) და ეკითხება: - როგორი ხმით მღერის გიორგი? მარიამი? სანდრო? მოსწავლეები პასუხობენ. - ხმის როგორი ტემ-</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: გ. ცაბაძე - სიმღერა „საათი“.</p>	

	<p>ბრი აქვს გიორგის? მარიამს? სანდროს? (სავარაუდოდ, ვაჟკაცური, ძლიერი, ნერილი, ნაზი და ა. შ.).</p> <p>მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეებმა უნდა მიაგონ ახალი ტერმინის - ტემბრის განმარტებას (ტემბრი არის ხმის შეფერილობა, ელფერი).</p>		
<p>მუს. III.9. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p>	<p>1. მონაწილეობს კლასის ღონისძიებებში;</p>		
	<p>ხუთ-ხუთი მოსწავლისგან შემდგარი ჯგუფები შესვენებებზე აწარმოებენ თავიანთი თანატოლების გამოკითხვას: მესამე კლასში ნასწავლი სიმღერებიდან რომელი გიყვართ ყველაზე მეტად? მეორე დღეს ჯგუფები ითვლიან შედეგებს და ავლენენ სიმღერას, რომელიც ყველაზე მეტ მოსწავლეს უყვარს.</p>	<p>ფურცლები, კალმისტრები.</p>	
<p>2. მონაწილეობს და ესწრება სკოლის საანგარიშო კონცერტს;</p>	<p>მასწავლებლის დახმარებით მოსწავლე/მოსწავლეები ამზადებენ ერთ ან რამდენიმე ნომერს სკოლის საანგარიშო კონცერტისათვის, არ აცდენენ რეპეტიციებს, აქტიურად მონაწილე-</p>	<p>სკოლის კონცერტის ჩასატარებლად საჭირო რეკვიზიტი (მასწავლებლის შერჩევით).</p>	

		<p>ბენ მზადების პროცესში, უსმენენ და ტაშით აფასებენ სხვების გამოხატულებასაც.</p>	
	<p>ფურცლები, კალმისტრები.</p>	<p>მოსწავლე კლასთან ამ მშობლებთან ერთად ესწრება სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას. უზიარებს კლასს შთაბეჭდილებებს (ზეპირად ან აკეთებს ჩანაწერს).</p>	
<p>მუს. III. 10. მოსწავლეს აქვს უნარი, პატივისცემით მოეკიდოს სხვის შემოქმედებასა და აზრს.</p>		<p>მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს - ნახატებს, რომლებიც შეიქმნა ე. გრიგის პიესის „დილა“ (სუიტებიდან „პერ გიუნტი“) მოსმენის შემდეგ. მასწავლებლის კითხვაზე - რა მოეწონათ მეგობრის ნახატში (ფერები, პერსონაჟის, საგნების თავისებური ასახვა, შთაბეჭდილების, განწყობილების თავისებური გამოხატვა), მოსწავლეები დადებითი სურვილებით, კეთილგანწყობით (რაზეც მასწავლებელი წინასწარ მიუთითებს) ახასიათებენ ერთმანეთის ნამუშევრებს.</p>	<p>მოსამდინი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ე. გრიგი - პიესა „დილა“; სახატავი რეკულები, ფერადი ფანქრები.</p>

2. აცდის სხვებს პასუხის დასრულებას;			
3. კორექტულია აზრის გამოთქმის დროს.	იხ. მუს. III. 10. შედეგის 1. ინდიკატორის აქტივობა.	იხ. მუს. III. 10. შედეგის 1. ინდიკატორის აქტივობის რესურსები.	
მუს. III. 11. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა გრძნობებისა და განწყობილებების გამოხატვის საშუალებაა.			
1. საუბრობს იმაზე, რა განწყობილებას უქმნის ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები;	მასწავლებელი გაასხენებს მოსწავლეებს ნასწავლ სიმღერას - მ. აროშოძის „კანფეტების თოვლს“. მოსწავლეებმა ამ სიმღერის განწყობილების მიხედვით, უნდა მოიფიქრონ რამდენიმე სიტუაცია - სად შეიძლება უღერდეს ეს სიმღერა? (დაბადების დღე, ახალი წელი, მეჯლისი და ა.შ.).	ფორტეპიანო, სანოტო მასალა: მ. აროშოძე - სიმღერა „კანფეტების თოვლი“.	
2. მუსიკალური საკრავის ტემბრს უკავშირებს კონკ-	მოსწავლეები მოისმენენ ქ. ვ. გლუკის მელოდიას ფლეიტისათვის ოპერიდან „ორფეოსი“ და მოცემულ ცხრილში შემოხაზავენ შესაბამის სიტყვას.	მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ქ. ვ. გლუკი - მელოდია	

<p>რეტულ განწყობილებას;</p>	<table border="1"> <tr> <td data-bbox="167 517 226 884"> <p>ნაწარმოები</p> <p>ქ. ვ. გლუკი - მელოდია სოლო ფლექსიონისათვის</p> </td> <td data-bbox="226 517 285 884"> <p>საკრავი</p> <p>ვიოლინო დოლი ფლექსიონი</p> </td> <td data-bbox="285 517 344 884"> <p>განწყობილება</p> <p>მხიარული ენერგიული მშვიდი</p> </td> </tr> </table>	<p>ნაწარმოები</p> <p>ქ. ვ. გლუკი - მელოდია სოლო ფლექსიონისათვის</p>	<p>საკრავი</p> <p>ვიოლინო დოლი ფლექსიონი</p>	<p>განწყობილება</p> <p>მხიარული ენერგიული მშვიდი</p>	<p>ფლექსიონისათვის ოპერადან „ორფეოსი“; სამუშაო რეკორდები, კალმისტრები.</p>	
<p>ნაწარმოები</p> <p>ქ. ვ. გლუკი - მელოდია სოლო ფლექსიონისათვის</p>	<p>საკრავი</p> <p>ვიოლინო დოლი ფლექსიონი</p>	<p>განწყობილება</p> <p>მხიარული ენერგიული მშვიდი</p>				
<p>3. განწყობილების შესაბამისად ასრულებს ნაცნობ მელოდიას, სიმღერას;</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე დაწერს განწყობილების გამომხატველ სიტყვებს: ა) მშვიდი, წყნარი; ბ) მხიარული, მოძრავი; ასევე, ჩამოწერს ნასწავლი სიმღერების სახელწოდებებს: ლ. ბეთჰოვენის „ზაზუნა“, „შენ ხარ ვენახი“, „ცანგალა და გოგონა“, ა. ბახილიას „ცისარტყელები“.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ლ. ბეთჰოვენის - „ზაზუნა“, „შენ ხარ ვენახი“, „ცანგალა და გოგონა“, ა. ბახილიას - „ცისარტყელები“; დაფა, მარკერი.</p>				
<p>4. საუბრობს იმაზე, რისი გამოხატვა სურდა ავტორს კონკრეტულ ნაწარმოებში.</p>	<p>მასწავლებელი პატარ-პატარა ბარათებზე წერს მათთვის უცნობი რამდენიმე ნაწარმოების სახელწოდებებს, მაგალითად, ი. ს. ბახი - ბრანდენბურგის კონცერტი; დ. სკარლათი - სონატა. კლასი დაიყოფა ორ ჯგუფად. ჯგუფების თითო</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ი. ს. ბახი - ბრანდენბურგის კონცერტი №2, III ნაწილი, დ. სკარლათი - სონატა, K.</p>				

	<p>ნარმომადგენელი იღებს ბრათს და კითხულობს მითითებული ნანარმობის სახელწოდებას. მას-წავლებელი ასმენებს მითითებულ ნანარმობს, ხოლო მოსწავლეები თავიანთ ჯგუფებში ახასიათებენ მუსიკალურ ნანარმობს (ვოკალური, თუ საკრავიერი, სავარაუდოდ, რა შემადგენლობისთვისაა დაწერილი და რას გვიხატავს მუსიკა) და საკუთარ ვერსიას ნარადგენენ კლასის წინაშე.</p>	<p>159, დო მაჟორი; ბრათები.</p>	
--	--	---------------------------------	--

ვიბარტულაბა: მუსიკალური ნანარმობის აღმა კონტაქტში

შუბაბი / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რესურსები	შენიშვნა
<p>მუს.III.12. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ხელოვნების დარგები და ხელოვნებასთან დაკავშირებული პროფესიები.</p>			
<p>1. ასხვავებს ხელოვნების სხვადასხვა დარგს - მუსიკას, მხატვრობას, ქანდაკე-</p>	<p>ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცნობილი ნარმომადგენლებისა და მათ მიერ შექმნილი ნანარმობების სახელწოდებები მოსწავლეებმა წერილობითი სახით უნდა წარადგინონ გაკვეთილზე. მაგალითად, ლიტერატურა: ა. ლინდგრენი - "პეპი</p>	<p>ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცნობილი ნარმომადგენლებისა და მათ მიერ შექმნილი ნანარმობების სახელწოდებების</p>	

<p>ბას, კვიკვას, პოეზიას;</p>	<p>გრძელნიინდა", "სახურავის ბინადარი კარლ-სონი"; მხატვრობა: ნ. ფიროსმანი - "გოგონა ბუშტით"; ქანდაკება: მ. ბერძენიშვილი - "მუზა"; ცეკვა: "სამია", "პოლკა"; პოეზია: პ. იაშვილი - "მთაში მოსულა ზამთარი".</p>	<p>ნუსხა (მოსწავლეთა შერჩევით).</p>	
<p>2. აკვშირებს ხელოვნების დარგებთან შესაბამის პროფესიებს და აღწერს მათ საქმიანობას (მაგალითად, მუსიკა – კომპოზიტორი – წერს მუსიკას);</p>	<p>იხ. წინა აქტივობის მოძიებულ ინფორმაციას გაარჩევენ, აღწერენ ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების საქმიანობას, დახასიათებენ მათ მიერ შექმნილ მათთვის ცნობილ ნაწარმოებებს.</p>	<p>იხ. წინა აქტივობის რესურსები.</p>	
<p>3. ასახელებს ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ორ ან მეტ ნიმუშს და ამ დარგის გამომსახველ საშუალებებს, მასალას.</p>	<p>მოსწავლეები ავსებენ წინადადებებში გამოტოვებულ ადგილებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ... ქმნის მუსიკას მუსიკალური ნოტების საშუალებით; 2. მომღერალი ასრულებს ...; 3. ... შესაქმნელად მოქანდაკე იყენებს ...ს; 4. საღებავები და ტილო ...-ს სჭირდება ...-ის შესაქმნელად. 	<p>დაფა, მარკერი, რეკულები, კალმისტრები.</p>	

<p>მუს. III. 13. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიური მონაწილეობის დაკავშირება.</p>	<p>1. სვამს კითხვებს მოსმენილ ნაწარმოებთან დაკავშირებით;</p>	<p>მასწავლებელი კლასს დაყოფს ორ ჯგუფად, მოასმენინებს ე. გრიგის „დილას“ სუიტის „პერ-გიუნტი“. თითოეული ჯგუფი მოიფიქრებს ამ ნაწარმოებთან დაკავშირებულ კითხვებს და წერილობითი სახით ჩააბარებს მასწავლებელს.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ე. გრიგი - „დილა“ სუიტის „პერ-გიუნტი“.</p>	<p>ამ აქტივობით ფასდება მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზის, ჯგუფში მუშაობის უნარი.</p>
<p>2. პარალელს ავლენს მოსმენილ და წაკითხულ ნაწარმოებებს შორის;</p>	<p>მოსწავლეები კითხულობენ გალაკტიონის ლექსს „ქართ დატრებული“ და ლადო ასათიანის ლექსს „შემოდგომა მოვიდა“, ურიგდებოდათ რეპროდუქციები: ჯონ ევერეტ მილერს „შემოდგომის ფოთლები“ და ფიროსიმანის „ყურძნის კრეფა“.</p>	<p>მოსწავლეები შეუსაბამებენ ერთმანეთს ლექსებსა და ნახატებს. ამის შემდეგ უსმენენ ორ ნაწარმოებს: პ. ჩაიკოვსკის „ოქტომბერს“, და ა. გიგალდის „შემოდგომა“; მსჯელობენ, რომელი შეესაბამება ლექსისა და ნახატის მათ მიერ შერჩეულ ნწყვილებს.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: პ. ჩაიკოვსკი - „ოქტომბერი“, ა. გიგალდის ფოტომასალა: ჯონ ევერეტ მილერ - „შემოდგომის ფოთლები“, ნ. ფიროსიმანი - „ყურძნის კრეფა“; ლექსები: გალაკტიონ ტაბიძე - „ქართ დატრებული“, ლ. ასათიანი - „შემოდგომა მოვიდა“.</p>	<p>შესაძლებელია, იგივე აქტივობა გაკეთდეს წელიწადის სხვა დროებთან დაკავშირებით, აგრეთვე, სასურველია, თუ ამ კონკრეტულ აქტივობას მასწავლებელი შემოადგომის სეზონზე განახორციელებს.</p>
<p>3. აკავშირებს მუსიკალური ნაწარმოებების სიუჟეტს,</p>	<p>ა) მოსწავლეები უსმენენ/სწავლობენ მ. დავითაშვილის სიმღერას „პატარა მატარებელი“ და მსჯელობენ, ყოველდღიური მოვლენებიდან, კერ-</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: მ. დავითაშვილი - სიმღერა „პატარა</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: მ. დავითაშვილი - სიმღერა „პატარა</p>	


თავი III. ღაწყაბითი სავუნურის მუსიკის სტანდარტი

<p>ტექსტს ყოველ- დღიურ მოვლენ- ებთან (მგზავრობა, თამაში, ამინდი...).</p>	<p>ძოდ რომელია სიმღერაში ასახული: მგზავრობა, გაკვეთილზე ყოფნა თუ ტყეში გასეირნება? ბ) მოსწავლეები უსმენენ დ. თორაძის საორკესტრო პიესას “დილა” და მსჯელობენ: როგორ დილაა, წვიმიანი, ქარიანი თუ მზიანი?</p>	<p>მატარებელი”, დ. თორაძე - საორკესტრო პიესა “დილა”.</p>									
<p>მუს. III.14. მოსწავ- ლეს შეუძლია ერთმანეთისგან განასხვავოს ნასწავლი მუსი- კალური საკრავე- ბი.</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ცხრილს. პირ- ველ გრაფაში ჩანერს მოსასმენი ნაწარმოების სახელწოდებას, მეორე გრაფა მოსწავლეებმა უნდა შეავსონ. ისინი მოსმენილ ნაწარმოებებში ამოიცნობენ საკრავის ტემბრს და მის გასწვრივ ჩანერენ.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: დ. სკარლატი - სონატა დო მაჟორი, ვივალდი - „გაზაფხული“ ("წელიწადის დრონი"), დასაკრავი ჩონგურზე; დაფა, მარკერი.</p>									
<p>1. ამოიცნობს საკრავებს სოლო ჟღერადობის დროს;</p>	<table border="1"> <thead> <tr> <th data-bbox="985 1166 1061 1495">ნაწარმოები</th> <th data-bbox="985 896 1061 1166">საკრავი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="1064 1166 1136 1495">დ. სკარლატი - სონატა</td> <td data-bbox="1064 896 1136 1166"></td> </tr> <tr> <td data-bbox="1138 1166 1210 1495">ა. ვივალდი - კონცერტი „გაზაფხული“</td> <td data-bbox="1138 896 1210 1166"></td> </tr> <tr> <td data-bbox="1212 1166 1254 1495">ფრაგმენტი ხალხური მუსიკალური ნაწარმოე- ბიდან</td> <td data-bbox="1212 896 1254 1166"></td> </tr> </tbody> </table>	ნაწარმოები	საკრავი	დ. სკარლატი - სონატა		ა. ვივალდი - კონცერტი „გაზაფხული“		ფრაგმენტი ხალხური მუსიკალური ნაწარმოე- ბიდან			
ნაწარმოები	საკრავი										
დ. სკარლატი - სონატა											
ა. ვივალდი - კონცერტი „გაზაფხული“											
ფრაგმენტი ხალხური მუსიკალური ნაწარმოე- ბიდან											

<p>2. განასხვავებს საკრავებს მასალის მიხედვით;</p>	<p>მასწავლებელი ასეთ დავალებას აძლევს მოსწავლეებს: რამდენიმე მოსწავლისგან შემდგარმა ჯგუფმა უნდა მოიძიოს ინფორმაცია ხისა და ლითონის რომელიმე საკრავის დამზადების ნუსის, მასალის შესახებ და წარუდგინოს თანაკლასელებს შემდეგ გაკვეთილზე. მაგალითად, მოიძიებენ მასალას ფლეიტის შესახებ და ამზადებენ თვალსაჩინოებას დიდი ფორმატის ფურცელზე.</p>	<p>მასწავლებელი უნდა დაეხმოს მოსწავლეებს მათი ინფორმაციის დასადასტურებლად და დაეხმოს მათი ინფორმაციის დასადასტურებლად.</p>	<p>მასწავლებელს შეუძლია თავად მოიტანოს მუსიკალური ენციკლოპედია ან ისარგებლოს ინტერნეტით და ერთ-ერთი გაკვეთილი მასალის მოძიებას, დახმარებას დაეუთმოს.</p>
<p>3. ხატავს ინსტრუმენტს ან მის რომელიმე ნაწილს.</p>	<p>მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ფოტოსურათებს, სადაც ერთ სივრცეშია გამოსახული კონტრაბასი, ჩელო და ვიოლინო. მოსწავლეები აკვირდებიან საკრავების ფორმას, ზომას და შემდეგ ხატავენ მათ რვეულებში.</p>	<p>ფოტოსურათები: კონტრაბასი, ჩელო, ვიოლინო; სახატავი რვეულები, ფერადი ფანქრები.</p>	<p>მოსწავლეებმა უნდა დაიცვან კონტრაბასის, ჩელოსა და ვიოლინოს მასშტაბები.</p>

IV კლასი

მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

შედეგი / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რესურსები	შენიშვნა
<p>მუს.IV.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების გამოყენება იმპროვიზაციულ სავარჯიშოებში</p>			
<p>1. მუსიკის მოსმენის დროს განასხვავებს მაჟორსა და მინორს;</p>	<p>მასწავლებელი დაუკრავს ერთსახელიან მაჟორსა და მინორს. მოსწავლეები ასახელებენ კილოს მიხრილობას, მღერიან მაჟორული და მინორული გამის დასაწყისს (I-III საფეხურები).</p>	<p>ფორტეპიანო</p>	<p>მაჟორისა და მინორის ამოცნობისას ყურადღება უნდა გაგამახვილოთ გამის შესაბამის საფეხურზე.</p>
<p>2. მღერის უახლოეს ბგერებს ტონიკის გარშემო (ტონიკური ბგერის შემომღერიება);</p>	<p>მასწავლებელი დაუკრავს რომელიმე გამას, მოსწავლეები მღერიან ამ გამის პირველ საფეხურს (ტონიკას) და ჯერ ასახელებენ გარემომცველ ბგერებს, შემდეგ შემოამღერიებენ მას (ქვემოდან, ზემოდან).</p> 	<p>ფორტეპიანო</p>	<p>გამაში ტონიკის შეგრძნება (სიმღერით, მოსმენისას), მისი შემომღერიება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ინტონაციური სავარჯიშოების დროს.</p>

<p>3. სიმღერით იმეორებს ინტერვალებს კვინტის ფარგლებში;</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს ნასწავლ ინტერვალებს: პრიმას, სეკუნდას, ტერციას, კვარტას, კვინტას. მოსწავლეები ფორტეპიანოს დახმარებით და დასახელებული თანმიმდევრობით იმღერებენ ამ ინტერვალებს ერთი და იგივე ტონიდან.</p>	<p>ფორტეპიანო, დაფა, მარკერი.</p>	<p>შემდგომ ეტაპზე, სიმღერის სას ცვლის ინტერვალების თანმიმდევრობას ერთ ტონზე (მაგალითად, კვინტა, სეკუნდა, ტერცია, პრიმა, კვარტა). სხვადასხვა ტონიდან.</p>
<p>4. ნაცნობ მელოდიას შეურჩევს ტექსტს;</p>	<p>მოსწავლეები ტექსტის გარეშე სწავლობენ ხალხურ სიმღერას „ნანა“. მოსწავლეებმა ამ სიმღერის მელოდიის ხასიათის მიხედვით უნდა შეარჩიონ სიტყვიერი ტექსტი. მათ უნდა განსაზღვრონ, რა შინაარსის უნდა იყოს იგი.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური სიმღერა „ნანა“, ხალხური პოეზიის კრებული.</p>	
<p>5. ნაცნობ მელოდიას მღერის ნელა, ჩქარა (ტემპი); ხმამაღლა, ხმადაბლა (ხმოვანების სიძლიერე);</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე წერს ტერმინებს - Allegro, Adagio, Crescendo. მოსწავლეები მღერიან გორდებთან სიმღერას „რა დილა თენდება“ და მასწავლებლის მიერ მითითებული ტერმინების შესაბამისად ცვლიან სიმღერის ტემპსა და ხმოვანებას.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: გ. გორდებანი - „რა დილა თენდება“; დაფა, მარკერი.</p>	
<p>6. არკვევს, ფორტეპიანოს რომელ რეგისტრში უღერს მუსიკალური ფრაგმენტი;</p>	<p>მასწავლებელი დაუკრავს რომელიმე შესასწავლი სიმღერის (მაგალითად, ს. ცინცაძის „სიმღერა შავ კატაზე“) საწყის ფრაგმენტს სხვადასხვა რეგისტრში (დაბალ, მაღალ, საშუალო), მოსწავლეები განასხვავებენ და ასახელებენ რეგისტრს.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ს. ცინცაძე - „სიმღერა შავ კატაზე“.</p>	

<p>7. ამოიცნობს ინსტრუმენტზე, ლილინით სხვა ტექსტზე შესრულებულ ნაცნობ მელოდიას;</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე წერს სამი ნასწავლი სიმღერის სახელწოდებას: “მორბის არაგვი”, ა. კერესელიძის “წვიმა”, ვ. კახიძის “ანო და ვანო”. შემდეგ იმღერებს (ტექსტის გარეშე, სხვა ტექსტზე) ერთ-ერთი სიმღერის სანყის ფრაზას. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ სიმღერა.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური “მორბის არაგვი”, ა. კერესელიძე – “წვიმა”, ვ. კახიძე – “ანო და ვანო”; დაფა, მარკერი.</p>	
<p>8. სიმღერის შესრულების/მუსიკის მოსმენისას გამოყოფს მახვილებით ძლიერ დროს;</p>	<p>მოსწავლეები რეგულში გადაწერენ გ. გორდეიანის სიმღერის - “რა დილა თენდება” სიტყვიერ ტექსტს. სიმღერის დროს აქცენტით, ხმის მომატებით გამოყოფენ ძლიერ დროს, ხოლო სიტყვიერ ტექსტში მონიშნავენ იმ სიტყვებს (მარცვლებს), რომლებზეც ხდება აქცენტირება.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: გ. გორდეიანის - “რა დილა თენდება”, სიმღერის სიტყვიერი ტექსტი, რეგულები, კალმისტრები.</p>	
<p>9. უცვლელი მეტრის პირობებში ტაშით ან კაკუნით წარმოადგენს სხვადასხვა რიტმულ ნახაზს;</p>	<p>მასწავლებელი კლასს დაყოფს სამ ჯგუფად. მოსწავლეებმა 3/4 ზომაში თავად უნდა მოიგონონ და ჩაწერონ რიტმული ნახაზი. პირველი ჯგუფის ნახაზს ტაშით ან კაკუნით შეასრულებს მეორე ჯგუფი, მეორე ჯგუფისას - მესამე და ა. შ.</p>	<p>სანოტო რეგულები, ფანქრები, საშლელები.</p>	
<p>10. თანაკლასელების მიერ გაბმულად გაუღერებულ ტონს, მარტივ რიტმულ ფიგურას (ოსტინატო) უხამებს საკუთარ ან</p>	<p>მოსწავლეთა ერთი ჯგუფი მღერის ოსტინატურ რიტმულ ფიგურას ერთ ტონზე, ხოლო მეორე ჯგუფი, მასწავლებლის დახმარებით შეუწყობს მელოდიურ საქცემს ან სხვა რიტმულ ნახაზს.</p> 	<p>ფორტეპიანო</p>	<p>“ოსტინატო” მელოდიური საქცემის ან რიტმის უცვლელ, მრავალგზის განმეორებას გულისხმობს.</p>

<p>სხვა ხმას (კაკუნი, საკრავი) მელოდიურ საქცევს, რიტმულ ფიგურას;</p>			
<p>11. თანაკლასელებთან ერთად “უკრავს” სხვადასხვა რიტმულ ნახაზს სათამაშო ინსტრუმენტებისა და ყოველდღიური მოხმარების საგნებისგან შემდგარ “ანსამბლში”, “ორკესტრში”.</p>	<p>მოსწავლეთა ერთი ჯგუფი დასარტყამ საკრავებზე უკრავს ოსტინატურ რიტმულ ფიგურას, ხოლო მეორე ჯგუფი უხამებს მელოდიურ საქცევს ან სხვა რიტმს მუსიკალურ საკრავებზე - ფორტეპიანოზე, ტუჩის გარმონზე, საყვირზე, გიტარაზე, დოლზე და ა.შ.</p>	<p>ფორტეპიანო, სათამაშო საკრავები: დოლი, მარკასი, ქსილოფონი, ტუჩის გარმონი, საყვირი, გიტარა და ა. შ.</p>	<p>ამ აქტივობისთვის შეიძლება გამოვიყენოთ წინა აქტივობის ან მსგავსი ოსტინატური რიტმული ფიგურა.</p>

<p>მუს.IV.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.</p>			
<p>1. მღერის მაჟორსა და მინორს თანაკლასელებთან ერთად;</p>	<p>მოსწავლეები მღერიან აღმაგულ და დაღმავალ გამსებურ მელოდიას კვინტის ფარგლებში, მაჟორული, მინორული მიხრილობით და სხვადასხვა რიტმული სურათის გამოყენებით (რიტმს თავად იგონებენ).</p>	<p>ფორტეპიანო, დაფა, მარკერი.</p>	<p>ამ მელოდიის სიმღერა შეიძლება ხმოვნებზე, მარცვლებზე, ასევე გამის (მაგალითად, სოლ მაჟორის, სოლ მინორის) ბგერ-</p>

	<p>2. თანაკლასელებთან ერთად მღერის ინტერვალებს კვინტის ფარგლებში;</p>	<p>ა) მოსწავლეები იმეორებენ ნასწავლ ინტერვალებს და მღერიან დო მაჟორში, გამის თითოეულ საფეხურზე: ჯერ პრიმებს, შემდეგ სეკუნდებს, ტერციებს, კვარტებს, კვინტებს. მაგალითად, პრიმებს - დო-დო, რე-რე, მი-მი და ა. შ. სეკუნდებს - დო-რე, რე-მი, მი-ფა და ა. შ. ტერციებს - დო-მი, რე-ფა, მი-სოლ და ა. შ. კვარტებს - დო-ფა, რე-სოლ, მი-ლა და ა. შ. კვინტებს - დო-სოლ, რე-ლა, მი-სი და ა. შ.</p> <p>ბ) მასწავლებლის დახმარებით რომელიმე ნასწავლი სიმღერის მელოდიაში არსებულ ინტერვალებს გამოარჩევენ და ამის მიხედვით მღერიან.</p>	<p>ე) ფორტეპიანო</p> <p>ბ) ფორტეპიანო, სანოტო მასალა: პროგრამით გათვალისწინებული სიმღერა (მასწავლებლის შერჩევით).</p>	<p>ე) ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური "მორბის არაგვი", მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: სიმღერის I და II ხმების ჩანაწერი.</p>
<p>3. მღერის მარტო, ნეცილში, გუნდში ერთხმიან და ორხმიან სიმღერებს ხალხური და კლასიკური რეპერტუარიდან;</p>	<p>მოსწავლეები სწავლობენ ხალხურ სიმღერას "მორბის არაგვი". მთელი კლასი შეისწავლის ჯერ პირველ, შემდეგ მეორე ხმას. პირველი ხმის კარგად დასწავლის შემდეგ, მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით მღერიან პირველ ხმას მეორე ხმის აუდიო ჩანაწერთან ერთად. შემდეგ შეისწავლიან მეორე ხმას და იმღერებენ პირველი ხმის ჩანაწერთან ერთად. ამის შედეგად ადვილად შეეერთებიან I და II ხმებს.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ვ. შაინსკი –</p>	<p>მოსწავლებელს შეუძლია თვითონ ჩაწეროს/შეასრულოს I და II ხმების პარტია. სიმღერის დროს კი ყურადღებას მიაქცევს მოსწავლეებს.</p>	
<p>4. მღერის იმ უცხო ენაზე, რომელსაც</p>	<p>მოსწავლეები სწავლობენ ვ. შაინსკის "Песенка крокодила Гены". ასახელებენ პერსონაჟებს,</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ვ. შაინსკი –</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ვ. შაინსკი –</p>	

სწავლობს;	ნიგნს და მის ავტორს - ე. უსკუნსკის, ანიმაციურ ფილმს. არჩევენ ტექსტს, საუბრობენ შინაარსზე, აქ გადმოცემულ განწყობაზე.	“Песенка крокодила Гены”	
5. მღერის დინამიკური ნიუანსების დაცვით.	მასწავლებელი დაფაზე წერს დინამიკურ ნიუანსებს: Forte, Piano, Mezzo Forte, Mezzo Piano. მოსწავლეები მის მიერ მითითებული დინამიკური ნიუანსის დაცვით ასრულებენ ე. შაინსკის “Песенка крокодила Гены”.	ფორტიპიანო, სანოტო მასალა: ე. შაინსკი – “Песенка крокодила Гены”; დაფა, მარკერი.	
მუს. IV.3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა.			
1. სხვებთან ერთდ გაითამაშებს მარტივ სცენებს კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების/ფრაგმენტის განწყობილების გამობატვის მიზნით;	მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს ცეკვა “ქართულს” ოპერიდან “აბესალომ და ეთერი” (სახელწოდების დაუსახელებლად), მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი ცეკვაა და აჩვენონ მისი რამდენიმე ილეთი.	მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ბ. ფალიაშვილი – ცეკვა “ქართული” ოპერიდან “აბესალომ და ეთერი”	

<p>2. პანტომიმით გამოხატავს გარკვეულ განწყობილებას;</p>	<p>მოსწავლეებს ევლებათ, პანტომიმით და მიმიკით გამოხატონ სიხარულის, შიშის, გაბრაზების, ოცნების განწყობილება. შეუძლიათ გამოიყენონ ხელით არსებული საგნები.</p>	<p>რეკვიზიტი განწყობილების გადმოსაცემად.</p>	
<p>3. ამოიცნობს თანაკლასელის მიერ გამოხატულ განწყობილებას;</p>	<p>მასწავლებელი კლასს დაყოფს ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი გადმოსცემს რაიმე კონკრეტულ განწყობილებას პანტომიმით, მეორე ჯგუფი კი ამოიცნობს მას.</p>	<p>რეკვიზიტი განწყობილების გადმოსაცემად.</p>	
<p>4. მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების შთაბეჭდილებით თხზავს ტექსტს;</p>	<p>მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს ლ. ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის ფინალის თემას - "ოდა სიხარულს". მოსწავლეებმა სახელწოდებისა და მუსიკის შთაბეჭდილებით თავად უნდა მოიფიქრონ, მოხაზონ ტექსტის ესკიზი. პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს ტექსტის შინაარსი - სახუმარო, სადღესასწაულო, ზღაპრული თუ სხვა.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ლ. ბეთჰოვენი სიმფონია №9, ფინალი, ფინალის თემა - "ოდა სიხარულს"; რეგულები, კალმისტრები.</p>	<p>ამ ფრაგმენტზე ტექსტის შეთხზვისას, მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ სიმფონიის თემის სახელწოდება - "ოდა სიხარულს".</p>
<p>5. პერსონაჟის ხასიათს უსადაგებს მუსიკალურ ფრაგმენტს;</p>	<p>მოსწავლეები გაიხსენებენ სიკოსა და საქოს პერსონაჟებს ვ. დოლიძის ოპერიდან "ქეთო და კოტე", მოსმენენ ორ მუსიკალურ ფრაგმენტს: სიკოსა და საქოს კუპლეტებს და კიაზოს მონოდებას ხალხისადმი "თავისუფლება" ზ. ფალიაშვილის ოპერიდან "დაისი". მოსწავლეებმა პერსონაჟების ხასიათს უნდა მიუსადაგონ ერთ-ერთი მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტი.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ვ. დოლიძე – სიკოსა და საქოს კუპლეტები ოპერიდან "ქეთო და კოტე", ზ. ფალიაშვილი – კიაზოს მონოდება ხალხისადმი "თავისუფლება" ოპერიდან "დაისი".</p>	

<p>6. კონკრეტულ ამბავს, სიუჟეტს უსადაგებს მისთვის ცნობილ მუსიკალურ ნაწარმოებს.</p>	<p>მოსწავლეთა ერთი ნაწილი გაითამაშებს სცენას პ. ჩაიკოვსკის ბალეტიდან “მაცნატუნა”: ნათლია დროსელმაიერი მარისა და ფრიცს საშობაოდ ჩუქნის ულაზათო, სასაცილო თოჯინას. მოსწავლეთა დანარჩენმა ნაწილმა უნდა ამოიცნოს და განსაზღვროს, რომელი მუსიკალური ნაწარმოებიდან არის ეს სცენა.</p>	<p>სცენის გასათამაშებლად საჭირო რეკვიზიტი.</p>	<p>ამ აქტივობამდე მოსწავლეები კარგად უნდა იცნობდნენ ამ ნაწარმოებს - ბალეტის ლიბრეტოს და მუსიკალურ ფრაგმენტებს.</p>
<p>მუს. IV.4. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური დამწერლობის ნასწავლი ნიშნების ამოცნობა და ჩანერა.</p>	<p>მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ნოტები ხუთხაზიან სისტემაზე, მაგალითად, პირველი ხაზის კეცვით, მეხუთე ხაზის ზევით, მესამე და მეოთხე ხაზებს შორის და დაფაზე დაწერილ ნოტებს მიუწერონ სახელწოდებები.</p>	<p>დაფა, მარკერი.</p>	<p>ამ აქტივობამდე მოსწავლეები კარგად უნდა იცნობდნენ ამ ნაწარმოებს - ბალეტის ლიბრეტოს და მუსიკალურ ფრაგმენტებს.</p>
<p>2. ასხვავებს და ჩანერს გრძლიობებს, პაუზებს (მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი);</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე დაწერს მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი გრძლიობის ნოტებს ერთ მწკრივში, ხოლო ამავე გრძლიობის პაუზებს მეორე მწკრივში. მოსწავლეებმა ერთნაირი გრძლიობის ნოტები და პაუზები ერთმანეთს უნდა დაუკავშირონ;</p>	<p>დაფა, მარკერი, სანოტო რეეულეები, ფანქრები, საშლელები.</p>	

	<p>ფოტომასალა, აუდიო ჩანაწერი, ასევე, პროფესიული მუსიკალური შემოქმედების ამსახველი მასალა - სანოტო ტექსტები, ფოტოსურათები, აუდიო, ვიდეო მასალა.</p>	<p>მასალა, ხალხური პოეზიის ნიმუშები, ფოტომასალა (მოსწავლეების შერჩევით).</p>	
<p>2.ჩაინერს დავალებას;</p>			
<p>3.აქტიურადაა ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში;</p>	<p>მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმულნი გაკვეთილის მსვლელობაში (გაკვეთილის თემაა "ფოლკლორი და პროფესიული მუსიკალური შემოქმედება"): მოსწავლეთა ერთი ჯგუფი საუბრობს მოცემული თემის გარშემო, მეორე - სვამს კითხვებს, მესამე - აჩვენებს ამ თემაზე მოძიებულ ფოტომასალას, მეოთხე - ასმენინებს ამ თემაზე მოძიებულ მუსიკალურ მასალას.</p>	<p>იხ. წინა აქტივობის რესურსები.</p>	<p>შესაძლებელია, ერთ გაკვეთილზე მხოლოდ ორმა ჯგუფმა წარმოადგინოს შესაბამისი ორი დავალება. ორი ჯგუფის დავალება კი შეიძლება გაკვეთილზე შემოწმდება.</p>
<p>4.მონაწილეობს გამოკითხვაში;</p>	<p>ერთ-ერთ გაკვეთილზე, მოსწავლეები თავად გაუძღვებიან გაკვეთილის მსვლელობას. აირჩევა ორი მოსწავლე - მასწავლებლის და მისი თანაშემწის ფუნქციის შემსრულებელი. მათ უნდა ჩაატარონ მოსწავლეთა გამოკითხვა ტესტური სახით (განვიღოთ მასალაზე). ამისათვის წინასწარ მოამზადებენ საკითხებს, განსაზღვრავენ შეფასების სისტემას, მაგალითად - ქულები 1, 2, 3 - და შეადგინენ ტესტს.</p>	<p>ფურცლები, კალმისტრები.</p>	<p>მასწავლებლისა და მისი თანაშემწის მომავალ კანდიდატურებს მასწავლებელი უხსნის, რომ მათ მიერ თანაკლასელების შეფასება უნდა იყოს მაქსიმალურად პოზიტიური. რაც მთავარია, კლასმა უნდა იცოდეს, რომ ეს არის თანაკლასელების შეფასება და მასწავლებლის მიერ დაწერილ საბოლოო ნიშანზე არ</p>

			<p>აისახება. მოსწავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ შეაფასებენ მას მეცობრები. ეს ზემოქმედებას ახდენს მის თვითშეფასებაზე და, შეიძლება, უარყოფითი ზეგავლენაც იქონიოს. ამიტომ თანაკლასელების შეფასება მაქსიმალურად ლიბერალური უნდა იყოს.</p>
<p>5. სვამს კითხვებს;</p> <p>6. კონკრეტული ამოცანის შესაბამისად გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას.</p>	<p>იხ. მუს.IV.5. შედეგის 4. ინდიკატორის აქტივობა.</p> <p>მოსწავლე ამზადებს პრეზენტაციას სახელწოდებით - "ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ჩემს ასაკში და მისი მუსიკა ბავშვებისათვის". მოსწავლე: 1. მოიძიებს ინფორმაციას ბეთჰოვენის ბავშვობაზე და ამზადებს მცირე ზომის ტექსტს; 2. გაიხსენებს, ბეთჰოვენის რომელი ნაწარმოები ისწავლეს გასულ კლასებში ("ზაზუნა", "ელიზესადმი"), მოიძიებს აუდიო ჩანაწერებს, იხსენებს ამ ნაწარმოებებთან დაკავშირებულ ამბებს; 3. მოიძიებს ფოტომასალას; 4. კრებს შეგროვილ მასალას და მათი დახმარებით აწყობს პრეზენტაციას თანაკლასელებისათვის.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ლ. ბეთჰოვენი - "ზაზუნა", "ელიზესადმი", ფოტომასალა, ინტერნეტი.</p>	<p>მოცემული აქტივობა ასევე შეიძლება შეეფასებამოთ მუს.IV.6. შედეგის 1 ინდიკატორს.</p>

<p>მუს.IV.6. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფში მუშაობა.</p>	<p>1. ცდილობს მენეჯერად ერთად ამოცანის გადაჭრას;</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეთა ორ ჯგუფს აძლევს თემას პრეზენტაციისათვის - კლასიკური მუსიკის საკრავები. პირველი ჯგუფი მოიძიებს მასალას სიმებიანი და ხის ჩასაბერი საკრავების შესახებ, მეორე ჯგუფი - ლითონის ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების შესახებ. მოსწავლეები ირიგენ რომელიმე საკრავს და მენეჯერულსთან ერთად დასახავენ შესასრულებელი სამუშაოს გეგმას.</p> <p>მუს.IV.5. შედეგის 6. ინდიკატორის აქტივობის განხორციელება შესაძლებელია ნევილმიც, თუ გადანაწილება შესასრულებელი ამოცანებზე.</p>	<p>მუსიკალური ენციკლოპედია, ინტერნეტი</p>	<p>ამ შედეგის ყველა აქტივობა ერთ თემას ეხება. ყოველმა თემამ განიხილა პრეზენტაციისათვის მზადების ცალკეული ეტაპი.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ სკოლა არ არის უზრუნველყოფილი ინტერნეტ-კავშირით, მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება ინფორმაციის სხვა წყაროდან მოძიებაში.</p>
<p>2. მუშაობს ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად;</p>	<p>მოსწავლეები დაკისრებული ამოცანის გადასაჭრელად (იხილეთ ნინა აქტივობა) მუშაობენ ინდივიდუალურად: ინტერნეტის, მუსიკალური ენციკლოპედიის საშუალებით მოიძიებენ ტექსტურ და ფოტომასალას მათ მიერ არჩეული საკრავის გარშემო. აცნობენ ამ მასალას ერთმანეთს, აჯერებენ ინფორმაციას.</p>			
<p>3. ყურს უგდებს განსვავებულ აზრს;</p>	<p>მოსწავლეთა 5-კაციანი ჯგუფები ამზადებენ პრეზენტაციებს თემებზე "პეიზაჟი მუსიკაში"</p>	<p>ენციკლოპედიური ლიტერატურა, ინტერნეტი,</p>	<p>თემების შეთავაზებისას მასწავლებელი ითვალისწინებს მათთვის საჭირო ინფორმაციას.</p>	

	<p>კაში", "საფორტეპიანო კონცერტი", "ჩასაბერი საკრავები", "ქართული კომპოზიტორები" და ა. შ. თითოეულ ჯგუფში ნაწილდება ფუნქციები. მოსწავლეები იცავენ ჯგუფური მუშაობის პრინციპებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს.</p>	<p>ფორტეპიანო, კომპიუტერი, აუდიო, ვიდეო, ფოტომასალა (მოსწავლეთა შერჩევით); დაფა, მარკერი.</p>	<p>ისწინებს მოსწავლეთა ცოდნის მარაგს, ინტერესებს. პრეზენტაცია გარკვეული ინფორმაციის თავმოყრის, ჯგუფური მუშაობის, წარდგენის ჩვევების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.</p> <p>გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეები შეასაძლებლობებს მიხედვით თანაბრად უნდა გადაწინდნენ ჯგუფებში.</p>
<p>4. მონაწილეობს გუნდურ სამუშაოში.</p>	<p>იხ. წინა აქტივობა</p>	<p>პრეზენტაციისთვის საჭირო სხვადასხვა ნივთი</p>	<p>აქ იგულისხმება ის ნამუშევრები, რომლებიც დასახეს წინა აქტივობებში (მუს.IV.6. შედეგზე).</p>

ამბარტულაბა: კომუნიკაცია, ინტერაკტიუმი

შედეგი / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რესურსები	რესურსები
<p>მუს.IV.7. მოსწავლეს შეუძლია საუბარი მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების შესახებ.</p>			
<p>1. მუსიკის მოსმენის დროს ასრულებს სხვადასხვა დავალებას - მიანიშნებს ნაცნობი საკრავის, ვოკალის შემოსვლას;</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ ი. ჰაიდნის - სიმფონიას №103, I ნაწილის შესავალს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თვალდახუჭულებმა მოუსმინონ და წარმოიდგინონ ორკესტრი, მოინიშნონ გონებაში, რომელი ინსტრუმენტები იწყებენ სიმფონიას, როდის უღერს დაბალი სიმებიანიები, მაღალი სასულეები, როდის – ვიოლინოები, როდის – მთელი ორკესტრი. მეორედ მოსმენისას ფურცელზე თანმიმდევრულად უნდა ჩაწერონ მათთვის ნაცნობი ტემბრის მქონე საკრავები (ლიტავები, ჩელოები და კონტრაბასები, ფლეიტები, ვიოლინოები, tutti), ან მიანიშნონ, რომელი ჯგუფის საკრავი უღერს.</p> <p>იმვე გაკვეთილზე, იგივე აქტივობა შეიძლება შესრულდეს პ. ჩაიკოვსკის ბალეტ “მაცნატუნას” ფრაგმენტებთან დაკავშირებითაც.</p>	<p>მოსამსმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ი. ჰაიდნი - სიმფონია №103, Es-dur, I ნაწილი; ფურცლები, კალმისტრები.</p>	<p>შესაძლებელია, ფრაგმენტი მოისმინონ სამჯერ, დაიმსოვრონ ტემბრების თანმიმდევრობა და უპასუხონ ზეპირად.</p>

2. ამოიცნობს ადრე მოსმენილი ნაწარმოებების ფრაგმენტებს;	მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს ხალხურ სიმღერებს (გავლილი მასალიდან, მაგალითად, „მორბის არაგვი“, ქართლური „მრავალფამიერი“, „იმერული მგ ზავრული“, „ალილო“). მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და დაწერონ სიმღერის სახელწოდება და რომელ კუთხეს ეკუთვნის.	მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: „მორბის არაგვი“, „ქართლური მრავალფამიერი“, „იმერული მგ ზავრული“, მეგრული „ალილო“.	
3. ასხვავებს ვოკალურ და ინსტრუმენტულ ტემბრებს;	მოსწავლეები უსმენენ ფ. შუბერტის - „სერენადას“, სადაც სოლისტის პარტიას ასრულებს ჩელო; და იმავე ნაწარმოებს, ორკესტრის შესრულებით და ტემბრების გარჩევით და, აგრეთვე, ტენორის შესრულებით, არჩევენ და ახასიათებენ ტემბრებს, საუბრობენ მათ მსგავსებასა და განსხვავებაზე	მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ფ. შუბერტი - „სერენადა“, (იხ. მისამართები აქტივობიდან).	ჩელო და ტენორი შერჩეულია სპეციალურად. მასწავლებელს შეუძლია მიანიშნოს მოსწავლეებს, რომ ჩელოს ტემბრი განსაკუთრებით წააგავს ადამიანის ტემბრს.
4. ახასიათებს კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს ტემპის, ხმოვანების სიძლიერის, მეტრის, საკრავთა ტემბრების მიხედვით;	მოსწავლეებს ეძლევათ გაკვეთილის თემა - ვ. ა. მოცარტი და მისი ნაწარმოები - „თურქული მარში“ საფორტეპიანო სონატიდან №11, A dur, III ნაწილი. ნაწარმოების მეორედ მოსმენის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა განიხილონ/დაახასიათონ „თურქული მარში“ ტემპის, ხმოვანების სიძლიერის, მეტრის, განწყობილების მიხედვით.	მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ვ. ა. მოცარტი - „თურქული მარში“ საფორტეპიანო სონატიდან №11, A dur, III ნაწილი.	
5. ზოგადად ახასიათებს შემსრულებელთა უმადგენლობას;	იხ. მუს. IV.7. შედეგის 1. ინდიკატორის აქტივობა.	იხ. მუს. IV.7. შედეგის 1. ინდიკატორის აქტივობის რესურსები.	

<p>6. იყენებს საუბროს დროს ნასწავლ ტერმინებს.</p>	<p>მოსწავლეებს ევალუბათ, ისაუბრონ უკვე მოსმენილი/გავლელი ნაწარმოების შესახებ (ნაწარმოები უნდა შეარჩიონ საკუთარი დამოკიდებულებიდან გამომდინარე) და საუბროსას მაქსიმალურად გამოიყენონ ნასწავლი ტერმინები.</p>		
<p>მუს. IV. მ. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში</p>	<p>მოსწავლეები ემზადებიან კარნავალისათვის. მათ უნდა განასახიერონ პერსონაჟები სხვადასხვა ოპერიდან, ბალეტიდან, მიუზიკლიდან, მაგალითად, კინტოები საქო და სიკო - ვ. დოლიძის ოპერიდან “ქეთო და კოტე”, მასხარა მ. ბალანჩივაძის ოპერიდან “დარეჯან ცბიერი”, მაკნატუნა - პ. ჩაიკოვსკის ბალეტიდან “მაკნატუნა”, გედი-გოგონა - პ. ჩაიკოვსკის ბალეტიდან “გედების ტბა”, პეპი - დ. ტურიაშვილის მიუზიკლიდან “პეპი გრძელი წინდა”.</p>	<p>მოსამენი აბარატურა, აუდიო ჩანაწერი: ვ. დოლიძე – საქოსა და სიკოს კუბლეტები ოპერიდან “ქეთო და კოტე”, მ. ბალანჩივაძე – მასხარას სიმღერა ოპერიდან “დარეჯან ცბიერი”, დ. ტურიაშვილი – მიუზიკლი “პეპი გრძელი წინდა”. პ. ჩაიკოვსკი – ფრაგმენტები ბალეტიდან “მაკნატუნა”, “გედების ტბა”; პერსონა-</p>	<p>იგულისხმება, რომ მოსწავლეებს აქამდე უკვე მოსმენილი აქვთ აღნიშნული ნაწარმოებები.</p>
<p>1. მონაწილეობს კლასის კონცერტში, კარნავალში, მეჯლისში;</p>			

		<p>შის განსასახიერებლად საჭირო სხვადასხვა ნივთი, ნიღბები.</p>	
<p>2. მონაწილეობს და ესწრება სკოლის საანგარიშო კონცერტს;</p>	<p>მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სკოლის საანგარიშო კონცერტის მომზადებასა და მსვლელობაში. მასწავლებლის დახმარებით ინაწილებენ ფუნქციებს, ემზადებიან და მუშაობენ ინდივიდუალურად, ჯგუფებში (საანსამბლო ნომრის შემთხვევაში), იღებენ მასწავლებლის, მოწვეული რეჟისორის რჩევებს.</p>	<p>კონცერტისათვის საჭირო რეკვიზიტი.</p>	
<p>3. მონაწილეობს ვიქტორინაში;</p>	<p>მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს -ჩაატარონ კლასის ვიქტორინა, რომელიც რამდენიმე ეტაპად წარმართება. ესენია: თეორიული ნაწილი (მონმდება მოსწავლეთა თეორიული ცოდნა), პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენა (სიმღერა, განწყობილების გამოხატვა, რიტმული ნახაზის ამოცნობა, სცენის გათამაშება და ა.შ.) და მუსიკალური ნაწარმოების მოსმენა, საუბარი მოსმენილის გარშემო.</p>	<p>ვიქტორინის ჩასატარებლად საჭირო რეკვიზიტი.</p>	
<p>4. წარდგება აუდიტორიის წინაშე შემსრულებლის, შემოქმედის ან კონფერანსიეს როლში.</p>	<p>იხ. მუს.IV.5. შედეგის 6 აქტივობა. აქ მოსწავლე აუდიტორიის წინაშე წარდგება, როგორც პრეზენტაციის წამყვანი.</p>		

<p>მუს.IV.9. მოსწავლეს შეუძლია ქვევის ნორმების დაცვა კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებისას.</p>	<p>1. ხელს არ უშლის წარმოდგენის, კონცერტის, კინოფილმის მსვლელობას;</p>	<p>კლასი გეგმავს კონცერტზე წასვლას. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ კონცერტზე დასწრებისას უნდა დაიცვან გარკვეული წესები, რათა თავადაც ყურადღებით მოუსმინონ და ხელი არ შეუშალონ შემსრულებლებსა და სხვა მსურებლებს. მათ უნდა დაიკავონ ბილეთზე მითითებული ადგილი, კონცერტის დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხონ პროგრამა, დაიცვან სიჩუმე მსვლელობის დროს (არ ილაპარაკონ და არ იხმაურონ, გამორთონ მობილური ტელეფონი). ასევე, კინოსგან განსხვავებით, საკონცერტო დარბაზში არ შეიძლება კანფეტების ან/და პოპკორნის მიღება. ნაწარმოების დასრულების შემდეგ, შემსრულებელი მოწონების ნიშნად ტაშით დააჯილდოონ. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, „გაიარონ რეპეტიცია“. ყველა ამ წესის დაცვით გაითამაშონ სცენა „გესწრებით კონცერტს“, სადაც თანაკლასელები გაითამაშებენ სიმებიანი კვარტეტის კონცერტს (აუდიო ჩანაწერის ფონზე).</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ი. ჰაიდნი - სიმებიანი კვარტეტი თხზ.77, № 1. ნაწილი.</p>	<p>რადგან რეგიონებში ნაკლებად არის საჯარო კონცერტებზე დასწრების საშუალება, სასურველია, პერიოდული ხასიათი მიეცეს სხვა კლასების, სკოლების კონცერტებზე, წარმოდგენებზე დასწრებას.</p>
---	--	---	---	---

<p>2. წინასწარ შე- თანხმებული წესების თანახმად გამოხატავს და- მოკიდებულებას წინარმოების დას- რულების შემდეგ;</p>	<p>იხ. წინა აქტივობა</p>		
<p>3. წინასწარ შე- თანხმებული წესებ- ის თანახმად იქცევა გამოფენაზე, მუზე- უმში;</p>	<p>მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად გეგ- მვენ თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმში წასვლას. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოიფიქრონ სიტუაცია, რომელმაც შეიძლება გააზრებოს მუზეუმის მომსახურე პერსონალი - რა შეიძლება დააშავოს ბაჩანამ მუზეუმში ყოფნისას? ამ სიტუაციის მიხედვით, მოსწავ- ლეები ადგენენ მუზეუმში ქცევის წესებს, წერენ დღი ფორმატის ქალაქდზე და აკრავენ თვალსა- ჩინო ადგილას.</p>	<p>დაფა, ფორმატი, მარკერი.</p>	<p>სასურველია, ამ სახელის მქონე მოსწავლე კლასში არ სწავლობდეს, რომ უარყოფითი ქცევა მასთან არ გაიგივდეს.</p>
<p>4. აცდის სხვებს აზრის გამოთქმას მსჯელობის დროს.</p>	<p>მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ ორი სიტუაცია: როგორ მოიქცევა სანდრო კლასში გამართული დისკუსიის დროს, და როგორ მოიქცევა ნინო იმავე სიტუაციაში. ამ სიტუაციების მიხედვით, მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ დისკუსიის, კამ- ათის დროს მიღებული ქცევის წესები, დაწერონ ფორმატზე და გააკრან თვალსაჩინო ადგილას.</p>	<p>დაფა, ფორმატი, მარკერი.</p>	

<p>მუს.IV.10. მოსწავ- ლეს ესმის და შეუძლია წარმოა- ჩინოს, რომ მუსი- კა/ზელოვნება თვითგამოხატვის საშუალებბაა.</p>	<p>1.საუბრობს იმის შესახებ, თუ რა განწყობილებას უქმნის ესა თუ ის მუსიკალური ნა- ნარმოები;</p>	<p>მასწავლებელი უამბობს მოსწავლეებს ფლან- დრიელი გრაფის ეგმონტის შესახებ, რომელიც წინამძღოლობდა თავის ხალხს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, აწვინებს მის ქანდაკებას და პორტრეტს და ასმენინებს ლ. ბეთჰოვენის „უვერტიურას ი. ვ. გოეთეს დრამისათვის“ ეგმონ- ტი“. მოსწავლეები მსჯელობენ, როგორ იცვლება მუსიკაში გადმოცემული განწყობილებები: დამ- ძიებბული, მწუხარე, მშფოთვარე, სასონარკეე- თილი, ამბდლებული, მებრძოლი, მოზეიმი და ა. შ.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანანენი: ლ. ბეთჰოვენი - უვერ- ტიურა ი. ვ. გოეთეს დრამი- სათვის „ეგმონტი“, ფოტო- მასალა.</p>
<p>2.რამდენიმე შეთა- ვაზებული სათაუ- რიდან შეარჩევს ერთ-ერთს მოსმე- ნილი მუსიკალური ნანარმოებისთვის;</p>	<p>მოსწავლეები მოსმენენ ო. თაქთაქიშვილის „იუ- მორესკას“ კამერული ორკესტრისათვის (სახ- ელწოდების დაუსახებლად). მასწავლებელი დაფაზე წერს სამი სათაურის სახელწოდებას: „მენუეტი“, „იუმორესკა“, „ნანა“. მოსწავლეებმა მოსმენილი ნანარმოების განწყობილების მიხედ- ვით უნდა შეარჩიონ შესატყვისი სათაური.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანანენი: ო. თაქთაქიშვილი - „იუმორესკა“ კამერული ორკესტრისათვის.</p>	<p>იხ. წინა აქტივობის რესურსები.</p>
<p>3. საუბრობს მუსი- კალური ნანარ-</p>	<p>მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ ო. თაქთაქიშვი- ლის „იუმორესკას“ მოსმენით გამოწვეულ შთა-</p>	<p>იხ. წინა აქტივობის რესურსები.</p>	<p>იხ. წინა აქტივობის რესურსები.</p>

<p>მოუბის მოსმენით გამოწვეულ შთაბეჭდილებებზე და იმ ასოციაციებზე, რომელთაც ინგვეს ეს ნაწარმოები;</p>	<p>ბეჭდილებებზე, ასოციაციებზე, ჩამოთვალონ სიტუაციები, სადაც შეიძლება უღერდეს ამ ხასიათის მუსიკა, ასევე შეუძლიათ შექმნან ასოციაციური რუკა (ე. წ. „აბლაბუდა“) და ჩაწერონ ამ ნაწარმოების მოსმენით გამოწვეული ასოციაციები.</p>		
<p>4. მსჯელობს იმის შესახებ, რისი გამოხატვა შეიძლება მელოდიის, სვებასზე გამოხატვა ველობითი ხერხის საშუალებით; ჩამოთვლის რამდენიმე მიზეზს, რომელთათვისაც ქმნიან ადამიანები ხელოვნების ნაწარმოებებს.</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს - მელოდია, ტემპი, რიტმი, მეტრი და ეკითხება მოსწავლეებს: - რაში/როგორ იყენებს კომპოზიტორი ჩამოთვლილ მუსიკის შექმნისას? სავარაუდოდ, ხერხებს მუსიკის შექმნისას? სავარაუდოდ, მოსწავლეები პასუხობენ, რომ ამ გამომსახველობითი ხერხების საშუალებით კომპოზიტორი ქმნის სხვადასხვა ხასიათის მუსიკას. მაგალითად, ნელი ტემპი, მინორული უღერადობის მღერადი მელოდია, ძირითადად, სეკდიანი ხასიათის გადმოცემის საშუალებაა, რქარი ტემპი და მაჟორული მიხრილობის ენერგიული მელოდია - მხიარული ხასიათის და ა. შ.</p>	<p>დაფა, მარკერი.</p>	<p>მოსწავლეები უნდა მივიყვანოთ იქამდე, რომ თავად შეძლონ ამ განმარტებების გაკეთება.</p>

ამიბარეთულება: მუსიკალური ნაწარმოების აღება კონტაქტში

შედეგი / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რისკები	შენიშვნა
<p>მუს.IV.11. მოსწავლეს შეუძლია განსხვავოს მუსიკოსთა სპეციალობები და შეადაროს ისინი ერთმანეთს.</p>	<p>მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეს, რომ მუსიკალურ ნაწარმოებს ქმნის კომპოზიტორი, მაგრამ, ამასთანავე, აუხსნის, რომ ნაწარმოების „სიცოცხლისთვის“ საჭიროა კიდევ სხვა მუსიკოსი – ის, ვისაც ნაწარმოები ჩვენამდე მოაქვს. ამიტომ, შემსრულებლის როლი ნაწარმოების არსებობაში ძალზე მნიშვნელოვანია. მან უნდა მოამწინოს მსმენელს ნაწარმოები იმ სახით, რა სახითაც ავტორმა ჩაიფიქრა. მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეს გ. ა. მოცარტის - რონდოს, „თურქული მარშ“, III ნაწილს საფორტეპიანო სონატიდან №11 ელისო ვირსალაძის შესრულებით.</p>	<p>მოსამენი აპარატურა აუდიო ჩანაწერი: გ. ა. მოცარტი - რონდო, „თურქული მარშ“, III ნაწილი საფორტეპიანო სონატიდან №11, A-dur, ელისო ვირსალაძის შესრულებით.</p>	
<p>2. ასახელებს კომპოზიტორის,</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე სამ რიგად წერს სიტყვებს: 1. კომპოზიტორი, პიანისტი, მეეიო-</p>		

პიანისტი, მევიოლინე, დირიჟორის, მომღერლის და ა.შ. სპეციალობებს;	ლინე, დირიჟორი, მომღერალი; 2. ორკესტრი, ტენორი, საფორტეპიანო, სავიოლინო მუსიკა, ვოკალური მუსიკა; 3. ქმნის, მღერის, უკრავს, ხელმძღვანელობს. მოსწავლე ერთმანეთს უკავშირებს ისრებით შესაბამის სიტყვებს.		
3. იხსენებს, რომელი სპეციალობის მუსიკოსო უნახავს და მოუსმენია.	მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ესწრებიან კონცერტს. მეორე გაკვეთილზე საუბრობენ ამ კონცერტზე და იხსენებენ შემსრულებლების სპეციალობებს.		
მუს.IV.12. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები.			
1. ახასიათებს მოსმენილ ნაწარმოებებს განწყობილების მიხედვით;	მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს ლ. ბეთჰოვენის "ოდა სიხარულს" მე-9 სიმფონიის ფინალის თემას და ეკითხება მოსწავლეებს, ეთანხმებიან თუ არა აზრს, რომ ამ მუსიკაში სიხარულია გადმოცემული? როგორი სიხარული – პატარა ბიჭის ან გოგონასი, რომელსაც ახალი სათამაშო აჩუქეს თუ მილიონობით ადამიანის ბედნიერება? მასწავლებელი უამბობს მოსწავლეებს, რომ ესაა სიმფონია – დიდი ნაწარმოები	მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ლ. ბეთჰოვენი - სიმფონია №9. ფინალი, ფინალის თემა - "ოდა სიხარულს".	

		<p>ამ აქტივობის შესრულების წინაპირობაა ის, რომ მოსწავლეები კარგად უნდა ერკვეოდნენ, თუ რომელ ნაწარმოებს ვუწოდებთ კლასიკურს, რომელს - ხალხურს და რომელს - თანამედროვეს.</p>								
<p>სიმფონიური ორკესტრისათვის, რომელშიც ბეთჰოვენი, ეს საყოველთაო სიხარული რომ გამოეხატა, პირველად შემოიყვანა ადამიანის ხმები; უამბობს ასევე, თუ რა შინაარსისაა ის ტექსტი, რომელსაც მომღერლები ასრულებენ. შემდეგ გაკვეთილზე კი ბავშვები პასუხობენ მასწავლებლის კითხვებს ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით.</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს და აყალიბებს, თუ რა განსხვავებაა საბალეტო, საოპერო, დრამატულ სპექტაკლებს შორის: სამივე მათგანში რაიმე ამბავი გათამაშდება სცენაზე, მაგრამ, დრამატული საგან განსხვავებით საოპერო სპექტაკლში ამბავი გამოიცემა სიმღერით, საბალეტოში - ცეკვით. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, თუ რომელ დრამატულ, საოპერო და საბალეტო სპექტაკლებს დასწრებიან და რომელ თეატრში.</p>	<p>ა) მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: "ასლანური მრავალფაშიერი" ფ. შოპენი - პოლონეზი №3, ლა მაჟორი; ფ. შუბერტი - "სერენადა"; დ. ტურიაშვილი - მიუზიკლი "პეტი გრძელი წინადა";</p>								
<p>2. განასხვავებს სხვადასხვა სახის სპექტაკლს (საბალეტო, საოპერო, დრამატული);</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს და აყალიბებს, თუ რა განსხვავებაა საბალეტო, საოპერო, დრამატულ სპექტაკლებს შორის: სამივე მათგანში რაიმე ამბავი გათამაშდება სცენაზე, მაგრამ, დრამატული საგან განსხვავებით საოპერო სპექტაკლში ამბავი გამოიცემა სიმღერით, საბალეტოში - ცეკვით. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, თუ რომელ დრამატულ, საოპერო და საბალეტო სპექტაკლებს დასწრებიან და რომელ თეატრში.</p>	<p>ა) მოსწავლეები უშეწინააღმდეგოდ და მათთვის დარბეულ ცხრილში აფიქსირებენ, თუ რომელი ნაწარმოებია კლასიკური, ხალხური და თანამედროვე:</p> <table border="1" data-bbox="980 888 1179 1487"> <tr> <td data-bbox="980 888 1097 1110">"ასლანური მრავალფაშიერი",</td> <td data-bbox="980 1110 1097 1159"></td> </tr> <tr> <td data-bbox="980 1159 1097 1207">"ფ. ლენონი, პ. მაკარტი -</td> <td data-bbox="980 1207 1097 1255"></td> </tr> <tr> <td data-bbox="980 1255 1097 1304">"Ob-La-Di, Ob-La-Da"</td> <td data-bbox="980 1304 1097 1352"></td> </tr> <tr> <td data-bbox="980 1352 1097 1400">ფ. შუბერტი - "სერენადა";</td> <td data-bbox="980 1400 1097 1449"></td> </tr> </table>	"ასლანური მრავალფაშიერი",		"ფ. ლენონი, პ. მაკარტი -		"Ob-La-Di, Ob-La-Da"		ფ. შუბერტი - "სერენადა";	
"ასლანური მრავალფაშიერი",										
"ფ. ლენონი, პ. მაკარტი -										
"Ob-La-Di, Ob-La-Da"										
ფ. შუბერტი - "სერენადა";										
<p>3. განასხვავებს კლასიკურ, ხალხურ და თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებებს;</p>										

<p>იგულისხმება, რომ მუსიკის მასწავლებელი ფიგურების გამოჭრას ათანხმებს ხატვის მასწავლებელთან.</p>	<p>წ. ლენონი, პ. მაკარტნი - "Ob-La-Di, Ob-La-Da".</p>	<p>დ. ტურიამვილი - მიუზიკლი "პეტი გრძელი წინდა"; დასაკრავი ფანდურზე; ფ. შოპენი - პოლონეზი №3, ლა მაჟორი;</p>	<p>ბ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შინ დახატონ, გამოჭრან და პატარა ჯოხზე დაამაგრონ ჩოხაში/ქართულ კაბაში, თანამედროვე ევროპულ კოსტიუმში და ძველებურ, მე-17-18 საუკუნეების კოსტიუმში გამონყოფილი ფიგურები (ასეთი ფიგურები მათ შეიძლება იპოვონ მუსიკის სახელმძღვანელოში). გაკეთილზე იგი უხსნის/შეასწავლებს მოსწავლეებს, თუ როგორ ნაწარმოებებს ვუნოდებთ ხალხურს, კლასიკურს და თანამედროვეს. რთავს მუსიკას და სთხოვს მოსწავლეებს, ხალხურ ნაწარმოებზე ასწიონ ჩოხანი ფიგურა, თანამედროვეზე – თანამედროვე კოსტიუმიანი და ა.შ. მოცემული აქტივობისთვის მასწავლებელი იყენებს მაქსიმუმ სამ-სამ ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე ნაწარმოებს.</p>	<p>იხ. მუს.IV.12. შედეგის 1 აქტივობის რეესურსები.</p>
<p>იხ. მუს.IV.12. შედეგის 1 აქტივობის რეესურსები.</p>	<p>იხ. მუს.IV.12. შედეგის 1 აქტივობის რეესურსები.</p>	<p>იხ. მუს.IV.12. შედეგის 1 აქტივობა.</p>	<p>4. სვამს და უბასუბებს შეკითხვებს ნაწარმოების შინაარსთან, ავტორთან, ჟანრთან დაკავშირებით.</p>	<p>იხ. მუს.IV.12. შედეგის 1 აქტივობის რეესურსები.</p>

<p>მუს.IV.13. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისგან მუსიკალური საკრავები.</p>	<p>1. ასხვავებს ხალხური მუსიკის საკრავებს კლასიკური მუსიკის ინსტრუმენტებისაგან;</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე წერს შემდეგი საკრავების სახელწოდებებს: ფანდული, ჩონგური, დოლი, ვიოლინო, ფლეიტა, ფორტეპიანო, ჩელო, დუდუკი, სალამური, დიპლოიტი. მოსწავლეებმა T დიაგრამაში უნდა ჩანერონ ხალხური და კლასიკური მუსიკის საკრავები (მარცხნივ - ხალხური, მარჯვნივ - კლასიკური).</p>	<p>დაფა, მარკერი.</p>			<p>ვიოლინოს, ჩელოს, კონტრაბასის დიდი ზომის ფოტოსურათები (ხემის გარეშე), სახატავი რვეულები, ფანქრები.</p>	<p>რეკომენდებული მოსამეცნიერო მასალა: სალამურის სოლო ან ნანარმოები სალამურის პარტიით, ფლეიტის სოლო ან კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, ვიოლინოს სოლო ან კონცერტი ვიოლინოსა</p>
<p>2. ხატავს ინსტრუმენტებს;</p>	<p>მასწავლებელი მოიტანს ფოტოსურათებს - ჩელოს, კონტრაბასის და ვიოლინოს გამოსახულებით (ხემის გარეშე) და ავალებს მოსწავლეებს დაუხატონ ხეში თითოეულ საკრავს.</p>	<p>მოსამეცნიერო მასალა: პროგრამით გათვალისწინებული ნანარმოები (მასწავლებლის შერჩევით).</p>	<p>მოსამეცნიერო მასალა: პროგრამით გათვალისწინებული ნანარმოები (მასწავლებლის შერჩევით).</p>			<p>მოსამეცნიერო მასალა: პროგრამით გათვალისწინებული ნანარმოები (მასწავლებლის შერჩევით).</p>	<p>მოსამეცნიერო მასალა: პროგრამით გათვალისწინებული ნანარმოები (მასწავლებლის შერჩევით).</p>
<p>3. ამოიცნობს საკრავებს სოლო და ერთობლივი შედარადობის დროს;</p>	<p>სხვადასხვა საკრავის ტემბრის გაცნობისას მასწავლებელი სარგებლობს მოცემული გეგმით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ვუსმენთ საკრავს სოლო შედარადობით, ან ორკესტრში გამოვარჩევთ სოლო პარტიას; 2. ვახასიათებთ საკრავის ტემბრს ეპითეტებით: ნაზი, უხეში, მძლავრი, სასიამოვნო და ა. შ.; 	<p>სხვადასხვა საკრავის ტემბრის გაცნობისას მასწავლებელი სარგებლობს მოცემული გეგმით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ვუსმენთ საკრავს სოლო შედარადობით, ან ორკესტრში გამოვარჩევთ სოლო პარტიას; 2. ვახასიათებთ საკრავის ტემბრს ეპითეტებით: ნაზი, უხეში, მძლავრი, სასიამოვნო და ა. შ.; 	<p>მოსამეცნიერო მასალა: პროგრამით გათვალისწინებული ნანარმოები (მასწავლებლის შერჩევით).</p>			<p>მოსამეცნიერო მასალა: პროგრამით გათვალისწინებული ნანარმოები (მასწავლებლის შერჩევით).</p>	<p>მოსამეცნიერო მასალა: პროგრამით გათვალისწინებული ნანარმოები (მასწავლებლის შერჩევით).</p>

<p>და ორკესტრისათვის, ჩონგურის სოლო ან ხალხური სიმღერა ჩონგურის თანხლებით, საფორტეპიანო ნაწარმოები ან კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.</p>		<p>3. ვადარებთ საკრავის ტემბრს და ამავე ჯგუფის სხვა ნაცნობ საკრავებს.</p>	<p>და ორკესტრისათვის, ჩონგურის სოლო ან ხალხური სიმღერა ჩონგურის თანხლებით, საფორტეპიანო ნაწარმოები ან კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.</p>						
	<p>დაფა, მარკერი.</p>	<p>მოსწავლეები დაფაზე დაწერილ საკრავებს - ფორტეპიანო, კიოლინო - დაუკავშირებენ შემდეგ ნაწილებს: ხემი, ჯორაკი, კლაგიში, დეკა, პედალი, გრიფი.</p>	<p>4. გამოყოფს და ასახელებს საკრავის ცალკეულ ნაწილებს (ხემი, ჯორაკი, კლაგიში...);</p>						
<p>მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ - რის მიხედვით მოსწონთ რომელიმე საკრავი.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ო. თავთაქიშვილი- "იუმორესკა", ვ. ა. მოხალხური დასაკრავი ჩონგურზე. ამ ნაწარმოებების მოსმენის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გამოარჩიონ საკრავი და ცხრილში ჩაწერონ. ასევე, მიუთითონ, რომელი საკრავი მოსწონთ.</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე წერს შემდეგი ნაწარმოებების სახელწოდებებს: ო. თავთაქიშვილი - "იუმორესკა", ვ. ა. მოცარტი - "თურქული მარში", ხალხური დასაკრავი ჩონგურზე. ამ ნაწარმოებების მოსმენის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გამოარჩიონ საკრავი და ცხრილში ჩაწერონ. ასევე, მიუთითონ, რომელი საკრავი მოსწონთ.</p> <table border="1" data-bbox="1026 890 1170 1489"> <tr> <td>ვიოლინო</td> <td>ფორტეპიანო</td> <td>ჩონგური</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </table>	ვიოლინო	ფორტეპიანო	ჩონგური				<p>5. ასახელებს თავის დამოკიდებულებას იმ ინსტრუმენტის მიმართ, რომელიც გამოარჩია სხვა ინსტრუმენტების საგან (მოსწონს მასზე შესრულების მანერა, ტემბრი, ფორმა...).</p>
ვიოლინო	ფორტეპიანო	ჩონგური							


V კლასი

ვიგბართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

შედეგი / ინდიკატორი	ტიკური აქტივობები	რესურსები	შენიშვნა
მუს.V.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნაწივლი ელემენტების და საკრავების გამოყენება იმპროვიზაციულ სავარჯიშოებში.	მასწავლებელი იმღერებს ან დაუკრავს ლ. ბეთჰოვენის “ზაზუნას”. მოსწავლეები ამოიცილებენ კილოს მიხრილობას. შემდეგ მასწავლებელი ამ სიმღერის მინორულ კილოს შეცვლის მაჟორულით და იმღერებს მაჟორულად. აქტივობის განხორციელებისას მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს კითხვების საშუალებით: “რა შეიცვალა? უცვლელია თუ არა რიტმული სურათი? რიგით მერამდენე ბგერა უღერს მელოდიაში სხვაგვარად და ინგეცვლილებას?” მასწავლებელი ყოფს კლასს ორ ჯგუფად - ერთმა უნდა იმღეროს სიმღერა	ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ლ.ბეთჰოვენი - “ზაზუნა”.	
1. განასხვავებს მასორსა და მინორს;			

	<p>მასწავლებელი ან მინორული მიხრილობით, მეორემ უნდა ამოიცნოს. შემდეგ ჯგუფები ცვლიან ფუნქციებს.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ვ. ა. მოცარტი - "სევდა გაზაფხულზე".</p>	<p>კარგი იქნება, თუ მოსწავლეები ჯგუფურად შეისწავლიან მათ მხარეში არსებულ ფოლკლორს. მათთვის მიღწევად ჩაითვლება ერთი სიმღერის მოძიება და შესწავლა. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ყველა რეგიონი იძლევა ამის საშუალებას. სასურველია, ეს აქტივობა უფროსკლასელებთან (მე-8, მე-9 კლასი) ერთად დაიგეგმოს. მე-9 კლასი შესაფერისი ასაკია მსგავსი საქმიანობის დასაწყებად. შესაძლებელია ასევე, სკოლაში მოინვიონ ხალხური სიმღერების მცოდნე ადამიანები.</p>
<p>2. მღერის მასწავლებელი და მინორული სამხმოვანებას;</p>	<p>მოსწავლეები მღერიან ვ. ა. მოცარტის სიმღერას "სევდა გაზაფხულზე" ნოტების დასახელებით, განსაზღვრავენ კილოს მიხრილობას და არ კვებენ, რომ ეს სიმღერა იწყება ტონიკური სამხმოვანების ბგერებით და მასწავლებელი ამავდროულად მასწავლებს ცვლიან მასწავლებელს მოვანებას მინორულით და ნოტების დასახელებით მღერიან.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: "შავლეგო".</p>	<p>მასწავლებელი კლასს დაყოფს ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი დაიწყებს "შავლეგოს" სიმღერას, მეორე ჯგუფი დააბოლოებს პირველის მიერ დაწყებულ ფრაზებს, შემდეგ ჯგუფები შეცვლიან თავიანთ ფუნქციებს.</p>
<p>3. სიმღერით აბოლოებს მასწავლებლის ან თანაკლასელის მიერ დაწყებულ მელოდიას, უპასუხებს მუსიკალურ ფრაზას;</p>	<p>მოსწავლეები მღერიან ინტერვალებს ერთი ტონიდან, სხვადასხვა ტონიდან, ნასწავლი სიმღერების სანყის ფრაზებში ადგენენ ინტერვალებს, მღერიან ამ ფრაზებს, მაგალითად, ტერციას - რ.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ლ. ბეთჰოენი - "ზაზუნა", რ. როჯერსი - "დო, რე, მი", რ. ლალიძე-</p>	<p>მოსწავლეები მღერიან ინტერვალებს ერთი ტონიდან, სხვადასხვა ტონიდან, ნასწავლი სიმღერების სანყის ფრაზებში ადგენენ ინტერვალებს, მღერიან ამ ფრაზებს, მაგალითად, ტერციას - რ.</p>
<p>4. სიმღერით იმეორებს ინტერვალებს ოქტავის ფარგლებში;</p>			

		როჯერსის სიმღერაში “დო, რე, მი”, კვარტას - ლ. ბეთჰოვენის სიმღერაში “ზაზუნა”, სექსტას - რ. ლალიძის სიმღერაში - ვალსი კინოფილმიდან “ყვავილი თოვლზე.”	ვალსი კინოფილმიდან „ყვავილი თოვლზე“.	
5. ნაცნობ სიმღერას უცვლის ტექსტი;	მასწავლებელი იმღერებს ქართლ-კახურ “მრავალფემიერს” (ტექსტის გარეშე), შემდეგ დაფაზე დაწერს ხალხური “ცოლი გამიდიდგულდა” -ს და რომელიმე სუფრული სიმღერის ტექსტს. მოსწავლეებმა სწორად უნდა შეურიჩონ ტექსტი მრავალფემიერის მელოდიას.	მასწავლებელი იმღერებს ქართლ-კახურ “მრავალფემიერს” (ტექსტის გარეშე), შემდეგ დაფაზე დაწერს ხალხური “ცოლი გამიდიდგულდა” -ს და რომელიმე სუფრული სიმღერის ტექსტს. მოსწავლეებმა სწორად უნდა შეურიჩონ ტექსტი მრავალფემიერის მელოდიას.	ფორტეპიანო, სანოტო მასალა: „მრავალფემიერი“, ხალხური სიმღერები -, ცოლი გამიდიდგულდა“, „მრავალფემიერი“-სიტყვიერი ტექსტი.	
6. ნაცნობ მელოდიას მღერის სხვადასხვა ტონალობაში (სხვადასხვა სიმალღებე);	მოსწავლეები ი. გურგულიას სიმღერას –“ოდე-ლია, დელა” მღერიან სხვადასხვა ტონალობაში, შემდეგ მასწავლებლის ნამღერის მიხედვით არკვიენ, როგორ შეიცვალა ტონალობა - მაღალი რეგისტრისაკენ თუ დაბალი რეგისტრისაკენ.	მოსწავლეები ი. გურგულიას სიმღერას –“ოდე-ლია, დელა” მღერიან სხვადასხვა ტონალობაში, შემდეგ მასწავლებლის ნამღერის მიხედვით არკვიენ, როგორ შეიცვალა ტონალობა - მაღალი რეგისტრისაკენ თუ დაბალი რეგისტრისაკენ.	ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ი. გურგულია – „ოდელია, დელა“.	
7. ამოიცნობს ლილით, სხვა ტექსტზე, ინსტრუმენტზე შესრულებულ ნაცნობ სიმღერას;	მასწავლებელი ქართლ-კახური “ გლესამ და გლესამ, ნამგალოს” მელოდიას (სიმღერის სახელწოდების დაუსახელებლად) იმღერებს სხვა შრომის სიმღერის ტექსტზე, მაგალითად: „სიმინდსა თონხა დავუნყოთ ერთად დავცახოთ ბანიო“.	მასწავლებელი ქართლ-კახური “ გლესამ და გლესამ, ნამგალოს” მელოდიას (სიმღერის სახელწოდების დაუსახელებლად) იმღერებს სხვა შრომის სიმღერის ტექსტზე, მაგალითად: „სიმინდსა თონხა დავუნყოთ ერთად დავცახოთ ბანიო“.	ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური „გლესამ და გლესამ, ნამგალო“; „სიმინდსა თონხა დავუნყოთ“-სიტყვიერი ტექსტი.	
8. განასხვავებს ორ და სამწილად	მასწავლებელი დაფაზე წერს ოთხი ნაწარმოების სახელწოდებას, ესენია: ჟ. ბიზე - ოპერა “ კარ-სამედიცინა” და ჟ. ბიზე - ოპერა “ კარ-სამედიცინა”.	მასწავლებელი დაფაზე წერს ოთხი ნაწარმოების სახელწოდებას, ესენია: ჟ. ბიზე - ოპერა “ კარ-სამედიცინა” და ჟ. ბიზე - ოპერა “ კარ-სამედიცინა”.	მოსამეინი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ჟ. ბიზე	

<p>მეტრს მუსიკის მოსმენის დროს;</p>	<p>მენი”, ბიჭუნათა გუნდი; ლ. ბეთოჰოვენი - სა-ფორტეპიანო სონატა №1, f-moll; ზ. ფალიაშვილი - ანსამბლი - „ნამნამსა და ნამნამს შუა“ და ცეკვა “მირზაია” ოპერიდან “აბესალომ და ეთერი”. მოსწავლეები გადაწერენ. მასწავლებელი მოსამეინინებს თითოეულ ნაწარმოებს მცირე შესვენებებით, მოსწავლეები ყოველი ნაწარმოების გასწვრივ მიაწერენ ზომას.</p>	<p>- ბიჭუნათა გუნდი ოპერიდან „კარმენი“, ლ. ბეთოჰოვენი - საფორტეპიანო სონატა №1, f-moll, ზ. ფალიაშვილი - ანსამბლი - „ნამნამსა და ნამნამს შუა“ და ცეკვა “მირზაია” ოპერიდან “აბესალომ და ეთერი”; დაფა, მარკერი.</p>	
<p>9. უცვლელი მეტრის პირობებში ტაშით ან კაკუნით წარმოდგენს სხვადასხვა რიტმულ ნახაზს;</p>	<p>მასწავლებელი წერს გრძელ რიტმულ სურათს $\frac{3}{4}$ ზომაში,</p>  <p>დაწინამრავს ტაქტებს და მოსწავლეთა სამ ჯგუფს მიუთითებს ორ-ორი ტაქტი შეუჩერებლად გამოხატონ ტაშით. ინწყებს პირველი, აგრძელებს მეორე, მესამე, ისევ პირველი და ა. შ.</p>	<p>დაფა, მარკერი.</p>	
<p>10. თანაკლასელთა მიერ გაბმულად გაჟღერებულ ტონს (ოსტინატო), მარტივ რიტმულ ფიგურას უხამებს საკუთარ ან სხვა (საკრავი, კაკუნი და სხვ.) ხმას, მელო-</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე წერს კანონის ტიპის ორხმიან რიტმულ სურათს</p>  <p>მოსწავლეები ტაშით გამოხატავენ, სწავლობენ ამ რიტმს, შემდეგ პირველი ჯგუფი შეასრულებს პირველი ხმის რიტმულ ნახაზს, ხოლო მეორე</p>	<p>დაფა, მარკერი.</p>	

<p>დიურ საქცევს, რიტმულ ფიგურას;</p>	<p>ჯგუფი ორი ტაქტის დაგვიანებით ჩაერთვება კანონის მსგელობაში.</p>	<p>სათამაშო „დასარტყამი საკრავები“, ტურის გარ-მონი, საყვირი.</p>	<p>ტურის გარმონზე მხოლოდ მისი მფლობელი დაუკრავს. მასწავლებელს საშუალება ეძლევა, შეახსენოს მოსწავ-ლეებს ჰიგიენის დაცვის წესები.</p>
<p>11. თანაკლასე-ლებთან ერთად უკრავს სხვადასხვა რიტმულ ნაზაზს სათამაშო ინ-სტრუმენტებისა და ყოველდღიური მოხმარების სა-გნებისგან შემდ-გარ “ანსამბლში”, “ორკესტრში”.</p>	<p>მასწავლებელი კანონის ტიპის ორხმიან რიტ-მულ სურათს (იხილეთ წინა აქტივობის კანონი) შემდეგი სახით შეასრულებინებს მოსწავლეებს: პირველ ხმას დასარტყამ “საკრავებზე” შეასრუ-ლებს მოსწავლეთა ერთი ჯგუფი, მეორე ხმას ტურის გარმონზე ან საყვირზე - მეორე ჯგუფი.</p>		

<p>მუს.V.2. მოსწავ-ლის შეუძლია სიმ-ღერა მარტო და სხვებთან ერთად.</p>	<p>მოსწავლეები იმდებრებენ ერთსახელოან მაჟორსა და მინორს, მაგალითად, დო მაჟორსა და დო მინორს, რე მაჟორსა და რე მინორს. ერთ ტონზე მაჟორისა და მინორის სიმღერის შემდეგ, ცვ-ლიან ბგერათსიმაღლეს და მღერიან სხვადასხვა ბგერიდან ხან მაჟორს, ხან მინორს.</p>	<p>ფორტეპიანო</p>	<p>იხ. მუს.V.1. შედეგის 1 ინდი-კატორის აქტივობა.</p>
<p>1. მღერის მაჟორსა და მინორს თან-აკლასელებთან ერთად;</p>			

<p>2. თანაკლასელებთან ერთად მღერის ინტერვალებს ოქტავის ფარგლებში;</p>	<p>იხ. მუს.V.1. შედეგის 4 ინდიკატორის აქტივობის რესურსი.</p>	<p>იხ. მუს.V.1. შედეგის 4 ინდიკატორის აქტივობის რესურსი.</p>	
<p>3. მღერის მართლ, წყვილში, გუნდში ერთ და ორხმიან სიმღერებს ხალხური და კლასიკური რეპერტუარიდან;</p>	<p>იხ. მუს.V.1. შედეგის 4 ინდიკატორის აქტივობა.</p> <p>ა) მოსწავლეთა ორი ჯგუფი ერთმანეთს ეჯობრება სიმღერის (ი. გურგულიას "თეთრი გვირილა") შესრულებაში. ამისათვის გამოიყოფა ფიური (აირჩევიან კარგი მუსიკალური მონაცემების მოსწავლეები), რომელსაც ევალუება განსაზღვროს: 1) მღერის თუ არა გუნდი სუფთა ინტონაციით; 2) ასრულებს თუ არა დინამიკური ნიუანსების დაცვით; 3) ასრულებს თუ არა საკუთარი ინტერპრეტაციით.</p> <p>ბ) მასწავლებელი კლასს დაყოფს ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი დაინყებს "შავლევოს" სიმღერას, მეორე ჯგუფი დაბოლოებს პირველის მიერ დაწყებულ ფრაზებს, შემდეგ ჯგუფები შეცვლიან თავიანთ ფუნქციებს. როცა კარგად შეისწავლიან II ხმას, მასწავლებელი შეუერთებს მათ I ხმას. მომდევნო ეტაპზე მოსწავლეები სწავლობენ I ხმას, და დასწავლის შემდეგ მასწავლებელი მღერის მათთან ერთად II ხმას. შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს 2 ჯგუფად - 2 პარტიის შემსრულებლად და მისი დახმარებით სრულდება სიმღერის 2 ხმა.</p>	<p>ა) ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ი. გურგულია - "თეთრი გვირილა".</p> <p>ბ) ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური „შავლევო“.</p>	

<p>4. მღერის კანონის ტიპის სავარჯიშოები;</p>	<p>მასწავლებელი კლასს დაყოფს ორ ჯგუფად - პირველ და მეორე ხმებად. მოსწავლეები სწავლობენ ჰენდელის კანონს ნოტების დასახელებით, შეისწავლება კანონის ერთი ხმა. ამ ხმის კარგად დასწავლის შემდეგ, ჯგუფები იმღერებენ ორხმიან კანონს.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: გ. ფ. ჰენდელი - კანონი.</p>	
<p>მუს.V.3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა.</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ ქართულ ხალხურ სიმღერას „გლესამ და გლესამ ნამგალო“ და მასწავლებელთან ერთად განიხილავენ, თუ როდის შეიძლება და შესრულებულიყო ეს სიმღერა? მასწავლებელი შეახსენებს ბავშვებს, რომ ძველქართულად ივლისს მკათათვე ეწოდებოდა, მაშასადამე, მუშაობისას, ალბათ, ძალიან ცხელია. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ, მათი აზრით, როგორ გამოიყურებოდნენ მომკვლეები (შესაძლოა აჩვენოს ვან გოგის „მომკვლის“ რეპროდუქცია), როგორ ამოძრავებდნენ ნამგლიან ხელებს, როგორ მიუძღვით</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: „გლესამ და გლესამ, ნამგალო“, ფოტო მასალა: ვან გოგი – „მომკვლი“ (რეპროდუქცია); მუსიაო, მაკრატლები და ფერადი ფანქრები.</p>	
<p>1. სხვებთან ერთად გაითამაშებს მარტივ სცენებს კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების / ფრაგმენტის განწყობილების გამობხატვის მიზნით;</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ ქართულ ხალხურ სიმღერას „გლესამ და გლესამ ნამგალო“ და მასწავლებელთან ერთად განიხილავენ, თუ როდის შეიძლება და შესრულებულიყო ეს სიმღერა? მასწავლებელი შეახსენებს ბავშვებს, რომ ძველქართულად ივლისს მკათათვე ეწოდებოდა, მაშასადამე, მუშაობისას, ალბათ, ძალიან ცხელია. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ, მათი აზრით, როგორ გამოიყურებოდნენ მომკვლეები (შესაძლოა აჩვენოს ვან გოგის „მომკვლის“ რეპროდუქცია), როგორ ამოძრავებდნენ ნამგლიან ხელებს, როგორ მიუძღვით</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: „გლესამ და გლესამ, ნამგალო“, ფოტო მასალა: ვან გოგი – „მომკვლი“ (რეპროდუქცია); მუსიაო, მაკრატლები და ფერადი ფანქრები.</p>	

		<p>წინ მესვეური და ამხნვევებთ, როგორ არქარებენ მოძრაობას თანდათან. მასწავლებლებელი ასწავლის მოსწავლეებს სიმღერას და სთხოვს ბიჭუნებს, შინ მუყაოსაგან გამოჭრან ნამგლეები. მეორე დღეს ბიჭები გამოდიან, ირჩევენ მესვეურს და ჩანანერისა და/ან მთელი კლასის სიმღერის ფონზე გაითამაშებენ ნამგლის ლესვას, მკას, სიმღერასთან ერთად თანდათან არქარებენ ხელების მოძრაობას, მესვეური კი თავისი შეცხილებით ამხნვევებს მათ. გოგონები თვალს ადევნებენ ბიჭების თამაშს და აფასებენ მათ შესრულებას ათქულიანი სისტემით. ასაბუთებენ თავიანთ შეფასებებს.</p>	
	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ჟ.-ფ. რამო – „პრინცესა“.</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ ჟ.-ფ. რამოს საკლავიკინო პიესას „პრინცესა“. თითოეული მათგანი წარმოიდგენს, თუ როგორია პრინცესა ამ პიესის მიხედვით და მუსიკის ფონზე პანტომიმით, უსიტყვოდ გაითამაშებს კლასის წინაშე ისე, რომ თანაკლასელებს მიხვედროს მისი ხასიათი (ჭირვეული, მხიარული, მშვიდი, ნაზი..). დანარჩენმა მოსწავლეებმა კი უნდა ამოიცნონ, რისი გამოხატვა სურდა გამომსვლელს.</p>	
<p>2. პანტომიმით გამოსატავს გარკვეულ განწყობილებას;</p>	<p>იხ.: მუს. V.3. შედეგის 2. ინდიკატორის აქტივობის</p>	<p>იხ. მუს. V.3. შედეგის 2. ინდიკატორის აქტივობა. შემსრულებელი ისმენს, თუ როგორ აფასებენ მის თამაშს სხვა მოსწავლეები.</p>	<p>3. ისმენს თანაკლასელთა აზრს საკუთარ შესრულებზე;</p>

<p>4. აფასებთ თან-აკლასელთა მიერ შესრულებულ თეატრალურ ეტიუდს;</p>	<p>იხ. მუს.V.3. შედეგის 1 ინდიკატორის აქტივობა. იხ. მუს.V.3. შედეგის 2 ინდიკატორის აქტივობა.</p>	<p>იხ. მუს.V.3. შედეგის 1 ინდიკატორის აქტივობისა და. მუს.V.3. შედეგის 2 ინდიკატორის აქტივობის რესურსები.</p>	<p>შეიძლება მოსწავლეებს დაევალოთ ინფორმაციის მოძიება შალვა ახალციხელზე ისტორიის მასწავლებლის დახმარებით.</p>
<p>5. პერსონაჟის ხასიათს უსადაგებს მუსიკალურ ფრაგმენტს;</p>	<p>მასწავლებელი უამბობს მოსწავლეებს მხედართმთავარ შალვა ახალციხელზე, რომელიც თამარის დროს მოღვაწეობდა, მის მიერ მოგებულ ბროდლებზე და მის ლეგენდარულ სიმამაცეზე, რომელსაც ხალხმა სიმღერაც კი მიუძღვნა. მასწავლებელი ასმენინებს მათ სამ სიმღერას და სთხოვს მოიფიქრონ, მათი აზრით, რომელი ეძღვნება შალვა ახალციხელს? „ხასანბეგურა“, „ჩელა“ თუ „შავლეგო“?</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: „ხასანბეგურა“, „ჩელა“, „შავლეგო“.</p>	<p>შეიძლება მოსწავლეებს დაევალოთ ინფორმაციის მოძიება შალვა ახალციხელზე ისტორიის მასწავლებლის დახმარებით.</p>
<p>6. კონკრეტულ ამბავს, სიუჟეტს უსადაგებს მისთვის ცნობილ მუსიკალურ ნაწარმოებს და შეძლებისდაგვარად გაითამაშებს მას.</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ ეთერის არიას „დედინაცვალი“ ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“. მასწავლებელი მოაგონებს მათ ეთერის ამბავს (თუ არ იციან, მოუთითებს, წაიკითხონ) და ეკითხება: კიდევ რომელ ზღაპარს მოგაგონებთ ღარიბი, ობოლი ეთერისა და უფლისწულ აბესალომის ამბავი? კონკრეტულ – პასუხობენ მოსწავლეები. მასწავლებელი ეკითხება, როგორ ჰგონიათ, რა დროს იმღერებდა კონკრეტულ ასეთ, სცენიან არიას? მეჯლისის წინ, როცა დედინაცვალმა მარცვლეულის გადარჩევა დაავალა – პასუხობენ მოსწავლეები. მასწავლებელი სთხოვს</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ზ. ფალიაშვილი – ეთერის არია „დედინაცვალი“ ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“.</p>	<p>ამ ეპიზოდს შეიძლება მოჰყვეს გაგრძელება: კეთილი ფერიის მოფრენა, კონკრეტული მეჯლისის ნასვლა, პრინცთან ცეკვა. შესაბამისად, ფონად ვიყენებთ: „ფერია დრაჟეს ცეკვას“ ჩაიკოვსკის „მანტუნიდან“, ლალიძის „რონდო – ტოკატას“ პირველი ფრაგმენტი და „კონკრეტული ვალსი“ პროკოფიევის ბალეტებიდან „კონკრეტული“.</p>

		<p>გოგონებს, გაითამაშონ ეს უპიზოდი: დედინაცვა-ლი და მისი ქალიშვილები უბრძანებენ კონკიას გადაარჩიოს ფეტვი და ხორბალი, თვითონ კი მე-ჯლისზე მიემგზავრებიან. ეთერის არიის ფონზე სეკდიანი კონკია „მარცვლეულს არჩევს“.</p>	
<p>მუს. V.4. მოსწავლეს შეუძლია მარტივი რიტმული ნახაზის, მელიდიის ნაკითხვა და გადაწერა.</p>	<p>1. კითხულობს და წერს ნოტებს ვიოლინოს, ბანის გასაღებში;</p>	<p>მოსწავლეები გაიხსენებენ ოქტავებს, ნოტებს ვიოლინოს და ბანის გასაღებში. მათ ევალებათ ჩაწერონ და დაუკრან მასწავლებლის მიერ მითითებული ბგერები. მაგალითად, მცირე ოქტავის დო#, ფა, ლაჰ ბანის გასაღებში, პირველი ოქტავის დო და მი ბანის და ვიოლინოს გასაღებში, მეორე ოქტავის რე#, ფა, სოლ ვიოლინოს გასაღებში და ა.შ.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო რეგულები, ფანქრები, საშლელეები.</p>
<p>2. ამოიცნობს ალტერაციის ნიშნებს;</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო რეგულები, ფანქრები, საშლელეები.</p>	<p>მოსწავლეებმა სანოტო ჩანაწერში მოცემულ ნოტებს უნდა მიუწერონ ჯერ ამბლებს, ხოლო შემდეგ დადაბლების ნიშნები, განმარტონ სიტყვები - დიეზი, ბემოლი, ბეკარი და კლავიატურაზე აჩვენონ ბგერის ამბლება, დადაბლება და გაბათილება.</p>	<p>თუ სკოლაში ინსტრუმენტი არ არის, მაშინ, უმჯობესია მოსწავლეებმა წინასწარ გაამზადონ მუყაოსაგან ფორტეპიანოს კლავიატურა.</p>

<p>3. ასახელებს ოქტავებს;</p>	<p>მოსწავლეებმა უნდა ჩამოთვლონ ნასწავლი ოქტავები და აჩვენონ კლავიატურაზე, ასევე დაუკროან სხვადასხვა ოქტავის ბგერა.</p>	<p>ფორტეპიანო</p>	
<p>4. წერს, კითხულობს და ტაშით გადმოსცემს რიტმულ ნახაზს;</p>	<p>მოსწავლეები ნასწავლი სიმღერების რიტმულ ნახაზს ტაშით ან კაკუნით გამოხატავენ, დაფაზე წერენ ოთხი-ხუთი სიმღერის რიტმულ სურათს (საწყისი მუსიკალური ფრაზების რიტმს), ხოლო შემდეგ წინასწარ დასახელებული ოთხი-ხუთი სიმღერიდან ამოიცნობენ ერთ-ერთს, რიტმული სურათის დახმარებით.</p>	<p>დაფა, მარკერი.</p>	
<p>5. ეყრდნობა სანოტო ტექსტს ნაწარმოების დასწავლის დროს.</p>	<p>მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ საკუთარი ცოდნა მუსიკალური დამწერლობის სფეროში და ისწავლონ რ. როჯერსის სიმღერა “დო, რე, მი” სანოტო ნიმუშიდან.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: რ. როჯერსი – “დო, რე, მი”.</p>	<p>ეს სიმღერა თითქმის ყველასათვის არის ცნობილი, ამიტომ მისი მელოდია იოლად შეისწავლება. სასურველია, თუ წინასწარ სიმღერის რიტმულ ნახაზს ტაშით ან კაკუნით გამოცხადებენ.</p>
<p>მუს. V. 5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობისთვის ორგანიზება.</p>			

1. ცალკეული ამოცანის გადასაჭრელად გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას;	მასწავლებელი აცნობებს მოსწავლეებს, რომ კლასში იგეგმება სპექტაკლი (იხ. მუს.V.8.1) იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის ”ივანანამ რა ჰქმნა?” თემაზე. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შინ მოიფიქრონ და დაწერონ პირველად განსახორციელებელი სამი ყველაზე აუცილებელი ქმედება, და, ასევე მოიფიქრონ, მათი აზრით ვინ უნდა განახორციელოს ეს ქმედებები.	რეჟისორები, კალმისტრები.	
2. აქტიურადაა ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში;			
3. სვამს კითხვებს;			
4. მონაწილეობს გამომკითხვაში.			
მუს.V.6. მოსწავლეს შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა.			
1. მუშაობს სხვებთან ერთად ამოცანის გადასაჭრელად;	იხ. მუს.V.7. შედეგის 1 ინდიკატორის აქტივობა.	იხ. მუს.V.7. შედეგის 1 ინდიკატორის აქტივობის რესურსები.	

2. საჭიროების შემთხვევაში ითხოვს დახმარებას და ეხმარება სხვებს;	მასწავლებლის დავალებით და დახმარებით მოსწავლეები გავლილ მასალას უხსნიან თანაკლასელს, რომელმაც წინა გაკვეთილები გააცდინა.		
3. აწვდილობს სამუშაო ფუნქციებს და მოვალეობებს.	იხ. მუს. V.5. შედეგის 1 ინდიკატორის აქტივობა.	იხ. მუს. V. 5. შედეგის 1 ინდიკატორის აქტივობის რესურსები.	

მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღმაკვეთი

შედეგი / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რესურსები	რესურსები
მუს. V.7. მოსწავლეს შეუძლია მომენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა.	კლასი იყოფა რამდენიმე გუნდად და ემზადება ვიქტორინისათვის „გამოიცანი მუსიკალური ნაწარმოები“. მოსწავლეები იღებენ ფურცელს, კალამს, აწერენ გუნდების სახელებს და ყურადღებით უსმენენ შემოთავაზებულ მუსიკალურ ფრაგმენტებს. მასწავლებელი ასე-	მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებები (მასწავლებლის შერჩევით); ფურცლები, კალამები.	მუსიკალური მასალა უნდა იყოს ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული. ინსტრუმენტული ნაწარმოების პირობებში ძირითადი თემა ერთხელ
1. ამოიცნობს მოსმენილი ნაწარმოებების ფრაგმენტებს;			

	<p>ნინებს მათ ხუთ მუსიკალურ ფრაგმენტს და თითოეულის მოსმენის შემდეგ მოსაფიქრებლად აძლევს ორ ნუთს. გუნდები ჩუმად მსჯელობენ და თანხმდებიან ერთ, საერთო პასუხზე. წინასწარ დათქმული პირობის თანახმად, ისინი წერენ ავტორის სახელს, გვარს, ნაწარმოების სახელწოდებას. გუნდი დამატებით ქულებს მიიღებს ყოველი დამატებითი ინფორმაციისათვის მოცემული ნაწარმოების გარშემო.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ფ. ფ. რამო – „ჩიტების გადაახილი“, ფერადი ფანქრები, ფურცლები.</p>	<p>მანც სრულად უნდა გატარდეს.</p>
<p>2. გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებას სიტყვიერად, ნახატით;</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ ფ. ფ. რამოს პიესას „ჩიტების გადაახილი“. მასწავლებელი ეკითხება, მათი აზრით, შესაბამება თუ არა მუსიკა პიესის სათაურს? მოსწავლეები ასაბუთებენ თავიანთ აზრს და ხატავენ პიესის მოსმენით მიღებულ შთაბეჭდილებებს.</p>	<p>დაფა, მარკერი.</p>	
<p>3. ახასიათებს შემსრულებელთა შემადგენლობას;</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს: სოლო, კვარტეტი, ორკესტრი, გუნდი. მოსწავლეებმა თითოეულ მათგანს უნდა მიუწერონ შემსრულებელთა რაოდენობა.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: მოცარტი - სონატა №11, A-dur, III - ნაწილი, ფ. შუბერტი - „მენისქვლე და ნაკადული“ ციკლიდან „მშვენიერი მენისქვილე ქალი“.</p>	
<p>4. ამოიცნობს მოსმენისას ნაცნობ მუსიკალურ ფორმებს;</p>	<p>მასწავლებელი შეასხენებს მოსწავლეებს რონდოსა და კუპლეტურ ფორმას და სთხოვს, გაიხსენონ, რა განსხვავებაა მათ შორის. ამის შემდეგ უსმენენ გ. ა. მოცარტის სონატის (№11, A-dur) III - ნაწილს და ფ. შუბერტის სიმღერას „მენისქვილე და ნაკადული“ ციკლიდან „მშვენიერი მენისქვილე ქალი“ და ცდილობენ, ამოიცნონ</p>	<p>ფ. შუბერტის „მენისქვილე და ნაკადული“ უცნობი მუსიკალური მასალა, ამასთან, ენა მოსწავლეებისთვის გაუგებარია, შესაბამისად, მთლიანად სიმღერა აღიქმება, როგორც მუსიკა</p>	

	<p>ტიქსტის შინაარსის გარეშე- მოცარტის სონატის ფინალი კი, ე.წ. „თურქული მარში“ - მეტ-ნაკლებად ნაცნობია. სასურველია, თუ ფორმების ამოცნობას ნაცნობი მუსიკალური მასალით და- ვინყებთ და შემდეგ თანდა- თან შევუვრეთ უცნობს. მოცემული აქტივობა ამის მაგალითია. თუ გაუჭირდე- ბათ, შესაძლოა მოვასმენი- ნოთ ნაწარმოების ისეთი ფრაგმენტი, რომელშიც ფორმის ნიშნების გარჩევა შესაძლებელია, მაგალი- თად, ვკუპლეთი, რეფრენის მინიმუმ სამჯერ გატარება.</p>		<p>მათი ფორმა. ამოცანის გადავლებების მიზნით, მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს - მგავსი და განსხვავებული მუსიკალური მასალა სიმბოლოებით თანმიმდევრულად გამოსახონ ერთ სტრიქონზე. მაგალითად, ერთნაირი მუსიკალური მონაკვეთები - წრით, განსხვავებული - სამკუთხედით ან, როგორც მიღებულია, ლათინური ასო-ნიშნებით: A-თი მგავსი, ხოლო B-თი, C-თი და სხვ. - განსხვავებული.</p>	
<p>5. განასხვავებს ვოკალურ და ინსტრუმენტულ ტემბრებს;</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ბახ-გუნო - Ave Maria.</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ ბახ-გუნოს Ave Maria-ს ვოკალურ და ინსტრუმენტულ ვერსიებს და პასუხობენ შეკითხვას, რომელ ჩანაწერში ესმით ვოკალური/ინსტრუმენტული ტემბრები.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ბახ-გუნო - Ave Maria.</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ ა. ხაჩატურიანის „ცეკვას ხმლებით“ და ცდილობენ ამოიცნონ ნაცნობ საკრავთა ტემბრები, გამოყონ ტაქტის ძლიერი დრო და დაადგინონ ნაწარმოების მეტრი (შეიძლება მოვაგონოთ „ხორუმიც“), მაფორია თუ</p>
<p>6. ახასიათებს კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს მეტრის, საკრავთა,</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ა. ხაჩატურიანი - „ცეკვა ხმლებით“.</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ ა. ხაჩატურიანის „ცეკვას ხმლებით“ და ცდილობენ ამოიცნონ ნაცნობ საკრავთა ტემბრები, გამოყონ ტაქტის ძლიერი დრო და დაადგინონ ნაწარმოების მეტრი (შეიძლება მოვაგონოთ „ხორუმიც“), მაფორია თუ</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ა. ხაჩატურიანი - „ცეკვა ხმლებით“.</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ ა. ხაჩატურიანის „ცეკვას ხმლებით“ და ცდილობენ ამოიცნონ ნაცნობ საკრავთა ტემბრები, გამოყონ ტაქტის ძლიერი დრო და დაადგინონ ნაწარმოების მეტრი (შეიძლება მოვაგონოთ „ხორუმიც“), მაფორია თუ</p>

<p>ხმის ტემპრების, კილოს მიხრილობის (მაჟორი, მინორი) მიხედვით;</p>	<p>მინორი (დასაბუთონ, მათი აზრით, რატომ არის ნაწარმოები დანერული მაჟორში/მინორში).</p>		
<p>7. იყენებს მუსიკალურ ტერმინებს საუბრის დროს.</p>	<p>მოსწავლეები ახასიათებენ წინა აქტივობაში განხილულ ნაწარმოებს და, მასწავლებლის მითითებისამებრ, იყენებენ ყველა იმ ტერმინს, რომელიც ისწავლეს. თუკი რომელიმე მოსწავლე დახასიათებისას ნასწავლი ტერმინის ქართულ ეკვივალენტს გამოიყენებს, მასწავლებელი შეაჩერებს და სთხოვს მოსწავლეებს, დაეხმარონ მეგობარს და შეასხენონ ნასწავლი ტერმინი.</p>		
<p>მუს.V.8. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში</p>			
<p>1. მონაწილეობს კლასის სპექტაკლში, კარნავალში;</p>	<p>მოსწავლეები ემზადებიან კლასის სპექტაკლისათვის, ამისათვის მიმართავენ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობას “იავნანამ რა ჰქმნა?”. შეირჩევიან მსახიობები, რეჟისორი, დრამატურგი (რომელიც, მასწავლებლის დახმარებით, პიესის სახით დაწერს ი. გოგებაშვილის მოთხრობის ცალკეულ ეპიზოდებს), მხატვარი, მუსიკალური</p>	<p>კლასის სპექტაკლის ჩასატარებლად საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ნივთი.</p>	

	<p>გამფორმებელი (რომელიც ჯ. და კ. კახიძეების დაწერილ მუსიკას გამოიყენებს) და სხვა დამხმარე პერსონალი.</p>		
<p>2. მონაწილეობს და ესწრება სკოლის საანგარიშო კონცერტს;</p>	<p>მოსწავლეები ემზადებიან სკოლის კონცერტისათვის. ამისათვის, იქმნება მოსწავლეთა ჯგუფები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ჯგუფი, რომელიც კონცერტის პროგრამის შექმნაზე იზრუნებს; 2) ჯგუფი, რომელიც შემსრულებლის (მსახიობის) როლში წარდგება; 3) ჯგუფი, რომელიც საკონცერტო ნომრების მომზადებასა და შესრულების ხარისხზე აგებს პასუხს; 4) ჯგუფი, რომელიც კონცერტისათვის საჭირო რეკუსებს მოიპოვებს; 5) მოსწავლე-რეჟისორს დაევალება შემსრულებელთა სცენაზე მუშაობის ორგანიზება; 6) მხატვარი მსახიობთა ჩაცმულობაზე და სცენის მოწყობაზე იზრუნებს; 7) კონფერანსიე კონცერტის მსვლელობას გაუძღვება. 	<p>სკოლის კონცერტის ჩასატარებლად საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ნივთი.</p>	
<p>3. ესწრება შეხვედრა-საღამოებს: კომპოზიტორთან, შემსრულებელთან;</p>	<p>მოსწავლეები გეგმავენ წლის განმავლობაში ჩასატარებელ შეხვედრა-საღამოებს, ამისათვის ასახელებენ მათთვის სასურველ კომპოზიტორს, შემსრულებელს, განწენ გრაფიკს და გააკრავენ კედლებზე.</p>	<p>დიდი ფორმატის ქალაქი, დაფა, მარკერი.</p>	

<p>4. თანაკლასელებთან ერთად ესწრება საჯარო კონცერტს, სპექტაკლს;</p>			<p>მოსწავლე, საჯარო კონცერტზე, სპექტაკლზე დასწრებისას იქცევა კლასში შემუშავებული ქცევის საერთო წესების თანახმად.</p>
<p>5. დადის ექსკურსიებზე ხელოვნათა სახლ-სახლ-მუზეუმებში;</p>	<p>მოსწავლეები გეგმავენ წლის განმავლობაში მოსაწყობ ექსკურსიებს ხელოვნათა სახლ-მუზეუმებში, განიერენ გრაფიკს და გააკრავენ კედელზე.</p>	<p>დიდი ფორმატის ქალაქი, დაფა, მარკერი.</p>	
<p>6. მონაწილეობს და წარმართავს ვიქტორინას;</p>	<p>მოსწავლეები მონაწილეობენ ვიქტორინაში - ეჯიბრებიან პარალელური კლასის მოსწავლეებს. ამისათვის, მოაწესრიგებენ საკუთარ ცოდნას საგნის თეორიულ ნაწილში, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში (სიმღერა, რიტმის გამოხატვა, მელოდიის ამოცნობა, პერსონაჟის განსახიერება, ანალიზის უნარი მუსიკის მოსმენის შემდეგ და სხვ.).</p>	<p>ვიქტორინის ჩასატარებლად საჭირო სხვადასხვა ნივთი.</p>	
<p>7. წარდგება აუდიტორიის წინაშე შემსრულებლის, ავტორის ან კონფერანსიეს როლში.</p>	<p>იხ. მუს. V. 8. შედეგის 2. ინდიკატორის აქტივობა.</p>	<p>იხ. მუს. V. 8. შედეგის 2 ინდიკატორის აქტივობის რესურსები.</p>	

<p>მუს.V.9. მოსწავლეს შეუძლია ქცევის ნორმების დაცვა კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებისას.</p>	<p>1. ხელს არ უშლის კონცერტის, კინოფილმის მსვლელობას;</p>		<p>მასწავლებელი ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ სიტუაციას აღუწერს მოსწავლეებს: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში კლასიკური მუსიკის კონცერტი მიმდინარეობს. სრულდება ლ. ბეთჰოვენის მეცხუთე სიმფონია. კონცერტს ესწრებიან მეცხუთე კლასის მოსწავლეები. გიორგი ყურადღებით უსმენს მუსიკას, მან კონცერტის დაწყებამდე გამორთო მობილური ტელეფონი, ტაშს უკრავს მხოლოდ ნაწარმოების დასრულების შემდეგ, რადგან იცის, რომ მრავალნაწილიანი ნაწარმოების ყოველი ნაწილის შემდეგ ტაშს არ უკრავენ. ლევანი საღეჭ რეზინს ღეჭავს, მობილური ტელეფონით ერთობა, საუბრობს გვერდით მჯდომთან. მოსწავლეები ამ ორი სიტუაციის გაანალიზების შემდეგ ადგენენ კონცერტზე ქცევის ნესებს, წერენ დიდი ფორმატის ქალაქდზე და აკრავენ თვალსაწიანო ადგილას.</p>		<p>დიდი ფორმატის ქალაქი, დაფა, მარკერი.</p>	
<p>2. წინასწარ შეთანხმებული</p>			<p>მოსწავლეებმა კარგად იცან ქცევის ნესები კონცერტის მსვლელობის დროს (იხ. წინა</p>		<p>დაფა, მარკერი.</p>	

<p>ნესკების თანახმად გამოხატავს და-მოკიდებულებას ნაწარმოების დასრულების შემდეგ;</p>	<p>აქტივობა), ახლა კი უნდა განსაზღვრონ ქცევის წესები ნაწარმოების (კონცერტის) დასრულების შემდეგ. მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი ვარიანტებიდან განსაზღვრავენ - რომელია მართებული და არამართებული:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) მოსწავლე ნაწარმოების დასრულებასთანავე მიდის სახლში, არ ელოდება მსმენელის/მაცურებლის აპლოდისმენტებს; 2) ტაშით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნაწარმოების დასრულების შემდეგ; 3) ელოდება, როდის ჩაცხრება ტაში და თუ კონცერტი დასრულებულია, მიდის სახლში; 4) შესვენების დროს თავის აზრს, შთაბეჭდილებას უზიარებს გვერდით მჯდომს; 5) მოსწავლეს არ აინტერესებს სხვისი აზრი ნაწარმოების შესახებ და არც თავად გამოხატავს თავისას. 		
<p>3. წინასწარ შეთანხმებული წესების თანახმად იქცევა გამოფენაზე, მუზეუმში;</p>	<p>მასწავლებლის დავალებით, მოსწავლეები განსაზღვრავენ და განერენ ქცევის წესებს გამოფენაზე, მუზეუმში ყოფნისას, გამოაკრავენ შესაბამის ადგილას.</p>	<p>დიდი ფორმატის ქალაქი, დაფა, მარკერი.</p>	

<p>4. კორექტულია აზრის გამოთქმის, ნაწარმოების განხილვის დროს;</p>	<p>მოსწავლეებმა უნდა გაითამაშონ ერთმანეთისგან განსხვავებული ორი სიტუაცია: მეგობრის მიერ ფორტეპიანოზე შესრულებული ნაწარმოების შესახებ (რომელმაც არცთუ ისე კარგად დაუკრა), მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან საკუთარი აზრი. როგორ გააკეთებს ამას სანდრო? ნინო? ვის მიერ გამოთქმული აზრი იქნება კორექტული?</p>		<p>ამ აქტივობისას მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით მიდიან დასკვნამდე, რომ ნებისმიერი კრიტიკული შენიშვნის მიცემა შეიძლება პოზიტიური ფორმით, კეთილგანწყობით.</p>
<p>5. ტოლერანტულია განსხვავებული პოზიციის მიმართ.</p>			
<p>მუს.V.10. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა/ხელოვნება კულტურის თვითგამოხატვის საშუალებაა.</p>			
<p>1. საუბრობს, რა ინფორმაცია მიიღო რომელიმე ისტორიულ პერიოდზე იმ ეპოქის ხელოვნების</p>	<p>მოსწავლეები გაიხსენებენ სასწავლო წლის განმავლობაში ნასწავლი კომპოზიტორების შემოქმედებას, მათი მოღვაწეობის პერიოდს (ეპოქას) და შეავსებენ დროის დიაგრამას. ქრონოლოგიურად ჩამოწერენ გამოჩენილი კომპოზიტორების</p>	<p>დაფა, მარკერი.</p>	<p>იგულისხმება, რომ მითითებული წლები მხოლოდ კომპოზიტორთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდის, ეპოქის</p>

<p>ნაწარმოების გაცნობით;</p>	<p>მოდგანეობის წლებს, გვარებს და მათ იმ ნაწარმოებებს, რომლებსაც უკვე იცნობენ.</p> <p>ფ. მენდელსონი (1809-1847), ი. ბახი (1665-1750), ფ. შოპენი (1810-1849), ლ. ბეთჰოვენი (1770-1827), ზ. ფალიაშვილი (1871-1933), ვ. ა. მოცარტი (1756-1790), ვ. დოლიძე (1890-1933)</p>	<p>მიმანიშნებელია და მათი დამახსოვრება არ უნდა წარმოადგენდეს თვითმიზანს.</p>																											
<table border="1"> <thead> <tr> <th>წლები</th> <th>კომპოზიტორები</th> <th>მათი ნაწარმოებები</th> </tr> </thead> <tbody> <tr><td> </td><td> </td><td> </td></tr> </tbody> </table>	წლები	კომპოზიტორები	მათი ნაწარმოებები																									<p>მოსწავლეები წარუდგენენ კლასს წინასწარ მოძიებულ ინფორმაციას სხვადასხვა ხალხის ხალხური ცეკვების შესახებ. ტექსტურ მასალასთან უნდა ახლდეს ამ ხალხის ყოფა-ცხოვრების, კულტურის ამსახველი ფოტომასალა, მოსწავლეთა თა მიერ შექმნილი ეროვნული კოსტუმების ესკიზები და ხალხური ცეკვების აუდიო ჩანაწერი. მაგალითად, პოლონური, გერმანული, იტალიური და სხვა.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ქართული, პოლონური, გერმანული, იტალიური და სხვა ხალხური ცეკვები (მოსწავლეთა შერჩევით), ინფორმაცია, ფოტომასალა, ჩანახატები, ესკიზები.</p>
წლები	კომპოზიტორები	მათი ნაწარმოებები																											
<p>2. საუბრობს, რა გაიგო ამა თუ იმ ხალხის კულტურის შესახებ მისი მუსიკის გაცნობით;</p>	<p>მოსწავლეები წარუდგენენ კლასს წინასწარ მოძიებულ ინფორმაციას სხვადასხვა ხალხის ხალხური ცეკვების შესახებ. ტექსტურ მასალასთან უნდა ახლდეს ამ ხალხის ყოფა-ცხოვრების, კულტურის ამსახველი ფოტომასალა, მოსწავლეთა მიერ შექმნილი ეროვნული კოსტუმების ესკიზები და ხალხური ცეკვების აუდიო ჩანაწერი. მაგალითად, პოლონური, გერმანული, იტალიური და სხვა.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ქართული, პოლონური, გერმანული, იტალიური და სხვა ხალხური ცეკვები (მოსწავლეთა შერჩევით), ინფორმაცია, ფოტომასალა, ჩანახატები, ესკიზები.</p>																											

<p>3. საუბრობს სვება-დასხვა კულტურის განმასხვავებელ ნიშნებზე, თავისებურებებზე;</p>	<p>მოსწავლეები შეაჯებენ მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილ ცხრილს, შესაბამის გრაფაში ჩაწერენ მოცემული ციკლების დამახასიათებელ ნიშნებს:</p> <table border="1" data-bbox="303 890 432 1503"> <tr> <td data-bbox="303 1309 395 1503"> <p>იტალიური ტარანტელა</p> </td> <td data-bbox="303 1089 395 1309"> <p>არგენტინული ტანგო</p> </td> <td data-bbox="303 890 395 1089"> <p>ფრანგული მენუეტი</p> </td> </tr> </table>	<p>იტალიური ტარანტელა</p>	<p>არგენტინული ტანგო</p>	<p>ფრანგული მენუეტი</p>	<p>დაფა, მარკერი, რეკულე-ბი, კალმისტრები.</p>	<p>მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ ტემპი, ზომა, სასურველია ხასიათიც.</p>
<p>იტალიური ტარანტელა</p>	<p>არგენტინული ტანგო</p>	<p>ფრანგული მენუეტი</p>				
<p>4. ამოიცნობს ქართული მუსიკის უცნობ ნიმუშებს სტილის მიხედვით.</p>	<p>მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს ორ უცნობ ნაწარმოებს, მაგალითად, ა. ხაჩატურიანის “ციკვას ხმლებით” და რ. ლაღიძის საფორტეპიანო პიესას “რონდო-ტოკატა”. მოსწავლეებმა სტილის მიხედვით უნდა ამოიცნონ ქართული ნაწარმოები.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ა. ხაჩატურიანი – “ციკვას ხმლებით” ბალეტტიდან “გაიანე”, რ. ლაღიძე – “რონდო-ტოკატა”.</p>				

ვიმართულაბა: მუსიკალური ნაწარმოების აღმა კონტექსტი

<p>შედეგი / ინდიკატორი</p>	<p>ტიპური აქტივობები</p>	<p>რესურსები</p>	<p>შენიშვნა</p>
<p>მუს.V.11. მოსწავლეს შეუძლია ხელოვნების დარგების და სინთეზურ ხელოვნებაში მათი კავშირების განხილვა.</p>			

<p>1. ახასიათებს ხელოვნების სინთეზური დარგების (კინო, თეატრი, მუსიკალური თეატრი) შემადგენელ ელემენტებს;</p>	<p>მასწავლებელი დაავალდებს მოსწავლეებს დანერონ, თუ რა არის საჭირო და ვინ მონაწილეობს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) დრამატული სპექტაკლის შექმნაში; ბ) ფილმის შექმნაში; გ) ნახატის შექმნაში; დ) ოპერის შექმნაში; ე) ქანდაკების შექმნაში. 	<p>დაფა, მარკერი, რეკულები, კალმისტრები.</p>	
<p>2. ასახელებს ხელოვნების სინთეზურ დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებს და მათ თვალსაჩინო წარმომადგენლებს;</p>	<p>წინა აქტივობის შესრულებასთან ერთად ან მისი შესრულების შემდეგ, მოსწავლეები მოიძიებენ ცნობილი მხატვრების, რეჟისორების გვარებს და მათ ცნობილ ნამუშევრებს. ამის შემდეგ თითოეულ მათგანს შეუძლია სურვილის მიხედვით მოამზადოს პრეზენტაცია: „კინო“, „თეატრი“, „ოპერა“, „მხატვრობა“, „ქანდაკება“.</p>	<p>ინტერნეტი, ენციკლოპედია, სხვა ლიტერატურა.</p>	
<p>3. განარჩევს სხვადასხვა სახის სპექტაკლს (საბალეტო, საოპერო, დრამატული);</p>	<p>მოსწავლეები ასრულებენ დავალებას: მათ ისრით უნდა დააკვირონ პირველ და მეორე სვეტში ჩამოწერილი ერთმანეთის შესაბამისი სიტყვები.</p> <p>ოპერა დრამატული სპექტაკლი ბალეტი</p> <p>ცეკვა სიმღერა მეტყველება</p>		
<p>4. იხსენებს სინთეზური ხელოვნების იმ ნიმუშებს, რომლებიც უნახავს</p>	<p>იხ. მუს. V.1.1. შედეგის 5 ინდიკატორის აქტივობა.</p>	<p>იხ. მუს. V.1.1. შედეგის 5. ინდიკატორის აქტივობის რესურსები.</p>	

და რომლებსაც დასწრებია;	5. ასახელებს იმ საკონცერტო და თეატრალურ დარბაზებს, სადაც წარმოდგენას დაესწრო;	<p>მოსწავლე იწერს საშინაო დავალებს: მშობლების დახმარებით მან უნდა მოიძიოს და ცხრილის პირველ სვეტში ჩაწეროს საკონცერტო არსებული, მისთვის ცნობილი საკონცერტო დარბაზები, მეორე სვეტში - თეატრები, ხოლო მესამეში აღნიშნოს, ჩამოწერილია თუ არა რომელიმე ყოფილა თვითონ.</p> <table border="1" data-bbox="463 884 628 1503"> <thead> <tr> <th>საკონცერტო დარბაზი</th> <th>თეატრი</th> <th>მე ვყოფილვარ</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td> </td> <td> </td> <td> </td> </tr> <tr> <td> </td> <td> </td> <td> </td> </tr> </tbody> </table> <p>გაკეთებულზე კი, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, გაიხსენოს, რომელ სპექტაკლს ან რომელი მუსიკოსის კონცერტს დასწრებია.</p>	საკონცერტო დარბაზი	თეატრი	მე ვყოფილვარ							დაფა, მარკერი, რეკულები, კალმისტრები.	
საკონცერტო დარბაზი	თეატრი	მე ვყოფილვარ											
6. ჩამოთვლის უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებშიც აღიზრდებიან ხელოვნების სწავლასზე და რეგის წარმომადგენლები.	<p>მოსწავლეები ავსებენ ცხრილს:</p> <table border="1" data-bbox="838 884 1181 1503"> <thead> <tr> <th>პროფესია</th> <th>სასწავლებელი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>მომღერალი</td> <td>თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი</td> </tr> <tr> <td>მოქანდაკე</td> <td>სამხატვრო აკადემია</td> </tr> <tr> <td>სცენოგრაფი</td> <td>კონსერვატორია</td> </tr> <tr> <td>ფერმწერი</td> <td> </td> </tr> </tbody> </table>	პროფესია	სასწავლებელი	მომღერალი	თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი	მოქანდაკე	სამხატვრო აკადემია	სცენოგრაფი	კონსერვატორია	ფერმწერი		დაფა, მარკერი, რეკულები, კალმისტრები.	
პროფესია	სასწავლებელი												
მომღერალი	თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი												
მოქანდაკე	სამხატვრო აკადემია												
სცენოგრაფი	კონსერვატორია												
ფერმწერი													

<p>მუს. V.12. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები.</p>	<p>1. განასხვავებს ქართულ ხალხურ და პროფესიულ ნაწარმოებებს;</p>	<p>2. საუბრობს ნასწავლი ნაწარმოებების ავტორების შესახებ;</p>	<p>ა) მოსწავლეები უსმენენ ქართულ ხალხურ სიმღერას "ჩაკრულო" და "ჩაკრულოს" ზ. ფალიაშვილის ოპერიდან "აბესალომ და ეთერი". მასწავლებელი სთხოვს გამოიყონ, რომელი მათგანია ხალხური/პროფესიული მუსიკის ნიმუში.</p> <p>ბ) იგივე აქტივობა ხორციელდება ხალხური "ურმულისა" და დ. არაყიშვილის "ურმულის" (ოპერიდან "თქმულება შოთა რუსთაველზე") მაგალითზე.</p> <p>გ) იგივე აქტივობა ხორციელდება საჭიდაოს დასაკრავისა და რ. ლალიძის "საჭიდაოს" მეშვეობით.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ხალხური "ჩაკრულო", "ურმული", ხალხური დასაკრავი "საჭიდაო";</p> <p>ზ. ფალიაშვილი - ფრაგმენტი "აბესალომ და ეთერის" II აქტიდან ("ჩაკრულო"), დ. არაყიშვილი - "ურმული" ოპერიდან "თქმულება შოთა რუსთაველზე".</p> <p>რ. ლალიძე - "საჭიდაო".</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ლ. ბეთჰოვენი - სონატა №1 f-moll.</p>
--	---	--	---	---	--

<p>3. ადარებს ნასწავლ ნაწარმოებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას – ჟანრი, ნაწარმოების პროგრამა, ფორმა;</p>	<p>4. განასხვავებს ხალხური მუსიკის პოპულარულ ნიმუშებს საკერძოელოს კუთხებისა და ჟანრების მიხედვით.</p>		<p>მოსწავლე დააჯგუფებს შესწავლილ და მოსმენილ ხალხურ სიმღერებს ჟანრების მიხედვით. მაგალითად, ხასანბეგურა, შავლეგო – ისტორიული, საბრძოლო, „ჩელა“ და „დილა“ – ლირიკული, „ალილო“ და „კირიალესა“ – დღესასწაულებზე შესასრულებელი, სანესო და ა.შ. აქვე მიუჩინონ, თუ რომელ კუთხეს მიეკუთვნება ესა თუ ის სიმღერა.</p>		<p>დაფა, მარკერი, რეკულერი, კალმისტრები.</p>		
<p>მუს.V.13. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს და დააჯგუფოს მუსიკალური საკრავები.</p>	<p>1. ამოიცნობს საკრავებს სოლო, ასევე ანსამბლში ფლერადობის დროს;</p>		<p>მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ ინსტრუმენტული ანსამბლის რამდენიმე სახეობა. მასწავლებელი დაფაზე წერს რამდენიმე სახის ანსამბლის სახელწოდებას, მაგალითად, საფორტეპიანო დუეტი, სასულიერ კვინტეტი, სიმფონი კვარტეტი,</p>		<p>დაფა, მარკერი, რეკულერი, კალმისტრები.</p>		

		<p>ხალხურ საკრავთა ტრიო. მოსწავლემ საკუთარი სურვილისამებრ უნდა შეარჩიოს ორი-სამი მათგანი და განწეროს მისი შემადგენლობა. მოსწავლეები ერთმანეთს უცვლელიან ნამუშევრებს, აფასებენ, აკეთებენ კომენტარს. ისინი კორექტულები უნდა იყვნენ სხვისი ნამუშევრის მიმართ.</p>	<p>ფოტოსურათები: ვილინო, ჩელო, ფლეიტა, ტრომბონი, ვალტორნა, დოლი, თეფშები; საძერნი მასალა.</p>	<p>შესაძლებელია, ამ აქტივობის ნაწილი ხელოვნების გაკვეთილზე შესრულდეს.</p>						
<p>2. ხატავს ან ძიქრნავს საკრავებს;</p>	<p>მოსწავლელთა კლასს ყოფს ოთხ ჯგუფად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა გამოძერწოს სიმებიანი, ხისა და ლითონის ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები (შესაძლებლობის ფარგლებში, ორი-სამი საკრავი მაინც). მოსწავლეებმა უნდა ისარგებლონ ინტერნეტით, საკრავთა ფოტომასალით.</p>	<p>მოსწავლელთა კლასს ყოფს ოთხ ჯგუფად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა გამოძერწოს სიმებიანი, ხისა და ლითონის ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები (შესაძლებლობის ფარგლებში, ორი-სამი საკრავი მაინც). მოსწავლეებმა უნდა ისარგებლონ ინტერნეტით, საკრავთა ფოტომასალით.</p>	<p>დაფა, მარკერი, რვეულები, კალმისტრები.</p>							
<p>3. აჯგუფებს საკრავებს ბგერის მიღების წესის ან მასალის მიხედვით.</p>	<p>მოსწავლელთა კლასს ყოფს ოთხ ჯგუფად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა გამოძერწოს სიმებიანი, ხისა და ლითონის ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები (შესაძლებლობის ფარგლებში, ორი-სამი საკრავი მაინც). მოსწავლეებმა უნდა ისარგებლონ ინტერნეტით, საკრავთა ფოტომასალით.</p>	<p>მოსწავლელთა კლასს ყოფს ოთხ ჯგუფად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა გამოძერწოს სიმებიანი, ხისა და ლითონის ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები (შესაძლებლობის ფარგლებში, ორი-სამი საკრავი მაინც). მოსწავლეებმა უნდა ისარგებლონ ინტერნეტით, საკრავთა ფოტომასალით.</p>	<p>დაფა, მარკერი, რვეულები, კალმისტრები.</p>							
	<table border="1" data-bbox="950 877 1097 1487"> <tr> <td>სიმებიანი</td> <td>ჩასაბერი</td> <td>დასარტყამი</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </table>	სიმებიანი	ჩასაბერი	დასარტყამი				<p>მსგავსი აქტივობა სრულდება საორკესტრო საკრავებზეც.</p>		
სიმებიანი	ჩასაბერი	დასარტყამი								

VI კლასი

მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

შედეგი / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რესურსები	შენიშვნა
მუს.VI.1. მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაციულ სვარჯიშოებში მონაწილეობა.			
1. ერთსა და იმავე მელოდიურ საქცევს აუღერებს მაჟორსა და მინორში;	<p>ა) მოსწავლეები ადგენენ რ. ლალიძის „სიმღერა თბილისზე“ კილოს მიხრილობას - მაჟორია თუ მინორი. მღერიან მის პირველ ფრაზას მინორულ მიხრილობაში, შემდეგ ცვლიან მიხრილობას და მღერიან მაჟორში.</p> <p>ბ) მოსწავლეები იხსენებენ წინა კლასებში შესწავლილ კანონს "Frete Jacques" და მღერიან მის მინორულ ვერსიას.</p>	ფორტეპიანო, სანოტო მასალა: რ. ლალიძე -, სიმღერა თბილისზე”.	ა) რამდენადაც დავალება შეიცავს გარკვეულ სირთულეებს, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს და, ცალკეულ შემთხვევებში, დაეხმაროს მოსწავლეებს.
2. მაჟორული და მინორული სამომოვანების ბგერებზე თხზავს რიტმულ და ინ-	<p>ა) მასწავლებელი უკრავს ტონიკური სამომოვანების ბგერებს და სთხოვს მოსწავლეებს, ამ ბგერების გამოყენებით მოიფიქრონ და იმღერონ რაიმე მოტივი/მარტივი მელოდია;</p> <p>ბ) მოსწავლეები უსმენენ „რაინდთა ცეკვას“ ს.</p>	<p>ა) ფორტეპიანო</p> <p>ბ) მოსასმენი აპარატურა,</p>	<p>სასურველია, ამ აქტივობაში ყველა მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა. მოსწავლეები გამოვლენ, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ. დანარჩენი</p>

<p>ტონაციურ მოდელებს;</p>	<p>პროკოფიევის ბალეტებიდან - „რომეო და ჯულიეტა“ და განსაზღვრავენ, რომ ნაწარმოები ინყება მინორული სამხმოვანებით. მასწავლებელი სთავაზობს მათ, მაჟორული სამხმოვანებისთვის მოიფიქრონ რაიმე მხატვრული შინაარსი და შემდეგ მისთვის შესაფერისი რიტმიული ფორმულა, მაგალითად, შეიძლება შევსახსნოთ ვ. ა. მოცარტის სიმღერის - „სევდა გაზაფხულზე“ - პირველი სტრიქონი.</p>	<p>აუდიო ჩანაწერი: პროკოფიევი - „რაინდთა ცეკვა“ ბალეტიდან „რომეო და ჯულიეტა“. ვ. ა. მოცარტი - „სევდა გაზაფხულზე“.</p>	<p>მოსწავლეები სახლში მოამზადებენ დავალებას და შემდეგ გაკვეთილებზე იმღერებენ ან დაუკრავენ შეთხზულ მოტივს.</p>
	<p>გ) მასწავლებელი მაჟორსა და მინორში უკრავს მარტივ აკორდულ თანმიმდევრობას (I-S-D-T, ან T-S-T64-D-T). მოსწავლემ, დაფიქრების შემდეგ უნდა იმღეროს ამ თანხლებების შესაბამისი რაიმე მოტივი, მარტივი მელოდია.</p>	<p>გ) ფორტეპიანო</p>	<p>გ) იხ. წინა აქტივობის შენიშვნა.</p>
<p>3. სიმღერით აბოლოებს მასწავლებლის ან თანაკლასელის მიერ დაწყებულ მელოდიას, უპასუხებს მუსიკალურ ფრაზას;</p>	<p>ა) სამ ჯგუფად დაყოფილი მოსწავლეები ვ. აზარამვილის სიმღერის „დინამი“ სანოტო ტექსტში წინასწარ გამოყოფენ ფრაზებს, დანომრავენ და შეასრულებენ სიმღერას შემდეგი სახით: ინყებს პირველი ჯგუფი პირველი ფრაზით, აგრძელებს მეორე ჯგუფი მეორე ფრაზით და ა. შ.;</p> <p>ბ) მასწავლებელი და მოსწავლეები მღერიან ს. ცინცაძის სიმღერას - „ტოროლა“ შემდეგი პირობით: ინყებს ერთი მოსწავლე, მასწავლებელი დადის მერხებს შორის და რომელ მოსწავლესთანაც შეჩერდება, ის განაგრძობს სიმღერას.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ვ. აზარამვილი - „დინამი“, ს. ცინცაძე - „ტოროლა“.</p>	<p>ბ) სასურველია ამ აქტივობაში მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა მიიღოს მონაწილეობა.</p>

<p>4. მღერის ინტერ-ვალებს ოქტავის ფარგლებში;</p>	<p>მოსწავლეები მღერიან ნასწავლ ინტერვალებს სხვადასხვა რეგისტრში, შემდეგ, ერთი და იმავე ტონიდან, ასევე მღერიან ერთი ტონალობის ფარგლებში, გამის ყველა საფეხურზე აღმავალი მიმართულებით (მაგალითად, ტერციებს, კვარტებს ყველა საფეხურზე და ა.შ.).</p>	<p>ფორტეპიანო</p>	<p>ამ აქტივობას წინ უძღვის ერთი და სხვადასხვა ტონიდან ინტერვალების აგების მყარი ცოდნა, სანო-ტო ტექსტში ინტერვალების მოძიების, დადგენის ჩვევები.</p>																
<p>5. განსაზღვრავს მისთვის ნაცნობი სიმღერის საწყის ინტერვალს;</p>	<p>მოსწავლეები გაიხსენებენ ნასწავლ სიმღერებს და მათი საწყისი ინტერვალების მიხედვით შეავსებენ ცხრილს.</p> <table border="1" data-bbox="522 890 776 1493"> <thead> <tr> <th>სიმღერა</th> <th>ტერცია</th> <th>კვარტა</th> <th>სექსტა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>„ლილე“</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>„ციცინათელა“</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>„ი. გურგულია - საქანელა“</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table> <p>გურგულიას სიმღერაში - „საქანელა“, საწყისი ინტერვალის განსაზღვრის შემდეგ პოულობენ იმავე ინტერვალს მთელ სიმღერაში.</p>	სიმღერა	ტერცია	კვარტა	სექსტა	„ლილე“				„ციცინათელა“				„ი. გურგულია - საქანელა“				<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ხალხური სიმღერები - „ლილე“, „ციცინათელა“; ი. გურგულია - „საქანელა“.</p>	<p>ამ აქტივობას წინ უძღვის ერთი და სხვადასხვა ტონიდან ინტერვალების აგების მყარი ცოდნა, სანო-ტო ტექსტში ინტერვალების მოძიების, დადგენის ჩვევები.</p>
სიმღერა	ტერცია	კვარტა	სექსტა																
„ლილე“																			
„ციცინათელა“																			
„ი. გურგულია - საქანელა“																			
<p>6. ნასწავლ ლექსს შეურჩევს/შეთხზავს მელოდიას;</p>	<p>მოსწავლეებმა გაკეთებულ ნასწავლ რომელიმე ლექსს შინაარსის მიხედვით უნდა შეურჩიონ მელოდია ნასწავლი სიმღერებიდან, მაგალითად, გ. ტაბიძის „წამყე ბეთანიისაკენ“, ლ. ასათიანის „ბარდნალა“.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: პროგრამით გათვალისწინებული ნასწავლი სიმღერები; ქართული პოეზიის ნიმუშები (მოსწავლეების შერჩევით).</p>	<p>ამ აქტივობას წინ უძღვის ერთი და სხვადასხვა ტონიდან ინტერვალების აგების მყარი ცოდნა, სანო-ტო ტექსტში ინტერვალების მოძიების, დადგენის ჩვევები.</p>																

<p>7. მოცემულ მელოდურ საქცევს მღერის სხვადასხვა საფეხურიდან (დიატონური სეკვენცია);</p>	<p>მოსწავლეები “ციცინათელას” სანყის ორ ფრაზას იმღერებენ აღმაგალი მიმართულებით, გამის ყოველი მომღვენო საფეხურიდან (აღმაგალი სეკვენცია), შესაძლებელია, მოსწავლეთა სამმა ჯგუფმა თანმიმდევრობით შესარულოს აღმაგალი სეკვენციის რგოლები.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: “ციცინათელა”.</p>	
<p>8. ტაშით/კაკუნით და სიმღერით ნარმოადგენს მისთვის ნაცნობ ორ და სამნილადი სტრუქტურის მელოდოლებს;</p>	<p>ა) მასწავლებელი დაფაზე წერს სამი მუსიკალური ნანარმოების სახელწოდებას. ესენია: ტორეადორის კუბლები ჟ. ბიზეს ოპერიდან “კარმენი”, ბავშვთა გუნდი ამავე ოპერიდან და მარში ჯ. ვერდის ოპერიდან “აიდა”. მოსწავლეები ამ ნანარმოებების მოსმენის შემდეგ, ტაშით ან კაკუნით ნარმოადგენენ თითოეული ნანარმოების რიტმულ სურათს, შემდეგ მოსწავლეთა ერთი ჯგუფი გამობატავს რიტმს, ხოლო მეორე - ამოიცნობს ნანარმოებს.</p> <p>ბ) აქტივობა ხორციელდება ი. ბობოხიძის სიმღერის - “ფიფქები” - მეშვეობით, მოსწავლეები ტაშით ნარმოადგენენ სამნილად მეტრს ძლიერი დროის აქცენტურებით, მასწავლებელი ასევე ტაშით ასრულებს მელოდიის რიტმულ ნახაზს და მუს. VI. 1. შედეგის ვინდიკატორის აქტივობაში გამოყენებული პრინციპით “გადასცემს” სხვა მოსწავლეებს.</p>	<p>ა) მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანანერი: ჟ. ბიზე - ტორეადორის კუბლები ოპერიდან “კარმენი”, ჯ. ვერდი - მარში ოპერიდან “აიდა”; დაფა, მარკერი.</p> <p>ბ) ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ი. ბობოხიძე - „ფიფქები”.</p>	<p>ამ აქტივობის ჩატარებამდე მოსწავლეებს მოსმენილი უნდა ჰქონდეთ დასახელებული მუსიკალური მასალა.</p>
<p>9. თანაკლასელებთან მონაცვლე-</p>	<p>კლასი იყოფა სამკაცციან ჯგუფებად, თითოეული ჯგუფი ფურცელზე წერს ორტაქტიან რიტმულ</p>	<p>დაფა, მარკერი.</p>	

<p>ობით ტაშით კმნის რიტმულ კომპოზიციებს;</p>	<p>ნახაზ ნებისმიერ ზომაში, მეორე ჯგუფი თავის მხრივ წერს და აწვდის შემდეგს, ვიდრე ჯგუფების რაოდენობა არ ამოიწურება, შედეგად ვიღებთ ცვალებადი მეტრის რიტმულ სურათს. რიტმული ნახაზი იწერება დაფაზე. საბოლოოდ, მოსწავლეები ტაშით შეასრულებენ მათ მიერ შექმნილ რიტმულ ნახაზს.</p>		
<p>10. გაბმულად შესრულებულ რიტმულ ფიგურას, ჰარმონიულ თანმიმდევრობას სიმღერით უხამებს სვადასხვა მელოდოიურ ხმას, რიტმულ ფიგურას.</p>	<p>იხ. მუს. VI.1. შედეგის 2. ინდიკატორის აქტივობა.</p>	<p>იხ.: მუს. VI.1. შედეგის 2. ინდიკატორის აქტივობის რესურსები.</p>	
<p>მუს. VI.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.</p>			
<p>1. თანაკლასელებთან ერთად მღერის აკორდებს;</p>	<p>ა) მოსწავლეები მღერიან მაჟორულ და მინორულ სამხმოვანებებს სვადასხვა რეგისტრში, შემდეგ ერთი და იმავე ტონიდან, ასევე მღერიან ერთი ტონალობის ფარგლებში, გამის ყველა საფეხ-</p>	<p>ფორტეპიანო</p>	

		<p>ურზე, აღმავალი მიმართულებით (დიატონური სკვენცია);</p> <p>ბ) კლასი იყოფა სამ ჯგუფად. მოსწავლეები ჯერ მელიდიურად, შემდეგ ჰარმონიულად იღებენ სამხმიან აკორდებს, ცვლიან ხმებს.</p>	
<p>2. მღერის მარტო, წყვილში, გუნდში, ერთ და ორხმიან სიმღერებს ხალხური და კლასიკური რეპერტუარიდან;</p>	<p>ფორტეპიანო; სანოტო მასალა: "ციცინათელა", ი. გურგულია – "საქანელა", ს. ცინცაძე – "ტორილა".</p>	<p>მოსწავლეები შეისწავლიან შემდეგ სიმღერებს: "ციცინათელა", ი. გურგულიას "საქანელას", ს. ცინცაძის "ტორილას" (სიმღერის შესწავლის დადგენილი ხერხების მიხედვით).</p>	<p>იხ. სიმღერის შესწავლის ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები მეორე კლასის ცხრილში.</p>
<p>3. მღერის კანონის ტიპის სავარჯიშოებს, სიმღერებს;</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: კანონის ტიპის სავარჯიშო (მასწავლებლის შერჩევით).</p>	<p>ა) მოსწავლეები სწავლობენ და მღერიან კანონის ტიპის სავარჯიშოებს მასწავლებლის შერჩევით. მოსწავლეები იყოფიან ორ ჯგუფად, პირველი და მეორე ხმები მღერიან ერთსა და იმავე მელოდიას იმ განსხვავებით, რომ მეორე ხმა სიმღერას იწყებს რამდენიმე ტაქტით გვიან, რაც კანონის შესრულების აუცილებელი პირობაა;</p> <p>ბ) იხ. მუს. VI. 1. შედეგის 1. ინდიკატორის ბ) აქტივობა.</p>	
<p>4. არჩევს და იყენებს სხვადასხვა გამომსახველობით ხერხს მუსიკალური</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: „ციცინათელა“.</p>	<p>მოსწავლეები მღერიან "ციცინათელას", და დაფაზე წერენ ამ ნაწარმოების შესრულებისას მათ მიერ წინასწარ არჩეულ გამომსახველობით საშუალებებს.</p>	

<p>ნაწარმოების შესრულებისას;</p>			<p>მოსწავლეები ნასწავლი სიმღერების სასოტო ტექსტში გამოარჩევენ მუსიკალურ-გამომსახველობით ხერხებს (ტემპი, დინამიკური ნიუანსები, მათთვის ნაცნობი შესრულების ხერხები - სტაკატო, ლეგატო) და მათი გამოყენებით ასრულებენ სიმღერას.</p>		<p>იხ. მუს. VI.2. შედეგის 2. ინდიკატორის აქტივობის რესურსები.</p>		
<p>მუს. VI. 3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა.</p>	<p>1. სხვებთან ერთად გაითამაგებს მარტივ სცენებს კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების/ფრაგმენტის განწყობილების გამოხატვის მიზნით;</p>		<p>იხ. VI.3. შედეგის 2..ინდიკატორის ბ) აქტივობა.</p>		<p>იხ. VI. 3. შედეგის 2. ინდიკატორის ბ) აქტივობის რესურსები.</p>		

<p>2. პანტომიმით გამოხატავს გარკვეულ განწყობილებას;</p>	<p>ა) მოსწავლეები უსმენენ ფრაგმენტს ფ. ლოუს მიუზიკლიდან “ჩემი მშვენიერი ლედი” I could have dance all night (მთელი ღამე ვიცეკვებდი) მასწავლებელი უხსნის, რომ ეს ბუნდოანი გოგონას სიმღერაა, რომელსაც სიხარულით გასმენს და მზადაა ცეკვით გაათენოს ღამე. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მუსიკის ფონზე პანტომიმით განასახიერონ გახარებული გოგონა.</p> <p>ბ) მოსწავლეები უსმენენ ფრაგმენტს ნოდარ გაბუნიას „იგავიდან“ და ცდილობენ გაარკვიონ, რომელია ძალი, მამალი, მელა. გარკვევის შემდეგ მოსწავლეები პანტომიმით განასახიერებენ სამივე პერსონაჟს (ერთგვარი ჯგუფური პანტომიმური სცენა).</p>	<p>მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ფ. ლოუ – I could have dance all night, ფრაგმენტი მიუზიკლიდან “ჩემი მშვენიერი ლედი”, ნ. გაბუნია – “იგავი” (3’13” – 4’53” – მამალი და ძალი; 6’24 – 7’22 – მელა, 9’12” – 11’24” – ძალი დაეძვენა მელას, დაჩქარება და კუდი მოსწყვიტა).</p>	
<p>3. ისმენს თანაკლასელთა აზრს საკუთარ შესრულებებზე;</p>	<p>აქტივობას შეიძლება გუწოდოთ „მუსიკალური კონკურსი“. სურვილისამებრ, კლასი იყოფა მონაწილეებად და ჟიურის წევრებად. მონაწილეები სათითაოდ გამოდიან და მღერიან ნასწავლ სიმღერას, ჟიური კი ქულებით აფასებს მათ და ასაბუთებს თავის შეფასებას, რის შესახებაც „ჟიურის“ წევრები წინასწარ არიან ინფორმირებულინი.</p>	<p>მუსიკალური კონკურსის ჩასატარებლად საჭირო რეკვიზიტი.</p>	
<p>4. აფასებს თანაკლასელთა მიერ შესრულებულ თეატრალურ ეტიუდს;</p>	<p>იხ. მუს. VI.3. შედეგის 2. ინდიკატორის ა) აქტივობა.</p> <p>იხ. მუს. VI.3. შედეგის 2. ინდიკატორის ბ) აქტივობა: მოსწავლეები მსჯელობენ, თუ რომელი</p>	<p>იხ.: მუს. VI.3. შედეგის 2. ინდიკატორის ა) აქტივობის რესურსები.</p> <p>იხ. მუს. VI.3. შედეგის 2.</p>	

	<p>მოსწავლის შესრულება შეესაბამებოდა მუსიკის შინაარსსა და განწყობილებას.</p>	<p>ინდიკატორის ბ) აქტივობის რესურსები.</p>	
<p>5. პერსონაჟის ხასიათს უსადაგებს მუსიკალურ ფრაგმენტს;</p>	<p>იხ. მუს. VI.3. შედეგის 2. ინდიკატორის ა) აქტივობა იხ. მუს. VI. 3. შედეგის 2. ინდიკატორის ბ) აქტივობა.</p>		
<p>6. კონკრეტულ ამბავს, სიუჟეტს უსადაგებს მისთვის ცნობილ მუსიკალურ ნაწარმოებს და შეძლებისდაგვარად გაითამაშებს მას იმპროვიზებულ ტექსტის გამოყენებით;</p>	<p>იხ. მუს. VI.3. შედეგის 2. ინდიკატორის ბ) აქტივობა – მუსიკალურ-პანტომიმურ ფრაგმენტებს შორის მოსწავლეები ასრულებენ მთხრობელის ფუნქციას.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ნ. გაბუნია – „იგავი“ (3'13" – 4'53" – მამბლი და ძაღლი; 6'24 – 7'22 – მელა, 9'12" – 11'24" – ძაღლი დაედეგნა მელას, დაჩქევა და კუდი მოსწყვიტა).</p>	
<p>7. კონკრეტული მუსიკალური ფრაგმენტის საკრავებს შორის გაფლერები-სას ქმნის ტექსტურ დიალოგს.</p>			

<p>მუს. VI.4. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური დამწერლობის გამოყენება</p>	<p>1. კითხულობს და წერს ნოტებს ვიოლინოს, ბანის გასაღებში;</p>  <p>სოლ, ლა, მი, რე, ფა, მი, რე დო, ფა, სოლ, სი, დო, ლა, სი</p> <p>ბ) მასწავლებელი ქმნის რამდენიმე ნაცნობი სიმღერის მელოდიის სანოტო ჩანაწერს ვიოლინოს და ბანის გასაღებში, რომლებშიც განზრახ გამოტოვებს ცალკეულ ბგერებს. მოსწავლე ფორტიპიანოზე იღებს (უკრავს) სანოტო ჩანაწერში დაფიქსირებულ ნოტებს და ავსებს გამოტოვებულ ბგერებს საკუთარი შეხედულების მიხედვით.</p>	<p>ა) მასწავლებელი დაფაზე ხაზავს სანოტო სისტემას და ვიოლინოს გასაღებს. სანოტო სისტემის გარშემო ორ-ორჯერ წერს შეიდივე ნოტის სახელწოდებას. მოსწავლეებმა ნოტების სახელწოდებები უნდა დააკვირონ შესაბამის სივრცესთან სანოტო სისტემაზე.</p>	<p>ა) დაფა, მარკერი.</p> <p>ბ) ფორტიპიანო, სანოტო ჩანაწერი მასწავლებლის შერჩევით.</p>	<p>ეს სავარჯიშო მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს ტექსტური დავალები-სათვის.</p>
<p>2. ამოიცნობს და იყენებს ალტიერაციის ნიშნებს;</p>	<p>ა) მოსწავლეებმა უნდა დაწერონ გამა სოლ მაჟორი, აამბლლონ ამ გამის მეორე, მეოთხე საფეხურები, დაადაბლონ ამ გამის მეექვსე, მეორე საფეხურები, შემდეგ დაუკრან/აჩვენონ</p>	<p>ა) ფორტიპიანო, დაფა, მარკერი, სანოტო რვეულები, ფანქრები, საშლელები.</p>		

	<p>კლავიატურაზე, ბოლოს კი ნოტების დასახელებით ნაიკითხონ მასწავლებლის მიერ დაწერილი აღმავალი და დაღმავალი ქრომატიული სოლ მაჟორი.</p> <p>ბ) მასწავლებელი ქმნის რამდენიმე ნაცნობი სიმღერის მელიოდის სანოტო ჩანაწერს, რომლებშიც განზრახ წერს ისეთ ნოტებს, რომელთაც ალტერაცია ან გაბათილება ესაჭიროებათ. მოსწავლე ფორტეპიანოზე იღებს/უკრავს სანოტო ჩანაწერში დაფიქსირებულ ნოტებს, ხედება დაშვებულ შეცდომებს და ასწორებს.</p>	<p>ბ) ფორტეპიანო, სიმღერის სანოტო ჩანაწერი მასწავლებლის შერჩევით.</p>	<p>მოსწავლეებს წინასწარ აქვთ ნასწავლი, როგორ იწერება პუნქტირული რიტმი.</p>
<p>3. ჩანერს ტაშით ან კაკუნით გადმოცემულ რიტმულ ნახაზს;</p>	<p>მოსწავლეები მოისმენენ ტორეადორის კუპლეტებს ჟ. ბიშეს ოპერიდან “ კარმენი, ” განსაზღვრავენ მეტრს (ზომას), ტაშით გამოხატავენ რიტმულ სურათს და ჩანერენ სანოტო რეგულეში.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ჟ. ბიშე - ტორეადორის კუპლეტები ოპერიდან “ კარმენი”.</p>	<p>მოსწავლეებს წინასწარ აქვთ ნასწავლი, როგორ იწერება პუნქტირული რიტმი.</p>
<p>4. ნაწარმოების, მისი ფრაგმენტის გადაწერის დროს არ უშვებს შეცდომებს;</p>	<p>მოსწავლეები გადაწერენ ე. დი კაპუას სიმღერის “O Sole mio” მელიოდის, დაადგენენ ტონალობას, დაასახელებენ ჩანერულ ნოტებს, კაკუნით გამოხატავენ რიტმულ სურათს.</p>	<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: ე. დი კაპუა - “O Sole mio”.</p>	<p>ეს აქტივობა შეიძლება გამოვიყენოთ მუს. VI. 1. შედეგის გ. ინდიკატორზეც.</p>
<p>5. მცირე ფორმის საფორტეპიანო ნაწარმოების/ფრაგმენტის მოსმენისას</p>	<p>ა) მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ ფ. შოპენის ვალსის №7 cis-moll სანოტო მასალა, ინტერნეტის საშუალებით მოისმინონ ორი პიანისტის (შესაძლებელია, ერთი მათგანი იყოს მოსწავლე/სტუ-</p>	<p>ა) მოსასმენი აპარატურა, ფორტეპიანო, აუდიო და სანოტო მასალა: ფ. შოპენი - ვალსი №7 cis-moll.</p>	<p>ეს აქტივობა შეიძლება გამოვიყენოთ მესამე მიმართულების პირველ ორ შედეგზე, რასაც დაე-</p>

<p>1. მოიძიებს გაკვეთილისათვის საჭირო მუსიკალურ, ლიტერატურულ და ვიზუალურ მასალას;</p>	<p>ა) მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ და გაკვეთილზე მოიტანონ ინფორმაცია, აუდიო და ფოტომასალა ქართველ მუსიკოს-შემსრულებელთა (პიანისტების, მევიოლინების, დირიჟორების) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.</p> <p>ბ) მოსწავლეები უსმენენ ფრაგმენტებს ნ. გაბუნია - "იგავიდან", მასწავლებლის დავალებით შინ მოიძიებენ სულხან-საბა ორბელიანის იგავს „სოფლის მაშენებელი“ და მ. სარალიძის მულტიპლიკაციურ ფილმს „ტყის კვარტიტი“. შემდეგ გაკვეთილზე ჰყვებიან იგავს და უზიარებენ თანაკლასელებს მულტიფილმით მიღებულ შთაბეჭდილებებს.</p>	<p>ა) ინტერნეტი, მუსიკალური ენციკლოპედია, აუდიო და ფოტომასალა (მოსწავლეთა შერჩევით).</p> <p>ბ) მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ნ. გაბუნია - "იგავი" (ფრაგმენტები).</p>	
<p>2. ცალკეული ამოცანის გადასაჭრელად გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას;</p>	<p>მოსწავლეებს ევალუბათ, დაწერონ რეფერატი რომელიმე ქართველი ან უცხოელი კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.</p> <p>ამისათვის მათ უნდა გამოიყენონ მასწავლებლის მიერ მიცემული გეგმა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კონკრეტული ნაწარმოების დახასიათება; 2. ამა თუ იმ კომპოზიტორის ცხოვრების მიმოხილვა; 3. კომპოზიტორის შემოქმედების დახასიათება; 4. ეპოქის მიმოხილვა. მოსწავლეებმა ჩამოთვლილი საკითხები მათთვის სასურველი თანმიმდევრობით უნდა დაალაგონ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგნენ რეფერატზე მუშაობას. 		

თავი III. ღაწყაპითი სავუნუარის მუსიკის სტანდარტი

<p>3. გაკვეთილის, რეპეტიციის შემდეგ უფლის მუსიკალურ ინსტრუმენტებს, აუდიო-ვიდეო აპარატურას, ფირებს.</p>	<p>მოსამენი აპარატურის და აუდიო ჩანაწერების გაფრთხილების მიზნით, მოსწავლეებს შეუძლიათ განერონ და შესაბამის ადგილზე გამოაკრან აპარატურის მოხმარების წესები.</p>	<p>დაფა, მარკერი, დიდი ფორმატის ქაღალდი.</p>	
<p>მუს.VI.6. მოსწავლეს შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა.</p>			
<p>1. ანაწილებს ჯგუფში სამუშაოს, ფუნქცია-მოვალეობებს;</p>	<p>წლის საანგარიშო კონცერტის ორგანიზებისათვის მოსწავლეები განერენ შესასრულებელი სამუშაოს გეგმას და ყოველი მოსწავლის, მოსწავლეთა ჯგუფის ფუნქციებს; გააკრავნ თვალსაწინო ადგილას.</p>	<p>დაფა, მარკერი, დიდი ფორმატის ქაღალდი.</p>	
<p>2. ითვალისწინებს და იყენებს ჯგუფის წევრების შესაძლებლობებს;</p>	<p>ლონისძიების ჩასატარებლად გამოიყოფა მოსწავლეთა ჯგუფი, რომელსაც ევალება სწორად განსაზღვროს თანაკლასელთა შესაძლებლობები და შესაბამისად, სწორად გაანაწილოს ფუნქციები.</p>	<p>ლონისძიების ჩასატარებლად საჭირო სხვადასხვა დანიშნულების საგანი.</p>	
<p>3. ეხმარება სხვებს კონკრეტული ამო-</p>	<p>ლონისძიების ჩასატარებლად გამოიყოფა მოსწავლეთა ჯგუფი, რომელსაც ევალება,</p>	<p>ლონისძიების ჩასატარებლად საჭირო სხვადასხვა</p>	<p>ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მოსწავლეთა</p>

<p>ცანის შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში თავად ითხოვს დახმარებას;</p>	<p>საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საკითხებში დაეხმაროს თანაკლასელებს. მაგალითად, რეპეტიციის დროს ჩართოს აუდიო ჩანაწერი, განათება და ა. შ.</p>	<p>დანიშნულების საგანი.</p>	<p>ინტერესი და გამოცდილება ტექნიკასთან ურთიერთობისას.</p>
<p>4. კამათის დროს ისმენს და ითვალისწინებს ჯგუფის წევრის არგუმენტს;</p>	<p>იხ. მუს. VI.6. შედეგის 5.</p>	<p>იხ. მუს. VI.6 . შედეგის 5. ინდიკატორის აქტივობის რესურსები.</p>	
<p>5. აფასებს საკუთარ და სხვის მიერ გაწეულ სამუშაოს.</p>	<p>ლონისძიების ჩატარების შემდეგ, გაკვეთილი ემთხვევა მის განხილვას. მოსწავლეები აფასებენ, რა გამოვიდა კარგად, რა – ნაკლებად კარგად. პირველ რიგში, თითოეული მათგანი საუბრობს საკუთარ, შემდეგ სხვისი გამოხატვის შესახებ, განიხილვენ ხარვეზებს და გეგმავენ, როგორ უნდა მოქმედონ მომავალში ხარვეზების თავიდან ასაცილებლად. სურვილისამებრ, მოსწავლეებს შეუძლიათ დაწერონ და კლასს წაუკითხონ რეცენზიის ტიპის მცირე ტექსტი, რომელშიც აღწერენ და შეაფასებენ ლონისძიებას, კონკრეტულად გამოთქვამენ თავიანთ შენიშვნებსაც, იქნებთან კეთილგანწყობილი.</p>	<p>ფურცლები, კალმისტრები.</p>	<p>შესაძლოა, მოსწავლეებმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს (მათი სურვილისამებრ) სთხოვოს, შეითავსოს ჟურნალისტიკის როლი და დაწეროს რეცენზია კონკრეტის შესახებ. ამ შემთხვევაში, მოსწავლეებმა მოსწავლეს წინასწარ უნდა აუხსნას თუ როგორ იწერება რეცენზია.</p>

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერაქტიულობა

შედეგი / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რესურსები	რესურსები
<p>მუს.VI.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმების განხილვა და შეფასება.</p>	<p>მოსწავლეები ასრულებენ მათთვის უკვე კარგად ნაცნობ აქტივობას „გამოიცანი მუსიკა“. მასწავლებელი წინასწარ მოამზადებს კომპაქტ-დისკს, რომელიც შეიცავს რ. ლალიძის „სიმღერა თბილისზე“ - მისამღერის მონაკვეთს, ე. დი კაპუას - „O Sole mio“-ს შესავალს, კვარტეტს ჯ. ვერდის ოპერიდან „რიგოლეტო“ – დასაწყისს და ა. შ. მუსიკის მოსმენის შემდეგ მოსწავლეები ამოიცნობენ და რეკულში წერენ თითოეული ნომრის სახელწოდებას, ავტორის გვარს.</p>	<p>მოსამდენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: რ. ლალიძე – „სიმღერა თბილისზე“, ე. დი კაპუა - „O Sole mio, ჯ. ვერდი – კვარტეტი ოპერიდან „რიგოლეტო“ (მითითებული ფრაგმენტები).</p>	<p>სასურველია, თუ ეს მონაკვეთები ნაწარმოების სვადსხვა ადგილიდან იქნება აღებული და არა მხოლოდ დასაწყისიდან. აქტივობა წლის განმავლობაში რამდენჯერმე ხორციელდება და პედაგოგს შეუძლია ჩ-ის მომზადებისას, სვადსხვა ფრაგმენტი შეიტანოს, რაც აქტივობის რამდენჯერმე ჩატარებისთვის გამოადგება.</p>
<p>2. გადმოსცემს თავის შთაბე-</p>	<p>იხ. მუს.VI.6. შედეგის 5. ინდიკატორის აქტივობა.</p>		

<p>ჭდილებას სიტყვიერად, ნახატით, ჩანანერის სახით;</p>				
<p>3. ახასიათებს შემსრულებელთა შემადგენლობას;</p>	<p>მოსწავლეები ასახელებენ ნანარმოებს, რომელიც ყველეზე მეტად მოსწონთ, ახასიათებენ ამ ნანარმოების შესრულებისთვის საჭირო შემსრულებელთა რაოდენობასა და შემადგენლობას.</p>	<p>იხ. მუს. VI. 11. შედეგის 3. ინდიკატორის აქტივობა. მასწავლებლის მიერ შერჩეულ ნანარმოებში მოსწავლეები აღგენენ ფორმას.</p>	<p>ა) მოსწავლეები უსმენენ ორ ფრაგმენტს ყ. ბიზეს ოპერიდან „კარმენი“. ესენია: ტორეადორის კუბლები და ბიჭუნათა გუნდი. აღარებენ მათ ინდიკატორის პარამეტრების შესაბამისად. ბ) იგივე აქტივობა ხორციელდება “ნინწყაროსა” და იმერული “ნადურის” მეშვეობით.</p>	<p>მოსწავლეები მოსამენინებ მოსწავლეებს ვ. აზარაშვილი - “ნოქტიურნს” კამერული ორკესტრისათვის და იგივე ნანარმოებს ორი ვიოლინოსა და ფორტეპიანოს შესრულებით. მოსწავლეები ახასიათებენ თითოეულ მათგანს (ტემბი, ნიუანსები, განვითარება, ტემბრების</p>
<p>4. ამოიცნობს მოსმენისას ნაცნობ მუსიკალურ ფორმებს;</p>		<p>ფორტეპიანო, სანოტო მასალა: პროგრამით გათვალისწინებული ნანარმოებები (მასწავლებლის შეჩევით).</p>	<p>მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანანერი: ყ. ბიზე – ბიჭუნათა გუნდი და ტორეადორის კუბლები ოპერიდან „კარმენი“, ნინწყარო“, იმერული “ნადური”.</p>	<p>მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანანერი: ვ. აზარაშვილი - “ნოქტიურნი” (ვერსიები: 1. ორი ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის);</p>
<p>5. ახასიათებს კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს მეტრის, საკრავთა, ხმის ტემბრების, კილოს მიხრილობის მიხედვით;</p>				
<p>6. მსჯელობს მუსიკალური ნანარმოების შესრულებაზე;</p>				

	<p>მონაცვლეობა განვითარების ეტაპებზე, მაგალითად, დასაწყის, კულმინაციურ და ფინალურ მონაკვეთებში, დინამიკა და ა. შ.).</p>	<p>2. კამერული ორკესტრი-სათვის).</p>	
<p>7. იყენებს ნაცნობ მუსიკალურ მასალას ღონისძიებების გაფორმებისას.</p>	<p>მოსწავლეები გეგმავენ თემატურ ღონისძიებას. იხსენებენ შესწავლილ, მოსმენილ მუსიკალურ ნაწარმოებებს და არჩევენ მათ ღონისძიების თემის შესაბამისად.</p>		
<p>მუს. VI.8. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p>			
<p>1. მონაწილეობს კლასის სუბექტაკულში, კარნავალში, მეჯლისში;</p>	<p>მოსწავლეები კლასის კარნავალზე განასახიერებენ საოპერო პერსონაჟებს შესაბამისი მუსიკალური მასალის ფონზე. მაგალითად, ფიგაროს - ჯ. როსინის ოპერიდან “სევილიელი დალაქი” (ფიგაროს კავატიანა), მაკარს - ვ. დოლიძის ოპერიდან “ქეთო და კოტე” (მაკარის არია - “ფულეები”), სიკოს და საქოს ამხვე ოპერიდან (სიკოს და საქოს კუბლეთები), ბაბალეს - ვ. დოლიძის ოპერიდან “ქეთო და კოტე” (კვარტეტი - “აბა, ჩემო ბაბალე”), პაპაგენოს და პაპაგენას - ვ. მოცარტის</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ჯ. როსინი – ფიგაროს კავატიანა ოპერიდან “სევილიელი დალაქი”, ვ. დოლიძე – მაკარის არია “ფულეები”, სიკოსა და საქოს კუბლეთები, კვარტეტი- “აბა, ჩემო ბაბალე”, ოპერიდან “ქეთო და კოტე”, ვ. მოცარტი –</p>	

	ოპერიდან “ჯადოსნური ფლეიტა” (პაპაგენოსა და პაპაგენას დუეტი).	პაპაგენოსა და პაპაგენას დუეტი ოპერიდან “ჯადოსნური ფლეიტა”. პერსონაჟთა განსახიერებლად საჭირო სხვადასხვა დანიშნულებების ნივთი.		
2. მონაწილეობს და ესწრება სკოლის საანგარიშო კონცერტს;	იხ. მუს. V.8. შედეგის 2. ინდიკატორის აქტივობის რესურსები.	იხ. მუს. V.8. შედეგის 2. ინდიკატორის აქტივობა.		
3. ესწრება შეხვედრა-სადამოებს: კომპოზიტორთან, შემსრულებელთან;	იხ. მუს. V.8. შედეგის 3. ინდიკატორის აქტივობა.	იხ. მუს. V.8. შედეგის 3. ინდიკატორის აქტივობის რესურსები.		
4. თანაკლასე-ლებთან ერთად ესწრება საჯარო კონცერტს, სპექტაკლს;	მოსწავლე საჯარო კონცერტზე ან სპექტაკლზე დასწრების შემდეგ წერს რეცენზიას - მოიძიებს საჭირო მასალას შემსრულებლის (დასის) შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ, ასახავს საკუთარ შთაბეჭდილებებს, აზრებს.	რეცენზიის დასაწერად საჭირო რეკვიზიტი.	მოსწავლე, საჯარო კონცერტზე, სპექტაკლზე დასწრებისას, იქცევა კლასში შემუშავებული ქცევის საერთო წესების თანახმად.	
5. დადის ექსკურსიებზე ხელოვნთა სახლ-მუზეუმში;	იხ. მუს. V.8. შედეგის 4. ინდიკატორის აქტივობა.	იხ. მუს. V.8. შედეგის 4. ინდიკატორის აქტივობის რესურსები.		
6. მონაწილეობს და ადგენს კითხვარს	მოსწავლეები ადგენენ კითხვარს ვიქტორინის ჩასატარებლად. კითხვები მრავალფეროვანია და			

თავი III. ღაწყუპიოთი სუფუხურის მუსიკის სტანდარტი

<p>ვიკტორინისთვის;</p>	<p>მოსწავლეთა პრაქტიკულ, შემოქმედებით უნარებს ამოწმებს. მაგალითად, სიმღერის, ცეკვის, განწყობილების გადმოცემის, სცენის გათამაშების, პერსონაჟის განსახიერების და ა. შ.</p>		
<p>7. ნარდგება აუდიტორიის წინაშე შემოქმედის, კონსერტი, სიმღერის, სცენის, სპექტაკლის, ან კონფერანსიის როლში;</p>	<p>7. ნარდგება აუდიტორიის წინაშე მოსწავლეები გემგავენ საკუთარი კლასის საავტორო კონცერტის ჩატარებას. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ის მოსწავლეები, ვინც გამოთქვამენ სურვილს აუდიტორიის წინაშე წარადგინონ საკუთარი შემოქმედება: საავტორო სიმღერა, ლექსი, კომპოზიცია, ნახატი და ა.შ. შემსრულებლის, შემოქმედის ან კონფერანსიის როლში;</p>	<p>კონცერტის ჩასატარებლად საჭირო სხვადასხვა ნივთი.</p>	
<p>8. ეგზამპლები ცროსკლასელებს ზეიმის მუსიკალურ გაფორმებაში.</p>	<p>მოსწავლეები ეგზამპლებიან უმცროსკლასელებს საახალწლო ზეიმის ორგანიზებაში, იყენებენ საკუთარ გამოცდილებას ამ სფეროში: შეასწავლიან სიმღერებს, ლექსებს, აგვარებენ ორგანიზაციულ საკითხებს და ა.შ.</p>		
<p>მუს. VI.9. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა/ხელოვნება კომუნიკაციის საშუალებაა).</p>			

<p>1. აცნობერებს, რომ მუსიკა მას ეხმარება ადამიანებთან ურთიერთობაში;</p>	<p>2. აცნობერებს, რომ მუსიკის ერთობლივი მოსმენა ადამიანებში მსგავს განცდებს ბადებს;</p>	<p>3. იხსენებს მუსიკალურ და ხელოვნების სხვა დარგის ნაწარმოებებს, რომლებშიც მსგავსი იდებია გამოხატული;</p>	<p>4. საუბრობს იმაზე, რომ მუსიკა გამოიყენება კინოში, თეატრში, საინფორმაციო საშუალებებში;</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ პაპაგენოსა და პაპაგენას დუეტს ვ. ა. მოცარტის ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა და სათითაოდ ახასიათებენ ნაწარმოებს. მასწავლებელი ყურადღებას უმახვილებს იმ ფაქტზე, რომ ამ მუსიკამ თითოეულ მათგანში მსგავსი შეგრძნება გამოიწვია.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ვ. ა. მოცარტი – პაპაგენოსა და პაპაგენას დუეტი ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“.</p>		<p>ა) მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს უხმო ფრაგმენტს ნ. ჯანელიძის ფილმიდან „იავნანა“, როცა გაზრდილი ქეთო დედას სიმღერით იცნობს და ეკითხება, მიხვდნენ თუ არა, რა მოხდა? ხოლო შემდეგ – აჩვენებს იმავე მონაკვეთის გახმოვანებულ ვარიანტს. მოსწავლეები მსჯელობენ მუსიკის როლის მნიშვნელობაზე სინთეზური ხელოვნების სხვა დარგებში.</p>	<p>ვიდეო აპარატურა, ვიდეო მასალა: ფრაგმენტები ნ. ჯანელიძის ფილმიდან „იავნანა“, დისნეის ფანტაზია ვივალდის „წელიწადის დრონის“ მიხედვით.</p>		

<p>5. საუბრობს იმაზე, რომ წინა ეპოქაში შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები/ხელოვნების ნიმუში მისთვის დღესაც გასაგებია.</p>	<p>ბ) იმავე აქტივობას ახორციელებს უ. დისნეის ფანტაზიით ვივალდის „წელიწადის დრონის“ მიხედვით. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ჯერ მუსიკა მოვასმენინოთ.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ი.ს. ბახი – პრელუდია და ფუგა №1 C-dur, პრელუდია, ბახ-გუნო – Ave Maria.</p>	<p>ეს აქტივობა სრულდება იმ შემთხვევაში, თუ მისწავლებლები არ იცნობენ ამ ნაწარმოებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია სხვა ნაწარმოები მოასმენინოს მათ.</p>
<p>მოსწავლეები უსმენენ ბახ-გუნოს Ave Maria-ს. მასწავლებელი ურიგებს მათ ფურცელზე დანერგულ სხვადასხვა შინაარსის 3 ტექსტს, მათ შორის ერთ-ერთი შესაბამისი ლოცვაა - "ღვთისმშობელს ქალწულს", სხვები კი კონტრასტული შინაარსის მოთხრობისა და ლექსის ფრაგმენტები. მასწავლებელი სთხოვს მათ, შეუსაბამონ მუსიკას ერთ-ერთი ტექსტი. პასუხის შემდეგ მასწავლებელი უხსნის მათ, რომ აკომპანენტი ნარმოადგებს ბახის პრელუდიას – დამოუკიდებელ ნაწარმოებს (შეუძლია მოასმენინოს კიდევ) და შეიქმნა 1722 წელს, ეს ნაწარმოები კი 1859 წელს. მას შემდეგ არაერთ სპექტაკლში თუ კინოფილმში გამოიყენეს (არსებობს სხვადასხვაგვარი შესრულება), დღეს მათაც ამოცნეს მისი შინაარსი. ე. ი., ეს ნაწარმოები გასაგებია შექმნიდან სამას წელზე მეტი ხნის შემდეგაც.</p>			

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერაქტიუმი

შედეგი / ინდიკატორი	ტიპური აქტივობები	რეაქსები	რეაქსები
მუს.VI.10. მოსწავლეს იცნობს ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნიმუშებსა და წარმოადგენლებს.			
1. სხვადასხვა ხერხით გადმოსცემს ცნობილი მუსიკალური ნაწარმოების თემას, რიტმულ სურათს და ამოიცნობს მას მოსმენისას;	ერთ-ერთი მოსწავლე ყურსასმენებით უსმენს ი. გურგულიას „საქანელას“ და მოსმენის შემდეგ მელოდიისა და სიტყვების გარეშე, რიტმული სურათის დაკაკუნებით, მიმიკით, ჟესტებით, პანტომიმით ცდილობს მიხვედროს სხვა მოსწავლეები, თუ რა სიმღერას მოუსმინა. ეინც პირველი გამოიცნობს, უკვე ის შეუდგება ახალი სიმღერის მოსმენას და თანაკლასელებისთვის მის განმარტებას.	მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ი. გურგულია – „საქანელა“.	
2. საუბრობს კომპოზიტორების შემოქმედების შესახებ;	გასულ წლებში მუსიკის გაკვეთილზე შესწავლილი და მოსმენილი მუსიკალური მასალის საფუძველზე მოსწავლე ასახელებს მისთვის ყველაზე საყვარელ კომპოზიტორს, მასწავლებლის მიერ მითითებულ ლიტერატურაში მოიძიებს ინფორ-	მასწავლებლის მიერ დასახელებული ლიტერატურა ამა თუ იმ კომპოზიტორის შემოქმედების შესახებ.	

		<p>მაცياس და საუბრობს მისი შემოქმედების, ასევე ცნობილი ნაწარმოებების შესახებ. მისთვის ნაც-ნობი ტერმინოლოგიის გამოყენებით ცდილობს, ელემენტარულად დაახასიათოს კომპოზიტორის სტილი.</p>	
<p>ამ აქტივობის შესასრულე-ბლად მოსწავლეები წინას-წარ უნდა ფლობდნენ ამ ინფორმაციას.</p>	<p>მოსასმენი აპარატურა, აუ-დიო ჩანაწერი: ე. დი კაპუა - “სოლე მისი” ლ. პავაროტის შესრულებით, მოცარტი - „ღამის დედოფლის არია“ ოპერიდან “ჯადოსნური ფლეიტა” დიანა დამრაუს შესრულებით.</p>	<p>მოსწავლეები ამოიცნობენ ე. დი კაპუა - “O Sole mio”-ს ლ. პავაროტის შესრულებით და „ღამის დედოფლის არიას“ მოცარტის ოპერიდან “ჯადოსნური ფლეიტა”, ასახელებენ თითოეული მათგანის ავტორს, ნაწარმოების სახელწოდებას, შემსრულებლის სახელს, ხმის ტემბრს. თანხლებ-ის შემადგენლობას.</p>	<p>3. უსმენს და ამოიცნობს ცნობილ მუსიკოს-შემსრულებელს სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (ხმის ტემბრით, რეპერტუარის მიხედვით...);</p>
<p>ამ კონკრეტული შემთხვე-ვისათვის მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს მ. ტიბულდი კეზას მონო-გრაფია „პაგანინი“ - თბ): ხელოვნება, 1986.</p>	<p>ბ) დაფა, მარკერი.</p>	<p>ა) მასწავლებელი უამბობს მოსწავლეებს ეპიზოდს ცნობილი მევიოლინე - ნიკოლო პა-განინის ცხოვრებიდან (ვიოლინოს სიმების დაწყების ამბავს), ავალებს მოსწავლეებს, დამოუკიდებლად ან მშობლის დახმარებით მოძიოს ინფორმაცია პაგანინის ბავშვობისა და მისი ცხოვრების სხვა ეპიზოდის შესახებ, დაწ-ერონ, ან ბეპირად წარუდგინონ ეს ინფორმაცია თანაკლასელებს;</p> <p>ბ) მასწავლებელი ატარებს მოზაიკური ტიპის გაკვეთილს: კლასი იყოფა რამდენიმე გუნდად და თითოეული გუნდი შეაჯერებს იმ ინფორ-</p>	<p>4. მოძიებს და-მატებით ინფორ-მაციას მისთვის საინტერესო ნაწარმოების, კომპოზიტორის, შემსრულებლის შესახებ.</p>

	<p>მაციას, რომელიც ამ აქტივობისას მოიპოვეს. დაფა იყოფა იმდენ ნაწილად, რამდენ გუნდადაც კლასი გაყო. გუნდები სათითაოდ გამოდიან და თითო-თითო წინადადებად წერენ მათ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას მის ამონაწერში. მაგალითად, გუნდი 1. პაგანინი დაიბადა გენუაში; გუნდი 2. მისი მამა ღარიბი მუსიკოსი იყო; გუნდი 3. მამა ნიკოლოს აიძულებდა, ბევრი ემეცადინა ვიოლინოზე; გუნდი 1. ის ადრეული ბავშვობიდან წარმატებით გამოდიოდა კონცერტებზე... და ა. შ. თუ გუნდების ზოგიერთი ფრაზა ერთმანეთს დაემთხვევა, გაკვეთილის ბოლოს მათ გადახაზავენ, მიღებულ ტექსტს კი გადაიწერენ რეგულში და შემდეგი გაკვეთილისათვის ისწავლიან.</p>		
--	--	--	--

<p>მუს. VI.1.1. მოსწავლეს შეუძლია შეადაროს ერთმანეთს მუსიკალური ნაწარმოებები.</p>	<p>ა) მოსწავლეები უსმენენ ფ. შოპენის ორ მარსელს - თხზ. 33 №1 და თხზ. 33 №2, პირობითად არქმევენ პირველ და მეორე მარსელს და რეგულში ქმნიან ცხრილს, ნერენ მსგავს და</p>	<p>მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ფ. შოპენი – მარსელები: თხზ. 33 №1 და თხზ. 33 №2, “შინა</p>	
--	--	---	--

	<p>განსვავებულ ნიშნებს სვვადასვვა ფერის ფანქრებით.</p> <table border="1" data-bbox="289 890 676 1493"> <thead> <tr> <th data-bbox="289 1300 406 1493">შოპენი</th> <th data-bbox="289 1093 406 1300">პირველი მავურეკი თხზ. 33 №1</th> <th data-bbox="289 890 406 1093">მეორე მავურეკი თხზ. 33 #2</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="406 1300 450 1493">ზომა</td> <td data-bbox="406 1093 450 1300"></td> <td data-bbox="406 890 450 1093"></td> </tr> <tr> <td data-bbox="450 1300 532 1493">შემსრულებელი/საკრავი</td> <td data-bbox="450 1093 532 1300"></td> <td data-bbox="450 890 532 1093"></td> </tr> <tr> <td data-bbox="532 1300 576 1493">ხასიათი</td> <td data-bbox="532 1093 576 1300"></td> <td data-bbox="532 890 576 1093"></td> </tr> <tr> <td data-bbox="576 1300 620 1493">განყობილება</td> <td data-bbox="576 1093 620 1300"></td> <td data-bbox="576 890 620 1093"></td> </tr> <tr> <td data-bbox="620 1300 676 1493">ტემპი და ა. შ.</td> <td data-bbox="620 1093 676 1300"></td> <td data-bbox="620 890 676 1093"></td> </tr> </tbody> </table> <p data-bbox="717 890 897 1493">ბ) იგივე აკეთებენ “შინა ვორგილისა” და “ლილეს”, აგრეთვე რაჭული “ალილოსა”, და საგალობელ “ქრისტე აღსდგას” შედარებისასაც. ამ შემთხვევაში ცხრილს ემატება გრაფები „კუთხე“ და „ჟანრი“.</p>	შოპენი	პირველი მავურეკი თხზ. 33 №1	მეორე მავურეკი თხზ. 33 #2	ზომა			შემსრულებელი/საკრავი			ხასიათი			განყობილება			ტემპი და ა. შ.			<p>ვორგილ”, “ლილე”, რაჭული “ალილო”, “ქრისტე აღსდგას”; რვეულები, ფერადი ფანქრები.</p>	
შოპენი	პირველი მავურეკი თხზ. 33 №1	მეორე მავურეკი თხზ. 33 #2																			
ზომა																					
შემსრულებელი/საკრავი																					
ხასიათი																					
განყობილება																					
ტემპი და ა. შ.																					
<p>2. ადარებს ერთი და იმავე ჟანრის სვვადასვვა ნაწარმოებს და საუბრობს მათ დამახასიათებელ ნიშნებზე (სავარაუდოდ შემადგენლობა, სოლო საკრავი);</p>	<p>მოსწავლეები უსმენენ ლ. ბეთოვენის მეხუთე და პ. ბერლიოზის “ფანტასტიკური” სიმფონიის პირველ ნაწილებს. საუბრობენ მათ მსგავს (ჟანრი, სიმფონიური ორკესტრი და ა. შ.) და განსხვავებულ თავისებურებებზე (განსხვავებული - ნამკვანი ტემპები, შესავლის ქონა-არქონა, ტემპი, მთავარი თემების თავისებურებები და ა. შ.).</p>	<p>მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ლ. ვ. ბეთოვენი – სიმფონია №5 c-moll, პირველი ნაწილი პ. ბერლიოზი – “ფანტასტიკური” სიმფონია, პირველი ნაწილი.</p>																			

<p>3. ახასიათებს ნაც-ნობ მუსიკალურ ფორმებს;</p>	<p>მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ცხრილში მოცემული ფორმების გასწვრივ 2-3 წინადადებით ჩაწერონ ამ</p> <table border="1" data-bbox="257 890 828 1489"> <tr> <td data-bbox="257 1290 341 1489">ვარიაცია</td> <td data-bbox="257 890 341 1290">ერთი თემის რამდენიმე სახე-ცვლილი გამეორება.</td> </tr> <tr> <td data-bbox="341 1290 577 1489">რონდო</td> <td data-bbox="341 890 577 1290">რეფრენისა და ეპიზოდებისა-გან შედგენილი ნაწარმოები, რომელშიც განსხვავებულ ეპიზოდებს შორის მოქცეული რეფრენი უცვლელად მეორდება.</td> </tr> <tr> <td data-bbox="577 1290 701 1489">კუპლეტური ფორმა</td> <td data-bbox="577 890 701 1290">განსხვავებული სალექსო ტექსტები ერთსა და იმავე მუსიკაზე.</td> </tr> <tr> <td data-bbox="701 1290 828 1489">მარტივი სამნაწილიანი ფორმა</td> <td data-bbox="701 890 828 1290">ნაწარმოები განსხვავებული ხასიათის შუა ნაწილით და მსგავსი კოდურა ნაწილებით.</td> </tr> </table> <p>ფორმებისთვის დამახასიათებელი ნიშნები.</p>	ვარიაცია	ერთი თემის რამდენიმე სახე-ცვლილი გამეორება.	რონდო	რეფრენისა და ეპიზოდებისა-გან შედგენილი ნაწარმოები, რომელშიც განსხვავებულ ეპიზოდებს შორის მოქცეული რეფრენი უცვლელად მეორდება.	კუპლეტური ფორმა	განსხვავებული სალექსო ტექსტები ერთსა და იმავე მუსიკაზე.	მარტივი სამნაწილიანი ფორმა	ნაწარმოები განსხვავებული ხასიათის შუა ნაწილით და მსგავსი კოდურა ნაწილებით.		
ვარიაცია	ერთი თემის რამდენიმე სახე-ცვლილი გამეორება.										
რონდო	რეფრენისა და ეპიზოდებისა-გან შედგენილი ნაწარმოები, რომელშიც განსხვავებულ ეპიზოდებს შორის მოქცეული რეფრენი უცვლელად მეორდება.										
კუპლეტური ფორმა	განსხვავებული სალექსო ტექსტები ერთსა და იმავე მუსიკაზე.										
მარტივი სამნაწილიანი ფორმა	ნაწარმოები განსხვავებული ხასიათის შუა ნაწილით და მსგავსი კოდურა ნაწილებით.										
<p>4. განასხვავებს ხალხური მუსიკის პოპულარულ ნიმუშებს საქართველოს კუთხების მიხედვით;</p>	<p>იხ. მუს. VI.11. შედეგის 1. ინდიკატორის ბ) აქტივობა.</p>	<p>იხ. მუს. VI.11. შედეგის 1. ინდიკატორის ბ) აქტივობის რეკურსები.</p>									

<p>5. საუბრობს იმის შესახებ, რატომ მოეწონა ესა თუ ის ნაწარმოები.</p>															
<p>მუს.VI.12. მოსწავლე იცნობს სხვადასხვა ტიპის ანსამბლისა და ორკესტრის შემაღვენლობას.</p>	<p>ა) მოსწავლეები მოისმენენ სამ ნაწარმოებს: ი. ს. ბახის ტოკატას და ფუგას ორგანოსათვის, რე მიწორი, ჟ. ფ. რამოს პიესას კლავესინისათვის “ქათამი”, ფ. შოპენის მარჩურეკს, თხზ. 33 2, რე მაწორი. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ საკრავი, შემდეგ მასწავლებლის მიერ დაფაზე დანერტილ კომპოზიტორის გვარს და მის ნაწარმოებს ჩაწერენ შესაბამის გრაფაში.</p> <table border="1" data-bbox="1039 879 1214 1497"> <thead> <tr> <th>კომპოზიტორი</th> <th>ნაწარმოები</th> <th>საკრავი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td> </td> <td> </td> <td> </td> </tr> <tr> <td> </td> <td> </td> <td> </td> </tr> <tr> <td> </td> <td> </td> <td> </td> </tr> </tbody> </table>	კომპოზიტორი	ნაწარმოები	საკრავი											
კომპოზიტორი	ნაწარმოები	საკრავი													
<p>1. ასხვავებს და აჯგუფებს საკრავებს ბგერის მიღების წესის, მასალის მიხედვით;</p>		<p>მოსამენი აპარატურა, აუდიო ჩანაწერი: ი. ს. ბახი – ტოკატა და ფუგა ორგანოსათვის, d-moll, ჟ. ფ. რამო – “ქათამი”, ფ. შოპენი – მარჩურეკი, თხზ. 33 №2 D-dur.</p>													

	<table border="1"> <thead> <tr> <th>ხემიან-სიმი-ბიანი</th> <th>ხის ჩასაბერი</th> <th>დასარტყამი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>არფა</td> <td>ჰობოი</td> <td>თეფშები</td> </tr> <tr> <td>ვიოლინო</td> <td>ვალტორნა</td> <td>ლიტავრები</td> </tr> <tr> <td>კონტრაბასი</td> <td>ფაგოტი</td> <td>დაფდაფი</td> </tr> <tr> <td>გიტარა</td> <td>ტუბა</td> <td>დიდი დოლი</td> </tr> <tr> <td>კლავესინი</td> <td>როიალი</td> <td>ორგანი</td> </tr> </tbody> </table> <p>მოსწავლეები ასწორებენ ცხრილში დაშვებულ შეცდომებს.</p>	ხემიან-სიმი-ბიანი	ხის ჩასაბერი	დასარტყამი	არფა	ჰობოი	თეფშები	ვიოლინო	ვალტორნა	ლიტავრები	კონტრაბასი	ფაგოტი	დაფდაფი	გიტარა	ტუბა	დიდი დოლი	კლავესინი	როიალი	ორგანი	
ხემიან-სიმი-ბიანი	ხის ჩასაბერი	დასარტყამი																		
არფა	ჰობოი	თეფშები																		
ვიოლინო	ვალტორნა	ლიტავრები																		
კონტრაბასი	ფაგოტი	დაფდაფი																		
გიტარა	ტუბა	დიდი დოლი																		
კლავესინი	როიალი	ორგანი																		
	<p>მუსიკოს-შემსრულებელთა ფოტოსურათების დათვალიერების შემდეგ, მოსწავლეებმა კონტურით უნდა გამოსახონ მევიოლინეს, ფლეიტის-ტის, დირიჟორის და ა. შ. სილუეტი.</p>	<p>ფოტოსურათები: მევიოლინე, ფლეიტისტი, დირიჟორი, არფისტი.</p>																		
<p>2. ხატავს ან ძერნავს საკრავებს, ორკესტრს, შემსრულებლებს;</p> <p>3. განასხვავებს სიმფონიური, საკამერული, სასულე, სიმებიანი ორკესტრის შემადგენლობას;</p>	<p>ა) მოსწავლეები გაიხსენებენ ნასწავლი საკრავების სახელწოდებას და შეავსებენ მოცემულ ცხრილს.</p> <table border="1"> <thead> <tr> <th>სიმებიან-ხემიანი</th> <th>ხის ჩასაბერი</th> <th>ლითონის ჩასაბერი</th> <th>დასარტყამი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table>	სიმებიან-ხემიანი	ხის ჩასაბერი	ლითონის ჩასაბერი	დასარტყამი					<p>ა) დაფა, მარკერი, რვეული-ბი, კალმისტრები.</p>	<p>შემდეგ აქტივობად, მოსწავლეებმა შეიძლება თვითონ შეადგინონ მსგავსი ცხრილი კამერული და სასულე ორკესტრებისათვის და ჩაწერონ ამ ორკესტრებში შემავალი საკრავები.</p>									
სიმებიან-ხემიანი	ხის ჩასაბერი	ლითონის ჩასაბერი	დასარტყამი																	

<p>4. განიხილავს ანსამბლის სხვადასხვა შემადგენლობას.</p>	<p>ბ) მოსწავლეები უსმენენ ვ. აზარაშვილის “ნოქტიურს” კამერული ორკესტრისათვის და მიხუთე ნაწილს ჰ. ბერლიოზის ” ფანტასტიკური სიმფონიიდან” და პასუხობენ შეკითხვაზე, თუ როგორი საორკესტრო ხმოვანებაა (სიმფონიური, კამერული, სასულიე) თითოეულ ნაწარმოებში? ასაბუთებენ თავიანთ პასუხებს.</p>	<p>ბ) მოსასმენი აზარატურა, აუდიო ჩანაწერი: ჰ. ბერლიოზი – ” ფანტასტიკური” სიმფონია, მიხუთე ნაწილი „კუდიანების შაბამი“, ვ. აზარაშვილი - “ნოქტიურნი”.</p>	
	<p>მოსწავლეები მოსმენენ ნ. გაბუნიას “იგაცს” ინსტრუმენტული ანსამბლისა და სოლისტები-სათვის და საუბრობენ ამ ნაწარმოებზე - ინსტრუმენტული ანსამბლის შემადგენლობაზე, საკრავთა რაოდენობაზე, ტემპზე, ნაწარმოების ხასიათზე.</p>	<p>მოსასმენი აზარატურა, აუდიო ჩანაწერი: ნ. გაბუნია – “იგავი”.</p>	

თაპი IV საბნის სწავლება

პირველი კლასი

ბგერები ჩვენს ირგვლივ

მიზანი:

მუსიკის მოსმენის, სიმღერის, ანალიზის, საკუთარი აზრის გამოხატვის (სიტყვით, იმიტირებით) უნარ-ჩვევები.

რესურსები:

მოსასმენი აპარატურა;

გარემოში არსებული ხმების და საკრავთა ტემბრის აუდიო ჩანაწერი;

ფორტეპიანო;

სანოტო მასალა: სიმღერა - „ჭრელი პეპელა,” ლ. იაშვილი - სიმღერა „კრიჭი-კრიჭი”, მ. დავითაშვილი - სიმღერა „პატარა გუგული,” პ. ჩაიკოვსკი - პიესა „ხის ჯარისკაცების მარში”;

სხვადასხვა ფერის ბარათები;

სახატავი რვეულები, ფერადი ფანქრები.

შედეგები:

მუს. I.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში;

მუს. I.2. მოსწავლე მღერის მარტო და სხვებთან ერთად;

მუს. I.3. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამოხატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული

განწყობილების გადმოსაცემად;

მუს. I.4. მუსიკით გამონვეულ ემოციას გადმოგვცემს ნახატში;

მუს. I.5. მოსწავლე იყენებს ნასწავლ მუსიკალურ ტერმინებს;

მუს. I.6. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობა სხვადასხვა სახის ღონისძიებაში;

მუს. I.8. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება;

მუს. I.9. მოსწავლე იცნობს ნასწავლ მუსიკალურ საკრავებს;

მუს. I.10. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს გარემოში მოსმენილი ხმები.

აქტივობების ჩამონათვალი:

მუსიკალური და არამუსიკალური ბგერების გახმოვანება;

„ზღაპარი მუსიკოს დათვზე“;

მუსიკალური და არამუსიკალური ბგერების ამოცნობა (მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენის დროს);

აქტივობა - „ნახატის გახმოვანება“;

მელოდიის მიმართულების გამოცნობა (სახიერი კავშირით);

თამაში - „მუსიკალური ბარათები“.

აქტივობა - განწყობილება და სხვადასხვა ხასიათის სიმღერები;

აქტივობა - „ადამიანის ხმა თუ საკრავი?“;

აქტივობა - ფორტეპიანოს ხმოვანებით შექმნილი სურათები;

სხეულის მოძრაობით ემოციის გადმოცემა (პ. ჩაიკოვსკის მუსიკის მოსმენის შემდეგ);

მუსიკის მოსმენით გამოწვეული შთაბეჭდილების ასახვა ნახატში.

მასწავლებელი კლასს დაყოფს ორ ჯგუფად - პირველ ჯგუფს ევალება, გაახმოვანოს გარემოში არსებული ხმები - ფოთლების შრიალი, ფუტკრის ზუზუნის, ხახუნის ხმა. რესურსებად შეიძლება გამოვიყენოთ რვეულის ფურცლები, ხახუნის გამომწვევი სხვადასხვა საგანი. მოსწავლეები აშრიალებენ ფურცლებს, ერთმანეთს უხახუნებენ საგნებს, მოკუმული პირით გამოხატავენ ფუტკრის ზუზუნს. მეორე ჯგუფს ევალება, ფორტეპიანოს დახმარებით გამოხატოს დათუნების ბაჯბაჯი, ჩიტების ქიკჭიკი. ამისათვის, მოსწავლეები იყენებენ სხვადასხვა რეგისტრის ხმოვანებას (**მუს. I.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში**), (**მუს. I.6. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობა სხვადასხვა სახის ღონისძიებაში (ინდიკატორი: მონაწილეობს თამაშებში, კლასის ზეიმში, თემატურ ღონისძიებებში)**).

ბუნებაში არსებული ხმების შესახებ მასწავლებელი ზღაპარს უამბობს მოსწავლეებს: ერთი მევიოლინე, რომელსაც ნადირობა უყვარდა და ოცნებობდა, დათვზე ენადირა, შეხვდა მეზობელს.

- ტყეში დათვი ვნახე, - უთხრა მან.

მონადირემ აიღო თოფი და ტყისაკენ გაემართა. დიდხანს იარა, დაიღალა და იქვე ჩამოჯდა. უეცრად ესმის: „ძნ, ძნ“.

მონადირეს გაუკვირდა, - ვინ უკრავს ტყეში?

- გაიფიქრა მან. ხედავს - ხის ქვეშ დათვი დამჯდარა, ხის ნაფოტს ეთამაშება, გამოკრავს თათს და ნაფოტი ხმას გამოსცემს: „ძნ, ძნ“, დათვიც ყურადღებით უსმენს.

სახლში დაბრუნებულ მევიოლინეს მეზობელმა ჰკითხა:

- რა ქენი, მოკალი დათვი?

- არა.

- რატომ?

- როგორ მოვკლავდი, როცა დათვიც ისეთივე მუსიკოსი ყოფილა, როგორც მე ვარ. რას უსმენდა დათვი?

რას გამოსცემდა ხის ნაფოტი?

ბავშვები, სავარაუდოდ, პასუხობენ: ხმებს, ბგერებს.

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს ბუნებაში, გარემოში წარმოქმნილი ხმების შესახებ: ერთად ჩამოთვლიან გარემოში არსებულ ხმებს - ჩიტების ქიკჭიკსა და გალობას, ზარის წკრიალს, მანქანის მუხრუჭისა და საყვირის, ქექა-ქუხილის, ქარის ზუზუნის, კაკუნის, ფოთლების შრიალის ხმას და ა. შ.

მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს გარემოში არსებულ ხმებს (ჩიტების ქიკჭიკს, ზღვის ტალღების ხმას, ქარის ზუზუნს...) და საკრავის მიერ გამოცემულ ბგერებს - ფორტეპიანოს უღერადობას, ვიოლინოს ხმას...) (**მუს. I.9. მოსწავლე იცნობს ნასწავლ მუსიკალურ საკრავებს (ინდიკატორი: ასხვავებს საკრავების უღერადობას)**).

მოსწავლეები თავად ამოიცნობენ მუსიკალურ და არამუსიკალურ ბგერებს და იმახსოვრებენ ამ ტერმინებს (**მუს. I.10. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს გარემოში მოსმენილი ხმები (ინდიკატორი: არკვევს ხმის წარმოქმნის წყაროს)**; **მუს. I.5. მოსწავლე იყენებს ნასწავლ მუსიკალურ ტერმინებს**).

გაკვეთილის მომდევნო აქტივობა ხატვას ეთმობა. მასწავლებელი სთავაზობს, თავად

გადანყვიტონ, რომელი - მუსიკალური თუ არამუსიკალური ბგერების წყაროს (რა ან ვინ გამოსცემს ამ ბგერებს) დახატვა ურჩევნიათ **(მუს.ი.4. მუსიკით გამოწვეულ ემოციას გადმოგვცემს ნახატში).**

ხატვის დასრულების შემდეგ, თითოეული მათგანი ფიქრობს, როგორ გაახმოვანოს საკუთარი ნახატი. კლასი გაიყოფა ორ - მუსიკალური და არამუსიკალური ბგერების –ჯგუფად. ჯერ ერთი ჯგუფის წევრები გააკეთებენ პრეზენტაციას (ერთნაირი ნახატების ავტორები ერთიანდებიან), შემდეგ მეორე **(მუს.ი.3. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამოხატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული განწყობილების გადმოსაცემად).**

მასწავლებელი მიმართავს სხვადასხვა რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოს, რათა მოსწავლეები თავისუფლად განასხვავებდნენ ხმამალალ და ხმადაბალ ხმოვანებას, ხანგრძლივ და ხანმოკლე ბგერებს, ერთ ტონზე სიმღერას და ბგერათსიმალლის შეცვლას, აღმავალ და დაღმავალ მოძრაობას, მარტივ რიტმებს. ასეთი სავარჯიშოებია:

მასწავლებელი დაუკრავს აღმავალ გამისებურ მელოდიას გრძლად, მძიმედ, ხმამალალა და დასვამს კითხვას: რას გაგონებთ ეს მელოდია - ბებიას, რომელიც კიბეზე ადის თუ ცელქ ბიჭუნას, რომელიც ეზოში სათამაშოდ მიიჩქარის? სავარაუდო პასუხია - ბებიას. მოსწავლეები ტაშით გამოხატავენ ამ მარტივ რიტმს.

მასწავლებელი დაუკრავს დაღმავალ გამისებურ მელოდიას მსუბუქად, ხმადაბლა, მოკლე გრძლიობის ბგერებით და დასვამს იმავე კითხვას. სავარაუდო პასუხია-ცელქი ბიჭუნა. მოსწავლეები, ასევე, ტაშით გამოხატავენ დაღმავალი გამისებური სვლის რიტმულ ნახაზს (მუს.ი.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში).

თამაში - „მუსიკალური ბარათები.“ მოსწავლეებს ურიგდებათ სხვადასხვა ფერის ბარათები, რომლებშიც სიმბოლოებით გამოხატული იქნება აღმავალი და დაღმავალი მელოდია (სიმბოლოდ შეიძლება გამოვიყენოთ ისრების მიმართულება), ხანგრძლივი და ხანმოკლე ბგერები (სიმბოლოდ შეიძლება გამოვიყენოთ დიდი და პატარა ბურთების, წრეების მოხაზულობა), ხმამალალი და ხმადაბალი ხმოვანება (სიმბოლოდ შეიძლება გამოვიყენოთ ნახატი - ფართოდ გაღებული პირი და მოკუმული ტუჩები – „ჩურჩულის მდგომარეობაში“).

მასწავლებელი წინასწარ აფრთხილებს, რა სახის დავალებას შეასრულებენ მოსწავლეები. მაგალითად, მათ უნდა გამოიციონ აღმავალია თუ დაღმავალი მოცემული მელოდია.

მასწავლებელი დაუკრავს აღმავალ მელოდიას, შემდეგ დაღმავალს - მოსწავლეები ასწვენ შესაბამის ბარათს.

შემდეგ, მასწავლებელი დაუკრავს ხანგრძლივ და ხანმოკლე ბგერებს, მოსწავლეები შესაბამისი ბარათით რეაგირებენ.

და ბოლოს, მასწავლებელი დაუკრავს ხმამალალი და ხმადაბალი ჟღერადობის ბგერებს, მოსწავლეები ამჯერადაც ასწვენ შესატყვის ბარათებს **(მუს.ი.6. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობა სხვადასხვა სახის ღონისძიებაში (ინდიკატორი: მონაწილეობს თამაშებში, კლასის ზეიმში, თემატურ ღონისძიებებში).**

(მუს.ი.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში).

კომენტარი: წინამდებარე აქტივობებით ფასდება მოსწავლეთა ბგერათსიმალღებრივი, დინამიკური სმენა, რიტმის გრძნობა, ანალიზის, დამოუკიდებლად გადანყვიტვითების მიღების უნარ-ჩვევები. მათი გამოყენება შესაძლებელია განმსაზღვრელი შეფასების დროსაც.

მასწავლებელი რამდენიმე კითხვას უსვამს მოსწავლეებს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის ძირითად მიზნამდე. - როდესაც მხიარული განწყობა გაქვთ, რომელ სიმღერას იმღერებთ, „პატარა გუგული“ თუ „ეს საწყალი კურდღელი“? რატომ? მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები დაახასიათებენ (სავარაუდოდ, ახსნიან, რომ პირველი სიმღერა მხიარულია, ხოლო მეორე - სევდიანი) და გაითამაშებენ ამ სიმღერებთან დაკავშირებულ სცენებს. მაგალითად, ებმებიან მატარებელში და სიმღერით მიჰყვებიან ორთქმავალს, ან გაითამაშებენ, როგორ უვლიან ავადმყოფს (**მუს.1.2. მოსწავლე მღერის მარტო და სხვებთან ერთად**), (**მუს.1.3. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამოხატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული განწყობილების გადმოსაცემად**).

მოსწავლეები საუბრობენ იმის შესახებ, თუ რა განწყობილების სიმღერები მოუსმენიათ, მაგალითად, როგორი ხასიათისაა საახალწლო სიმღერები, ან ნანა, რომელსაც უმღერიან ძილის წინ და ა. შ. (**მუს.1.8. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება**).

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: - შეიძლება თუ არა ადამიანმა თავისი გრძნობები მუსიკალურ საკრავზე შესრულებითაც გადმოგვცეს?

მასწავლებელი სთხოვს, ჩამოთვალონ მათთვის ნაცნობი მუსიკალურ საკრავები, გაიხსენონ, სად უნახავთ და მოუსმენიათ (**მუს.1.9. მოსწავლე იცნობს ნასწავლ მუსიკალურ საკრავებს**). იგი ასეთ აქტივობას მიმართავს - მოსწავლეები მღერიან უკვე ნასწავლ სიმღერებს „ჭრელო პეპელა“, ლ. იაშვილის „კრიჭი-კრიჭი“. ამავე სიმღერებს მასწავლებელი ფორტეპიანოზეც დაუკრავს. - რა და რა სახით შესრულდა სიმღერები? მოსწავლეები, სავარაუდოდ, პასუხობენ, რომ ერთ შემთხვევაში სიმღერა ადამიანის ხმით სრულდება, ხოლო მეორე შემთხვევაში მას საკრავზე - ფორტეპიანოზე ვასრულებთ (**მუს.1.2. მოსწავლე მღერის მარტო და სხვებთან ერთად**).

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: - შეიძლება თუ არა ფორტეპიანოს ხმოვანებით სხვადასხვა სურათი შეიქმნას? აბა, ვცადოთ. მასწავლებელი ჩიტების ჭიკჭიკის შესაბამისად, ტრელებით უკრავს მაღალი რეგისტრის ბგერებს და ეკითხება მოსწავლეებს: - რას გაგონებთ ფორტეპიანოს ხმოვანება - ჩიტების ჭიკჭიკს თუ მგლების ძუნძულს?

შემდეგ მასწავლებელი დაბალი რეგისტრის ბგერებს უკრავს გამომსახველად და ეკითხება: - ახლა რას მოგაგონებთ ფორტეპიანოს ხმოვანება - გოგონების ხტუნვას თუ დათუნიების ბაჯბაჯს? (**მუს.1.8. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება**).

შემდეგ მასწავლებელი დაუკრავს პ. ჩაიკოვსკის პიესას "საბავშვო ალბომიდან" („ხის ჯარისკაცების მარში,“ სათაურის დაუსახელებლად) და სთხოვს მოსწავლეებს, სხეულის მოძრაობით გამოხატონ მუსიკით გადმოცემული ემოცია. როგორ იმოძრავენ? სავარაუდოდ, მოსწავლეები მარტივად გრძნობენ მუსიკის ხასიათს და ჯარისკაცებივით დადიან (**მუს. 1. 3. სხეულის მოძრაობით გადმოსცემს მუსიკით გამოწვეულ ემოციას (ინდიკატორი: ხმის, მოძრაობის, მიმიკის, ფესტის, ტაშის, ხმაურის საშუალებით გამოხატავს ამა თუ იმ განწყობილებას)**). ისინი ხვდებიან, რომ მუსიკა, რომელსაც მოუსმინეს, ფორტეპიანოზე სრულდება.

შემდეგ მოსწავლეები ამ საფორტეპიანო პიესის სათაურს ამოიცნობენ მასწავლებლის მიერ დასახელებული სამი ვარიანტიდან (ის აჩვენებს სურათებს), მაგალითად, „ყვავილების ცეკვა“, „ჯარისკაცების მარში“, „ბუნება იღვიძებს“. მოსწავლეები საკუთარ შთაბეჭდილებებს ნახატებში ასახავენ (**მუს.1.8. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარ-**

მოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება (ინდიკატორი: აკავშირებს მუსიკალურ ნაწარმოებთან შესაბამის ვიზუალურ მასალას - ფოტო, ვიდეო ჩანაწერი).

მეორე კლასი

ჩონგური და ფანდური

მიზანი:

მუსიკის მოსმენის, საკუთარი აზრის გამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარება

რესურსები:

- მოსასმენი აპარატურა;
- აუდიო ჩანაწერი: მეგრული სიმღერა - „ნანა“, ხალხური სიმღერა - „გაზაფხული“, ფანდურის თანხლება;
- ფორტეპიანო;
- სანოტო მასალა: ფანდურზე შესასრულებელი სიმღერა - „გაზაფხული“; ხალხური ზღაპარი - „მეჩონგურე“;
- ჩონგურისა და ფანდურის დიდი ზომის ფოტოსურათები;
- დაფა, მარკერი.

შედეგები:

- მუს. II.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში;
- მუს. II.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად;
- მუს. II.4. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ;
- მუს. II.5. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება;
- მუს. II.11. მოსწავლე იცნობს მუსიკალურ საკრავებს.

აქტივობების ჩამონათვალი:

- ხალხური ზღაპარი „მეჩონგურე“;
- მუსიკის მოსმენა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- ხატვა - მოსმენილი ნაწარმოების განწყობილების მიხედვით;
- ხალხურ საკრავებზე დაკვრის იმიტირება;
- ხალხური საკრავების შესახებ მიღებული ინფორმაციის დახარისხება და განაწილება (ვენის დიაგრამაში);
- ხალხური სიმღერის შესწავლა და ფანდურის თანხლებით (აუდიო ჩანაწერის დახმარებით) შესრულება.

მასწავლებელი ასეთ დავალებას აძლევს მოსწავლეებს: მათ უნდა გაიხსენონ ქართული ხალხური ზღაპარი, რომელშიც ერთ-ერთი ხალხური საკრავის შესახებ არის მოთხრობილი, ზღაპარს ამ საკრავის სახელწოდება ჰქვია. სავარაუდოდ, მოსწავლეები გაიხსენებენ ზღაპარს – „მეჩონგურე“. მასწავლებელი უამბობს:

– „იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა ერთადერთი ქალი, რომელიც სილამაზით მზეს ეცილებოდა. მამა მის მთხოვნელებს ეუბნებოდა: ამა და ამ ადგილას, ამა და ამ ბაღში იზრდება უკვდავების ვაშლი, ვინც ამ ვაშლის ნაყოფს მომიტანს, ჩემ ქალს იმას მივათხოვებო.“

ვაშლის საძებრად ბევრი ვაჟკაცი წავიდა, მაგრამ უკან არავინ დაბრუნებულა. ხელმწიფის მახლობლად ერთი მეჩონგურე ცხოვრობდა. მივიდა ხელმწიფესთან, მასაც ოქროს ვაშლის მიტანა დაავალეს. აილო მეჩონგურემ ჩონგური და გაუდგა გზას, ცხრა მთა გადაიარა, მიადგა ერთ უზარმაზარ ბაღს, რომელიც ისეთი მაღალი კედლით იყო შემოვლებული, რომ ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა. უკრავს მეჩონგურე და მღერის ტკბილად, ამ სიმღერას ყურს უგდებს მთელი ქვეყანა, ტყემ შეაჩერა ფოთლების შრიალი, ცაში მონავარდე ფრინველები ბალისკენ მიფრინავენ, ყურს უგდებენ ჩონგურის ხმას. სიმღერამ დაატკბო ყველაფერი, ქვის კედელიც კი. უცებ გაიხსნა კედელი და გამოჩნდა ყვავილებით მოფენილი გზა, გზა პირდაპირ ბაღში მიდიოდა. უკვდავების ვაშლი თურმე ამ ბაღში იდგა და მას მცველად ჰყავდა გველეშაპი, ვინც ბაღს მიეკარებოდა, ცოცხლად ყლაპავდა. მას მოესმა უცხო ხმა, საზიზღარი პირი დაალო და დაიღმუვლა.

მეჩონგურე უკრავს და მღერის, თვალებიდან თქრიალით მოსდის მდუღარე ცრემლი. გველეშაპი ღრიალით გამოექანა მეჩონგურისაკენ, მაგრამ უცებ შეჩერდა, ჩონგურის ტკბილმა ხმამ გააბრუა, დიდხანს უსმენდა გაჩუმებული, ველარ გაუძლო მისმა ბოროტმა გულმაც და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. გველეშაპი გონს მოვიდა, მონყვიტა უკვდავების ვაშლი და გაუნოდა მეჩონგურეს, უთხრა: წაილე, ჩემს სიცოცხლეში ასეთი ხმა არა მსმენია, წაილე ეს ვაშლი და სიტყვას გაძღვე დღეის იქით აღარ დავღვარო შენი მოდგმის სისხლი. გახარებულმა მეჩონგურემ ხელი დაავლო უკვდავების ვაშლს და გამობრუნდა. ხელმწიფემ დანაპირები შეუსრულა მეჩონგურეს და დიდი ქორწილი გადაიხადეს.

მასწავლებელი: - მოგიხსენიათ ჩონგურის ხმა? ზღაპრის მიხედვით, როგორი ჟღერადობა აქვს ჩონგურს? უხეში, მძლავრი, თუ სასიამოვნო, ტკბილი? მოსწავლეები პასუხობენ **(მუს. II.4. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ (ინდიკატორი: გამოხატავს დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას).**

მასწავლებელი მოასმენინებს მეგრულ სიმღერას „ნანა“ ჩონგურის თანხლებით (სათაურის დაუსახელებლად). მოსწავლეები ყურს უგდებენ ჩონგურის ხმოვანებას, გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას მოსმენილი ნაწარმოების მიმართ (მოსწონთ, არ მოსწონთ), საკრავის ხმის ტემბრის მიმართ, ახასიათებენ ტემპს, ხმოვანების სიძლიერეს **(მუს. II.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში (ინდიკატორი: ახასიათებს კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს მელოდიის, ტემპის, ხმოვანების სიძლიერის მიხედვით).**

მასწავლებელი აჩვენებს ჩონგურის დიდი ზომის სურათს. მოსწავლეები ათვალეერებენ და ცდილობენ, გადახატონ, შემდეგ მასწავლებლის დავალებით, მოსწავლეები მოსმენილი ნაწარმოების (მეგრული „ნანა“) განწყობილების მიხედვით დახატავენ ერთ-ერთს სამი დასახელებული ვარიანტიდან: „საჭიდაო“, „ლაშქრული“, „ნანა“. მასწავლებელი ეკითხება: - რომელი სათაური მოუხდება მოსმენილ ნაწარმოებს? ამ ხასიათის მუსიკას? **(მუს. II.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში (ინდიკატორი: მუსიკით გამოწვეულ ემოციას გადმოსცემს ნახატში).**

მასწავლებელი უხსნის, რომ ფანდურისგან განსხვავებით (მათ უკვე შეისწავლეს ეს საკრავი), ჩონგური ოთხსიმიანია და მასზე ჩამოკვრის გარდა, სიმების მოზიდვითაც უკრავენ. ცხადია, მასწავლებელი აჩვენებს საკრავზე დაკვრის ხერხებს, მოსწავლეებიც

ცდილობენ, ჩონგურზე დაკვრის იმიტირება მოახდინონ, ერთმანეთისგან განასხვავონ სიმების ჩამოკვრისა და სიმების მოზიდვის ხერხები (სასურველია, მასწავლებელს ჰქონდეს ეს ხალხური საკრავები), **(მუს. II.11. მოსწავლე იცნობს მუსიკალურ საკრავებს (ინდიკატორი: მოძრაობით ახდენს მათზე დაკვრის იმიტაციას).**

მასწავლებელი კიდევ ერთხელ აჩვენებს მოსწავლეებს ჩონგურისა და ფანდურის დიდი ზომის სურათებს, ჩამოთვლის იმ ნაწილებს, რომლისგანაც შედგება ჩონგური და ფანდური, ახასიათებს მათ. ეს ნაწილებია: დეკა, გრიფი, ჯორაკი, საქცევები (არა აქვს ჩონგურს), სიმები. მოსწავლეები იმახსოვრებენ ამ ტერმინებს, ამოიცნობენ და ასახელებენ თითოეულ მათგანს **(მუს. II.5. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება).** **(მუს. II.11. მოსწავლე იცნობს მუსიკალურ საკრავებს (ინდიკატორი: ამოიცნობს საკრავს ფორმის მიხედვით).**

მასწავლებელი დაფაზე წერს ორ ხალხურ ლექსს. ამ ლექსების მიხედვით მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ, რა მასალისგან მზადდება ეს ხალხური საკრავები.

დაჰკარ და დაჰკარ, ფანდურო,
შე თუთა წმინდის ხისაო,
პაპიჩემისა გათლილო,
ბებიაჩემის ხნისაო.

დაუკარ, ჩემო ჩონგურო,
კარგა მაძლიე ბანო,
შე გამოთლილო ღვიისო,
ვერ დაგაჭარბებს ბალიო.

მასწავლებელი დაფაზე ხატავს ვენის დიაგრამას. მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ ჩონგურისა და ფანდურის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები - საერთოა - დეკა, გრიფი, სიმები, ჯორაკი, მასალა (ხის) და სიმების ჩამოკვრითი დაკვრის ხერხი, განმასხვავებელია - საქცევები და სიმების მოზიდვით დაკვრის ხერხი (მხოლოდ ჩონგურზე), ასევე სიმების რაოდენობა. **(მუს. II.11. მოსწავლე იცნობს მუსიკალურ საკრავებს (ინდიკატორი: ამოიცნობს საკრავს ფორმის მიხედვით).**

მოსწავლეები სწავლობენ ხალხურ სიმღერას - „გაზაფხული“, რომელიც ფანდურზე შესასრულებელ სიმღერათა რიცხვს მიეკუთვნება. სიმღერის მელოდია და ტექსტი ერთდროულად შეისწავლება **(მუს. II.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად).** მასწავლებელი ასწავლის სიმღერის ჯერ პირველ ფრაზას, შემდეგ მეორეს. პირველი სტროფის შესწავლის შემდეგ კი მოსწავლეები ისწავლიან მისამღერს, ხოლო სიმღერის ბოლომდე შესწავლის შემდეგ, იმღერებენ ფანდურის თანხლებით (მასწავლებელი ჩართავს აუდიო ჩანაწერს).

მზე მწვერვალზე გადმოდგა,
მოაფრქვია სხივები,
გაიშალნენ იები,
გაიფურჩქნენ ვარდები.

მისამღერი:
ნაკადული ჩუხჩუხებს
კლდიდან კლდეზე ვარდნილი,
არემარემ მოისხა
გაზაფხულის მანდილი.



მეორე კლასი

ერთად გადავარჩინოთ ბუნება⁵**მიზანი:**

მუსიკის საგნის ინტეგრირება სხვა სასკოლო დისციპლინებთან (მოცემულ შემთხვევაში, ბუნებასა და ხელოვნებასთან), ერთობლივი აქტივობის განხორციელება, მუსიკალური ხატების ყოველდღიურობასთან დაკავშირება, მათი გააზრება და გაცოცხლება ხელოვნების სხვა დარგების (ნახატის, თეატრალიზებული მოქმედების) მეშვეობით, გუნდური მუშაობის ჩვევის ჩამოყალიბება, საჯარო გამოსვლის ელემენტარული ჩვევების გამომუშავება.

რესურსები:

სანოტო ჩანაწერი: გ. გორდეზიანი – „რა დილა თენდება“;
 აუდიო ჩანაწერები: გ. გორდეზიანი – „რა დილა თენდება“, სენ-სანსი – „ცხოველთა კარნავალი“, ბეთჰოვენი – სიმფონია №5 c-moll, პირველი ნაწილი, ე. გრიგი – „დილა“ სუიტიდან „პერ გუნტი“, პ. ჩაიკოვსკი – „ყვავილების ვალსი“;
 ვიდეოკლიპი: მაიკლ ჯექსონი - Earth song;
 ფერადი ფურცლები, ნებო, ფანქრები და მაკრატელი. ცხოველების ნიღბები, პოლიეთილენის, ქალაღდის პარკები. ეკრანი, პროექტორი და ხმის გამაძლიერებლები.

სცენარი ხელს უწყობს შემდეგი შედეგების მიღწევას:

მუს. II.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად;
 მუს. II.3. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამოსხატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული განწყობილების გადმოსაცემად;
 მუს. II.4. მოსწავლეს საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ;
 მუს. II.5. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება;
 მუს. II.6. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში;
 მუს. II.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა გრძნობებისა და განწყობილებების გამოხატვის საშუალებაა;
 მუს. II.12. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება. ინდიკატორი: მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს გარემოში მოსმენილი ხმები.

გრაფიკი:

I გაკვეთილი – ბუნების მასწავლებლის მოწვევა, სპექტაკლის დაგეგმვა, სპექტაკლისათვის საჭირო რეკვიზიტის დამზადება;
II გაკვეთილი – სპექტაკლისათვის საჭირო რეკვიზიტის დამზადება, როლების გადანაწილება, სიმღერის შესწავლა;
III– IV გაკვეთილი – რეპეტიცია, მშობლებისა და სტუმრებისათვის მოსწავვე ბარათების დამზადება;
V გაკვეთილი – დარბაზის მომზადება, სპექტაკლის ჩატარება.

⁵ სცენარი ხორციელდება მუსიკის, ბუნებისა და ხელოვნების მასწავლებლების აქტიური მონაწილეობით. შესაბამისად, სურვილის შემთხვევაში, შესაბამისი აქტივობები შეიძლება გადანაწილდეს შესაბამისი საგნის გაკვეთილებზე.

I გაკვეთილი

ბუნების მასწავლებელი მუსიკის მასწავლებლის თხოვნით ამზადებს პრეზენტაციას იმის შესახებ, თუ რა ზიანს აყენებენ ჩვენს მიერ გადაყრილი პოლიეთილენის პარკები ბუნებას, ცხოველებს და ფრინველებს. ასევე, ქალაქის ფურცლებთან, წიგნებსა და რვეულებთან გაუფრთხილებელი მოპყრობა – ხეების მოჭრის მიზეზია, ხოლო ხეების მოჭრამ შეიძლება დედამიწის გაუდაბნობა გამოიწვიოს.

პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებლები სთავაზობენ ბავშვებს, გამართონ მუსიკალური ნარმოდგენა „ერთად გადავარჩინოთ ბუნება“ და მოიწვიონ სტუმრები (მასწავლებლები, მშობლები, მეგობრები). ასევე ავალენ მათ, შემდეგი გაკვეთილისათვის მოიტანონ ფერადი ფურცლები, ნებო, ფანქრები და მაკრატელი. სპექტაკლი მუსიკალურად გაფორმდება გ. გორდეზიანის სიმღერით „რა დილა თენდება“, კ. სენ-სანსის ციკლით „ცხოველთა კარნავალი“, ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის პირველი ნაწილით, ე. გრიგის „დილით“ სუიტ-იდან „პერ გუნტი“, პ. ჩაიკოვსკის – „ყვავილების ვალსით“, მ. ჯექსონის ვიდეოკლიპით Earth song. მასწავლებლები და მოსწავლეები გეგმავენ სპექტაკლს, ანაწილებენ როლებს: ლომი, კუ, კენგურუ, სპილო, ანტილოპა, ჩიტები, ხეები და ყვავილები, ასევე ტყისმჭრელი და ბავშვები. მოსწავლეებს ურიგდებათ როლები, რომლებიც შინ უნდა ისწავლონ⁶. უსმენენ მუსიკალურ ნომრებს. მასწავლებელი სთხოვს მათ, ყურადღებით მოუსმინონ, ნარმოდგინონ და აღწერონ, როგორია ესა თუ ის ცხოველი (მუს. II.3. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამოხატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული განწყობილების გადმოსაცემად, მუს. II.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა გრძნობებისა და განწყობილებების გამოხატვის საშუალებაა. მუს. II.4. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ). გაკვეთილზე სწავლობენ/იმეორებენ ასევე სიმღერას: გ. გორდეზიანის „რა დილა თენდება“. (მუს. II.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად).

II გაკვეთილზე გაიმეორებენ ნასწავლ სიმღერას და როლებს მუსიკის თანხლებით. მუსიკისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით ხელოვნების მასწავლებლის დახმარებით იწყებენ ფერადი ქალაქებისა და ფანქრებისაგან რეკვიზიტის დამზადებას (თითოეული თავისი როლისათვის და, ასევე, საერთოდ, სპექტაკლისათვის) (მუს. II.4. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ. ინდიკატორი: გამოხატავს დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას მოსმენილი ნაწარმოების მიმართ; მუსიკით გამოწვეულ განწყობილებას, ემოციას გადმოსცემს ნახატში და, შეძლებისდაგვარად, აცოცხლებს ამ ნახატს). კლასში დაწყებულ სამუშაოს განაგრძობენ ხელოვნების გაკვეთილზე და დაასრულებენ შინ, მშობლების დახმარებით; „ტყისმჭრელმა“ ასევე უნდა მოიტანოს სათამაშო ცული (ნაჯახი). კიდევ ერთხელ ზუსტდება ნომრების თანმიმდევრობა.

III–IV გაკვეთილი – ეთმობა რეპეტიციას.

ნარმოდგენის მსვლელობა ასეთია: მისალმებისა და წარდგენის შემდეგ (წარადგენენ მასწავლებლები) სცენაზე ჩანს საკლასო ოთახი. ბავშვები ერთმანეთს ესვრიან ქალაქის თვითმფრინავებს. ერთ–ერთი მათგანი (ბიჭუნა) ცდილობს შეაჩეროს ისინი, მოაწესრიგოს ოთახი. შემოდის მასწავლებელი და ატყობინებს ბავშვებს, რომ ხვალ მიდიან ტყეში, პიკნიკზე.

6 სცენარის განხორციელებამდე მასწავლებლებმა წინასწარ უნდა მოამზადონ სპექტაკლის ტექსტი, ნაუკითხო მოსწავლეებს და ჰკითხონ აზრი. ამის შემდეგ ერთად აირჩიონ როლების შემსრულებლები, და მიეხმარონ მათ როლების გადანერაში.

სცენაზეა ტყე (ხეები – დეკორაციაა, ერთ-ერთ ხეს და ყვავილებს კი ბავშვები განასახიერებენ). შემოდინ ბავშვები, გზადაგზა ფოტოებს უღებენ ერთმანეთს. მაგრამ, თანდათან ამჩნევენ ბუნების სილამაზეს და ახლა ფოტოებს უღებენ ყვავილებს, პეპლებს, ხის ტოტზე დასკუპულ ციყვს, ხის ქვეშ ამოსულ სოკოებს. მასწავლებელი უხსნის მათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებას ადამიანის ცხოვრებაში. ცოტა ხანში ნახემსებას გადანწყვეტენ, ამოიღებენ საჭმელს და შესაფუთ პოლიეთილენის პარკებს იქვე დაყრიან. „ხე“ იწყებს „ტოტების“ ქნევას და ყვირილს „რას აკეთებ, რას აკეთებ“, ასევე „ყვავილები“ და „ჩიტები“. ბავშვებს ვერ გაუგიათ, რა ხდება.

სენ-სანსის „ცხოველთა კარნავალის“ შესაბამისი სათაურის პიესების ფონზე მოდიან: ლომი, ანტილოპა, კუ, სპილო, და სხვა მონაწილეები. თავდაპირველად შემოდის ლომი, უკან თამამ–თამაშით მოჰყვებიან ბოკვერები, ერთ-ერთ მათგანს თათზე ბავშვების მიერ გადაგდებული პოლიეთილენის პარკი აქვს ჩამოცმული. ბავშვები თავიდან ცოტა შეშინდებიან და ხეებს ამოეფარებიან. მაგრამ როცა ლომი ალაპარაკდება, გათამამდებიან. ლომი საუბრობს ბუნების დანაგვიანებაზე, მის მავნებლობაზე⁷ (ლომის სვლა სენ–სანსის მუსიკაზე დაახლოებით 30–60 წამი გრძელდება, იგივე ხდება სხვა ცხოველების⁸ შემთხვევაშიც. ბავშვები განსხვავებულად რეაგირებენ თითოეული ცხოველი–პერსონაჟის გამოჩენაზე: გაიოცებენ, რომ მათ ლაპარაკი იციან, ზოგიერთს მოეფერებიან კიდევ) ამბობენ თავიანთ ტექსტს. ბოლოს – ლაპარაკობს ხე, იმის შესახებ, რომ ბავშვები არ უფრთხილდებიან წიგნებსა და რვეულებს, რის გამოც იჭრება ხეები და ნადგურდება⁹ ბუნება. ყვავილი უამბობს ბავშვებს, თუ როგორ მოჭრეს მის თვალწინ ხე (სასურველია, ამ ეპიზოდში გამოყენებული იყოს ვაჟა–ფშაველას მოთხრობის – „ია“ – შესაბამისი ფრაგმენტი). „დიდი ამბავი, ერთი ხე თუ მოჭრეს“ – ამბობს ბავშვების ერთი ნაწილი. სხვები არ ეთანხმებიან. სცენაზე შუქი ქრება და ეკრანზე გადის მაიკლ ჯექსონის Earth song¹⁰. კლიპის დამთავრების შემდეგ მასწავლებელი ამბობს: „ხედავთ, რა შეიძლება მოხდეს ჩვენი გაუფრთხილებლობის გამო?“ „რა უნდა ვქნათ?“ – ერთად კითხულობენ ბავშვები. და ა. შ. აჟღერდება ლ. ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონია და ცხოველები გარბიან. მოდის ტყისმჭრელი და იწყებს ხის მოჭრას. ბავშვები და ყვავილები ერთად სთხოვენ მას, არ მოჭრას ხე. ტყისმჭრელი კი პასუხობს, რომ სკოლას წიგნები და რვეულები შემოაკლდა, ბავშვებმა სულ დააცალეს ფურცლები. მათ ხომ სჭირდებათ წიგნები და რვეულები? ჰოდა, ქალაქი ხისგან კეთდება, ამიტომაც ჭრის მას. ბავშვები პირობას დებენ, რომ ამიერიდან ყოველთვის გაუფრთხილდებიან ქალაქს და არც ბუნებას დაანაგვიანებენ. ტყისმჭრელს უხარია, მადლობას უხდის ბავშვებს, რომ მოჭრას გადაარჩინეს ხე.

შემდეგ ეპიზოდში ბავშვები ასუფთავებენ გარემოს. მადლიერი ყვავილები მათთვის ცეკვავენ პ. ჩაიკოვსკის – „ყვავილების ვალსზე“ და ბავშვებსაც იწვევენ საცეკვაოდ. შემდეგ „ცხოველების კარნავალის“ ფინალის ფონზე ტყიდან გამოდიან ცხოველები და მადლობას უხდებიან ბავშვებს. ბოლოს ყველა ერთად მღერის გ. გორდეზიანის სიმღერას „რა დილა თენდება“.

მასწავლებელი ასწავლის ბავშვებს, რომ სპექტაკლის ბოლოს აუცილებლად უნდა გადაუხადონ მაყურებელს მადლობა, ტაშზე თავის დაკვრით (**მუს. II.7. მოსწავლეს აქვს უნ-**

7 თითოეული მონაწილე ცხოველის ტექსტი უნდა შეადგინოს ბუნების მასწავლებელმა და იგი უნდა იყოს ლაკონური, რამდენიმე წინადადებისაგან შემდგარი, ინფორმაციულად დატვირთული.

8 თითოეული მონაწილე ცხოველის ტექსტი უნდა შეადგინოს ბუნების მასწავლებელმა და იგი უნდა იყოს ლაკონური, რამდენიმე წინადადებისაგან შემდგარი, ინფორმაციულად დატვირთული.

9 შესაძლებელია შესაბამისი შინაარსის ფრაგმენტების გამოყენება ვაჟა–ფშაველას „ხელი წიფელიდან“.

10 შეხედულების მიხედვით, შეიძლება მასწავლებელმა ჩაანაცვლოს.

არი, პატივისცემით მოეკიდოს სხვის შემოქმედებასა და აზრს).

ასევე ავალებს მოსწავლეებს, დაამზადონ მოსწავვე ბარათები მშობლებისა მასწავლებლებისათვის: თითოეული როლის შემსრულებელი აფორმებს მოსწავვე ბარათს ნახ-ატივ/ფოტოთი/აპლიკაციით და ა. შ. (მუს. II.10. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარ-მოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება. აკავშირებს მუსიკალურ ნაწარმოებთან ვიზუალურ მასალას (ფოტო, ვიდეო) და იხსენებს საკუთარ შთაბეჭდილებებს).

V გაკვეთილი – მოსწავლეები განალაგებენ სცენაზე რეკვიზიტს. დანყების წინ მას-წავლებლები წარადგენენ სპექტაკლს.

დასრულებისას ბავშვები გამოდიან და თავს უკრავენ მაყურებელს (მუს. II.6. მოსწავ-ლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში).

მესამე კლასი

“ლიული – მზარეულის შებირდი”

მიზანი:

ტექსტის (მუსიკის მნიშვნელობის შესახებ) გააზრება, საკუთარი აზრის გამოთ-ქმა – დასაბუთება, დამოკიდებულების გამოხატვა კითხვა-პასუხის, შეფასების, ხელოვნების სხვა დარგის მეშვეობით, ცნებების: ორკესტრი, რეპეტიცია, საკ-რავთა ჯგუფები, პარტიტურა, დირიჟორი – გაცნობა და პრაქტიკაში განხორცი-ელება (საორკესტრო პარტიტურასთან და დირიჟორის მუშაობის გამოცდილე-ბის მიღება).

რესურსები:

ს. მოგილევსკაია - “ვიოლონჩელი სანტა ტერეზა” (მოთხრობები მუსიკაზე). თბ, ნაკადული, 1979;

სათამაშო ინსტრუმენტები და მცირე საყოფაცხოვრებო ნივთები;

მოსწავლეების მიერ შესრულებული ნახატები;

აუდიო ჩანაწერი - ჟ. ბ. ლიულის “გავოტი”, დამატებითი მოსასმენი მასალა მას-წავლებლის შერჩევით;

რიტმული პარტიტურა ¹¹.

სცენარი ხელს უწყობს შემდეგი შედეგების მიღწევას:

მუს. III.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოც-ნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში;

მუს. III.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება;

მუს. III.7. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმე-ნილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ;

მუს. III.8. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება;

მუს. III.9. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონის-ძიებაში;

მუს. III.11. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა გრძნობები-სა და განწყობილებების გამოხატვის საშუალებაა;

11 ჟ. ბ. ლიულის „გავოტის“ სანოტო ჩანაწერის მიხედვით მასწავლებელმა უნდა შექმნას და მოსწავლეებს დაურიგოს რიტმული პარტიტურა, ასწავლოს მასში ორიენტირება. სანოტო მასალა მოცემულია სცენარის ბოლო.

მუს. III. 12. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ხელოვნების დარგები და ხელოვნებასთან დაკავშირებული პროფესიები;
 მუს. III. 13. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება.

გრაფიკი:

I გაკვეთილი - მოთხრობის წაკითხვა, საუბარი, კითხვა-პასუხი, მუსიკის მოსმენა, გავოტის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
 მეორე გაკვეთილისთვის საშინაო დავალების შესრულება - თემატური ნახატის შექმნა, საკრავების მოძიება და მოტანა;
 II გაკვეთილი - მოთხრობის განმეორება, საორკესტრო პარტიების განაწილება და რეპეტიცია;
 III გაკვეთილი - გამოფენის მოწყობა, მასწავლებლის დირიჟორობით გავოტის შესრულება.

I გაკვეთილი:

აქტივობა – მოთხრობის მოსმენა-გააზრება

მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ს. მოგილევსკაიას მოთხრობას “ლიული – მზარეულის შეგირდი” წიგნიდან “ვილონჩელი სანტა ტერეზა”. კითხვას დროდადრო წყვეტს შეკითხვებით: როგორ გგონიათ, როგორ მოიქცა პატარა ჯოვანი ბატისტა, როცა ჰერცოგ გიზის კარეტა დაინახა? რა მოხდა, როცა ჰერცოგს საყვარელი მწვერის ავადმყოფობა შეატყობინეს? რა გააკეთა გაბრაზებულმა მზარეულმა? როგორ გგონიათ, ვინ უშლიდა ხელს ჰერცოგის ორკესტრანტებს? მოთხრობის დასასრულს ასმენინებს ლიულის “გავოტს” და აუცილებლად ეკითხება, “თქვენ რომ საფრანგეთის მეფე ყოფილიყავით, როგორ მოიქცეოდით?” და ასევე, ეუბნება, რომ ლიულიმ მართლაც განაგრძო მუსიკის სწავლა მეფის დახმარებითა და ხელშეწყობით და სიცოცხლის ბოლომდე მისი მეგობარი იყო. ასევე, უსვამს შეკითხვას: “როგორ გგონიათ, რატომ გახდა იტალიელი ბიჭუნა ჯოვანი ბატისტა ფრანგი კომპოზიტორი ჟან ბატისტა ლიული?” (შეიძლება აჩვენოს ლიულის პორტრეტი. იხ.: ილუსტრ. 1.) **(მუს. III. 5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება. ინდიკატორები: აქტიურადაა ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში; მონაწილეობს გამოკითხვაში; სვამს კითხვებს. მუს. III. 12. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ხელოვნების დარგები და ხელოვნებასთან დაკავშირებული პროფესიები. მუს. III. 13. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება).** მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, შინ დახატონ მოსმენილი მოთხრობის ის მონაკვეთი, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონათ და დაამახსოვრდათ, რათა შემდეგი გაკვეთილისთვის კლასში გამოფენა მოაწყონ **(მუს. III. 7. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ. ინდიკატორი: მუსიკით გამოწვეულ განწყობილებას, ემოციას გადმოსცემს ნახატში; მუს. III. 5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება (ინდიკატორები: მოიტანს გაკვეთილისთვის საჭირო ნივთებს; ჩაინერს დავალებას).**

მეორე დავალებაა, მოიტანონ სათამაშო ინსტრუმენტები (ჩასაბერი სათამაშოები, ქსილოფონი, სამკუთხედი, დოლი, ასევე საყოფაცხოვრებო ნივთები, მაგალითად, ორი კოვზი, ჭიქები, პლასტმასის პატარა ჯამი და სხვ.)

აქტივობა: ვუკრავთ ორკესტრში

მასწავლებელი სვამს კითხვებს მოთხრობის ირგვლივ, ხოლო შემდეგ ეკითხება მოსწავლეებს, ვის აქვს სურვილი, თავად მოუთხროს ეს ამბავი თანაკლასელებს. სასურველია, თუ ერთი მოსწავლის მიერ დაწყებულ თხრობას სხვები გააგრძელებენ. როცა მსურველები თხრობას დაამთავრებენ, მასწავლებელი ეკითხება სხვებს, ხომ არ დაამატებდნენ რამეს. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ უსმენენ გავოტს. მასწავლებელი უხსნის, რომ გავოტი ეს არის სწრაფი, მხიარული ცეკვა (იხ.: ილუსტრ. 2,3) და სთხოვს, დაასახელონ მათთვის ცნობილი სხვა ევროპული ცეკვები (ვალსი, მენუეტი), რა განსხვავებაა მათ შორის. ასევე, შეიძლება აჩვენოს ჟ. ბ. ლიულის გავოტი ოპერიდან „ატისი“ და გავოტი ს. პროკოფიევის ბალეტიდან „რომეო და ჯულიეტა“ და ეკითხება, მოსმენილი პიესები ვოკალური მუსიკის ნიმუშია თუ ინსტრუმენტული? რა ტემპში, რომელ რეგისტრში უღერს? სად უღერს ხმამალა, ხმადაბლა? რომელი ნაცნობი ინსტრუმენტის ტემბრი გესმით? **(შედეგი: მუს.III.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში ინდიკატორები: განასხვავებს ნელ და ჩქარ შესრულებას, ხმამალალ და ხმადაბალ ხმოვანებას მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენისას; განასხვავებს რეგისტრებს სხვადასხვა სიმალლეზე გაჟღერებული მუსიკალური ფრაზის მოსმენისას (მალალი – დაბალი); განასხვავებს ორ- და სამწილად მეტრს ცეკვის, მოძრაობის საშუალებით (ვალსი, პოლკა); სიმღერისას, მუსიკის მოსმენისას გამოყოფს მახვილებით ტაქტის ძლიერ დროს; მუს.III.7. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ. ინდიკატორი: განასხვავებს ვოკალურ და ინსტრუმენტულ ნაწარმოებებს; იმეორებს მუსიკალურ საქცევს, მელოდიას, დამახასიათებელ რიტმულ ნახაზს; “დირიჟორობს” მოსმენისას; მუს.III.8. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება).**

მასწავლებელი და მოსწავლეები შეთანხმდებიან, რომ თავადაც იღებენ მონაწილეობას გავოტის შესრულებაში, ოღონდ ლიულის მსგავსად, ქვაბებს და ტაფებს კი არა, სათამაშო ინსტრუმენტებს და მცირე ზომის საყოფაცხოვრებო ნივთებს გამოიყენებენ. თავდაპირველად ყველანი თანაბარი კაკუნით, ძლიერი დროის აქცენტირებით (მხოლოდ პირველ თვლაზე, მასწავლებლის დირიჟორობით) აჰყვებიან მუსიკას, ხოლო შემდეგ კლასი დაიყოფა ჯგუფებად ერთგვაროვანი ინსტრუმენტებისა და ტემბრების მიხედვით („წკრილა“ სამკუთხედი, ქსილოფონი, ჭიქა; დასარტყამი საკრავები სიმალლის გარეშე – დოლი, პატარა ჯამი, ხის კოვზები; სათამაშო ჩასახერი საკრავები), მოსინჯავენ თავიანთი “საკრავების ტემბრებს” და მონიშნავენ ამა თუ იმ ტემბრის ჩართვის ადგილებს, მაგალითად, პიანოზე ჩუმად დაუკრავენ „წკრილა“ საკრავები, ფორტეზე, კადანსირებისას – ყველა საკრავი ერთად და ა. შ. იწყებენ რეპეტიციას. მასწავლებლის დირიჟორობით “საკრავთა ჯგუფები” თანდათანობით შეისწავლიან თავიანთ “პარტიებს” გავოტის ჩანაწერის თანხლებით და ფურცელზე ამონერილი რიტმული პარტიტურის დახმარებით. თითოეული ჯგუფი რამდენჯერმე გაიმეორებს თავის პარტიას, შემდეგ შეისწავლიან „გადაბმის“ ადგილებს, სადაც ერთ ჯგუფს მეორე ცვლის, შემდეგ სწავლობენ ჯგუფების თანმიმდევრობას, ბოლოს ყველა ერთად თავიდან ბოლომდე უკრავს ნაწარმოებს. **(შედეგი: მუს.III.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში ინდიკატორები: გამოხატავს მუსიკის რიტმს ფეხის დარტყმით, ტაშით; თანაკლასელებთან ერთად აჰყვება მუსიკას, “უკრავს” სხვა-**

დასხვა რიტმულ ნახაზს სათამაშო ინსტრუმენტებისა და ყოველდღიური მოხმარების საგნებისგან შემდგარ “ანსამბლში”, “ორკესტრში”; მუს. III.8. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება).

აქტივობა – საკლასო ღონისძიება

III გაკვეთილამდე, შესვენებაზე, მუსიკის გაკვეთილის დაწყებამდე მოსწავლეები თავიანთ ნახატებს კედლებზე აკრავენ (კედლები არ უნდა დააზიანონ). გაკვეთილზე კიდევ ერთხელ ყვებიან ლიულის ამბავს და მასწავლებლის დირიჟორობით ასრულებენ ლიულის გავოტს. სურვილის მიხედვით შეიძლება ერთ-ერთმა მოსწავლემ იდირიჟოროს კიდევც (მუს. III.9. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში. ინდიკატორი: მონაწილეობს კლასის ღონისძიებებში; მუს. III.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში. ინდიკატორი: თანაკლასელებთან ერთად აჰყვება მუსიკას, “უკრავს” სხვადასხვა რიტმულ ნახაზს სათამაშო ინსტრუმენტებისა და ყოველდღიური მოხმარების საგნებისგან შემდგარ “ანსამბლში”, “ორკესტრში”).

გავშობი

ჟან ბატისტ ლიული

Moderato (♩=108)

p

sempre staccato

f

p

crescendo

sempre staccato

♩

The musical score is written for piano and consists of five systems of staves. Each system includes a treble clef staff and a bass clef staff. The first system features intricate fingerings and articulation marks. The second system begins with a piano (*p*) dynamic and includes the instruction *senza ped.* (without pedal) and *sempre staccato* (always staccato). The third system continues with a piano (*p*) dynamic. The fourth system starts with a fortissimo (*sf*) dynamic followed by a piano (*p*) dynamic. The fifth system concludes with a piano (*p*) dynamic and includes the instruction *simile* (similar) and several *ped.* (pedal) markings with asterisks.

First system of musical notation. The right hand (treble clef) plays a melodic line with slurs and ties. The left hand (bass clef) plays a bass line with chords. Dynamics include *f* and *p*.

Second system of musical notation. The right hand continues the melodic line. The left hand provides harmonic support with chords and some moving lines.

Third system of musical notation. The right hand features a more active melodic line. The left hand is marked *sempre staccato*. Dynamics include *cresc.*

Fourth system of musical notation. The right hand has a melodic line with some trills. The left hand has a bass line with chords. Dynamics include *cresc.*

Fifth system of musical notation. The right hand has a melodic line with trills. The left hand has a bass line with chords. Dynamics include *ritenuto*. The system ends with a double bar line and a fermata over the final chord.



ილუსტრ. 1. ჟან ბატისტ ლიულის პორტრეტი



ილუსტრ. 2. გავოტი



ილუსტრ. 3. გავოტის მოცეკვავეები.

მეოთხე კლასი ინტერპრეტაცია

მიზანი:

ახალი ტერმინის და მასთან დაკავშირებული მხატვრული მოვლენების ათვისება და პრაქტიკაში განხორციელება, საკუთარი აზრის გამოთქმა – დასაბუთება, დამოკიდებულების გამოხატვა: კითხვა–პასუხის, შედარების, შეფასების, ხელოვნების სხვა დარგის – ხატვის – მეშვეობით.

რესურსები:

აუდიო ჩანაწერი - ვ. გოკიელი - "წითელქუდას სიმღერა" ჯ. კახიძე - "მზის სიმღერა", ა. ბასილაია - "ცისარტყელები" ან სხვა მასალა მასწავლებლის შერჩევით; ა. ვივალდი - „გაზაფხული“ დედნისეული შესრულება, ა. ვივალდი, „გაზაფხული“ – რემიქსი; ვ. ა. მოცარტი „თურქული მარში“ ე. ვირსალაძისა და ვ. ჰოროვიცის შესრულებით ან სხვა მასალა მასწავლებლის შერჩევით.
ხატვისათვის საჭირო მასალა.

სცენარი ხელს უწყობს შემდეგი შედეგების მიღწევას:

- მუს.IV.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად;
- მუს.IV.3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი;
- მუს.IV.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება;
- მუს. IV.6. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფში მუშაობა;
- მუს.IV.7. მოსწავლეს შეუძლია საუბარი მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების შესახებ. ინდიკატორი: იყენებს საუბრის დროს ნასწავლ ტერმინებს.
- მუს.IV.10. მოსწავლეს ესმის და წარმოაჩენს, რომ მუსიკა/ხელოვნება თვითგამოხატვის საშუალებაა;
- მუს.IV.12. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები.

გრაფიკი:

- I გაკვეთილი - ახალი ტერმინის (ინტერპრეტაცია) გაცნობა, სიმღერა, ხატვა.
- II გაკვეთილი - ნასწავლი ტერმინის განმეორება–განმარტება, ინტერპრეტაციების შედარება, ახალი ტერმინების გაცნობა (რემიქსი, დედანი ანუ ორიგინალი).

I გაკვეთილი

შესავალი:

კლასში შემოსულ მოსწავლეებს ხვდებათ დაფაზე დიდი ასოებით დაწერილი სიტყვა ინტერპრეტაცია. სავარაუდოდ, ისინი მაშინვე დასვამენ შეკითხვას, თუ რას ნიშნავს ეს? (მუს.III.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება. ინდიკატორი: სვამს კითხვებს). მასწავლებელი „საიდუმლოებით მოცული“ სახით პასუხობს, რომ ინტერპრეტაცია ის უნარია, რომელიც ყველა მათგანს გააჩნია და გაკვეთილის ბოლოს ისინი აუცილებლად მიხვდებიან, თუ რა არის იგი. ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭიროა გაიმეორონ ადრე ნასწავლი სიმღერები.

აქტივობა "რა არის ინტერპრეტაცია"

მასწავლებელი სთხოვს რამდენიმე მოსწავლეს, სათითაოდ გამოვიდნენ და იმღერონ ვ. გოკიელის "ნითელქუდას სიმღერა" და თან გაითამაშონ, როგორც მათ წარმოუდგენიათ, ან იგივე გააკეთონ ჯ. კახიძის "მზის სიმღერაზე". სასურველია, შეირჩეს ისეთი სიმღერა, რომელიც შეუძლიათ იმღერონ როგორც გოგონებმა, ისე ბიჭებმა, მაგალითად, ა.ბასილიას "ცისარტყელები" (მუს. IV.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად. მუს. IV.3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა. ინდიკატორები: სხვებთან ერთად გაითამაშებს მარტივ სცენებს კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტის განწყობილების გამოხატვის მიზნით; პერსონაჟის ხასიათს უსადაგებს მუსიკალურ ფრაგმენტს; კონკრეტულ ამბავს, სიუჟეტს უსადაგებს მისთვის ცნობილ მუსიკალურ ნაწარმოებს).

მასწავლებელი დაფაზე ჩამოწმებს იმ მოსწავლეების სახელებს, რომელთაც შეასრულეს სიმღერა/განსახიერეს პერსონაჟი და მათ მიერ შესრულებული ამავე პერსონაჟების სავარაუდო თვისებებს. მოსმენის შემდეგ ეკითხება მოსწავლეებს: როგორი ნითელქუდა იყო ანა? სალომე? მორცხვი? ცელქი? მხიარული? როგორი მზე იყო გიორგი? სანდრო? მხიარული? თამამი? კეთილი? (მუს. IV.3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა. ინდიკატორი: ისმენს თანაკლასელთა აზრს საკუთარ შესრულებაზე; აფასებს თანაკლასელთა მიერ შესრულებულ თეატრალურ ეტიუდს).

მასწავლებელი ყველა გამომსვლელი მოსწავლის სახელს მიუწერს დახასიათებას და ბოლოს ეკითხება: როგორ გგონიათ, რატომ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან მათი შესრულება? ხომ ერთი და იგივე სიმღერა იმღერეს? (მუს. IV.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება. ინდიკატორები: აქტიურადაა ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში; მონაწილეობს გამოკითხვაში; მუს. IV.6. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფში მუშაობა. ინდიკატორები: ყურს უგდებს განსხვავებულ აზრს). მოსწავლეები მსჯელობენ და მასწავლებლის დახმარებით მიდიან დასკვნამდე, რომ ყველა ადამიანი თავისებურად ასრულებს ამა თუ იმ ნაწარმოებს, იმიტომ, რომ სხვადასხვანაირად წარმოიდგენს მას. სწორედ ამგვარ შესრულებას უწოდებენ ინტერპრეტაციას - მუსიკოსი ასრულებს ავტორის მიერ დაწერილ ტექსტს, იცავს მის მითითებებს და ამავე დროს საკუთარი შეხედულებისამებრ უმატებს გარკვეულ თავისებურებებს, რაც ნაწარმოებს განუმეორებლობას ანიჭებს.

ახლა მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დახატონ ნითელქუდა და მზე - საკუთარი ინტერპრეტაციით: მოიფიქრონ, როგორ გამოიყურება ნითელქუდა გარდა იმისა, რომ ნითელი ქუდი ახურავს - როგორი ქუდია, ფართოფარფლიანი შლაპა თუ ბერეტი? როგორი კაბა აცვია? გრძელი თუ მოკლე? რა ფერის თმა აქვს - ქერა, ყავისფერი თუ შავი? კიკინები, ნაწნავები თუ გაშლილი? ხვეული თუ სწორი? მზე როგორია, ნითელი, ყვითელი თუ ფორთოხლისფერი? როგორ გამოსახავთ სხივებს? ილიმის თუ არა? ცაზე ღრუბლებია თუ არა? გზა როგორია? ტყეა თუ ბუჩქნარი? ბილიკი ფართოა თუ ვიწრო? და ა. შ. ამ დავალების ერთ-ერთი მთავარი პირობაა, იმუშაონ ჩუმად და დამოუკიდებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ჯგუფურ ინტერპრეტაციას (მუს. V.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა. ინდიკატორი: გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებას ნახატით).

მოსწავლეები განიხილავენ საკუთარ ნახატს, რამდენად დამოუკიდებლად შეიქმნა. ცხრილში მონიშნავენ, რა უკარნახა მასწავლებელმა, რა განსაზღვრეს თვითონ. ცხრილი, სავარაუდოდ, ასე შეივსება:

	ნახატის შემადგენელი დეტალები	დეტალების განაწილება ნახატში	გოგონას გარეგნობა	მზე	პეიზაჟი
მე		•	•	•	•
მასწავლებელი	•				

ცხრილის შევსების შემდეგ მოსწავლეები აღმოაჩენენ და საუბრობენ, რა ჰქონდათ მიცემული (ნახატის შემადგენელი დეტალები) და რისი ინტერპრეტაცია მოახდინეს მათ (დეტალების განაწილება ნახატში, გოგონა, მისი გარეგნობა, მზე, პეიზაჟი).

მეორე გაკვეთილზე მასწავლებელი და მოსწავლეები გაიხსენებენ „წინა გაკვეთილზე ნასწავლ ახალ სიტყვას“ (მუს.V.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა. ინდიკატორი: იყენებს მუსიკალურ ტერმინებს საუბრის დროს) და მოსწავლეები სათითაოდ, საკუთარი სიტყვებით განმარტავენ მას. მასწავლებელს შეუძლია ხუმრობით უთხრას, რომ მან ახლა სიტყვა ინტერპრეტაციის რამდენიმე ინტერპრეტაცია მოისმინა.

აქტივობა “შეადარე ინტერპრეტაციები”

მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს ა. ვივალდის - “გაზაფხულის” ტრადიციულ და გათანამედროვეებულ ვერსიებს და მოსწავლეებს აძლევს ცხრილს, რომელშიც უნდა ჩაწერონ განსხვავებები ტემპრის, დინამიკის, რეგისტრისა და ა. შ. მიხედვით:

მუსიკალური ტექსტი (2-3 წთ)	ა. ვივალდი - „გაზაფხული“ დედნისეული (ტრადიციული) შესრულება	ა. ვივალდი - „გაზაფხული“ (გათანამედროვეებული შესრულება) რემიქსი
ტემპი		
სოლო საკრავი		
ინსტრუმენტები		
რიტმი		
რეგისტრი		

მასწავლებელი უხსნის, რა განსხვავებაა დედანსა და რემიქსს შორის და ეხმარება მოსწავლეებს ისაუბრონ ამის შესახებ შესრულებული დავალების მიხედვით. სთხოვს, გაიხსენონ მათთვის ცნობილი სხვა რემიქსები არა მარტო მუსიკის, არამედ ხელოვნების სხვა დარგებშიც (მუს.IV.12. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები. მუს. IV.6. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფში მუშაობა (ინდიკატორი: ყურს უგდებს განსხვავებულ აზრს).

შემდეგ ერთი და იგივე ნაწარმოების დედნისეული ვერსიის ორ სხვადასხვა შესრულებას ისმენენ: ელისო ვირსალაძის და ვლადიმერ ჰოროვიცის შესრულებით, და ასახელებენ

მათ შორის საუკეთესოს. მასწავლებელი ეხმარება მათ საუბრის დროს აზრის ნათლად ჩამოყალიბებაში. აწვდის ტიპურ გამონათქვამებს, მათ წყობას: მაგალითად, ნაწარმოების ინტერპრეტაცია, დედანთან მიახლოებული ინტერპრეტაცია; თავისუფალი ინტერპრეტაცია და ა. შ. (მუს. IV.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება. ინდიკატორი: აქტიურადაა ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში; მონაწილეობს გამოკითხვაში; მუს. IV.12. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები).

მასწავლებელი დაფაზე წერს სამ სახელწოდებას: „ხის ჯარისკაცების სვლა“, „თოჯინების კეკ-უოკი“, „ჯამბაზი დადის თოკზე“. იგი სთხოვს მოსწავლეებს, წარმოიდგინონ და ჩამოაყალიბონ თავიანთი აზრები, როგორ შეიძლება თითოეული ეს სათური გადმოიცეს მუსიკაში. მოსწავლეები აუცილებლად დასვამენ შეკითხვას, თუ რა არის კეკ-უოკი. მასწავლებელი დაფაზე წერს cake walk და სთხოვს მოსწავლეებს, თარგმნონ ორივე სიტყვა (cake – ნამცხვარი, walk – სვლა, გასეირნება) და უხსნის, რომ ეს იყო პოპულარული ცეკვა, რომლის საუკეთესო შემსრულებელსაც ნამცხვრით აჯილდოებდნენ.

მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს კ. დებიუსის - „თოჯინების კეკ-უოკს“ და სთხოვს, ჩამოწერილი სამიდან შეურჩიონ მას სათური. მას მერე, რაც მოსწავლეები ამოიცნობენ სწორ პასუხს, მასწავლებელი კვლავ ჩართავს მუსიკას და მოსწავლეებთან ერთად „ნაიცეკვებს ნამცხვრით“ (შეუძლია აჩვენოს ილუსტრაციები) (მუს. IV.7. მოსწავლეს შეუძლია საუბარი მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების შესახებ. ინდიკატორი: იყენებს საუბრის დროს ნასწავლ ტერმინებს. მუს. IV.10. მოსწავლეს ესმის და წარმოაჩენს, რომ მუსიკა/ხელოვნება თვითგამოხატვის საშუალებაა. ინდიკატორები: საუბრობს იმის შესახებ, თუ რა განწყობილებას უქმნის ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები; რამდენიმე შეთავაზებული სათურიდან შეარჩევს ერთ-ერთს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებისთვის; საუბრობს მუსიკალური ნაწარმოების მოსმენით გამოწვეულ შთაბეჭდილებებზე და იმ ასოციაციებზე, რომელთაც იწვევს ეს ნაწარმოები; მსჯელობს იმის შესახებ, რისი გამოხატვა შეიძლება მელოდიის, სხვადასხვა გამომსახველობითი ხერხის საშუალებით).



Phot. Paul Boyer.

LE CAKE-WALK

Pl. 11



ამის შემდეგ, სთხოვს მათ, მოიფიქრონ და განახორციელონ ამ ნაწარმოების თავი-ანთი "ინტერპრეტაცია": სურვილისამებრ, ნახატითა ან ცეკვით (ჯგუფური ან ინდივიდუალური). (მუს.IV.10. მოსწავლეს ესმის და წარმოაჩენს, რომ მუსიკა/ხელოვნება თვით-გამოხატვის საშუალებაა; მუს.IV.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა).

ამგვარად, შემოდის სამი ახალი ტერმინი: ინტერპრეტაცია, დედანი ანუ ორიგინალი და რემიქსი.

მესუთე კლასი ოპერა და ბალეტი

მიზანი:

მუსიკის მოსმენის, განხილვისა და შეფასების, საკუთარი აზრის გამოხატვის, სიმღერის, პერსონაჟის განსახიერების, სცენის გათამაშების, ინფორმაციის დახარისხების, დაჯგუფებისა და განაწილების უნარ-ჩვევების განვითარება.

რესურსები:

მოსასმენი აპარატურა;

აუდიო ჩანაწერი: ჯ. ვერდი - „რეკვიემი“, ზ. ფალიაშვილი - „აბესალომ და ეთერი“, ვ. დოლიძე - „ქეთო და კოტე“, ჯ. როსინი - „სევილიელი დალაქი“ (ფრაგმენტები); ვიდეოკადრები ბალეტებიდან: პ. ჩაიკოვსკი - „გედების ტბა“ და „მაკნატუნა“, ვ. მაჭავარიანი - „ოტელო“;

ფორტეპიანო;

სანოტო მასალა: ზ. ფალიაშვილი - „აბესალომ და ეთერი“, ვ. დოლიძე - „ქეთო და კოტე“;

დაფა, მარკერი.

შედეგები:

მუს.VI.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად;

მუს.VI.3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა;

მუს.VI.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის წარმართვა;

მუს.VI.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა და შეფასება;

მუს.VI.8. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში;

მუს.VI.10. მოსწავლე იცნობს ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნიმუშებსა და წარმომადგენლებს;

მუს.VI.11. მოსწავლეს შეუძლია შეადაროს ერთმანეთს მუსიკალური ნაწარმოებები.

აქტივობების ჩამონათვალი:

მუსიკის მოსმენისას ვოკალური ხმის ამოცნობა და ხმების შემოსვლის თანმიმდევრობის განსაზღვრა;

დრამატული, საოპერო და საბალეტო სპექტაკლის სცენის (ერთსა და იმავე სიუჟეტზე) გათამაშება;

მიღებული ინფორმაციის დაჯგუფება, დახარისხება და განაწილება (ცხრილში); საოპერო ნაწარმოებების მოსმენა, განხილვა, შეფასება, ვოკალური პარტიის (მელოდიის) შესწავლა, პერსონაჟის განსახიერება;

საბალეტო ნაწარმოებების მოსმენა, ვიდეოკადრების ნახვა, განხილვა, შეფასება, პერსონაჟის განსახიერება;

მიღებული ინფორმაციის დაჯგუფება, დახარისხება და განაწილება (ცხრილში).

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს ადამიანის ხმის უსასრულო და ამოუწურავ შესაძლებლობებზე: ადამიანის „ხმა“ საუბრობს მშვიდად და აულელვებლად, მას შეუძლია ყველაზე მძაფრი ემოციაც კი გამოხატოს. ეს ხმა გალობს ეკლესიაში, ასრულებს ხალხურ თუ საესტრადო სიმღერებს, ჯაზსა და როკს. ადამიანის ხმა ბაძავს სხვას და სხვისი ხმით ლაპარაკობს, მღერის, ზოგჯერ კი საკრავებს და ბუნების ხმებსაც კი ბაძავს. ხმის ამ უნარს იმიტაციას (მიბაძვას) უწოდებენ. შემდეგ, მოსწავლეები გაიხსენებენ ქალისა და მამაკაცის სასიმღერო ხმებს და დაფაზე მოცემულ სქემაში ჩაწერენ.

სასიმღერო ხმა	ქალი	მამაკაცი
მღალა		
საშუალო		
დაბალი		

მასწავლებელი მოასმენინებს ფრაგმენტს ჯ. ვერდის „რეკვიემიდან.“ მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, თუ როგორ ემატება საერთო ხმოვანებას სხვადასხვა ვოკალური ხმა. მათ უნდა განსაზღვრონ რა თანმიმდევრობით შემოდის ხმები, დანომრონ და ჩაწერონ შესაბამის გრაფაში.

ვოკალური ხმაები	ხმაების შემოსვლის თანმიმდევრობა
სოპრანო	
მეცო-სოპრანო	
ტენორი	
ბანი	

(მუს. VI.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა და შეფასება (ინდიკატორი: ახასიათებს კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს მეტრის, საკრავთა ხმის ტემპრების მიხედვით).

ამ აქტივობის შემდეგ მასწავლებელი გეგმავს, სპექტაკლის შესახებ წარმართოს საუბარი და ეკითხება მოსწავლეებს - რა ჰქვია მუსიკალურ-თეატრალურ ნაწარმოებს, სადაც ქალისა და მამაკაცის სასიმღერო ხმები უღერს, როგორც სოლო, ასევე საანსამბლო (ისინი უკვე იცნობენ სხვადასხვა სახის ანსამბლს) და საგუნდო ნომრებში, უკრავს ორკესტრი და სცენაზე იშლება მოქმედება? სავარაუდოდ, მოსწავლეები პასუხობენ, რომ ეს არის საოპერო სპექტაკლი. მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე, რა სახის სპექტაკლები უნახავთ, ისინი საუბრობენ, რომ ზოგს საოპერო სპექტაკლი უნახავს და მოუსმენია,

რამდენიმეს - საბალეტო, ზოგს კი დრამატული სპექტაკლი (მუს.VI.10. მოსწავლე იცნობს ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნიმუშებსა და წარმომადგენლებს).

მასწავლებელი უხსნის, რომ სპექტაკლი არის თეატრალური წარმოდგენა, დრამატული სპექტაკლი თეატრალური ხელოვნების კუთვნილებაა, ხოლო საოპერო და საბალეტო სპექტაკლები - მუსიკალური ხელოვნებისა. მოსწავლეები იმახსოვრებენ ტერმინებს - დრამატული, საოპერო, საბალეტო და გაითამაშებენ ამ სამი ტიპის სპექტაკლის მათ მიერ გამოგონილ სცენას ან ერთი და იგივე სიუჟეტის მონაკვეთს, მაგალითად, აბესალომის მიერ ნადირობის დროს მძინარე ეთერის პოვნა (მუს.VI.3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა (ინდიკატორი: სხვებთან ერთად გაითამაშებს მარტივ სცენებს კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების/ ფრაგმენტის გამოხატვის მიზნით). მუს.VI.11. მოსწავლეს შეუძლია შეადაროს ერთმანეთს მუსიკალური ნაწარმოებები (ინდიკატორი: ადარებს ერთი და იმავე ჟანრის სხვადასხვა ნაწარმოებს).

მოსწავლეები გაიხსენებენ, ვის რა ფუნქცია აკისრია დრამატული სპექტაკლის მომზადებაში და შეავსებენ მოცემულ ცხრილს.

1. სპექტაკლის დადგმას ხელმძღვანელობს და მსახიობებთან მუშაობს	მხატვარი
2. პიესას სპექტაკლისთვის წერს	1. რეჟისორი
3. სცენაზე სპექტაკლს გაითამაშებენ	დრამატურგი
4. მუსიკას სპექტაკლისთვის წერს	ქორეოგრაფი
5. მსახიობების ჩაცმულობაზე, სცენის მოწყობაზე (დეკორაციაზე) ზრუნავს	კომპოზიტორი
6. სპექტაკლისთვის ცეკვებს დგამს	მსახიობები

მოსწავლეები მოისმენენ აბესალომის არიოზოს „მე ბანი-ბანად გექებდი“ ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“, გაიხსენებენ ხალხური ლეგენდა „ეთერიანის“ შინაარსს, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ეს ოპერა. მასწავლებელი ეკითხება: - რა განწყობილებისაა მუსიკა?

- აბესალომის რა გრძნობებია გადმოცემული?

- მამაკაცის რომელი სასიმღერო ხმა ასრულებს აბესალომის პარტიას - ბანი,

ტენორი თუ ბარიტონი? (მუს.VI.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა და შეფასება (ინდიკატორი: ახასიათებს კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს მეტრის, საკრავთა ხმის ტემპრების მიხედვით).

მოსწავლეები იმახსოვრებენ ამ არიოზოს მელოდიას, მღერიან და სწავლობენ არიოზოს საწყის ფრაზებს (მუს.VI.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერ-

თად) და ასევე განასახიერებენ შეყვარებულ აბესალომს. მომდევნო გაკვეთილებზე მასწავლებელი გამოაცნობინებს მოსწავლეებს ასე ნასწავლ სხვადასხვა საოპერო მელოდიას, ასევე მიმართავს თამაშს - საოპერო პერსონაჟების განსახიერება (**მუს.VI.3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა (ინდიკატორი: პერსონაჟის ხასიათს უსადაგებს მუსიკალურ ფრაგმენტს).** ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო და საინტერესოა მაკარის პერსონაჟი ვ. დოლიძის ოპერიდან „ქეთო და კოტე“.

მოსწავლეები მოისმენენ მაკარის არიას „ფულები არის ჩემი გამხარებელი.“

მასწავლებელი გაახსენებს ამ ოპერის შინაარსს (ოპერა ქართველი დრამატურგის აექსენტი ცაგარელის პიესის „ხანუმას“ მიხედვით არის შექმნილი): - ნარმოიდგინეთ მაშინდელი თბილისის ყოფა-ცხოვრება (მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი), აქ არიან პეტერბურგში განსწავლული შეყვარებული წყვილი - ქეთო და კოტე, გაკოტრებული, მაგრამ ქედმაღალი თავადი ლევანი, რომელსაც ქეთოს ცოლად შერთვა სურს, ძუნწი და ხარბი ვაჭარი მაკარი (ქეთოს მამა), ლაზღანდარა კინტოები - საქო და სიკო, ჭორიკანა და მოხერხებული მაჭანკლები - ბაბუსი და ბაბაღე, რომელთაგან პირველი თავად ლევანს მაჭანკლობს, ხოლო მეორე - მის ძმისწულ კოტეს.

მასწავლებელი ეკითხება: - როგორი პერსონაჟია მაკარი? (ამ არიის მიხედვით). სავარაუდოდ, მოსწავლეები პასუხობენ, რომ ის არის ძუნწი და ფულის მოყვარული და მისი ეს ხასიათი კარგად ჩანს მის არიაში. მოსწავლეები იმახსოვრებენ ამ არიის მელოდიას და მღერიან (**მუს.VI.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად**), განასახიერებენ მაკარს. ამავე ოპერიდან, მოსწავლეები ასევე მოისმენენ სიკოს და საქოს დუეტს (კარგია, თუ ნახავენ ამ დუეტის ვიდეოკადრებს) და განასახიერებენ ლაზღანდარა კინტოებს (**მუს.VI.3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა (ინდიკატორი: პერსონაჟის ხასიათს უსადაგებს მუსიკალურ ფრაგმენტს).**

მოსწავლეები მოისმენენ ფიგაროს კავატინას ჯ. როსინის „სევილიელი დალაქიდან“ და გაეცნობიან კიდევ ერთ საინტერესო პერსონაჟს. მასწავლებელი ეკითხება:

- რა შეიძლება ერქვას მოსმენილ ფრაგმენტს? ა) ფიგაროს არია, ბ) ფიგაროს დუეტი, გ) ფიგაროს კავატინა. მოსწავლეები, სავარაუდოდ პასუხობენ, რომ ეს არის ფიგაროს არია. მათ იციან, რომ არია სოლო საოპერო ნომერია. მასწავლებელი კი უხსნის, რომ სოლო საოპერო ნომერს, რომელშიც პირველად ხდება ამა თუ იმ საოპერო პერსონაჟის დახასიათება, ჰქვია კავატინა. ამგვარად, კავატინა არის გამოსასვლელი არია.
- რა იცით ფიგაროს შესახებ? როგორ ადამიანს უწოდებენ ფიგაროს? სავარაუდოდ, ზოგიერთმა მოსწავლემ შეიძლება იცოდეს, რომ ფიგარო მხიარული, სწრაფი და მოხერხებული ადამიანია (ამ ოპერაში ის დალაქია, რომელიც მთელ სევილიას უყვარს).

როგორია ამ კავატინას ტემპი, რიტმი, მელოდია, გვიხატავს თუ არა მუსიკა ფიგაროს პორტრეტს? (**მუს.VI.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა და შეფასება (ინდიკატორი: ახასიათებს კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს მეტრის, საკრავთა ხმის ტემპრების მიხედვით).** მოსწავლეები იმახსოვრებენ კავატინას მელოდიას და განასახიერებენ ამ საოპერო პერსონაჟს, გამოიყენებენ კავატინაში მოცემულ სწრაფსათქმელებს (**მუს.VI.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებ-**

თან ერთად), (მუს.VI.3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა (ინდიკატორი: პერსონაჟის ხასიათს უსადაგებს მუსიკალურ ფრაგმენტს).

მასწავლებელი ჩაანერინებს მოსწავლეებს ინტერნეტ მისამართს: www.opera.ge.

ამ მისამართზე მათ შეუძლიათ მოიძიონ ინფორმაცია საქართველოში ოპერის დაარსების, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის აფიშის, რეპერტუარის, შემსრულებლების შესახებ. მასწავლებელი აწვდის იდეას, მოამზადონ პროექტი „ოპერა ჩვენს ქვეყანაში“ (მუს.VI.8. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში).

შემდეგ მოსწავლეები გადაწერენ და შეავსებენ დაფაზე დაწერილ ცხრილს.

	ზ.ფალიაშვილი - „აბესალომ და ეთერი“	ვ. დოლიძე - „ქეთო და კოტე“	ჯ. როსინი - „სევილიელი დალაქი“
საყვარელი კომპოზიტორი			
შთამბეჭდავი საოპერო გმირი			
შთამბეჭდავი მუსიკალური ნომერი			

(მუს.VI.10. მოსწავლე იცნობს ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნიმუშებსა და წარმომადგენლებს).

მასწავლებელი ერთ-ერთ გაკვეთილს ბალეტზე საუბრით იწყებს და ეკითხება მოსწავლეებს:

- გინახავთ საბალეტო სპექტაკლი ან ბალეტის მსახიობ ქალთა და მამაკაცთა ცეკვა?
- აღწერეთ, როგორია მათი ჩაცმულობა? რას გადმოსცემენ ისინი ცეკვით?

სავარაუდოდ, ზოგიერთი მოსწავლე უპასუხებს დასმულ კითხვებს. შემდეგ, მასწავლებელი უამბობს, რომ XVI საუკუნის ბოლოს საფრანგეთში ბალეტის მსგავს ცეკვებს ასრულებდნენ. ცეკვავენ მხოლოდ მამაკაცები. საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV არაჩვეულებრივი მოცეკვავე იყო. იგი საბალეტო სპექტაკლების წამყვან პარტიებს ასრულებდა. ერთ-ერთ სპექტაკლში ცეკვის შემდეგ ლუდოვიკოს ამ სპექტაკლის სახელწოდება - „მეფე მზე“ შეარქვეს.

მოსწავლეები მოისმენენ ფრაგმენტს პ. ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედების ტბა“ (მასწავლებელმა უნდა უჩვენოს მოსწავლეებს ამ ბალეტის ვიდეოკადრები, ოდესას ცეკვა ნინო ანანიაშვილის შესრულებით) მოსწავლეები, სავარაუდოდ, საუბრობენ, რომ მუსიკა მართლაც გვიხატავს მოცეკვავე გედს - გოგონას.

მოსწავლეები მოისმენენ არაბულ ცეკვას ბალეტიდან „მაკნატუნა“, ამოიცნობენ „იანანას“ მელიქის, რომელიც პ. ჩაიკოვსკიმ თავის ბალეტში გამოიყენა (მასწავლებელი უამბობს, რომ პ. ჩაიკოვსკი რამდენჯერმე იყო საქართველოში - თბილისსა და ბორჯომში), პანტომიმის საშუალებით განასახიერებენ სასაცილო თოჯინას - მაკნატუნას (მუს. VI.3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყო-

ბილბა, სიუჟეტი, თემა (ინდიკატორი: პერსონაჟის ხასიათს უსადაგებს მუსიკალურ ფრაგმენტს). მასწავლებელი ეკითხება:

- თქვენ იცით, რომ მომღერლები, პიანისტები, მევიოლინეები და სხვა პროფესიის მუსიკოსები კონსერვატორიაში სწავლობენ. სად ეუფლებიან ცეკვის ხელოვნებას ბალეტის მოცეკვავე ქალები და მამაკაცები? სავარაუდოდ, ზოგიერთმა მოსწავლემ შეიძლება იცოდეს, რომ ეს არის ქორეოგრაფიული სასწავლებელი. მასწავლებელი უხსნის, რომ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლობდნენ ნინო ანა-ნიაშვილი, ირმა ნიორაძე და ბალეტის სხვა ცნობილი მოცეკვავეები. ზოგიერთ ქვეყანაში ბალეტის უმაღლესი სასწავლებელიც არსებობს.

აქ, ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა: ვინ იყო ვახტანგ ჭაბუკიანი?

იგი იყო გამოჩენილი მოცეკვავე, შესანიშნავი პედაგოგი და ბალეტმამისტერი (საბალეტო სპექტაკლების, სხვადასხვა სპექტაკლში საცეკვაო სცენების, ნომრების დამდგმელი). მასწავლებელი აჩვენებს ვიდეოკადრებს ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით, ვ. მაჭავარიანის ბალეტიდან „ოტელო“.

შემდეგ მოსწავლეები საოპერო და საბალეტო სპექტაკლების მსგავს ნომრებს ისრებით დააკავშირებენ, ასევე შეავსებენ მოცემულ ცხრილს.

არია კორდებალეტი

გუნდი პა-დე-დე

დუეტი ვარიაცია

ნაწარმოები	კომპოზიტორი	ოპერა/ბალეტი
„აბესალომ და ეთერი“		
„ქეთო და კოტი“		
„გედების ტბა“		
„სევილიელი დალაქი“		
„მაკნატუნა“		

(მუს.VI.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის წარმართვა (ინდიკატორი: ცალკეული ამოცანის გადასაჭრელად გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას), (მუს.VI.10. მოსწავლე იცნობს ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნიმუშებსა და წარმომადგენლებს).

მეხუთე კლასი

კომპოზიტორი და შემსრულებელი. ცნობილი შემსრულებლები

მიზანი:

მუსიკალური ნაწარმოების შესრულებების მოსმენისა და შეფასების ელემენტარული უნარ-ჩვევების გამომუშავება, სანოტო ჩანაწერში ორიენტირების უნარის გამომუშავება, დამოუკიდებლად მსჯელობისა და საკუთარი მოსაზრების გამოთქმისა და დასაბუთების უნარის განვითარება, შემსრულებლის ფუნქციებში გარკვევა, გუნდური მუშაობის ჩვევის ხელშეწყობა, ინდივიდუალური და გუნდური პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავება, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობა.

რესურსები:

რ. ლალიძე - საფორტეპიანო პიესა “რონდო-ტოკატა” სანოტო და აუდიო ჩანაწერი (ვ. შიუკაშვილისა და თ. ამირეჯიბის შესრულებით); ი. ს. ბახი – გოლდბერგის ვარიაციები – გ. გულდის შესრულებით (1964 და 1982 წლის ჩანაწერები).

სცენარი ხელს უწყობს შემდეგი შედეგების მიღწევას:

- მუს.V.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება;
- მუს.V.6. მოსწავლეს შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა;
- მუს.V.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა;
- მუს.V.8. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში;
- მუს.V.10. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა/ხელოვნება კულტურის თვითგამოხატვის საშუალებაა;
- მუს.V.12. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები.

გრაფიკი:

გაკვეთილი 1. მსჯელობა კომპოზიტორისა და შემსრულებლის ურთიერთმიმართების, შემსრულებლის მნიშვნელობის შესახებ, ინტერპრეტაციის ცნების გათავისება საილუსტრაციო აქტივობის – ერთი და იგივე ნახატის ინდივიდუალური თავისებურებების გამოვლენის გზით. სანოტო ჩანაწერზე დაკვირვებით ნაწარმოების ორი ინტერპრეტაციის მოსმენა და შედარება. დავალების მიცემა – შემსრულებლების შესახებ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება.

გაკვეთილი 2. დავალების წარმოდგენა, შემსრულებლებისათვის სპეციალობების მისადაგება, გუნდებად დაყოფა, პრეზენტაციის მოსამზადებელი ეტაპი.

გაკვეთილი 3–4 პრეზენტაციების მოწყობა, საუკეთესოს გამოვლენა.

გაკვეთილი 1.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: თქვენი აზრით, ვინ არის შემსრულებელი?

– ის, ვინც ნაწარმოებს უკრავს, ასრულებს, - პასუხობენ, სავარაუდოდ, მოსწავლეები.

– რას ნიშნავს „ასრულებს“? – ეკითხება მასწავლებელი და მოსწავლეებთან ერთად მსჯელობს შემსრულებლის როლსა და მნიშვნელობაზე მუსიკალური ნაწარმოების აქტუალების, „გაცოცხლების“ პროცესში (**მუს.V.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსი-**

კალური ნაწარმოების განხილვა. ინდიკატორი: იყენებს მუსიკალურ ტერმინებს საუბრის დროს). უხსნის, რომ კომპოზიტორის დაწერილი ნაწარმოების შესახებ, შესაძლოა, ვერავინ ვერაფერი გაიგოს, რომ არ იყვნენ შემსრულებლები. შესრულებისას მუსიკოსი უნდა მიხვდეს და მსმენელსაც გააგებინოს ის, რაც ავტორმა ამ ნაწარმოებში ჩაიფიქრა და ნოტებში ჩაწერა. ამიტომაც ვამბობთ, რომ შემსრულებელი ყოველი შესრულებისას თავიდან აცოცხლებს „სანოტო ჩანაწერში ჩაძინებულ“ ნაწარმოებს. მაგრამ ნაწარმოები ერთია, შემსრულებელი კი – უამრავი. როგორ გგონიათ, რაკი ისინი ერთნაირ ნოტებს, ერთსა და იმავე მუსიკას უკრავენ, მათი შესრულება ერთნაირია? მოსწავლეები მსჯელობენ ამ საკითხზე. შესაძლოა წარმოიშვას აზრთა სხვადასხვაობა. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი სთავაზობს, ჩაატარონ ერთგვარი ცდა. იგი დაფაზე ხატავს ფრინველს (ნახატის მარტივი უნდა იყოს). ხატვისას აფიქსირებს თავის განწყობას „საყვარელი ჩიტუნას“ მიმართ, „რომლის ფრენა, ჰაერში ლივლივი თავისუფლებასთანაა დაკავშირებული“... მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, 2–3 წუთში დახატონ ეს ჩიტი. დასრულების შემდეგ ნახატებსა და ორიგინალს ადარებენ ერთმანეთს და აღმოჩნდება, რომ გიორგის მიერ დახატული ჩიტი განსხვავდება ანას, ელენეს, დავითის ჩიტებისაგან.

– „რატომ? – კითხულობს მასწავლებელი – თქვენ ხომ ერთი და იგივე ჩიტი გადაიხატეთ დაფიდან? გამოდის, გიორგიმ დაფაზე დახატული ჩიტი გიორგისებურად დახატა, ანამ – ანასებურად და ა. შ. თუმცა, ჩიტი ყველასთვის ერთი, საერთო იყო. რაც მთავარია, თქვენი ნახატები რაღაცით განსხვავდება ჩემი ნახატისაგან, თქვენ რაღაც თქვენებური შესძინეთ მას. ეს ძალიან კარგია, ერთის მხრივ, თქვენ შეასრულეთ მოცემული დავალება – დახატეთ ჩიტი, მეორეს მხრივ – ნახატებში თითოეულმა თქვენგანმა რაღაც განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები შესძინეთ მას ისე, რომ ძირითადი კონტური დარჩა და ორის ნაცვლად ხუთი ან ცხრა ფრთაც არ დაგიხატავთ. სწორედ ასეა მუსიკაშიც. კარგი შემსრულებელი ავტორის ჩანაფიქრსაც გადმოსცემს და თავისასაც უმატებს, ოღონდ ისე, რომ ავტორის ჩანაფიქრი არ გადააკეთოს, ის ხომ შემსრულებელია – ავტორის სურვილის შემსრულებელი“.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს რ. ლალიძის - საფორტეპიანო პიესის, „რონდო-ტოკატას“ ნოტებს და ორჯერ ასმენინებს მას თ. ამირეჯიბის შესრულებით. თან სთხოვს, ყურადღებით მოუსმინონ, არის თუ არა განსხვავება ამ ორ ჩანაწერს შორის? პასუხის მიღების შემდეგ უკვე ჩართავს ვ. შიუკაშვილის ჩანაწერს და განსხვავება თვალსაჩინო ხდება. მასწავლებელი უხსნის ასევე, რომ ერთი შემსრულებელიც კი არ უკრავს ყოველთვის ზუსტად ერთნაირად. ესეც კარგი შემსრულებლისთვის დამახასიათებელი თვისებაა. ადამიანები ხომ იცვლებიან... საილუსტრაციოდ მოასმენინებს ი. ს. ბახის გოლდბერგის ვარიაციების დასაწყისს - არიას (თემას), შესრულებულს 1964 და 1982 წლებში გლენ გულდის მიერ, 34 და 50 წლის ასაკში. მოსწავლეები იოლად შენიშნავენ, რომ ტემპი შენელდა, ჟღერადობა კი შერბილდა (**მუს.V.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა; მუს.V.12. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები**).

მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, მოიძიონ და ჩამოწერონ სხვადასხვა საკრავზე შემსრულებელი სამ-სამი ცნობილი ქართველი და უცხოელი მუსიკოსის, როგორც ინსტრუმენტალისტის, ისე მომღერლის ¹² გვარები (**მუს.V.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება**).

12 იგულისხმება აკადემიური მუსიკის შემსრულებლები.

მეორე გაკვეთილზე მოსწავლეები მასწავლებელს კარნახობენ მათ მიერ მოძიებული (მუს.V.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობისთვის ორგანიზება), დაფაზე წერს მოსწავლეთა მიერ ნაკარნახევი მუსიკოსების გვარებს. მოსწავლეები გამოდიან და თითოეულ მუსიკოსს გვერდით მიუწერენ სპეციალობას. მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს სამკაცრიან ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს სთხოვს, დაფაზე ჩამონერილი შემსრულებლებიდან ამოირჩიონ ერთ-ერთი, მოიძიონ მასზე ინფორმაცია (ბიოგრაფიული და შემოქმედებითი, რომელი კომპოზიტორის ან რომელი ნაწარმოების შესრულებით გაითქვა სახელი განსაკუთრებით, დღესდღეობით მოღვაწეობს თუ არა და სად..., ცხადია, მათ თავად მასწავლებელი ეხმარება ინფორმაციის მოძიებაში – მიუთითებს წიგნებს, საიტებს) და მოამზადონ პრეზენტაცია, რომლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი ამ მუსიკოსის მიერ შესრულებული ჩანაწერების აჟღერება იქნება. მოსწავლეებმა თავად უნდა აირჩიონ პრეზენტაციის ფორმატი: ან სამივე რიგრიგობით გვანჯდის ინფორმაციას, გვაჩვენებს ფოტოებს და უშვებს მუსიკას, ან ინაწილებენ ფუნქციებს (მუს.V.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობისთვის ორგანიზება. ინდიკატორები: ცალკეული ამოცანის გადასაჭრელად გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას; აქტიურადაა ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში; მუს.V.6. მოსწავლეს შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა. მუს.V.8. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში. ინდიკატორი: წარდგება აუდიტორიის წინაშე შემსრულებლის, ავტორის ან კონფერანსიეს როლში).

ორი გაკვეთილის განმავლობაში შესაძლებელია შედგეს 6-8 პრეზენტაცია.

გაკვეთილი 3-4

პრეზენტაციის პირველი და მეორე დღის მონაწილეები გამოვლინდებიან კენჭისყრით.

პრეზენტაციის შემდეგ თითოეული გუნდი მასწავლებლისაგან იღებს დავალებას: ერთი კვირის განმავლობაში ისინი სხვა მოსწავლეებს აცნობენ ინფორმაციას იმ შემსრულებლის შესახებ, რომელსაც მოამზადეს პრეზენტაცია. ერთი კვირის შემდეგ მასწავლებელი აწყობს გამოკითხვას და გამარჯვებულად ასახელებს იმ გუნდს, რომელმაც ყველაზე კარგად მოახერხა თანაკლასელების ინფორმირება (მუს.V.10. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა/ხელოვნება კულტურის თვითგამოხატვის საშუალებაა. ინდიკატორები: საუბრობს, რა ინფორმაცია მიიღო რომელიმე ისტორიულ პერიოდზე იმ ეპოქის ხელოვნების ნაწარმოების გაცნობით; საუბრობს, რა გაიგო ამა თუ იმ ხალხის კულტურის შესახებ მისი მუსიკის გაცნობით; საუბრობს სხვადასხვა კულტურის განმასხვავებელ ნიშნებზე, თავისებურებებზე).

მესუთა კლასი

მუსიკალური დამწერლობა

მიზანი:

მუსიკალური დამწერლობის გამოყენების (ჩანერის, ფურცლიდან კითხვის, სანოტო ჩანაწერის მეშვეობით მუსიკალური ნაწარმოების შესწავლის) უნარ-ჩვევების გამომუშავება და განვითარება. ახალი მუსიკალური ტერმინებისა და ცნებების გაცნობა და ათვისება.

რესურსები:

ილუსტრაციები, სანოტო რვეულები, სანოტო მასალა, აუდიო ჩანაწერი - დელფიური ჰიმნი.

სცენარი ხელს უწყობს შემდეგი შედეგების მიღწევას:

- მუს.V.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების და საკრავების გამოყენება იმპროვიზაციულ სავარჯიშოებში.
- მუს.V.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.
- მუს.V.4. მოსწავლეს შეუძლია მარტივი რიტმული ნახაზის, მელოდიის წაკითხვა და გადანერა.
- მუს.V.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობისთვის ორგანიზება.
- მუს.V.6. მოსწავლეს შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა.

გრაფიკი:

გაკვეთილი 1. ვერბალური და მუსიკალური ტექსტების გარჩევა, ნოტების წაკითხვა

გაკვეთილი 2. წინა გაკვეთილზე წაკითხული სიმღერის სოლფეჯირება, საშინაო დავალების შესრულება.

გაკვეთილი 3. მუსიკალური დამწერლობის ნაირსახეობების გაცნობა. თანამედროვე მუსიკალური დამწერლობის შექმნის ისტორიის გაცნობა.

შესავალი:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს 4 ფურცელს, სამ მათგანზე გამოსახულია რაიმე ტექსტი სხვადასხვა ენაზე (ილუსტრაცია 1. – არაბული, ილუსტრაცია 2 – ინგ-

مشروع "نداء لانطلاق القصة والشعر"**قصة قصيرة بعنوان: "عندما كانت لعيتي صديقتي الوحيدة"**

اسمي نوف. تراني الآن سعيدة ومبتسمة ولكنني مررت أيام كنت لا أعرف معنى السعادة. سوف أحكي لكم قصتي...

عند طفولتي كنت أحب اللعب مع الأطفال. ولكنهم دائماً يتعدون عني ولا أدري ما السبب. كنت أشعر بالحزن وأقضي الوقت بمفردي لأسلي وحدتي غير لعيتي...

كنت أرى الأطفال حولي يفتحون فمهم، يحركون شفاههم وكانت أفعل مثلهم حتى أتقرب منهم لكنهم يتخرون إلي ويضحكون. ولا أدري ما السبب...

مرت الأيام واستمرت صداقتي مع لعيتي الوحيدة. التي كانت تفهمني وأفهمها...

في يوم من الأيام، اصطحبتني أمي إلى مكان متسع يوجد به أطفال يلعبون وهم سعداء. ولمحت في أذانهم أسلاكاً. ترى لماذا وضعت هذه الأسلاك؟ المهم. تمنيت أن أكون معهم...

وبعد عدة أيام، أحضرت لي أمي أسلاكاً مثل التي رأيته من قبل، وعلمت أن اسمها سماعات. وضعتها في أذني. عندها علمت أن هناك أصواتاً تصدر حولنا...

أه، أنا أسمع صوت ماما، صوت بابا، صوت إخوتي، حتى صوت الماء. الأشجار والأذان كل شيء حولي يصدر صوتاً وأنا أسمع نعم أنا... أسمع... كم كنت سعيدة بذلك...

وفيما بعد التحقت بمرکز ساعد لتقويم النطق، وكونت صداقات مع أطفال في نفس عمري. ومرت الأيام ولم أنس لعيتي صديقتي القديمة...

أنا الآن بالصف الثالث الابتدائي، متفوقة في دراستي. أحفظ القرآن وأحفظ الأناشيد وأرددها بصوت جميل. أحمد الله... هل علمتم سر سعادتني???

ილუსტრ. 1 არაბული დამწერლობა.

By and by the broth was done; an angel, and was trusted to the sedate princes and princesses were squeezed Princess Alicia turning out the sauce always getting into trouble) they she the broth came tumbling out, steaming

ილუსტრ. 2. ინგლისური დამწერლობა.

PRELUDE

Op. 28, No. 7

Frederic Chopin

Andantino

Piano

p dolce

con Pedale

ილუსტრ. 3. სანოტო დამწერლობა.

ლისური), მათ შორის – ქართულზე. მეოთხე – სანოტო ჩანაწერია (ილუსტრაცია 3). მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რა საერთოა ამ ჩანაწერებს შორის? მოსწავლეები პასუხობენ/მასწავლებელს მიჰყავს პასუხამდე, რომ თითოეულ ფურცელზე რაიმე ამბავი სხვადასხვა ენაზე ასოებით წერია, მათ შორის – მუსიკის ენაზეც – მუსიკალური ნიშნებით – ნოტებით. მასწავლებელი და მოსწავლეები მსჯელობენ: ასოებით დაწერილი ამბავი რომ გავიგოთ და ავახშიანოთ, ამისათვის ფურცელზე ასოებით დაწერილი სიტყვები და წინადადებები უნდა წავიკითხოთ და წარმოვთქვათ. ნოტებით ჩანაწერილი მუსიკის გასაგებად და ასაუღერებლად კი საჭიროა მუსიკოსმა/მუსიკალური დამწერლობის მცოდნემ წაიკითხოს და საკრავზე დაუკრას, ან იმღეროს. ეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, თუკი ის მუსიკის ენასა და დამწერლობას ისწავლის.

“ჩვენ ხომ შეგვიძლია ნოტების კითხვა? – მიმართავს კლასს მასწავლებელი – მოდი, ჩვენც ავაუღეროთ სიმღერა. რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის? ჯერ ნოტების წავიკითხოთ, შემდეგ კი ვიმღეროთ” – პასუხობენ მოსწავლეები.

აქტივობა: ნოტების კითხვა – სოლფეჯირება

აქტივობის პირველ ეტაპზე მასწავლებელი ყველა მოსწავლეს ურიგებს რ. როჯერ-სის სიმღერის „დო–რე–მი“ ფურცელზე ამონერილ ვოკალურ პარტიას ტექსტის გარეშე. მოსწავლეები გამღერების გარეშე, რიგრიგობით ასახელებენ – კითხულობენ ნოტებს – ინწყებს ერთი, სხვები თვალს ადევნებენ ჩანანერს და მასწავლებლის მითითებისთანავე აგრძელებენ.

მეორე ეტაპზე – კითხულობენ და შემდეგ აკაკუნებენ რიტმულ სურათს (ყველა ერთად). **მესამე ეტაპზე** კაკუნთან ერთად რიტმულად ასახელებენ ნოტებს.

მეორე გაკვეთილზე, მას მერე, რაც გაიმეორებენ წინა გაკვეთილზე შესრულებულ აქტივობას, მასწავლებელი ფორტეპიანოსთან მიიწვევს მოსწავლეებს. ერთი მოსწავლე თავისი ფურცლიდან „არჩევს“ და უკრავს სიმღერის პირველ ფრაზას, (სავარაუდოდ, მოსწავლეები აქ უკვე ამოიცნობენ გასულ წლებში ნასწავლ სიმღერას), მეორე – მეორეს, და ა.შ. ბოლომდე. აქტივობაში მონაწილეობს კლასის ყველა მოსწავლე, რის შემდეგაც ფორტეპიანოსთან უკვე პედაგოგი ჯდება და მოსწავლეები მისი აკომპანემენტით სოლფეჯირებენ ნაცნობი სიმღერის მელოდიას (უტექსტოდ, ნოტების დასახელებით) **(მუს.V.4. მოსწავლეს შეუძლია მარტივი რიტმული ნახაზის, მელოდიის წაკითხვა და გადანერა).**

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები იღებენ დავალებას: ფურცელზე ამონერილ ვოკალურ პარტიას უნდა მიუწერონ ტექსტი (შესაძლებელია სიტყვიერი ტექსტი მიეცეთ ცალკე ამონერილი სახით, ან, საუკეთესო შემთხვევაში, მეხსიერებაში აღიდგინონ იგი) **(მუს.V.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების და საკრავების გამოყენება იმპროვიზაციულ სავარჯიშოებში. ინდიკატორები: ნაცნობ სიმღერას უცვლის ტექსტს; ნაცნობ მელოდიას მღერის სხვადასხვა ტონალობაში (სხვადასხვა სიმალღეზე); ამოიცნობს ღიღინით, სხვა ტექსტზე, ინსტრუმენტზე შესრულებულ ნაცნობ სიმღერას).** მაგალითის სახით მასწავლებელი დაფაზე წერს პირველ ფრაზას.


აქტივობა: მუსიკალური დამწერლობის ისტორია

მესამე გაკვეთილზე მასწავლებელს მოაქვს ასომთავრულით დაწერილი ტექსტი, აჩვენებს მოსწავლეებს და ეკითხება, იციან თუ არა რა არის ეს. სავარაუდოდ, მოსწავლეები პასუხობენ, რომ ესაა ძველი ქართული დამწერლობა **(მუს.V.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობისთვის ორგანიზება. ინდიკატორები: აქტიურადაა ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში; სვამს კითხვებს; მონაწილეობს გამოკითხვაში).** პასუხის მიღების შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მათ ნევმური და სხვადასხვა ერების მუსიკალური დამწერლობის ნიმუშებს:




(ილუსტრ. 4) მიქაელ მოდრეკილის იადგარი


278 ΑΠΡΙΑΛΙΟΣ.




 ρου με ε νου ς ε χαλ κευ σσιν κιν θυ υ νοι' α




 και ε ςο μαω σααν βα α α α σα α α



 νοι π και ποι κι λαι κο λα σεις αν η λω ω



 σασωματο φυ υ υ υ σεις φει ρο ο ο ο με ε



 ε' ε νου π Ε νι κα ψα ρο ο ο ο




 πο ο ο ο ςο σς τη ηυ φυ υ υ υ σιν π



 θι α θα κα τα κ πε θων του ε φα α ς ηυ



 θι α θη και αι πρ ας το ο ον πο θυ υ υ υ




 με ε ε ε νου π Χρι ςο ο ο ον τον

CHRYSANTHEAN NOTATION * MUSIC PRINTING
 Doxastarion by Peter the Peloponnesian,
 Vol. I (Constantinople, 1848), p. 278.

ილუსტრ. 5. ბიზანტიური ნევმები (საკეცლებიო საგალობლის ჩანანერი).

ილუსტრ. 6. უძველესი ბერძნული მუსიკალური დამწერლობა. დელფიური ჰიმნის ჩანანერი.



ილუსტრ. 10.
მეზოჰერული
დამწერლობა.

Esueille^z vous cueurs edormis le dieu damours vous sonne le dieu damours ij vous son-

ne A ce premier iour de may Oyseaux ferot merueilles Pour vous mettre hors desmay Destoupe^z vo^z oreil-

les ij *sf* farirariron ij *sf* farirariron farirari-

ron ferily ioly ioly ioly loly ioly ioly ioly ioly fere lyioly ioly Vous fere^z tous ij

en ioye mis chascū si habandonne car la saison est bonne ij ³

ილუსტრ. 11. ტაბულატურა.

* Motetes a quatro Lupus. Orphenica Lyra. Libro Segundo.

fatum gedconis ve llus deitatis plu

uia falue lplendor ij.

firmameti tu cali

ginole menti ij. de laper

irradia placā mare

maris stella. ij. ij.

ილუსტრ. 12. ევროპული შუა საუკუნეების ნევმები.




FIG. a



FIG. b




FIG. c




FIG. d





FIG. e




Specimens of Notation in Neumes:— FIG. a — 10-11th century; FIG. b — 11th century; FIG. c — 13th century; FIGS. d, e — 14th century. (From Spanish MSS.)

64


Entrée



*Entrée de deux femme dancé par M. le prouost
et M. le Guist au festin venitienne*



ილუსტრ. 13. საცეკვაო დამწერლობა.



შეკითხვა, სავარაუდოდ, დიდ დაბნეულობასა და ინტერესს გამოიწვევს. მასწავლებელი უხსნის, რომ ესეც სანოტო ჩანაწერებია (ხოლო საცეკვაო დამწერლობა მუსიკალური კი არაა, არამედ, მისი საშუალებით გამოსახულია საცეკვაო მოძრაობების აღმნიშვნელი სიმბოლოები).

უძველეს დროს, როცა ის დამწერლობა არ იყო გამოგონებული, რომელსაც ახლა ვიცნობთ, ყველა ქვეყანას თავისი საკუთარი მუსიკალური დამწერლობა ჰქონდა (შეიძლება შემოვიტანოთ ახალი ტერმინი – ნოტაცია). ასეთი დამწერლობის ნიმუშები, რომელიც დრომ შემოგვინახა, სპეციალისტებმა შეისწავლეს და თანამედროვე დამწერლობაზე გად-

Grave Mode

♩

(M) (N)

ord. have mer - cy. Lord. have mer - cy. Lord.

(K)

have mer - cy. Lord. have mer - cy.

(B) (N)

Lord. have mer - cy. Lord. have mer - - - - - cy.

Grave Mode

5 Un. C

Lord. have mer - cy. Lord. have mer - cy. Lord.

A^b

have mer - - - - - cy. Lord. have mer - cy.

F^b C

Lord. have mer - - - - - cy

მოიტანეს, ანუ გაშიფრეს. ასე, რომ ჩვენ დღეს თავადაც კი შეგვიძლია ზოგიერთი მათგანი წავიკითხოთ და ვიმღეროთ. მაგალითად, ყველაზე ძველი მათ შორის, რაც ვნახეთ, ბერძნულია. როგორც ხედავთ, ქვაზე ამოკვეთილი (იხ.: ილუსტრ. 6)

აგრეთვე აჩვენებს ბიზანტიური საგალობლის ნიმუშს და მის გაშიფრულ ვარიანტს (იხ.: ილუსტრ. 15), რომლის წაკითხვა და სიმღერაც ასევე შესაძლებელია.

ილუსტრ. 15. ბიზანტიური საგალობლის ნევმირებული ნიმუში და მისი გაშიფრული ვარიანტი.

(მუს. IV.4. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური დამწერლობის ნასწავლი ნიშნების ამოცნობა და ჩანერა).

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, თავად შექმნან თავიანთი ნევები. ამისათვის საჭიროა მოუსმინონ მუსიკალურ ნაწარმოებს (მაგ, ქართლ-კახური “გლესამ და გლესამ”) და თითოეული ნამღერი სიტყვის/მოტივის მიმართულება (აღმავალი, დაღმავალი, მელიზმატური – ხვეული), გრძლიობა (გრძელი, მოკლე), დინამიკა (განსხვავებული დინამიკა – განსხვავებული ფერებით) შესაბამისი გრაფიკული გამოსახულებით აღნიშნონ (საკმარისია სიმღერის მხოლოდ პირველი ორი ფრაზა: „გლესამ და გლესამ ნამგალო, ნამგალო ჩემი რკინაო“). სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები ერთმანეთს აჩვენებენ თავიანთ ვარიანტებს, რიომელოდიკ სავარაუდოდ, ძალიან განსხვავებულია. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ, თუკი მათი ნაწერები ერთსა და იმავე სიმღერაზე ასე განსხვავებულია, წარმოიდგინეთ, როგორი განსხვავებული იქნებოდა სხვადასხვა ქვეყნის მუსიკალური დამწერლობები? ყოველ ქვეყანას საკუთარი დამწერლობა ჰქონდა და, როგორ გგონიათ, ერთი ქვეყნის წარმომადგენელს შეეძლებოდა სხვა ქვეყნის ნოტაციის წაკითხვა, თუ საგანგებოდ არ შეისწავლიდა? მოსწავლეები პასუხობენ, რომ არა. მასწავლებელი კი დასძენს, რომ ასე გრძელდებოდა იქამდე, სანამ ერთმა იტალიელმა ბერმა გვიდომ, ქალაქ არეცოდან, არ გამოიგონა იმ ნოტების წინაპრები, რომელსაც ახლა ჩვენ ვიყენებთ.

მასწავლებელი მასთვის გასაგები ენით უამბობს მოსწავლეებს, რომ შუა საუკუნეების ევროპული მონასტრების მაგალობელ ბიჭუნებს ძალიან უჭირდათ უთვალავი რთული ნევმის დამახსოვრება და მღერა. ამიტომ გვიდომ მათ საქმე გაუადვილა – ზოგიერთი ჰანგი ხელის თითებზე ასე გამოსახა (აჩვენებს „გვიდოსეულ ხელს“ ილუსტრ 16, 16.ა).

ხუთ თითზე გამოსახული ჰანგები საფუძვლად სანოტო სისტემას დაედო, ხომ გახსოვთ, რამდენი ხაზია სანოტო სისტემაში?



ილუსტრ. 16. „გვიდოსეული ხელი“.



ილუსტრ. 16.ა. „გვიდოსეული ხელი“

გვიდომ ნოტების დღევანდელი დასახელებებიც გამოიგონა. აი, როგორ მოხდა ეს.

გვიდომ აილო წმინდა იოანეს ჰიმნი (წმინდა იოანე მაგალობლების მფარველი იყო და მას ასე უმღეროდნენ: "შეგვაძლებინე შენს მონებს, რომ სავსე ხმით ვადიდოთ შენ მიერ ქმნილი სასწაულები, მოაშორე ცოდვა ჩვენს პირს, წმინდაო იოანე!")

და მონიშნა ყველა ის სტრიქონი, რომელიც წინა სტრიქონიდან ერთი ტონით მაღლა იწყებოდა. სულ 6 სტრიქონი იყო და თითოეული მათგანის პირველი მარცვალი ამ ბგერების სახელწოდება გახდა.

აი, როგორ გამოიყურებოდა ეს ჰიმნი გვიდოს დროს:

UT queant laxis REsonare fibris

Mira gestorum FAMuli tuorum

SOLve polluti LABii reatum

Sancte Joannes.

ილუსტრ. 17. წმინდა იოანეს ჰიმნი.

დააკვირდით ტექსტს? ხედავთ, რომ დიდი ასოებით მუსიკალური ბგერების დასახელება იკითხება? მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თავიანთ რვეულებში გადაინერონ მენზურალური ნოტაციით ჩანერილი „წმინდა იოანეს ჰიმნი“. შემდეგ კი აჩვენებს თანამედროვე ნოტაციით ჩანერილ წმინდა იოანეს ჰიმნს:

Ut Queant Laxis
Reading Chant

Second Mode

